

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა
GANATLEBA

**ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეკონსტრუქციული სამეცნიერო ჟურნალი**

2(21)
2018

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

№1 (20), 2018 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, სტუ პროფესორი

საკმედაქციო კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბედალოვი ჩინგიზი — პროფესორი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

კონსტანტინე რამიშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გელა ყიფიანი — პროფესორი, საავიაციო უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გოგირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ მალრამე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი ხუბუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ლია მეტრეველი — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირჩი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოლე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობროვი უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: <http://newsletters.gtu.ge>

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision
of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№1 (20), 2018

Editor – Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Sub-editor – Zurab Chachkhiani, Professor, Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University;

Chingiz Bedalov– Baku Slavic University, Academy Membar of Georgian Academy of Education Sciences;

Konstantine Ramisvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences;

Gela Kipiani – Professor, University of Aviation;

Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University;

David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University;

Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University;

Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University;

Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow;

Lia Metreveli– Associate professor Georgian Technical University;

Jiri Klapka– professor, Karlos University (CZE);

Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA);

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI);

Cecilia Ode – University of Amsterdam (NED);

Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS).

Editor office: Temur Jagodnishvili

Technical editor: Asmat Pipia

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: (032) 236 57 07

web-said's adress: <http://newsletters.gtu.ge>

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინააგსი

განათლების მენეჯმენტი

ლია მეტრეველი

სკოლა ინტერაქტიული მეთოდებით 11

მარინე სურმავა

განათლების სამომავლო განვითარების სტრატეგიული მიზნები და მიმართულებანი 17

თინათინ როდონაია, თამარ როსტიაშვილი

დისტანციური სწავლების თეორიული ასპექტები უმაღლესი განათლების სისტემაში 21

ფილოლოგია

თემურ ჯაგოდნიშვილი

„ენობრივი პიროვნების“ თეორია და თანამედროვე მასკომუნიკაცია 27

თამარ მეზუკე

ინტერდისციპლინარულ ტექსტოლოგიაზე 34

თამარ მეზუკე

პოპულარული სამეცნიერო სტატიის სტრუქტურული და კომპოზიციური თვისებანი 40

ცისანა გიგაური, ნინო გიგაური

ინოვაცია უცხოური ტერმინების ათვისების პროცესში ანდაზებისა და მნიშვნელოვანი გამონათქვამების საშუალებით ორენოვანების პირობებში 48

მურმან თავდიშვილი

ძველი მეტყველების კულტურის (უზუსის) ელემენტები “ვეფხისტყაოსანში” 55

თამარ ნატროშვილი, თამარ კიკვაძე

ხელოვნური ინტელექტი და ინტერტექსტუალურობა 62

ნათია ასათიანი

თანამედროვე ლინგვისტური მიდგომა ხელოვნური ინტელექტის შესახებ 69

ირინა ჩხენკელი, ლელა ვერბი

ადამიანებსა და რობოტებს შორის ინტერაქტივი 73

ქეთევან გიორგობიანი

იტალიის და ესპანეთის ტელევიზია..... 79

მაკონომიკა

ანზორ აბრალავა, ვასილ ბატიაშვილი

გარდასახვები როგორც გამოწვევა და მენეჯერი როგორც ლიდერი..... 85

ანზორ აბრალავა, ვასილ ბატიაშვილი

ცვლილებების ოპტიმიზაცია 91

თამარ ბერიძე, გიორგი ჟორჟოლიანი, რუსუდან ნუცუბიძე

დროის მენეჯმენტი კომპანიის მართვის სისტემაში 99

ელისაბედ ხახუტაშვილი

მარკეტინგული კვლევის ახალი მიმართულება სარეკლამო ინდუსტრიაში 106

ნატო ბებიაშვილი, არჩილ გრიგალაშვილი

საწარმოს ბიუჯეტის შესრულების კონტროლი 110

ლიკა ბერიძე, გიორგი ჟორჟოლიანი, რუსუდან ნუცუბიძე

დროის მენეჯმენტი, როგორც წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი 116

გიგა სიმონიშვილი

სოციოლოგის თვალთ დანახული ირანის კულტურა, ტრადიციები, ყოფა-
ცხოვრება და ეკონომიკა..... 123

სოციალური მეცნიერებანი

ალექსი ბარბაქაძე

ნატოსთან რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების

სტრატეგიული და პოლიტიკური ასპექტები 131

<i>დავით ებრალიძე</i>	
კასპიის რეგიონში აშშ-ს ევროკავშირისა და ჩინეთის სამხედრო - პოლიტიკური თანამშრომლობა.....	138
<i>გიორგი ლილუაშვილი</i>	
რბილი ძალიდან ჭკვიან ძალამდე	144
<i>ჯილდა ლომიძე</i>	
პოლიტიკური კონსალტინგის ეროვნული თავისებურებები.....	149
<i>ანა ფურელიანი</i>	
ისლამი გლობალიზებულ მსოფლიოში.....	157
<i>კახა ძაგანია</i>	
პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური ევოლუცია	168
<i>ლაშა ხოზრევანიძე</i>	
2015 წელს რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის კრიზისის გამომწვევი მიზეზები, შედეგები და პოლიტიკური ღონისძიებები	175
<i>დავით მახვილაძე</i>	
განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების მახასიათებლები	184
<i>ვაჟა დანელია</i>	
ზოგიერთი სასპორტო ფრაზეოლოგიზმისა და ჟარგონული ტერმინის ჩამოყალიბება-დამკვიდრების თავისებურებები თანამედროვე ქართულ პრესაში	189
<i>მანანა ასლანიშვილი</i>	
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში	194

CONTENTS

EDUCATION SCIENCES

Lia Metreveli

School with interactive methods 11

Marine Surmava

Strategic goals and directions for the future educational development..... 17

Tinatin Rodonaia, Tamar Rostiashvili

Distance Learning 21

PHILOLOGY

Temur Jagodnishvili

Theory of “Language Personality” and modern Mass Communication..... 27

Tamar Mebuke

Interdisciplinary Textual Criticism..... 34

Tamar Mebuke

Structural and Compositional Peculiarities of Popular Science Article 40

Tsisana Gigauri, Nino Gigauri

Innovation in the process of assimilating foreign terms using proverbs, sayings and significant expressions in bilingual terms (English, Russian) 48

Murman Tavdishvili

Elements of old speech culture (Usus) in “The Panther’s Skin” 55

Tamar Natroshvili, Tamar Kikvadze

Artificial Intelligence and Intertextuality..... 62

Natia Asatiani

Modern Linguistic Approach on Artificial Intelligence 69

Irina Chkhenkeli, Lela Verbi

The challenge of human–robot interaction..... 73

Ketevan Giorgobiani

Television of Italy and Spain..... 79

ECONOMICS

Anzor Abralava, Vasil Batiashvili

Changes as challenge and manager as leader..... 85

Anzor Abralava, Vasil Batiashvili

Optimization of Changes 91

Tamar Beridze, Giorgi Jorjoliani, Rusudan Nutsubidze

Time management in the company management system..... 99

Elisabed Khakhutashvili

New Direction of Marketing Research In Advertising Industry..... 106

Nato Bebiashvili, Archil Grigalashvili

Enterprise Budget Performance Control..... 110

Lika Beridze, Giorgi Jorjoliani, Rusudan Nutsubidze

Time - such as an important resource 116

Giga Simonishvili

Iranian culture, traditions and life-saving seeing by the sociologist eyes..... 123

SOCIAL SCIENCES

Aleksi Barbakadze

Strategic and political aspects of Russian military-political relations with NATO 131

David Ebralidze

Military and Political Cooperation of USA, EU and China in Caspian region 138

<i>Giorgi Liluashvili</i>	
From mild strength to clever strength.....	144
<i>Jilda Lomidze</i>	
National Peculiarities of Political Consulting	149
<i>Ana Fureliani</i>	
Islam in Globalized World	157
<i>Kakha Dzagania</i>	
Institutional Evolution of Political Parties	168
<i>Lasha Khozrevanidze</i>	
Causes, consequences and political events in 2015 by the crisis of Russian-Turkish diplomatic relations	175
<i>David Makhviladze</i>	
Features of regulation of foreign direct investment focused on development.....	184
<i>Vaja Danelia</i>	
Peculiarities of the formation and establishment of some sports phraseology and slang term in contemporary Georgian press.....	189
<i>Manana Aslanishvili</i>	
The Use of Artificial Intelligence in Language Teaching.....	194

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

*ლია მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

სკოლა ინტერაქტიული მეთოდებით

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია აქტიური სკოლის გაკვეთილების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თავისებურებანი, აქტიური მეთოდების გამოყენებით. მოცემულია სასწავლო მოქმედიანობის კონკრეტული ფორმები და მეთოდური რეკომენდაციები. გაანალიზებულია მოსწავლეზე ორიენტებული განათლების საკითხები, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების მიზნებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით. გამოკვეთილია ინტერაქტიული მეთოდთა ისეთი სახეები, როგორცაა კლასში ორმხრივი პასუხისმგებლობის ფონზე გახსნილი ჯგუფური და წყვილებში მუშაობის მეთოდი, გონებრივი იერიში, პროექტის დადგენა და სხვა. ხაზგასმულია ტრადიციული და აქტიური სკოლის განათლების შინაარსის დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, განათლება, მეთოდები, მოსწავლეები, მასწავლებლები.

შესავალი

საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაში ყველაფერი განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება. განათლების რეფორმამ რადიკალურად განიხილა საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა დაწესებულებების საქმიანობა და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, მეტად საპასუხისმგებლო მისია დააკისრა. შეიცვალა სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე, რომელთაც ევროსტანდარტების დანერგვით, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით და თავისუფალი, კრიტიკული აზროვნებით უნდა შეძლონ არაერთი პრობლემური საკითხის მოწესრიგება.

ადაპტურმა სკოლამ მოსწავლისა და მასწავლებლის ფუნქცია - მოვალეობები ცოცხალ კრიტიკაზე გადანაწილა და მიშვნელოვნად გააფართოვა არცოდნიდან ცოდნისკენ მიმავალი სავალი გზა.

ძირითადი ნაწილი

გარემო, სადაც მოზარდებს უხდებათ ყოფნა, უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ფორმირებისათვის. მოსწავლეთა შემოქმედებითი თუ შემეცნებითი აქტივობის გამოწვევისა და მათი ინტერესების ფორმირების საშუალებას წარმოადგენს ამგვარი გაკვეთილის ორგანიზაცია, რომელიც თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობით განსაზღვრავს.

ტრადიციულისაგან განსხვავებით აქტიურ სკოლაში მასწავლებლის ინდივიდუალურმა რეფლექსიამ და მოსწავლის დემოკრატიულმა ლიდერობამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა. რითაც უფრო მეტად განმტკიცდა რაციონალური მოტივაცია. გაკვეთილი ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით იგეგმება. ადრინდელი განათლების კონცეფცია ახლანდელს აღარ შეესაბამება. სასწავლო პროცესის ცენტრში მოექცა მოსწავლე მთელი თავისი ინდივიდუალობითა და ინტელექტუალური ძალების ჩართვით, ძირითად მიმართულებად გამოიკვეთა მასზე ორიენტირებული განათლება.

განათლების შინაარსი აღზრდასა და სწავლა-სწავლების მოდერნიზაციამ უნდა განსაზღვროს, რაც არაერთ სირთულესა და პრობლემასთანაა დაკავშირებული და რაც უდავოდ, დიდ სიფრთხილეს ითხოვს აღმზრდელისაგან.

მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება სწავლა-აღმზრდელობითი პროცესების მიზნებისა და მახასიათებლების კიდევ ერთ გადასინჯვას ითხოვს და მიზნად ისახავს ნაწილობრივ ტრადიციული მეთოდების შეზღუდვას. მოსწავლე პასიური მიმღების როლში აღარ უნდა რჩებოდეს გაკვეთილზე.

აქტიური სკოლა, მთლიანად ბავშვზეა კონცენტრირებული და მისი აზროვნების განვითარებაც სასწავლო პროცესს უნდა განსაზღვრავდეს. ამერიკელი მეცნიერის ბ. ბლუმის პედაგოგიური ტაქსონომია სასწავლო მიზნების ექვს კატეგორიას მოიცავს;

- გაგება, რომელიც გულისხმობს, როგორ გაიგო მოსწავლემ მიღებული ინფორმაცია.
- გამოყენება მიუთითებს შესწავლილი მასალის გამოყენების უნარზე ახალ სიტუაციაში.
- ანალიზი- მტლიანი სასწავლო მასალის დაშლის უნარი სტრუქტურულ ელემენტებად.
- სინთეზი-ელემენტების კომბინირებით ახალი მთლიანობის შექმნის უნარი.
- შეფასება-კონკრეტული მასალის მნიშვნელობის შეფასების უნარი ამა თუ იმ მიზნის მისარწევად.

➤ ფაქტების ამოცნობა -გახსენება-შესასწავლი მასალის გახსენება და აღდგენა. ტექსტზე მუშაობის დროს პროფესორი ნ.მაღლაკელიძე საინტერესო შეხედულებებს აყალიბებს ტაქსონომიის მიხედვით. იგი აღნიშნავს, რომ აზროვნებით-შემეცნებითი პროცესის რეგულირება ტექსტის კითხვისას შემდეგნაირად ხდება:

ა) ცოდნა - შესწავლილი მასალის გახსენება;

ბ) გაგება - მასალის არსის ჩაწვდომის უნარი;

გ) გამოყენება - სასწავლო მასალის ახალი და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი;

დ) ანალიზი - მთლიანი მასალის დანაწილება კონსტიტუენტებად;

ე) სინთეზი - ნაწილებად დაკავშირებისა და ერთ მთლიანობაში ჩამოყალიბების უნარი;

ვ) შეფასება;

რაც შეეხება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით შეკითხვათა სახეებზე მუშაობას, ბუნებრივია, გაჩნდება, ფაქტებზე, გადატანაზე, ინტერპრეტაციაზე, გამოყენებაზე, სინთეზსა თუ შეფასებაზე ორიენტირებული კითხვები.

ყველანაირი ამოცანის გადაწყვეტა აზროვნების საქმეა. რ. ნათაძე აღნიშნავს, რომ აზროვნებისათვის დამახასიათებელია ინდივიდისათვის ახალი ამოცანის გადაწყვეტა. ახალი უჩვეულო სიტუაციის შესატყვისი მოქმედება. აზროვნების პროცესის „ძრავს“ გაგების მოთხოვნილება შეადგენს სწავლების ინტერაქტიური მეთოდების დანერგვამ ფართო გასაქანი მისცა მოსწავლეთა თავისუფალ ქმედებას თუ კრიტიკულ აზროვნებას. სასწავლო პროცესის ორგანიზებულ ფორმათა შორის გამოირკვა ჯგუფური მუშაობა. საინტერესო გახდა თანამშრომლობის პედაგოგიკა. ორმხრივი პასუხისმგებლობის ფონზე, უფრო მეტად გაძლიერდა მოსწავლეთა აქტივობა. ჯგუფმა მოსწავლეების კონკრეტული მითითებებით პასიური მოსწავლეც კი აქტიური გახდა და კლასში ხალისიანობის ფაქტორმაც იმძლავრა, შეიქმნა შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო.

ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი;

➤ მოხდეს კლასის დაყოფა 5-4 ბავშვისგან შემდგარ ჯგუფებად, რათა შეიქმნას პედაგოგიური ეფექტიანობის და სწავლის ხარისხის პოზიტიური პირობები;

➤ ჯგუფურად დაყოფა უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ინტერესებს, თუმცა, არმზრდელი განსხვავებული პრინციპებითაც მოქმედებდეს.

➤ დროორმხრივი საქმიანობისათვის რაციონალურად უნდა იყოს გათვლილი

➤ დისკუსია და კამათი ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში უნდა მიმდინარეობდეს.

➤ დავალება უნდა იყოს ჯგუფისათვის საინტერესო და ინტელექტუალური,

ძალების გამოვლენა თითოეული ჯგუფის აქტიური მონაწილეობით უნდა ხდებოდეს.

- მოსწავლეებს უნდა შესწევდეს თვით კრიტიკის, თვით კონტროლის თვითშეფასებისა და სხვა უნარი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აწესრიგებს პედაგოგები მრავალნაირი მეთოდით ორგანიზაციულ მხარეს. საკლასო დისკუსია, როგორც აქტიური სკოლის ეფექტური მეთოდი, იმ შემთხვევაში ღირებულია, როცა მოსწავლეები რწმუნდებიან საკუთარ შესაძლებლობებში და ინდივიდუალურად ავითარებენ აზრს, რომ შეიძლება ნებისმიერ მტკიცებას არაერთი ალტერნატიული მოსაზრება დაუპირისპირდეს. მონაწილეთა შორის შეთანხმებულობა ინფორმაციის გაცვლა, საერთო აზრის ან გადაწყვეტილების მიღება ახალ-ახალ წარმატებებისაკენ იკვლევს გზას.

დისკუსიის მეთოდის გამოყენება, ინტერაქტიური მეთოდთაგან, იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ბავშვები გამოიმუშავენ სასწავლო პროცესში ისეთ უნარებს, როგორიცაა მოსმენის კულტურა, სხვათა აზრის პატივისცემა, კრიტიკული შენიშვნა, ამხანაგის ნდობა და პატივისცემა.

მეტად საინტერესოა გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში, რომელიც დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა შემოქმედებით აზროვნებას. მოსწავლეების მიერ წინასწარ შერჩეული თემა, კითხვების სახით უნდა იყოს მოწოდებული. ასაკი და ინდივიდუალური თავისებურებანი აღმზრდელის მხრივ წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. მათი ასაკისათვის შესაფერისი და გასაგები საკითხი მეტ ემოციურ ფონს ქმნისა კლასში. სადაც ყმაწვილები საინტერესო შეხედულებებს აყალიბებენ და პრობლემების გადაწყვეტის გზებსაც გვთავაზობენ. გონებრივი იერიშის მეთოდი მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების, პატივისცემის გრძნობის აღზრდის, იდეების გენერაციის და კომუნიკაციის უნარების განმსაზღვრელია.

ინტერაქტიური მეთოდის ერთ-ერთი საინტერესო სახეა, პროექტი და მას მოსწავლეები დამოუკიდებელი სამუშაოს სახით წინასწარ გეგმავენ. ამ ტიპის სამუშაოს ისინი მასწავლებლის მითითებით, რეკომენდაციით, თემის შერჩევის შეთანხმებით ასრულებენ და თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში გონივრულად იყენებენ. ამ კუთხით მეტად ემოციურია ხელოვნების გაკვეთილები. საინტერესო პროექტი აკადემიური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს.

მოზარდთა თაობის შემოქმედებითი და სემეცნებითი უნარების გასავითარებლად მასწავლებლის ინტერესების სფეროში ექცევა კლასგარეშე დიფერენციაცია. თანამშრომლობითი პედაგოგიკა განსაკუთრებით წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობის დროს იჩენს თავს. ამ დროს ხდება არტ საერთო თემაზე კონცენტრირებული მუშაობა, არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბება,

საკუთარი ვერსიის შემუშავება და ბოლოს, ერთ-ერთი მათგანის მიერ საერთო აზრის პერზენტაცია.

დასკვნა

პედაგოგიური საქმიანობის ბევრი პრობლემა, რომლებიც აქტიურ სკოლში წარმოიქმნება, სწავლებისა და არზრდის ტექნოლოგიის პირობებში, მასწავლებლებისაგან მოითხოვს მეთოდოლოგიურ გააზრებას. მისი შემოქმედებითი მიზანდასახულობა მყარ და ოპტიმალურ მოტივაციას გულისხმობს ახალ, თანამედროვე ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით;

- მოსწავლეთა შემეცნებითი-შემოქმედებითი სტიმულების აღძვრა და სათანადო გარემოს შექმნა , გაკვეთილის სწორი და გამართული ორგანიზაციისათვის ;
- კრიტიკული აზროვნების განვითარების მრავალგვარი ხელშემწყობი მეთოდის გამოყენება.
- ასათვისებელ ცოდნისა უნარების გაფართოება-გაღრმავებისათვის სწრაფვა ახალი ამოცანების გადასაწყვეტად;
- განათლების შინაარსის მარალხარისხოვნად ათვისება, სწავლებასა და აღზრდის თანამედროვე ტექნოლოგიების, ახლებური მდგომარეობისა და მეთოდების სისტემურ გაცნობას და მის აქტიური ჩართვა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.
- ყოველი ჩატარებული გაკვეთილის პოზიტიური თუ ნეგატიური მხარის საფუძვლიანი განხილვა და სამომავლოდ მისი გათვალისწინება.
- თანამშრომლობითი პედაგოგიკის ჩართვით თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლების ერთობლივი გადამუშავება და პროდოქტიული აზროვნების ლოგიკის გამართულობით ცხოვრებაში სკოლის კონცეპტუალური მოდელის დადგენა;

და ბოლოს, აქტიურ სკოლას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელსაც ექნება ფართო მეცნიერული განათლება და პედაგოგისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა-ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2018;
2. ნათაძე. ნ ზოგადი ფსიქოლოგია თბილისი 1996;
3. გორდეზიანი ც., პედაგოგიური ტექნოლოგიების თეორიული ანალიზი. თბილისი 2005;
4. მაღლაკელიძე. ნ . ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი 2004;
5. ვასაზე ნ. პედაგოგიკა თბილისი 2010;
6. მაჭარაშვილი. ნ. ხელოვნების გაკვეთილების დაგეგმვა და ორგანიზაცია, ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით.

School with interactive methods

Lia Metreveli

Assosiate Professor of Georgian Technical University

Summary

In the degree work are the planning of the active school classes and organization features assisted with interactive methods. There are given specific forms of educational activity and methodical recommendations. The decisive importance represents the way, how the teacher arranges the organizational features of the great number of the methods. Class discussion is valuable in case if the trainees become consolidated in their own possibilities and at the same time they develop the agreement that any statement can be opposed to more than one alternate thought. Coordination and exchange of information, common conception, and decision-making explores the ways to more new progress. Many problems of teaching which are revealed in active school, on condition of technological teaching and training, needs the teacher's methodological thought. His creative purposefulness implies the steadfast optimal motivation for the solution of new and contemporary aims. Also are analyzed the education issues oriented to the trainees, taking into consideration the aims and characteristics of teaching and educational process. Also are emphasized such sort of interactive methods as the method of group and paired work opened against the background of reciprocal responsibility, brainstorm, project establishment and so on. Particularly accented are positive and negative aspects of the contents of education of traditional and active school.

განათლების სამომავლო განვითარების სტრატეგიული მიზნები და მიმართულებანი (ფიქრები განსჯისათვის)

რეზიუმე

2020 წლისათვის განათლება გახდება სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულება, რეალურად ამუშავდება განათლების სახელმწიფოებრივი სტანდარტები, ამოქმედდება საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, გაუქმდება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ეროვნული გამოცდები, განხორციელდება პედაგოგთა კადრების უაღრესად სწორი შერჩევა, გამჭვირვალედ ჩატარდება ატესტაცია-კონკურსები; ჩამოყალიბდება განათლების სტრატეგიული მიზნები, მიმართულებანი, სწორი დაგეგმვისა და მართვის სისტემები, მოხდება განათლების კონცეპტუალურად ახალი პრინციპების სისტემის შემუშავება, განხორციელდება ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: განათლების რეფორმა, ადამიანური რესურსების მართვა, საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, განათლების სახელმწიფოებრივი სტანდარტები, ადამიანური კაპიტალი, განათლების სტანდარტული მიმართულებანი, ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციები.

შესავალი

საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტის – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ის გაცნობის შემდეგ დამებადა ჩემი მოკრძალებული მოსაზრებებისა და ფიქრების საჯაროდ გამოთქმის სურვილი, მით უფრო, რომ დოკუმენტი მიზნად ისახავს საჯარო დისკუსიების სტიმულირებასა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდას. დოკუმენტში განსახილველ თემათა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო საკითხმა „განათლების რეფორმა და ადამიანური რესურსების განვითარება“.

დიდი ხანია ურთიერობა მაქვს სტუდენტებთან, აუდიტორიასთან და თვალნათლივ ვხედავ დღევანდელი ახალგაზრდობის განათლების შუქ-ჩრდილებს. მტკივნეულად განვიცდი საჯარო თუ კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ხარისხის არსებულ მდგომარეობას.

ძირითადი ნაწილი

ერის წინაშე განთლებას უზარმაზარი პასუხისმგებლობა ეკისრება. მჯერა: 2020 წლისათვის განათლება გახდება სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულება. ამ დროისათვის რეალურად ამუშავდება განათლების სახელ-

მწიფობრივი სტანდარტები. რომელთა საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდება სააკრედიტაციო-საატესტაციო სამუშაო, რაც წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლების რეალურ სახეს. სახელმწიფო სტანდარტი დააფიქსირებს იმ აუცილებელ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომელსაც უნდა ფლობდეს სათანადო კვალიფიკაციის ახალგაზრდა სპეციალისტი.

- 2020 წლისათვის რეალურად ამოქმედდება საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება. იმ დროისათვის ამოქმედდება უმაღლესი განათლების ისეთი მოდელი, რომელიც ახლოს იქნება დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ მოდელებთან და იმავე დროს, განათლების რეფორმის განვითარების სფეროში შენარჩუნებული იქნება ჩვენს ქვეყანაში არსებული მდიდარი გამოცდილება.

- საქართველოს არ ესაჭიროება ამდენი უმაღლესი სასწავლებელი, ამდენი კურსდამთავრებული... შესაბამისად, შემცირდება უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების რიცხვი;

- გაუქმდება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ეროვნული გამოცდები (რეპეტიტორთა უმრავლესობას გაუჩნდება სკოლაში დასაქმების მოტივაცია და სურვილი); საჯარო და კერძო სკოლებში გამჭვირვალედ და სათანადო სტანდარტებით ჩატარდება საატესტატო გამოცდები, რის შედეგადაც, დაგროვილი ქულების საფუძველზე მოხდება სტუდენტთა ჩარიცხვა ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის ფაკულტეტზე, ამალდება სკოლების და პროფესიონალ პედაგოგთა პრესტიჟი (სკოლის პედაგოგებს ეკრძალებათ საკუთარ მოსწავლეებთან კერძო გაკვეთილების ჩატარება).

- განხორციელდება პედაგოგთა კადრების უაღრესად სწორი შერჩევა. უმაღლეს სასწავლებლებში გამჭვირვალედ ჩატარდება ატესტაცია-კონკურსები უმაღლესი სკოლის აუდიტორიაში პროფესორის შეფასება მოხდება არა მისი მდარე სტატიებისა და უხარისხოდ თარგმნილი კომპილაციური სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების რაოდენობის მიხედვით, არამედ, მისი ლექციების ხარისხისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინების საფუძველზე.

- სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგთა გაახალგაზრდადება მოხდება საპენსიო ასაკს გადაცილებულ (ძირითადად, იგულისხმება უუნარო პედაგოგები) პროფესორ-მასწავლებელთა ხარჯზე;

- 2020 წლისათვის განხორციელდება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება შიდა და გარე სემინარების, ტრენინგების, დისტანციური სწავლების საფუძველზე; მოხდება კადრების სწორი შერჩევა, ახალი პერსონალი აღჭურვილი იქნება ინოვაციური პროგრამებისა და ტექნოლოგიების სათანადო ცოდნით.

- საჯარო და კერძო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე პედაგოგებს ექნებათ საჭირო, აუცილებელი პიროვნული თვისებები, თავშეკავებულების, კომუნიკაბელურობის, ეთიკური ნორმების დაცვის უნარი (რისი დეფიციტიც სამწუხაროდ, დღეს სახეზეა).

- ჩამოყალიბდება განათლების სტრატეგიული მიზნები და მიმართულებანი. მოხდება პედაგოგთა შრომის ანაზღაურების სათანადო მართვა, განხორციელდება პედაგოგთა მოტივაციისა და შეღავათების უზრუნველყოფა, მათი შრომის შედეგებისა და შესრულებული სამეცნიერო საქმიანობის სათანადო შეფასება; ამალდება განათლების სფეროს მუშაკთა დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძობა, დამკვიდრდება პედაგოგთა კულტურის შესაბამისი სტანდარტები, მოხდება განათლების სისტემის საფუძვლიანი ფორმირება.

- 2020 წლისათვის გათვალისწინებული იქნება სპეციალისტთა კონკურენტუნარიანობა, მხედველობაში იქნება მიღებული შრომის ბაზრის მუდმივად ცვლადი მოთხოვნები, რაც, თავის მხრივ, საგანმანათლებლო სპეციალობათა უნიფიცირების აუცილებლობას განაპირობებს.

დასკვნა

მიმაჩნია რომ:

- განათლების რეფორმის წარმატებული განვითარებისათვის ადამიანური კაპიტალი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწილია. ეს არ არის მხოლოდ ადამიანური რესურსი, არამედ ის შედეგია, რასაც ეს ადამიანები ქმნიან განათლების რეფორმის წარმატებული განხორციელებისათვის;

- ადამიანურ რესურსების განვითარებისათვის 2020 წლისათვის ჩამოყალიბდება განათლების სფეროში სწორი დაგეგმვისა და მართვის სისტემები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ერუდირებული და კეთილსინდისიერი პერსონალის აყვანა-დაქირავების, კვალიფიციური შტატების ჩამოყალიბების, კადრების სისტემატური ტრენინგისა და განვითარების, მათი მოტივაციისა და შეფასების ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს.

- განათლების დარგში დასაქმებული ადამიანები კარგად უნდა ერკვეოდნენ საჯარო, პროფესიული და უმაღლეს სკოლის სპეციფიკაში, სწორედ ესმოდეთ განათლების რეფორმის ძირითადი მიმართულებები.

- მოხდება განათლების კონცეპტუალურად ახალი პრინციპების სისტემის შემუშავება; განხორციელდება ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა.

- 2020 წლისათვის საქართველოში უმაღლესი განათლება იქნება მაღალი ხარისხის, მობილური, ხელმისაწვდომი, აღიარებული კვალიფიკაციების შემცველი და კონკურენტუნარიანი; ევროპული განათლების ერთიან სივრცეში რეფორმისტული ინტეგრირების პროცესში არ უნდა უგულებელვყოთ ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციები, მით უფრო, რომ თავად ეს სივრცეც, ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებად, ევროპული განათლების გამდიდრება ყველა ხალხის ენით, კულტურითა და განათლების ტრადიციებით ცდილობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაიკლ ამსტრონგი, ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2002;
2. გვენცაძე ნ., ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2008;
3. გიორგობიანი ლ., იყავით წარმატებული, ჟურნ. ბიზნესი, N1, 2007;
4. საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა საქართველოში, თბ., 2005;
5. ჯაგოდნიშვილი თ., განათლების ევროპული სივრცე და ჩვენ. იხ: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ დამატება, შრომები, ტ. 9, თბ., 2007.

**Strategic goals and directions for the future educational development
(thoughts for discussion)**

Marine Surmava
Associate Professor of Georgian Technical University

Summary

By 2020, education will become a prioritized direction for the development of the state, state educational standards will start working in real time, the concept of university education will be activated, the national exams, held for admitting students into high education facilities, will be canceled, teachers will be selected in a more precise manner, attestation-contests held will be more transparent; systems of management and correct planning, strategic goals, directions of education will be developed, a conceptually new system of principles for education will be worked out, a united European educational space will be created.

Key words: educational reform, management of human resources, concept of university education, state standards of education, human capital, standardized directions of education, national educational traditions.

*თინათინ როდონია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თამარ როსტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

დისტანციური სწავლების თეორიული ასპექტები უმაღლესი განათლების სისტემაში

რეზიუმე

ოცდამეერთე საუკუნეში ტექნიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. ინტერნეტ-ქსელის გაფართოებამ განსაკუთრებით გაზარდა მოთხოვნა ამ ტიპის სიახლეზე. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ, წინ წამოწია, ონლაინ სწავლა, როგორც დისტანციური სწავლების ახალი ფორმა.

სწავლების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება საინფორმაციო-საკომუნიკაციო დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (სსდსტ) გამოყენებას, დამაჯერებლად შედის მსოფლიოს, უფრო მეტად ევროპის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის პრაქტიკაში. სწავლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრიორიტეტად ითვლება.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ელექტრონული, დისტანციური და ნახევრად დისტანციური კურსებისა და პროგრამების გავრცელება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როგორც განათლების მიღების მსურველებისთვის, ისე უნივერსიტეტების განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, განათლება, ელექტრონული სწავლება, კონკურენტუნარიანობა, უმაღლესი განათლება, სწავლება, ტექნოლოგიები

შესავალი

საზოგადოების ინტერესი განათლების მიმართ ყოველთვის დიდი იყო, არის და იქნება. მისი განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმატებების მისაღწევად. 2004-2005 წლებში დაწყებულმა რეფორმებმა ძირეული ცვლილებები შეიტანა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლესი განათლების სისტემაში. რეფორმების შედეგად მოხდა საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაცია და იმ პირობების გაუქმება, რომელიც ინერციით არსებობდა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. თუმცა ჯერ კიდევ მწვავეა განათლების ხარისხისა და განათლებისადმი ყველა სოციალური ფენის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა. უმაღლესი განათლება არის

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას.

ძირითადი ნაწილი

ოცდამეერთე საუკუნეში ტექნიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. ამ ტიპის სიახლეზე მოთხოვნა განსაკუთრებით ინტერნეტის ქსელის გაფართოებასთან ერთად გაიზარდა. ინტერნეტის გავრცელებამ და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ, წინ წამოწია „ონლაინ სწავლა“, როგორც დისტანციური სწავლების ახალი ფორმა.

ტექნოლოგიის განვითარება და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ინსტიტუტები, გთავაზობს კურსებს ან საფეხურებს, რომლებსაც მიყვავართ დისტანციური განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტერმინებთან - დისტანციური სწავლება, ელექტრონული სწავლება, ონლაინ სწავლება, ვირტუალური განათლება, შერეული ტიპის სწავლება, მოქნილი სწავლება და ა.შ. ევროკავშირის განმარტებით ელექტრონული სწავლება არის მულტიმედიური ტექნოლოგიების და ინტერნეტის გამოყენება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, გაადვილდეს რესურსებზე წვდომა, მომსახურების გაცვლა და თანამშრომლობა.

დღესდღეობით დისტანციური სწავლება უმნიშვნელოვანესი ფენომენია უმაღლესი განათლების სისტემაში. სადაც არ უნდა ვეძებოთ პროფესიულ სასწავლებლებში, ოთხწლიან სასწავლო ინსტიტუციებსა და ტექნიკურ კოლეჯებში დისტანციური სწავლება ინერგება და სწრაფად ვითრდება. დისტანციური განათლება და ტექნოლოგია წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც ცვლის ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურს.

სწავლის გაგრძელებას სულ უფრო მეტი ადამიანი ირჩევს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დისტანციური სწავლების დანერგვით მსურველთა დიდი რაოდენობისთვის განათლების მიღება შესაძლებელი ხდება ძირითადი საქმიანობისგან მოუწყვეტლად, ნებისმიერ დროს და საცხოვრებელი ადგილის მდებარეობისგან დამოუკიდებლად. ამასთან, იგი წარმოადგენს დაჩქარებული ვარიანტით უმაღლესი განათლების მიღების რეალურ და მოქნილ საშუალებას, რაც დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ დისტანციური სწავლება განათლების მიღების კარგ პირობებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებსა და პენიტენციალურ დაწესებულებებში მყოფ პირებს.

უმაღლესი განათლების სფეროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ელექტრონული დისტანციური კურსები. ამ მიმართულებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ცვლილება მასობრივი ღია ონლაინ კურსების (MOOC) მიმართულებით ხდება. MOOC-ების პოპულარულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2012 წლიდან, როდესაც ორი დიდი პლატფორმა Coursera და edX შეიქმნა,

რომლებმაც გააერთიანეს ამერიკული მაღალი რეიტინგის მქონე ამერიკული უნივერსიტეტები: ჰარვარდი, MIT, პრინსტონი და სტენდფორდი. დღეს მსოფლიოს მასშტაბით 400 უნივერსიტეტზე მეტს აქვს მასობრივი ღია ონლაინ კურსი. დღევანდელი ვითარებით, 25 მილიონი ადამიანი დარეგისტრირდა მსოფლიოს მასშტაბით მასობრივ ღია ონლაინ კურსებზე. მაგალითად მხოლოდ Coursera-ს პლატფორმით შეთავაზებული კურსები, მილიონზე მეტ მომხმარებელს აქვს დამთავრებული¹.

საერთაშორისო MOOC-ებზე მოთხოვნა საქართველოშიც არსებობს. მათ უკვე აქტიურად იყენებენ ქართველი მომხმარებლებიც. მაგალითად edX-ის კურსების მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ნაწილზე, საქართველოდან 2012 წლიდან მოყოლებული 2 ათასზე მეტი რეგისტრაციაა გაკეთებული².

2013 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევა ელექტრონული სწავლების შესახებ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 249 უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ 38 ევროკავშირის დამისგარეკვეყნებიდან. გამოკითხვა ეხებოდა ინსტიტუციების მიერ გამოყენებულ ელექტრონული სწავლების ტიპებს, მათ გამოცდილებასა და მოლოდინებს ამ სფეროში. კვლევა ასევე მოიცავდა შერეული (blended) და ონლაინ ტიპის სწავლებას სხვადასხვა ფორმატში. დიდი ყურადღება დაეთმო MOOC Massive Open Online Course (MOOCs) - მასიური ღია ონლაინ კურსების კვლევას სასწავლო დაწესებულებებში.

კვლევის შედეგად, მცირედი გამოწვევების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ პრაქტიკულად ყველა გამოკითხვაში მონაწილე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებამ დაიწყო ელექტრონული სწავლების დანერგვა ინსტიტუციაში.³ ელექტრონული სწავლება დანერგა გამოკითხულთა დიდმა უმეტესობამ (რესპოდენტთა 96% - 245 გამოკითხული ინსტიტუციიდან 238). შვიდი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ არ არის ჩართული ელექტრონული სწავლების ფორმატში, მაშინ, როცა დანარჩენი 6 აცხადებს, რომ “მხოლოდ ახლა” იწყებს მის განვითარებას (ეს რესპოდენტები არიან საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, რუსეთი, ესპანეთი და თურქეთიდან).

ტრადიციული ქართული განათლების სისტემა წლების განმავლობაში ნაკლებად იყენებდა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. სასწავლო პროცესი უმეტესწილად სტუდენტსა და მასწავლებელს შორის უშუალო კონტაქტზე იყო დამყარებული და სასწავლო გარემო სასწავლო დაწესებულების ფარგლებში იყო ლოკალიზებული. ინტერნეტის ქსელის განვითარებამ სურათი რადიკალურად შეცვალა. თუ ადრე სწავლების აკადემიურ სტილს ალტერნატივა არ ჰქონდა და

¹ Chen Zhenghao, et al. “Who’s Benefiting from MOOCs, and Why.” Harvard Business Review 09.22.2015

² <http://harvardx.harvard.edu> 17 იანვრის მონაცემი 2016

³ European University Association, Results of Mapping survey conducted in October-November 2013

წარმოდგენილი იყო განათლების მიღება სასწავლო დაწესებულების კედლებს მიღმა, დღეს დრო და სივრცე პრობლემას აღარ წარმოადგენს.

განათლების ელექტრონული სწავლება და ონლაინ კურსებისა და პროგრამების განვითარება საქართველოს უმაღლესი განათლების პოლიტიკის პრიორიტეტს დღეისთვის არ წარმოადგენს. მაგალითად, დღეისთვის არსებული განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი აღიარებს, რომ უმაღლესი განათლების მიმართულებით სუსტადაა განვითარებული დისტანციური სწავლების ფორმები თუმცა, ამავე დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ამ ხარვეზის აღმოფხვრის პრიორიტეტსა თუ პოლიტიკის მიდგომებზე.⁴

დისტანციური სწავლების მეთოდი გარკვეულწილად ამარტივებს განათლების მიღების პროცესს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხერხით მიღებული ცოდნა ხარისხობრივად ჩამოუვარდება აკადემიურ გარემოში მიღებულ განათლებას. ნებისმიერი სასწავლო გარემო გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, ყველა ის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც სწავლების აკადემიურ გარემოს წაეყენება, ძალაში რჩება სწავლების დისტანციური მეთოდის შემთხვევაშიც. მთავარი განსხვავება ისაა, რომ დისტანციური სწავლების შემთხვევაში სასწავლო გარემო უფრო თანამედროვე სახეს იღებს, ვიდრე სწავლების ტრადიციულ პირობებში. სწავლების ორივე ფორმას თავისი უპირატესობები და ნაკვანებები გააჩნია. არსებობს სიტუაციები, როდესაც სწავლების აკადემიური მეთოდის გარეშე სასწავლო პროცესის ორგანიზება შეუძლებელია, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება სწავლების ელექტრონული საშუალებები.

დასკვნა

ელექტრონული სწავლების რეჟიმი სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის, რაც არ გამორიცხავს ტრადიციულ სასწავლო პროცესს. დღესდღეობით დისტანციური სწავლება უმნიშვნელოვანესი ფენომენია უმაღლესი განათლების სისტემაში. დისტანციური განათლება და ტექნოლოგია წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც ცვლის ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურს.

საერთაშორისო გამოცდილებიდან დავინახეთ, რომ დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმა არსებობს, რომლებიც დახვეწის პროცესშია. მნიშვნელოვანია ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება და მისაღები მოდელის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პრიორიტეტი გახდეს ელექტრონული და დისტანციური კურსების განვითარება. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე

⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. “განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები”. თბილისი 2014. გვ. 15

გამოცდილება, რაც აუცილებელია საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმისათვის.

ლიტერატურა

1. კაპანაძე დ., ლომინაძე თ., ჟვანია თ., თოდუა თ., კობაშვილი ა., - დისტანციური სწავლების ორგანიზება LMS Moodle. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2008 წელი; გვ 4-20
2. გელაძე დ., - სწავლების ახალი მეთოდოლოგია-ონლაინ სწავლა, 2012 წელი.
3. კუპატაძე ქ., ელექტრონული სწავლება, 2009 წელი; გვ 5-10
4. ონიანი-საღინაძე ნ. სწავლების საინფორმაციო ტექნოლოგიები განათლების ინფორმატიზაციის პროცესში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
5. ჯანაშია ს. საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობა - მასობრივი ღია ონლაინ კურსების განვითარება, 2016 წელი
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. “განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები”. თბილისი 2014. გვ. 15
7. Chen Zhenghao, et al. “Who’s Benefiting from MOOCs, and Why.” Harvard Business Review 09.22.2015
8. <http://harvardx.harvard.edu> 17 იანვრის მონაცემი 2016
9. European University Association, Results of Mapping survey conducted in October-November 2013

Distance Learning

Tinatin Rodonaia
PhD student of Georgian Technical University

Tamar Rostiashvili
Associated Professor of Georgian Technical University

Summary

Development of information technology has changed the very nature of teaching and learning process in the twenty first century. Widespread availability of the Internet and computers brought growing demand of online learning. Technology and the connective

power of the Internet have made distance education a growth industry and a new way of education.

New method of teaching based on Information and Communication Technology is successfully practiced in the worldwide higher education institutions mostly in European education system. Applying new technology of teaching is considered to be the main state priority of many countries.

Development of modern technology creates new opportunities for internationalization of higher education institutions. Increased number of online, distance, blended courses and programs tend to become significant for prospective students as well as for development of universities.

Keywords: *distance learning, education, e-learning, competitive, higher education, teaching, technology*

ფილოლოგია PHILOLOGY

თემურ ჯაგოდნიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

„ენობრივი პიროვნების“ თეორია და თანამედროვე მასკომუნიკაცია

რეზიუმე

„ენობრივი პიროვნების“ ცნებაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება ადამიანის უნარებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ მის მიერ ტექსტების ანუ სამეტყველო ქმნილებების შექმნასა და აღქმას და რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურულ-ენობრივი სირთულის ხარისხით, რეალობის აღქმის სიზუსტითა და სიღრმით, გარკვეული მიზანმიმართულებით.

ენობრივი პიროვნება ლინგვისტიკაში რამდენიმე თვალსაზრისით შეისწავლება. ესენია: ფსიქოლინგვისტიკური, კოგნიტიური, სოციოლინგვისტიკური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლინგვოდიდაქტიკური ასპექტები.

ამჟამად უაღრესად პოპულარულია ენობრივი პიროვნების კვლევები იმგვარი მიმართულებებით, რომლებიც განსაზღვრავენ მის სტატუსსა და ადგილს ლინგვისტიკაში.

შესავალი

„ენობრივი პიროვნება“ არის ლინგვისტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ითავისებს ენას და რომლისთვისაც ენა არის მეტყველება. ამ უზოგადესი განმარტებით მიუთითებენ პროფესიონალზე, რომელიც ენას, მეტყველებას, სამეტყველო სტრატეგიებს პროფესიულ საქმიანობაში.

ენობრივი პიროვნება მისი ენობრივი, მეტყველებითი პრაქტიკა ყველა დონეზე წარმოშობს კომუნიკაციურ პიროვნებას. ამგვარი პროფესიონალი ენობრივ-სამეტყველო ურთიერთობებში შუამავლის როლს ასრულებს. მას,

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომუნიკატორს უწოდებენ. ეს თანამედროვე ტერმინი ჟურნალისტებს, პუბლიცისტებს, გარკვეულწილად საჯარო მოხელეებს, ექსპერტებს, პოლიტოლოგებსაც გულისხმობს. ამიტომ ენობრივი პიროვნების ცნებისა და ტერმინოლოგიური შინაარსის გაგების, გაცნობიერებისა და გათავისების პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთვის, რადგან მისი შინაარსი განსაზღვრავს სწორედ კომუნიკანტის, კერძოდ, ჟურნალისტის პროფესიულ სახეს და როლს.

ძირითადი ნაწილი

მართალია, ტერმინი „ენობრივი პიროვნება“ და მისი ცნებითი შინაარსი ლინგვისტიკაში ვ. ვინოგრადოვმა შეიტანა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, მაგრამ ენობრივი პიროვნების თეორიის ფუძემდებლად ი. კარაულოვი ითვლება. თავად ეს თეორია კი გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გაჩნდა. ენობრივ პიროვნებაში იგულისხმება ადამიანის ის უნარები და მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ მის სამეტყველო ნაწარმოებების შექმნასა და აღქმას. ამ თეორიის მიხედვით ენობრივ პიროვნებას აღწერენ შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- ბუნებრივი ენის ნორმალურ ფლობით;
- სამყაროს სურათის ანუ თეზაურუსის რეკონსტრუქციით ენობრივი პიროვნებას მიერ შექმნილი ტექსტების ან სოციალური ტესტირების საფუძველზე;
- ენობრივი პიროვნების სასიცოცხლო თუ სიტუაციური დომინანტებით, მისი განწყობით, მოტივების გამოვლენით, რომლებიც აისახება ან ვლინდება ტექსტებსა და მათი შინაარსების წარმოქმნის პროცესში, ასევე სხვების ტექსტების აღქმის თავისებურებებში.

აღნიშნული იმასაც ცხადყოფს, რომ ენობრივი პიროვნების სტრუქტურაში სამ დონეს გამოყოფენ: პირველია ვერბალურ-სემანტიკური ანუ სამყაროს ენობრივი სურათი, მეორე – თეზაურუსულ-კოგნიტიური ანუ სამყაროს კონცეპტუალური სურათი და მესამეა მოტივაციურ-პრაგმატული დონე. ამ დონეების გამოყოფის საფუძველია თითოეულ დონეზე შესაბამისი მახასიათებლებისა და მათ შორის ურთიერთმიმართებათა არსებობა, მეტყველებით-აზროვნებით პროცესში თავჩენა და ურთიერთმოქმედება. თუმცა ამგვარი გამოყოფა-გამოცალკევება უაღრესად პირობითია, რადგან რეალობაში საზღვრები მათ შორის შეუმჩნეველია.

ენობრივი პიროვნების საბაზისო ცნებაა სამყაროს სურათი. სამყაროს სურათი ობიექტური რეალობის სუბიექტური ხატია, რომელიც ნიშნობრივ ფორმებში განსაზღვრდება და არც ერთ მათგანში არ აღიბეჭდება. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ სამყაროს კონცეპტუალური სურათი უფრო ვრცელია და ტევადი, ვიდრე სამყაროს ენობრივი სურათი, რადგანაც მის შექმნაში აზროვნების განსხვავებული ტიპები მონაწილეობს.

სამყაროს ენობრივი სურათის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ

ქმნის სამყაროს დამოუკიდებელ სურათს, სამყაროს კონცეპტუალური სურათის გვერდით არსებობს, რადანაირად არის ჩართული მასში. სამყაროს ენობრივი სურათის ერთეულებია სიტყვები, სინტაქსური კონსტრუქციები და სხვა. სამყაროს ენობრივი სურათი ორ უმთავრეს ფუნქციას ასრულებს:

- სამყაროს კონცეპტუალური სურათის ელემენტების ნიშანდებას;
- სამყაროს კონცეპტუალური სურათის ენის საშუალებით გამოსახვას (ჟესტებთან, მიმიკებთან, მოდასთან, კულტურულ სტერეოტიპებთან ერთად და ა. შ.).

სამყაროს კონცეპტუალური მოდელის ერთეულია ინდივიდუალური შეგნების S-მოდელები. ინდივიდი ახორციელებს მონაცემთა (წარმოდგენების, მოსაზრების, ცოდნის) პიროვნულ ექსპლიკაციას გარესინამდვილის ამა თუ იმ ფრაგმენტის შესახებ, ანუ იმას, რასაც იგი ფიქრობს, წარმოადგენს, ვარაუდობს, იცის სამყაროს ობიექტებსა და მათი ურთიერთმიმართებათა შესახებ, მათ შორის კლასების ობიექტებს შორის აბსტრაქტული ურთიერთმიმართებათა ჩათვლით (ო. კამენ-სკაია).

სამყაროს კონცეპტუალურ სურათს ასევე ორი ფუნქცია აქვს:

- ინტერპრეტაციული, ანუ სამყაროს ხედვის განხორციელებისა და
- რეგულაციური, ანუ სამყაროში ადამიანის ორიენტაციის განხორციელებისა.

სამყაროს კომუნიკაციური მოდელი აყალიბებს სამყაროსადმი ადამიანის მიმართების ტიპს, სამყაროში ადამიანის ქცევის ნორმებს, განსაზღვრავს მის ღირებულებით ორიენტაციას. სამყაროს კონცეპტუალური სურათის ბირთვს შეადგენს სამყაროს ის ხატი, რომელიც ადამიანს უყალიბდება მთელი მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მანძილზე, სამყაროსთან ყველა მისი კონტაქტის მსვლელობაში მისი ყველანაირი უნარების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ „ენობრივი პიროვნების“ ცნებაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება ადამიანის უნარებისა და მახასიათებლების ის ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის მიერ ტექსტების ანუ სამეტყველო ქმნილებების შექმნას, აღქმას და რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურულ-ენობრივი სირთულის ხარისხით, რეალობის აღქმის სიზუსტითა და სიღრმით, გარკვეული მიზანმიმართულებით.

ენობრივი პიროვნების განხილვა უფრო ლოგიკური და აქტუალურია მის მიერ შექმნილი ტექსტების ანალიზის საფუძველზე. ბევრი მკვლევარი ენობრივი პიროვნების ცნებას უკავშირებს შემდეგ მოცემულობებს:

1. ენობრივ ცნობიერებას;
2. ენობრივ არსებობას;
3. კომუნიკაციურ ანუ სამეტყველო ქცევას.

ენობრივი პიროვნება ლინგვისტიკაში რამდენიმე თვალსაზრისით შეისწავლება, ესენია: ფსიქოლინგვისტიკური, კოგნიტიური, სოციოლინგვისტიკური, ლინ-

გვოკულტუროლოგიური და ლინგვოდიდაქტიკური ასპექტები.

ამჟამად უაღრესად პოპულარულია ენობრივი პიროვნების კვლევები იმგვარი მიმართულებებით, რომლებიც განსაზღვრავენ მის სტატუსსა და ადგილს ლინგვისტიკაში.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გამოკვეთილად ტრადიციული გახდა ისეთი ცნებების განცალკევება, როგორებიცაა ენის ცოდნა და ენის ფლობა, რაც უკავშირდება ენობრივი კომპეტენციაში ორი მომენტის გამოყოფა-გაცნობიერებას: როგორც ენის პოტენციურ ცოდნას და ენობრივ აქტივობას ანუ ენობრივი კომპეტენციის გამოყენებას პროფესიულ სამეცხველო მოღვაწეობაში.

ენობრივ კომპეტენტურობაში, ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ მისი არსის განმსაზღვრელ შემდეგ მდგენელებზე: მოცემული ტექსტის პერიფრაზირების უნარზე; კომუნიკაციაში ომონიმური გამოთქმების გამორჩევისა და სინონიმური გამოთქმების განსხვავების უნარზე; სანდო (ზუსტი) გამონათქვამების არასანდოებისაგან განსხვავების უნარზე; აზრის გამოხატვის საშუალებების შერჩევაზე ურთიერთობის სიტუაციურ თავისებურებათა სოციალურ, ტერიტორიულ და სხვაგვარ თავისებურებათა და კომუნიკანტების პიროვნულ მახასიათებლების გათვალისწინებით (ი. აპრესიანი).

ამ თვალსაზრისით არის სწორედ საინტერსო ენობრივი პიროვნების პროფესიული მოღვაწეობა მასობრივი კომუნიკაციის სფეროში.

ენობრივი პიროვნების მოდელში გამოყოფენ სამ დონეს. ერთია ვერბალურ-სემანტიკური, მეორე – კოგნიტიური და მესამე – პრაგმატული დონეები.

- ვერბალურ-სემანტიკური დონე გულისხმობს ბუნებრივი ენის მატარებლის მიერ ამ ენის კარგად ცოდნას. ამ დონეზე ენობრივი პიროვნების მკვლევარი ოპერირებს მყარი ფორმალური საშუალებებისა და მიზნობრივი მნიშვნელობების გამოხატვის საშუალებების აღწერით.
- კოგნიტიურ დონეზე ენობრივი პიროვნების მიერ კარგად სტრუქტურირებული სამყაროს ენობრივი სურათის ელემენტებს წარმოადგენენ ცნებები, იდეები და მოსაზრებები და აირეკლავენ ღირებულებითი სისტემის იერარქიას.
- ენობრივი პიროვნების სისტემისა და მისი ანალიზის კოგნიტიური დონე გულისხმობს მისი მნიშვნელობის გაფართოებას და გადასვლას ცოდნაზე, ანუ შეიცავს პიროვნების ინტელექტუალურ ასპექტს.
- პრაგმატული დონე შეიცავს ენობრივი პიროვნების მიზნებს, მოტივებს, ინტერსებს, მისწრაფებებს, ინტენციონალურობებს, ამ დონეზე ენობრივი პიროვნების ანალიზის პროცესში ხდება შეგნებული გადასვლა მისი კომუნიკაციური მოღვაწეობიდან სამეცხველო მოღვაწეობის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე მთელს სამყაროში.

ამჟამად, ლინგვისტიკაში გვხვდება ენობრივი პიროვნების ტიპების გამოყოფის

სხვადასხვა საფუძვლები. ერთი ამგვარი საფუძველია ენობრივი პიროვნებების დაყოფა ეროვნული სამეტყველო კულტურის ტიპის მიხედვით. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ შემდეგ მახასიათებლებს:

- ელიტარული სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- საშუალო სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- საშუალო სამწერლობო კულტურის მატარებელს;
- ლიტერატურული სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- ფამილარული სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- მდაბიური სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- ხალხური სამეტყველო კულტურის მატარებელს;
- პროფესიული (შეზღუდული) სამეტყველო კულტურის მატარებელს.

ენობილია აგრეთვე ენობრივი პიროვნების სხვა ტიპოლოგიებიც. ენობრივი კომუნიკაციების კვლევების თანამედროვე დონეზე, მათი დონეების, ფორმების, სიტუაციების, კომუნიკაციური როლების, მიზნების გათვალისწინებით გამოყოფენ ენობრივი პიროვნების სამ ტიპს:

- ფატიკურს, რომელიც გამოირჩევა მეგობრული საკომუნიკაციო სტილის არჩევანით, დისტანციის შემცირებისაკენ მიდრეკით, შეტყობინების პროცესზე ყურადღების კონცენტრირებით და არა თავად შეტყობინებაზე;
- რაციონალურ-ანალიტიკურს, რომელიც მიელტვის მეტყველების ობიექტურ მანერულობას, არგუმენტირებულ სტილს, ყურადღებას ამახვილებს ურთიერთობის ინფორმაციულ ასპექტს, მნიშვნელობას არ ანიჭებს ემოციურ ასპექტებს.
- ესთეტიკურს, რომელიც უარყოფს ადრესატს, კონცენტრირებულია საკუთარ შინასამყაროზე, ყურადღებას ამახვილებს ენობრივ ფორმაზე და არა შინაარსზე (ნ. ორლოვა).

The data obtained in the present research revealed that genres of IT technical operational documentation constitute a wide network in predominantly written mode, the key being a system architecture, functional and non-functional requirements, manuals and test strategy. The genres in the network possess hierarchical structure with the system architecture and system requirements being the dominating ones. Manifest and constitutive intertextual relations and genres chronological chain are identified on the basis of exploring the situational context and revealing the discursive practices behind. Interdiscursive embedding of technical operational documentation and project management documentation is also consistent with the professional practices as well as mapping the communicative aims across IT operational and project management domains which results in regulatory, informative, reporting and evaluative genres. Frequency analysis results to investigate manifest intertextuality do not demonstrate high variation, and the precedent and antecedent genres in the chain were mentioned. The manifestation of intertextual relations in configuration and testing documentation was through hypertextual links to the documents in the intranet database.

Conclusion: The limitation of this study lies in the difficulty to compile a corpus due to non-disclosure organizational policies. A similar research procedure may be undertaken to analyse other genres in the domain after signing non-disclosure agreements with the stakeholders to make corpus more representative. Further research activities might also comprise a detailed analysis of lexico-grammatical features of each move and step to demonstrate their connection with the manifestation of language metafunctions or follow the longitudinal perspective, focusing on genre integrity, genre dynamism and co-generic intertextuality.

Bibliography:

1. Bazerman, C., Bonini, A. and Figueiredo, D. (eds.) (2009) *Genres in a Changing World*. Fort Collins, Colorado: the WAC Clearinghouse, West Lafayette, Indiana: Parlor Press.

2. De Beaugrande, R. and Dressier, W. U. (1981) Introduction to Text Linguistics. London: Longman.
3. Bhatia, V. K. (1993) Analyzing Genre. Harlow: Longman.
4. Bhatia, V. K. (2010) Interdiscursivity in professional communication. Discourse and Communication, 4: 32-50.
5. Kristeva, J. (1980) Desire in Language: A Semiotic Approach to Literature and Art. Trans, by A. Jardine, L.S. Roudiez and T. Gora. New York: Columbia University Press.
6. Kuzmina, J. (2014) Genre Contextualization and Rhetorical Organization Aspects in English Written Communication for Information Technologies. Riga: University of Latvia.

ხელოვნური ინტელექტი და ინტერტექსტუალურობა

*თამარ ნატროშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თამარ კიკვაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინტერტექსტუალური კავშირების როლი ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების განვითარებასა და დისკურსის დროს ტექსტების სწორედ აღქმაში. პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია ხელოვნური ინტელექტის ისტორიულ პერსპექტივაზე, ამასთანავე განმარტებულია ტექნოლოგიური წინსვლის კონცეფციაც, ტექნოლოგიისა და თანამდევ მოლოდინებს შორის არსებული პირდაპირი ურთიერთობების გამო. სტატიაში ილუსტრირებულია, თუ როგორ აღიქვამს მკითხველი პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ ინფორმაციას ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით და რა სახის ინტერტექსტუალურ კავშირებს აღმოაჩენს ასეთი ტიპის სტატიებში.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, ტექნოლოგიები, დისკურსი, დისკურსის ანალიზი, ინტერტექსტუალურობა, ხელოვნური ინტელექტი.

Modern Linguistic Approach on Artificial Intelligence

(on the basis of different popular scientific articles)

Summary

AI aims at simulating human intelligence by computer. Language is one of the primary expressions of human intelligence. It has been claimed that the acquisition of language is the greatest intellectual achievement of man. Natural language processing is, naturally so, one of the major fields of AI, and to a large extent it overlaps with Computational Linguistics, an important and continuously growing field of linguistics. The fundamental problem of computational linguistics is the modeling of the basic linguistic processes – comprehension, production and learning of language. It includes central AI problems such as perception, communication, knowledge, planning, reasoning and learning.

Key words: *Artificial Intelligence, hardware, cognitive science, computational system*

Introduction:

If one were to rank a list of civilization’s greatest and most elusive intellectual challenges, the problem of “decoding” ourselves—understanding the inner workings of our minds and our brains, and how the architecture of these elements is encoded in our genome—would surely be at the top. Yet the diverse fields that took on this challenge, from philosophy and psychology to computer science and neuroscience, have been fraught with disagreement about the right approach.

In 1956, the computer scientist John McCarthy coined the term “Artificial Intelligence” (AI) to describe the study of intelligence by implementing its essential features on a computer. Instantiating an intelligent system using man-made hardware, rather than our own “biological hardware” of cells and tissues, would show ultimate understanding, and have obvious practical applications in the creation of intelligent devices or even robots.

Some of McCarthy’s colleagues in neighboring departments, however, were more interested in how intelligence is implemented in humans (and other animals) first. Noam Chomsky and others worked on what became cognitive science, a field aimed at uncovering the mental representations and rules that underlie our perceptual and cognitive abilities. Chomsky and his colleagues had to overthrow the then-dominant paradigm of behaviorism, championed by Harvard psychologist B.F. Skinner, where animal behavior was reduced to a simple set of associations between an action and

its subsequent reward or punishment. The undoing of Skinner’s grip on psychology is commonly marked by Chomsky’s 1959 critical review of Skinner’s book **Verbal Behavior**, a book in which Skinner attempted to explain linguistic ability using behaviorist principles.

Main body

Skinner’s approach stressed the historical associations between a stimulus and the animal’s response—an approach easily framed as a kind of empirical statistical analysis, predicting the future as a function of the past. Chomsky’s conception of language, on the other hand, stressed the complexity of internal representations, encoded in the genome, and their maturation in light of the right data into a sophisticated computational system, one that cannot be usefully broken down into a set of associations. Behaviorist principles of associations could not explain the richness of linguistic knowledge, our endlessly creative use of it, or how quickly children acquire it with only minimal and imperfect exposure to language presented by their environment. The “language faculty,” as Chomsky referred to it, was part of the organism’s genetic endowment, much like the visual system, the immune system and the circulatory system, and we ought to approach it just as we approach these other more down-to-earth biological systems.

Artificial Intelligence as a developing field of study and application currently encompasses a **wide set of sub disciplines**. This is a difficult question to precisely answer due to the **inter-disciplinary nature** of the field.

From a strictly **conceptual** stand point, the development of these fields mainly rely on:

- Drawing parallels from **human learning methodologies**
- Neuroscience (**neural networks** in particular)
- Information Theory
- Complexity Theory
- Logic
- Semantic Theory

From a **mathematical** stand point, the development of these fields mainly rely on:

- Probability Theory
- Linear Algebra
- Methods of optimization & Search Algorithms
- Statistical Learning Methods and Models
- Calculus
- Graph Theory

From a **practical** stand point, the development of these fields mainly rely on:


- Methods for **storing Large Data sets**
- Processing power

- Signal processing
- Complex architectures
- Collaborative Development
- Distributed and parallel processing
- Research/Funding
- Speech/Image Recognition
- Natural Language Processing
- Data Science

Chomsky thought that there was much of a reliance on Linguistics in terms of what the ENTIRE field of A.I. development currently involves.

When looking at the particular subset such as **Natural Language Processing**, then evidently we can see linguistics as being a fundamental aspect of development. The field of A.I. as a whole is much **much** bigger than that though!

A Guide To NLP : A Confluence Of AI And Linguistics (frame of the AI is given below, it describes how the linguistic frame reflects the corpus of the frame)



Conclusion: We are living our lives more in bits & bytes than in exchanging emotions. We transact and communicate more over the internet using our super intelligent machines called computer. So we now feel that our machines need to understand how we comprehend while we speak and are trying to give language to them using the field of Artificial Intelligence Called NLP: Natural Language Processing. Chabot as an outcome is becoming a reliable business tools to communicate with humans using this non-human dependent intelligent tool.

Bibliography:

1. Online resources: <https://codeburst.io/a-guide-to-nlp-a-confluence-of-ai-and-linguistics-2786c56c0749>
2. Online resources: <http://jmc.stanford.edu/articles/coglunch.html>; Professor John McCarthy
3. Online resources: <https://medium.com/@Rebecca.Wicker/noam-chomsky-linguistics-and-ai-e2f29a920ea> Noam Chomsky Linguistics and AI
4.] M. Aiello, I. Pratt-Hartmann, J.V. Benthem (Eds.), Handbook of Spatial Logics, Springer-Verlag, Berlin, 2007.
5. J.A. Bateman Language and space: A two-level semantic approach based on principles of ontological engineering, International Journal of Speech Technology, 13 (1) (2010), pp. 29-48

*ნათია ასათიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე ტექნოკრატის პირობებში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ადამიანური და ხელოვნური ინტელექტი. კორპუსლინგვისტიკის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ მონაცემთა „მანქანურ“ დამუშავებასთან (ანუ არ ვეთანხმებით კორპუსლინგვისტიკის გაგებას, როგორც მეთოდური ინსტრუმენტის რაობას), არამედ ორი დარგის მეთოდური ინვენტარის ურთიერთმორგებასთან, რომელმაც კვლევის თვისობრივად ახალი მეთოდიკის შექმნას – კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდს დაუდო სათავე.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული აპარატურა, კოგნიტური მეცნიერება, კომპიუტერული სისტემა.

*Irina Chkhenkeli, Associate Professor
Georgian Technical University*

*Lela verbi- Associate Professor
Georgian Technical University*

The challenge of human–robot interaction (on the basis of different scientific articles)

Summary

Artificial intelligence (AI) is an area of computer science that emphasizes the creation of intelligent machines that work and react like humans. Artificial Intelligence (AI) is primarily concerned with the development of computational methods for accomplishing aspects of human intelligent behavior. This branch of computer science brings with it particular needs in the area of programming languages. Historically, AI has been a force in the creation of these special languages.

Keywords: Human–robot interaction, Cognitive robotics, Perspective taking, Cognitive architecture, Knowledge representation and reasoning

Introduction

Human–Robot Interaction (HRI) represents a challenge for Artificial Intelligence (AI). It lays at the crossroad of many subdomains of AI and, in effect, it calls for their integration: modelling humans and human cognition; acquiring, representing, manipulating in a tractable way abstract knowledge at the human level; reasoning on this knowledge to make decisions; eventually instantiating those decisions into physical actions both legible to and in coordination with humans. Many AI techniques are mandated, from visual processing to symbolic reasoning, from task planning to theory of mind building, from reactive control to action recognition and learning.

We do not claim to address here the issue as a whole. This article attempts however to organise it into a coherent challenge for Artificial Intelligence, and to explain and illustrate some of the paths that we have investigated on our robots, that result in a set of deliberative, knowledge-oriented, software components designed for human–robot interaction.

Main Body

We focus on a specific class of interactions: human–robot collaborative task achievement supported by multi-modal and situated communication. The human and the robot share a common space and exchange information through multiple modalities and the robot is expected to achieve interactive object manipulation, fetch and carry tasks and other similar chores by taking into account, at every stage, the intentions, beliefs, perspectives,

skills of its human partner. Namely, the robot must be able to recognize, understand and participate in communication situations, both explicit (e.g. the human addresses verbally the robot) and implicit (e.g. the human points to an object); the robot must be able to take part in joint actions, both pro-actively (by planning and proposing resulting plans to the human) and reactively; the robot must be able to move and act in a safe, efficient and legible way, taking into account social rules like proxemics.

These three challenges, communication, joint action, human-aware execution, structure the research in human–robot interaction. They can be understood in terms of cognitive skills that they mandate. Joint action, for instance, builds from:

- a joint goal, which has been previously established and agreed upon (typically through dialogue);
- a physical environment, estimated through the robot’s exteroceptive sensing capabilities, and augmented by inferences drawn from previous observations;
- a belief state that includes a priori common-sense knowledge and mental models of each of the agents involved (the robot and its human partners).

The robot controller decides what action to execute next , and who should perform it, from the robot or the human (or both in case of a collaborative action such as a handover , how it should be achieved and what signals should be sensed and/or produced by the robot to facilitate human–robot joint action . It finally controls and monitors its execution. The operation continues until the goal is achieved, is declared unachievable or is abandoned by the human .

This translates into several decisional, planning, representation skills that need to be available to the robot . It must be able: 1 to represent and manipulate symbolic belief states, 2 to acquire and keep them up-to-date with respect to the state of the world and the task at hand, 3 to build and iteratively refine shared (human–robot) plans, 4 to instantiate and execute the actions it has to perform, and conversely, to monitor those achieved by its human partner.

Besides, such abilities should be designed and implemented in a task-independent manner, and should provide sufficient levels of parametrisation, so that they adapt to various environments, different tasks and variable levels of engagement of the robot, ranging from teammate behaviour to assistant or pro-active helper.

Our main contributions focus on the architecture of the decisional layer of social robots. Specifically, the deliberative architecture of a robot designed to share space and tasks with humans, and to act and interact in a way that supports the human’s own actions and decisions. We present hereafter a model of cognitive integration for service robots that:

- exposes a principled approach to integrate a set of complex cognitive components in an explicit, semantics-oriented and yet loosely-coupled fashion;
- achieves multi-modal and interactive symbol grounding in complex, real-world

environments involving one or several humans and a robot;

- distributes the computation of symbolic knowledge by combining perspective taking, affordances computation, situated dialogue and logical inference;
- provides generic mechanisms for the robot to reason about the mental state of its human partners;
- reuses the same set of affordances and inferences, together with explicit contextual reasoning on humans and robot abilities, to generate human–robot shared plans.

This architecture is fully implemented and we demonstrate it on several robotic platforms and in several interaction scenarios. It eventually proves to be an effective framework for novel contributions about human–robot joint action , as well as for multi-disciplinary studies .

The remaining of the article details this robotic architecture. We organise this discussion in five sections. The next section introduces the architecture as a whole, as well as the knowledge model that we have developed for our robots. Section 3 discusses each of the cognitive components of the architecture. Section 4 presents two studies that illustrate in a practical way what can be currently achieved with our robots. The Sections 5 and 6 finally summarise our main contributions and restate the key challenges that human–robot interaction brings to Artificial Intelligence.

Deliberative architecture and knowledge model

Articulating multiple independent software modules in one coherent robotic architecture is not only a technical challenge, but also a design and architectural challenge. In particular, properly managing the rich semantics of natural interactions with humans raises a range of issues. Our basic assumption and guiding principle is that human-level interaction is easier to achieve if the robot itself relies internally on human-level semantics. We implement this principle by extensively relying on explicit knowledge representation and manipulation: software components communicate with each other using first-order logic statements organized into ontologies and whose semantics are close to the ones manipulated by humans.

An active knowledge base (ORO), conveniently thought as a semantic blackboard, connects most of the modules: the geometric reasoning module (SPARK) produces at relatively high frequency symbolic assertions describing the state of the robot environment and its evolution over time. These logical statements are stored in the knowledge base, and queried back, when necessary, by the language processing module (DIALOGS), the symbolic task planner (HATP) and the execution controller (SHARY or pyRobots). The output of the language processing module and the activities managed by the robot controller are stored back as symbolic statements as well.

Our architecture has not been designed to replicate or provide a plausible model of human cognition, and in this sense, we distinguish ourselves from research on cognitive

architectures. Instead, our main design principle is to nurture the decisional components of the robot with models of human behaviour and human preferences in order to develop an effective artificial cognition for a robot that is able to serve and interact seamlessly with humans. At high level, this architecture relies on the same principles as a number of known robotic layered architectures . However, the main point for us was to refine and study in detail the internals of the deliberative layer. Our architecture relates to Beliefs, Desires, Intentions (BDI) architectures. As put by Woolridge , BDI architectures are primarily focused on practical reasoning, i.e. the process of deciding, step by step, which action to perform to reach a goal. The management of the interaction between knowledge (the beliefs) and task and plan representation and execution (the desires and the intentions) is central, and aims at selecting at each step the best sub-goal. It becomes then an intention that the robot commits to.

Knowledge model

This architecture design departs from other approaches like the CAST model where knowledge is represented as a diffuse, pervasive resource, or the CRAM/ KnowRob architecture where the knowledge base is an active hub that pro-actively queries perceptual components to acquire knowledge. We believe that our design leads to a good observability (knowledge flows are explicit and easy to capture since they are centralised) as well as high modularity (modules communicate through an explicit and unified API).

At run-time, the knowledge available to the robot comes from three sources. A priori knowledge is stored in an ontology and is loaded at start-up. This static source implements the common-sense knowledge of the robot, and might optionally include scenario-specific knowledge (for instance, about objects that are to be manipulated). The second part of the knowledge is acquired at run-time from perception, interaction and planning. The next sections go into details of these processes. The third source of symbolic statements comes from the inferences produced by the reasoner.

Contrary to similar projects like KnowRob that relies on the concept of computables to lazily evaluate/acquire symbolic facts when needed, we have an explicit approach where we greedily compute and assert symbolic statements . For instance, whenever a client queries KnowRob to know if OBJECT1 isOn OBJECT2 , KnowRob calls a geometric reasoner to evaluate if this specific spatial relation holds at that point in time.

This knowledge model also largely excludes representation of continuous phenomena (like time) or uncertain phenomena. When required (for instance for action recognition), these are managed within dedicated components (like SPARK, discussed in Section 3.2), and are not represented in the knowledge base.

Cognitive skills

We call cognitive skills the deliberative behaviours that are 1 stateful, i.e. keeping track of previous states is typically needed for the component to perform appropriately;

2 amodal in that the skill is not inherently bound to a specific perception or actuation modality; 3 manipulate explicit semantics, typically by the mean of symbolic reasoning; 4 operate at the human-level, i.e. are legible to the humans, typically by acting at similar levels of abstraction.

We present first the main internal cognitive capabilities, implemented in the ORO knowledge base itself, and then discuss successively the situation assessment module SPARK, the dialogue processor DIALOGS, the symbolic task planner HATP, and finally the main features of our execution controllers SHARY and PYROBOTS. Note that greater details on each of these modules can be found in their respective publications

Conclusion

One important ingredient of an AI programming language is that it provides the ability to implement a physical symbol system. This basic ability to retain and transform symbolic structures is generally viewed as central to the development of any intelligent system. While most programming languages center on an ability to manipulate numeric data.

Bibliography

1. G. Trafton, L. Hiatt, A. Harrison, F. Tamborello, S. Khemlani, A. Schultz ACT-R/E: an embodied cognitive architecture for human–robot interaction (2013),
2. N. Mavridis, D. Roy Grounded situation models for robots: where words and percepts meet (2006)
3. S. Shapiro, J. Bona The GLAIR cognitive architecture (2009)

ადამიანებსა და რობოტებს შორის ინტერაქტივი

*ირინა ჩხენკელი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ლელა ვერბი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

Artificial intelligence (AI) ანუ ხელოვნური ინტელექტი, სამეცნიერო ფანტასტიკიდან თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგად იქცა და სავარაუდოდ კაცობრიობის მომავალი სწორედ მასზეა დამოკიდებული.

ადამიანს, მას შემდეგ რაც იგი მაიმუნიდან ჰომო საპიენსად გარდაიქმნა

მუდმივად აწუხებდა იდეები, მათ შორის უსულო საგნებისათვის რაიმეს “სწავლებისა”. ჰომო საპიენსი როგორც მოგეხსენებათ გონიერ ადამიანს ნიშნავს და როცა ტექნოლოგიები საჭირო დონემდე განვითარდა, დღის წესრიგში დადგა საკითხი “გონიერების” მანქანისთვის გადაცემისა. ამ საკითხზე ყველაზე მაღალი დონის მეცნიერები მუშაობენ და საკმაოდ წარმატებითაც. ზოგადად AI-ს ყოფენ სირთულის მიხედვით სუსტ AI და ძლიერ AI-დ. ეს დაყოფა გამომდინარეობს პრინციპიდან, თუ რამდენად შეუძლია ხელოვნური ინტელექტის მქონე ფიზიკურ აგენტს (რობოტს) მიუახლოვდეს ან აჯობოს კიდევ ადამიანის ინტელექტს. სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტის შექმნის მოსურვე მეცნიერები სწორედ ძლიერი ხელოვნური ინტელექტის შექმნისკენ მიისწრაფვიან.

საკვანძო სიტყვები: რობოტები, შემეცნებითი , ცოდნა, უნარები, ინტენცია, დაპროგრამება

ქუჩნალისტიკა

JOURNALISM

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

იტალიის და ესპანეთის ტელევიზია

რეზიუმე

სტატიაში საუბარია წარმატებული და პერსპექტიული მედიასაშუალებების შესახებ, რომელმაც უზარმაზარი აუდიტორია მიიზიდა და შეინარჩუნა, ტელევიზიის პირველ ნაბიჯებზე, პოპულარობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, მიზნებსა და თავისებურებებზე; უახლეს სტანდარტებთან მიახლოებული, მაყურებელთა ინტერესებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტელეპროდუქციის შექმნის მნიშვნელობაზე; საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე. ყურადღება გამახვილებულია იტალიის და ესპანეთის ელექტრომაუწყებლობაზე, ამ ქვეყნებში ტელევიზიის მიერ განვლილ გზაზე, სირთულეებზე, წინააღმდეგობებსა და წარმატებებზე, პოპულარულ ტელეარხებსა და პროგრამებზე, ახალ რეგულაციებზე.

საკვანძო სიტყვები: ახალი სიტყვა მედიასივრცეში, პირველი ნაბიჯები, პოპულარობის მიზეზები, ტელევიზიის ტიპები, მნიშვნელოვანი იტალიური და ესპანური ტელეარხები და პროგრამები, მიზნები, რეგულაციები.

შესავალი

მედია მკვლევარები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ტელევიზია არის მედიასაშუალება, რომელმაც დაარსებისთანავე ელვის უსწრაფესად მოიპოვა პოპულარობა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ფეხი შედგა. ეს, ბუნებრივია, ერთი მიზეზით არ აიხსნება, ბევრი ფაქტორის თანაარსებობასთან გვაქვს საქმე: ტელევი-

ზიის სპეციფიკა, საზოგადოების მოთხოვნილებები, ეპოქის თავისებურებები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მისგან გამომდინარე გამოაგნებელი შედეგები და ა. შ. ერთი სიტყვით, ტელევიზია ნამდვილად იყო ახალი სიტყვა მედიასივრცეში, ამასთან წარმატებული და პერსპექტიული მედიასაშუალება, რომელსაც არ გასჭირვებია უზარმაზარი აუდიტორიის მიზიდვა და შენარჩუნება. რაში მდგომარეობს ტელევიზიის მაგიური ძალა, რომელმაც მაყურებელი დაატყვევა და ცისფერ ეკრანს მიაჯაჭვა, ახალ სამყაროში ამოგზავრა და წარმოსახვით ფანტაზიასაც ფართო გასაქანი მისცა. ტელევიზიას იმთავითვე მაყურებლის მონუსხვის უნარი დაეხდა და ახლაც, როდესაც უკვე დიდი დრო გავიდა მისი პირველი ნაბიჯებიდან, როდესაც მოწიფულობის ასაკს მიაღწია, წონა აღმდგეობებიც წარმატებით დაძლია, ერთი შეხედვით მიუწვდომელი სიმადლეები დალაშქრა, კრიტიკის ქარცეცხლს არაერთხელ გაუძლო, ხიბლი არ დაუკარგავს.

ძირითადი ნაწილი

ევროპაში ტელევიზია ძირითადად მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოჩნდა. იტალიაში ტელევიზია ფუნქციონირებას 1954 წლიდან იწყებს. ამ ქვეყანას მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს (აშშ-ს შემდეგ) ტელერადიოსადგურების რაოდენობით (7 ეროვნული და 500 ადგილობრივი). ტელეგადაცემებს რეგულარულად უყურებს იტალიელების დაახლოებით 90% მაშინ, როდესაც რადიოს მხოლოდ 43% უსმენს, ყოველდღიურ გაზეთებს კი მოსახლეობის 34% კითხულობს. 1977 წლამდე იტალიაში მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზია არსებობდა, შემდეგ კი გაჩნდა კერძო ტელევიზია „ტელემილანო“, რომლის მფლობელია სკანდალური და ოდიოზური სილვიო ბერლუსკონი, მასვე ეკუთვნის სამი უმსხვილესი კომერციული ტელეარხი: „კანალ - 5 „, „იტალია - 1“ და „რეტე -4“. იტალიაში ასევე გამორჩეული და პოპულარულია „ეურო ტვ“, რომელიც კალისტო ტაცცის კუთვნილებაა. მასში შედის 1 ეროვნული არხი, 20 ადგილობრივი ტელესადგური და ახალი ამბების რეგიონალური პროგრამა. იყო ისეთი პერიოდიც, როცა კერძო ტელევიზიამ იტალიაში სახელმწიფო ტელევიზიას უდიდესი კონკურენცია გაუწია და გადაიბირა ტელემაყურებელთა თითქმის ნახევარი.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მომზადდა რეფერენდუმი, რომლის ფარგლებში უნდა განეხილათ ტელევიზიასთან (მათ შორის კომერციულთან) დაკავშირებული საკითხები. როგორც ამბობენ, ეს იყო მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური შემთხვევა; იტალიელებს უნდა გადაეწყვიტათ, დაეტოვებინათ თუ არა შესწორებების გარეშე კომერციული მაუწყებლობის შესახებ კანონი, რომლის ზოგიერთი პუნქტი სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

იტალიელ ტელემაყურებელს უნდა დაეჭირა მხარი ფილმების, თეატრალური, საოპერო, მუსიკალური წარმოდგენების რეკლამით შეწყვეტით უფლებისთვის ან უარი ეთქვათ. რეფერენდუმის რეზულტატმა საინტერესო ფაქტი გამოავლინა. შედეგებმა აჩვენა, რომ ტელემაყურებლები წინააღმდეგნი იყვნენ ქვეყანაში შეცვლილიყო არსებული ელექტრომაუწყებლობის სისტემა და მომხდარიყო სახელმწიფო ტელევიზიის პრივატიზაცია. რეფერენდუმზე ახალი კანონიც მიიღეს, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის როლის გაძლიერებას ტელევიზიის საქმიანობის კონტროლში. გადაწყდა, სახელმწიფო ტელევიზია „რაისთვის“ მეთვალყურეობა უნდა გაეწია კომისიას 8 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან 4 მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ, 4 კი - ოპოზიციისა. „რაის“ აკონტროლებს სენატორებისა და დეპუტატებისგან შემდგარი მუდმივი საპარლამენტო კომისია, ხოლო მის პრეზიდენტს ირჩევს დირექტორთა საბჭო. ამ ტელევიზიის ძირითადი შემოსავალი რეკლამებით მოზიდული თანხა და სააბონენტო გადასახადებია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სირთულეებიც ხშირად შექმნილა. ტელემაყურებელთა ნაწილი არ იხდის გადასახადს, ზოგიერთ რეგიონში არაგადადამხდელთა რიცხვი 40 %-საც კი აღწევს. 1975 წელს, აპრილში მიიღეს კანონი „რაის“ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ. ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა მსჯელობა ტელევიზიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მრავალრიცხოვანი საპარლამენტო კანონპროექტების განხილვის შემდეგ შეჯერდნენ კანონზე, რომლის თანახმად დასაშვებად ჩაითვალა ფილმის დემონსტრირების შეწყვეტა სარეკლამო პაუზით 45 წუთში მხოლოდ ერთხელ. სარეკლამო პაუზები საერთოდ აიკრძალა ბავშვებისთვის განკუთვნილი მულტფილმების ჩვენების დროს.

ანტიმონოპოლიური კანონის მოთხოვნით არც ერთ ორგანიზაციას ან ცალკეულ პირს არ აქვს უფლება ფლობდეს 3 არხზე მეტს.

კომერციული ტელევიზია ყოველთვის უწევდა მძაფრ კონკურენციას სახელმწიფო მაუწყებლობას. ცდილობდნენ გადაეხიზებინათ ცნობილი ტელესახეები - ნიჭიერი ჟურნალისტები, წამყვანები, მსახიობები. არწმუნებდნენ, რომ მათ მუშაობის უკეთესი პირობები, მაღალი ანაზღაურება და სრული შემოქმედებითი თავისუფლება ექნებოდათ.

მაყურებელს სთავაზობდნენ პოპულარულ ამერიკულ ტელეშოუებს, რომელიც მაშინ სიახლე იყო და ბევრ ადამიანს დააინტერესებდა. ეთერი გაჯერებული იყო ყოველნაირი ვიქტორინებით, რომელიც მაყურებელს ჰპირდებოდა დიდ მოგებას, თუმცა გასული საუკუნის 90 - იან წლებში სახელმწიფო ტელევიზიის რეიტინგი მაინც უფრო მაღალი იყო. „რაის“ მიერ იმ პერიოდში შექმნილმა სერიალებმა (ეს არ იყო დაუსრულებელი, გაწელილი სერიალები, „საპნის ოპერას“ რომ უწოდებენ, არამედ რამდენიმე სერიაში ჩატეული სულისშემძვრელი ისტორიები) მსოფლიო

ტელევიზორები დაიპყრო. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იტალიური კინოს ოსტატების ნამუშევრები არ შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი ტელეაუდიტორიის ყურადღების ცენტრში არ მოქცეულიყო.

ლატუადას „ქრისტეფორე კოლუმბი“, კასტელლანის „ჯუზეპე ვერდი“, მონტალდის „მარკო პოლო“ განსაკუთრებით შეიყვარა მაყურებელმა. ცნობილმა კინო და ტელესცენარისტმა ენრიო დე კონჩინიმ გასული საუკუნის 80 - იან წლებში გადაღებული სერიალით უამრავი იტალიელი და უცხოელი ტელემაყურებლის გული მოინადირა. საუბარია სერიალზე „რვაფეხა“, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელმა მიქელე პლაჩიდომ, რომელმაც პოლიციის კომისარი, თავგამოდებით რომ ებრძვის მაფიას, კორრადო კატანი განასახიერა და დიდი სამპათია და მოწონება დაიმსახურა. „რაი“ ასევე თანამშრომლობდა ისეთ უდიდეს ხელოვანებთან, როგორებიცაა მიქელანჯელო ანტონიონი, დამიანო დამინი, ფრანკო ძეფირელი, ფედერიკო ფელინი და ა.შ.

ესპანეთში ტელევიზია არსებობას იწყებს 1956 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა დაიწყო მაუწყებლობა პირველმა ესპანურმა ტელეარხმა „television espanola“, რომელსაც ახლა „la – 1“ ჰქვია. ტრანსლაცია დღეში სამ საათს გრძელდებოდა და მხოლოდ მადრიდელებისთვის და დედაქალაქთან ახლომდებარე დასახლებების მცხოვრებთათვის იყო ხელმისაწვდომი. 3 წლის შემდეგ, 1959 წლის 15 თებერვალს ბარსელონაში იწყებს ფუნქციონირებას „television espanola“, ხოლო 1960 -იანი წლებიდან ახალი მედიასაშუალება გამოჩნდა ესპანეთის სხვა რეგიონებშიც. ამ დროისათვის ტელევიზორი დაახლოებით 50 000 -მდე ოჯახს ჰქონდა. 1964 წელს მათი რიცხვი 1 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 1970 წელს კი თითქმის გაოთხმაგდა. 1965 წლიდან მეორე არხიც ამუშავდა.

ესპანეთში ტელევიზიის ამოქმედება ფრანკოს რეჟიმის პერიოდს დაემთხვა და, ბუნებრივია, რომ მაშინ ცენზურის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და გამოიყენებოდა აგიტაციური და პროპაგანდისტული მიზნებით. დიქტატორის მმართველობის ბოლო წლებში ესპანეთის ტელევიზიაში საავტორო პროგრამები სჭარბობდა. ტელეგადაცემები ეძღვნებოდა ისტორიულ ამბებს, ნაკლებად - თანამედროვე აქტუალურ მოვლენებს. ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით პირველ ათწლეულში ტელევიზია პოლიტიზებული რჩებოდა, თუმცა სახელმწიფოს კონტროლი მასზე თანდათან შესუსტდა და ტელევიზიაში დასაქმებულებსაც მეტი პოლიტიკური და შემოქმედებითი თავისუფლება მიეცათ. 1984 წლიდან თავიანთი სიტყვა თქვეს კერძო ტელეკომპანიებმაც. სამმა მათგანმა ლიცენზიის მიღებაც შეძლო. ესენი იყვნენ „Antena 3“, „Canal +“ და „Telecinco“. 2005 წელს „Canal +“-ის სიხშირე გადაეცა „Cuatro“-ს, ერთი წლის შემდეგ კი „ანტენა 3“-ის დამარსებლებმა ახალი არხიც დააფუძნეს „La sexta“. დღეისთვის ესპანეთში 4 ტიპის ტელემაუწყებლობაა - საეთერო, საკაბელო, სათანამგზავრო და IPTV. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე კონტროლს ახორციელებს კატალონიის, ვალენსიის და ანდალუზიის აუდიოვიზუალური საბჭოები. თანამედროვე ონლაინეპოქაში,

მართალია, ტელევიზიას უძლიერესი კონკურენტი გამოუჩნდა მსოფლიოს მპყრობელი ინტერნეტის სახით, მაგრამ ესპანეთი მაინც რჩება „სატელევიზიო ქვეყნად“. მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთგული რჩება ტელევიზიისა, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ისევ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ესპანეთის ტელევიზიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტურიზმისა და ინფორმაციის მინისტრს - მანუელ ფრაგა ირიბარნეს, რომლის ძალისხმევითაც აშენდა სატელევიზიო ცენტრი აბადო-დელ-რეიში. საბონენტო გადასახადთან ერთად ტელევიზიაში გაჩნდა რეკლამა, რომელიც დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

დღეისათვის ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრავალპროფილიანი ტელეარხია „La - 1“, რომელიც გადასცემს ცნობილ ესპანურ და უცხოურ ფილმებს და სერიალებს, სხვადასხვა თემატიკის გასართობ შოუებს. ამ არხზე გადის უძველესი საინფორმაციო პროგრამა “Telediario“, რომელსაც 1957 წლიდან ეცნობა ტელემყურებელი. ასევე წარმატებულ ტელეარხად ითვლება “La - 2”, რომელიც 1966 წელს გაიხსნა და დიდ ადგილს უთმობს კულტურის და საზოგადოებისთვის საინტერესო მოვლენების გაშუქებას; აუდიტორიას სთავაზობს ესპანურ და საზღვარგარეთულ დოკუმენტურ ფილმებს, მუსიკალურ, თეატრალურ ტელეპროგრამებს, რეპორტაჟებს და დისკუსიებს აქტუალურ საკითხებზე. “La -24 h” პირველი 24-საათიანი ახალი ამბების ტელეარხია ესპანეთში, დაარსდა 1987 წელს. „Teledeporte“ სპორტულ თემეტიკურ არხად ითვლება. ამ არხის მეშვეობით ესპანელებს ეძლევათ საშუალება თვალი მიადევნონ ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ესპანეთში არც პატარები რჩებიან ყურადღების გარეშე. საბავშვო ტელეარხი “Glan” მათ სთავაზობს შემეცნებით და საინფორმაციო პროგრამებს, საეთერო დროის დიდი ნაწილი ანიმაციურ ფილმებს ეთმობა. ესპანეთში არსებული მძლავრი მედიაჰოლდინგებიდან უნდა გამოვყოთ “Mediaset Espana” და “Astermedia“. ამ უკანასკნელს ეკუთვნის “Antena 3“, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. “Astermedia” მაუწყებლობს 1990 წლიდან. პოპულარობა მოიპოვა ცნობილი ესპანური ტელეესერიალების ორიგინალური ვერსიების ჩვენებით. სწორედ ამ არხმა უჩვენა პირველმა ამერიკული მულტიპლიკაციური სერიალი “სიმპსონები“. ეს კერძო მედიაჰოლდინგები საკმაოდ სერიოზულ კონკურენციას უწევენ სახელმწიფო ტელევიზიას. პოპულარულ ტელეარხთა რიცხვს მიეკუთვნება „Telecinco“, რომელიც ეკუთვნის კომპანიას “Mediaset“, დაარსდა 1980 წელს, გადასცემს ესპანურ ვერსიებს საყოველთაოდ ცნობილი ტელემოუებისა, როგორცაა მუსიკალური პროექტი “La Voz“(ხმა) და “Voz Kinds“(ბავშვთა ხმა), ასევე “უკანასკნელი გმირი“. ამასთან ერთად ტელემყურებელს სთავაზობს მნიშვნელოვან საერთაშორისო და ეროვნული საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციას. ესპანეთის ყველა რეგიონს აქვს საკუთარი ტელეარხი. კატალონიის მთავარი და ერთ-ერთი პირველი რეგიონალური არხი არის „TV 3 Catalunya“, ბასკეთში “Telebilbao” და ა. შ.

დასკვნა

ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებშიც ბეჭდური მედია თავის ფუნქციას და დანიშნულებას სრულფასოვნად ასრულებს, ტელევიზიაც შესაბამისად განვითარებული, ძლიერი და მრავალფეროვანი აქვს, მიზანიც განსაზღვრული და დადგენილია; უახლეს სტანდარტებთან მიახლოებული, საზოგადოებრივი ინტერესების შესატყვისი, განსხვავებული პროგრამების მიწოდება აუდიტორიისთვის. განსაკუთრებული ყურადღება სარედაქციო დამოუკიდებლობას ექცევა. ასევე მნიშვნელოვანია წარმოაჩინოს ქვეყნის თვითმყოფადობა, გაიაზროს საყოველთაო ღირებულებების დაცვის აუცილებლობა, საკუთარი პროდუქციის შექმნის დროს გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ამასთანავე, სასურველია ტელევიზიის მუდმივი კავშირი ჰქონდეს ხალხის მასებთან, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მაცურებელთა ინტერესები და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოს ტელეპროდუქცია.

ლიტერატურა:

1. Итальянское Телевидение: история и факты /сайт из Италии/ from – italy.ru.
2. https://ru.wikipedia.org/wiki/Телевидение_в_Итапии.
3. [www.italia – portal.com |2013|07| televisionie -Italii. html](http://www.italia-portal.com/2013/07/televisionie-Italii.html).
4. Искранское Телевидение. [https://espanarusa.com/ru/pedia | article| 601512](https://espanarusa.com/ru/pedia/article/601512).
5. [https // ru. Wikipedia. Org /wiki/ Телевидение в Испании](https://ru.Wikipedia.Org/wiki/Телевидение_в_Испании).

Television of Italy and Spain

*Ketevan Giorgobiani, associated professor,
Georgian Technical University*

Summary

Successful and perspective media, which has attracted and maintained a huge audience; first steps of television, factors defining popularity, aims and peculiarities; importance of creation television product approached to the newest standards, relevant to the viewers' interests and modern requirements; necessity of stipulating of ethnic, cultural, language, religious, age-related and gender diversity, existing in the society, is discussed in this article. Electric broadcasting of Italy and Spain, the way passed by the television in these countries, difficulties, contradictions and successes, popular TV channels and programs, new regulations are emphasized.

Key words: *New word in media space, reasons of popularity, types of television, important Italian and Spanish TV channels and programs, aims, regulations.*

ეკონომიკა E C I N O M I C S

*ანზორ აბრალავა, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ვასილ ბატიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

გარდასახვები როგორც გამოწვევა და მენეჯერი როგორც ლიდერი

რეზიუმე

დედამიწაზე მუდმივი- მხოლოდ ცვლილებებია. გლობალიზაციის პირობებში, ცვლილებები, მათი მასშტაბები და ცვლილებების სწორად წარმართვის მოთხოვნა მზარდია. არსებობენ კომპანიები, რომლებიც ფეხს ვერ უწყობენ ახალ დროებას და კოტრდებიან, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც აღიარებენ არსებულ პრობლემას და ცდილობენ მის აღმოფხვრას. ცვლილებები აუცილებელია და ადრე თუ გვიან ყველას შეეხება- მთავარია ამ მოვლენას შედარებით მომზადებულები დავხვდეთ და პროცესის დასრულების შემდეგ უფრო დავიხვეწოთ. ნებისმიერ კომპანიას უნდა ესმოდეს, რომ გარდასახვების პროცესის სწორად წარმართვისათვის, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ძლიერი მენეჯმენტისა და გამოცდილი თანამშრომლების დაბალანსებული გუნდის ყოლა.

***საკვანძო სიტყვები:** გარდასახვები, ცვლილებები, სტრატეგიული განვითარება, ლიდერობა.*

შესავალი

კომპანიების დიდი ნაწილი უმოქმედოა სტრატეგიული განვითარების კუთხით, ისინი უფრო ჩასაფრებულ პოზიციაში ამჯობინებენ ყოფნას და თავის უტყუარ შანსს ელოდებიან. მსგავსია კომპანიების ქმედება, რომლებიც ასევე ინერტულები არიან გარდასახვების მიმართ, თუ ცვლილებებისკენ კრიზისი ან რესურსების ამოწურვა არ უბიძგებთ. (Ocasio 1995) ასეთ ძალად პოლიტიკური გადაწყვეტილებები და

მმართველ ელიტას მოიაზრებს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მმართველი ძალა უმოქმედო სტაბილურობის სიმბოლოა. თუმცა, რამდენად კარგადაც არ უნდა ჟღერდეს, რომ პოლიტიკოსები მეწარმეებს ცვლილების განხორციელებისკენ უბიძგებენ, საჭიროა გავიაზროთ, რომ ბიზნესი ახალ რეგულაციებს, კანონმდებლობას, რეფორმებს და ზოგადად ცვლილებებს-საკმაოდ მგრძობიარედ ღებულობს. არაინერტულობა- არ უნდა ნიშნავდეს ცვლილებების ხელოვნურად დაჩქარებას ან თავზემოხვევას, რათა არ მივიღოთ უკუშედეგი. პორტერი (Porter 1979) და შაპირო (Shapiro 1989) ცვლილებებზე და ცვლილებების შედეგად კომპანიის გადარჩენის და განვითარების გზებს განიხილავენ. მთავარ გამოსავლად ისინი ნაკლებად ათვისებული ბაზრის ათვისებას და მის დაპყრობას განიხილავენ. მოკლედ რომ დავახასიათოთ ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის ზრდისა და მოგების პოტენციალი, ისინი შემდეგ ფაქტორებს გვთავაზობენ: ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის ხიფათი; ალტერნატიული/ჩანაცვლებადი პროდუქციის გამოჩენა; მომწოდებლებისა და მომხმარებლების რბილი ძალა; არსებული კონკურენტული გარემო. რაც უფრო სუსტია ჩამოთვლილი ძალების ზეგავლენა არსებულ საბაზრო სეგმენტზე, მით უფრო დიდია შანსი კომპანიისთვის ფეხი მოიკიდოს ამ ბაზარზე და წარმატებას მიაღწიოს. სტრატეგიული დაგეგმარების ამოცანაც სწორედ ესაა: ადექვატურად გააანალიზონ არსებული გამოწვევები და შანსები და მათგან გამომდინარე გადაწყვეტილება მიიღონ.

ძირითადი ნაწილი

მე-16 საუკუნის დასაწყისში, ნიკოლო მაკიაველის ნათლად ესმოდა ცვლილებების პრობლემატიკა და არსი. ის აღწერს მათ, ვისაც უწევს ცვლილების განხორციელება, განმარტავს, თუ რა დიდ რისკთან და წინააღმდეგობებთან არის ეს ყოველივე დაკავშირებული და თუ რამდენად მცირეა მზაობა ცვლილებებთან შეგუებისა. რამდენიმე საუკუნის თავზე, ვერ ვიტყვით, რომ ეს მუდმივი პრობლემა მოგვარებულია, ან თუნდაც, მისი გადაჭრის კუთხით, დიდ პროგრესს მივაღწიეთ. ენდრიუ მაიო (Andrew Mayo 2002): ჩვენი ფირმები სავსეა ნაგვით... გუშინდელი ინიციატივების ნარჩენებით. ბევრნაირად შეიძლება გავიგოთ ეს სიტყვები: გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის დროსთან თანხვედრაში? ან იქნებ, სწორი გადაწყვეტილებების ნაკლებობას განიცდიან ფირმები და სწორედ ამიტომაც არის ამდენი “თაროზე შემოდებული წინადადება”, რომელიც უბრალოდ იმტვერება, ისე რომ დღის შუქს საერთოდ ვერ ნახულობს? ან იქნებ სუსტი მენეჯმენტია ამ პრობლემების სათავე? ან იქნებ მენეჯმენტი(მენეჯერი), რომელსაც ლიდერული თვისებები ნაკლებად აქვს განვითარებული? ის რომ ცვლილებები მათ განხორციელებამდე უნდა დაიგეგმოს, მსვლელობის დროს ორგანიზება გაუკეთდეს და შედეგი შეფასდეს- ცხადია. თუმცა, ცვლილებების განხორციელებას, ეფექტური

ლიდერიც ჭირდება. ლიდერი, რომელმაც უნდა გაამხნევოს, მხარი დაუჭიროს, მოტივაცია აუმაღლოს და სული შთაბეროს თავის კოლეგებს ახალ წამოწყებებში, ახალი სიმაღლეების დაპყრობაში. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ასეთ გარდამავალ ეტაპებზე, ბევრი კომპანია სრული კრახით ასრულებს საქმიანობას- სათავე კი უმეტეს შემთხვევებში სუსტ მენეჯმენტში უნდა ვეძიოთ. არაეფექტური მმართველობა, რესურსების გამოუყენებლობა, თანამედროვე ნოუ- ჰაუს არ ცოდნა/ ან არასწორი განკარგვა, პრაქტიკის ნაკლებობა და სადავეების დაკარგვა- ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთი რამ ცხადია, მენეჯმენტის დამაგვირგვინებელ რგოლს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ლიდერობის ტვირთის თავი, ეს აუცილებელი მოცემულობაა, sine qua non!

“დასაწყისში, ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ თანამშრომლები, ნებისმიერი კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივებია. ეკონომიკაში, მათი ცოდნის როლი, რომელიც მათი იდეებით, უნარებით და ინიციატივებით გამოიხატება, ალბათ ერთადერთი კონკურენტული უპირატესობაა, რაც ფირმების სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს და მათ გადარჩენას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის ამოცანაა, ეს უძვირფასესი რესურსი გონიერად და მაქსიმალურად ოპტიმალურად გამოიყენოს. უდიდესი შეცდომა კი, რასაც მმართველობა ამ სიტუაციაში ხშირად უშვებს ხოლმე, ავტორიტარული მმართველობა ან ასეთი მმართველობის მცდელობაა.” ა. ჰიონი(A. Höhn, 2016)

განვითარებაზე ორიენტირებული ხელმძღვანელობის კონცეფცია ითვალის- წინებს მზარდ დინამიკას კომპანიის შიგნით და მის გარეთ. ჭკვიანი მენეჯერი სვამს კითხვას: თუ როგორ შეიძლება გაზარდოს კომპანიამ საკუთარი იდენტიფიკაციის მაჩვენებელი ბაზარზე, მომატებული ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია თანამშრომლების საჭიროებებზე და მოთხოვ- ნილებებზე მყისიერი რეაგირება. არა რიტორიკულად, არამედ რეალურად. იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიამ ეს შეძლო, მას შესწევს ძალა წარმატებით გააგრძელოს განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში. თანამედროვე გამოცდილების გათ- ვალისწინებით, მენეჯმენტის მმართველი რგოლი ხშირად ითხოვს თანამშრომ- ლებისგან კონკრეტული განვითარების ვექტორის მიმართულებით მოძრაობას, თვითონ კი რატომღაც აგვიანებს იგივე ქმედებას. ასეთი პროექტები, რა თქმა უნდა, წარუმატებლობისთვის არიან განწირულნი. ამ შემთხვევაში, ძირითადი პრობლემა, ლიდერობის არასწორი ინტერპრეტაციაა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლიდერი ყოველდღიურობაში, ალბათ შემდეგნაირი: მან ყოველდღიური მაგალითით უნდა აჩვენოს თანამშრომლებს, იყოს მათი შთაგონების წყარო და მიზაძვის სუბიექტი. ასეთ შემთხვევაში, თანამშრომლებს უადვილდებათ გარდამავალი სიძნელეების დაძლევა და საქმეშიც უფრო პროდუქტიულად არიან ჩართულები. ახალი სამუშაო კულტურის, ისევე როგორც ფირმის სტრატეგიისა და ხედვის ცვლილება, ძირითადად დროში საკმაოდ გაწელილი ღონისძიებაა, თუმცა,

გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებული. “განვითარებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი დიდწილად დაპირისპირებას გავს. დაპირისპირებას გლობალიზაციასა და კონკრეტული ტოპ მენეჯერის ეგოს შორის.” პინოუ(Pinnow, 2016).

ხელმძღვანელობის ახალი კონცეფცია წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰპოვებს თავის გამოვლინებას. დიდწილად, ეს მმართველი ორგანოს დავალებაა, რომელიც კომპანიის განვითარების ვექტორის მიმართულებას განსაზღვრავენ. მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი მიბაძვის ობიექტები, საბოლოო ჯამში წარმოადგენენ მაგალითს, რომელზეც სხვა თანამშრომლები ორიენტირდებიან. ამისათვის აუცილებელია, რომ მენეჯმენტი მთლიანად ჩართული იყოს აღნიშნულ ღონისძიებაში და თავიდან ბოლომდე აკონტროლებდეს მიმდინარე პროცესს. ასეთ დროს დისციპლინას ოქროს ფასი ენიჭება- მცირეოდენი კურსიდან გადაცდომაც კი შეიძლება ძვირად დაუჯდეს კომპანიას. თუ მმართველ გუნდს არ შესწევს ძალა გაუმკლავდეს ამ გამოწვევას, მიზნის მიღწევა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება. კიდევ ერთი გამოწვევაა... გრძნობები მმართველობაში. ამიტომ, არცთუ ისე იშვიათად, ეს თემა ტაბუირებულია. ის რაც რაციონალიზმის ფარგლებს ცდება, მიღებულია ითვლებოდეს სისუსტედ, რომლის დაუყოვნებლივი აღმოფხვრაა საჭირო. წამყვანმა მენეჯერმა არ უნდა აჩვენოს დადლილობა, ის ყოველთვის უნდა იყოს საჭირო ადგილას და პირნათლად შეასრულოს თავისი დავალება. ვინს არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, სამომავლოდ, დიდი ალბათობით, წარმატებას ვერ მიაღწევს. ასეთ დროს, ხშირია Burn-out სინდრომები, რომლებიც მეტწილად ახალგაზრდა მენეჯერებს ახასიათებთ და ჯანმრთელობის საშიშ დარღვევის ფორმებზე მიუთითებენ, რისი შედეგიც ფსიქოსომატური დაავადებების რისკია. მაქსიმალური დატვირთვის და წნეხის ქვეშ მუშაობა, ადრე თუ გვიან თავის კატასტროფულ შედეგს მოიტანს. ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარი და სხვა თანამშრომლების ფიზიკური შესაძლებლობების ზედმიწევნით კარგი ცოდნა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი სახის ინფორმაცია წაადგება არა მარტო მმართველ მენეჯმენტს, არამედ რიგით თანამშრომლებსაც. გარდა ამისა, უკეთ და უფრო ჩქარა მოხდება არსებული რისკების შეფასება და გართულებების თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, რომ მენეჯერი გამუდმებით მუშაობდეს საკუთარი და გუნდის თვითშეგნების განვითარებასა და ამაღლებაზე. თუმცა, მისი სამყარო უფრო მოქმედებაზეა ორიენტირებული, ვიდრე საკუთარ შეცდომებზე და მისწრაფებებზე გამუდმებულ ფიქრზე. ასეთ დროს, სიღრმისეული ანალიზი ყოველთვის საჭირო ნამდვილად არ არის. მთავარია იყოს სურვილი და მონდომება, გაემიჯნოს საკუთარ სურვილებს, აღიაროს საკუთარი შეცდომები- მაშინ ეს წარმატების წინაპირობა იქნება. დედამიწის ზურგზე უშეცდომო არავინაა- ეს მუდმივი ჭეშმარიტებაა!

გამართულ მუშაობას ხელს, ხშირად ადამიანური ურთიერთობები, ან მათი უქონლობაც უშლის. შემდეგ ეს ყველაფერი იზედაპირზე ამოტივტივდება. ამის მიზეზი უმეტესად კომპანიების შიდა კულტურაა, რომელიც ძირითადად ტაბუირებულია. ეს გარემოება კი გარკვეულ შიშს ქმნის სხვების წინაშე. ეს გრძნობა უჩნდება არა მარტო თანამშრომელს დამსაქმებლის მიმართ, არამედ პირიქითაც. ლიდერი ნერვიულობს პოზიციაზე, რომელიც გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ ეს პოზიცია მჭიდროდაა დაკავშირებული თანამშრომლებთან, მითუმეტეს. მას ეშინია **შეცდომის**. შეცდომის შიში არანაკლებ დიდი ხიფათის მატარებელია, ვიდრე დაუბალანსებელი დებიტი და კრედიტი. შეცდომის შიში, ხშირად უბიძგებს უმოქმედობისკენ, ან შენელებული მოქმედებისკენ. უარეს შემთხვევაში, არასაჭირო აქტივობისკენ, იმის დასაფარად, რომ შიში არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ეს არის არარაციონალური საქციელის წინაპირობა, რომელსაც გამოუსწორებელი შედეგის მოტანა შეუძლია. ამ პრობლემას, ყველაზე ეფექტურად უპირისპირდება ბალანსი და აღიარება. ბალანსში იგულისხმება სავარაუდო შედეგების გაზომვა (იქნება ის დადებითი თუ უარყოფითი), ხოლო აღიარება უნდა მოხდეს საკუთარ თავთან, რომ პრობლემა მართლაც არსებობს, თუმცა მასზე თვალის დახუჭვას, ჯობია გამოსწორების გზებზე ვიფიქროთ. ამიტომ, ნამდვილ, ადამიანურ ურთიერთობებს დიდი როლი ენიჭებათ ორგანიზაციების განვითარების კუთხით. ასეთი ურთიერთობები მიუთითებენ თანამშრომელთა მჭიდრო, კოლეგიალური ურთიერთობის სიმღიერეზე და არა მის სისუსტეზე. როგორც ბევრი ქმედება, ამ შემთხვევაშიც ასეთი ურთიერთობის დაწყება თავიდან ჭირს, რადგან ის ძირითადად ნდობაზეა დამოკიდებული. ნდობის მოპოვებას კი დრო ჭირდება. ნდობის მოპოვების შემდეგ, თანამშრომლობა ბევრად მარტივი, კონსტრუქტიული, ინდივიდუალური ხდება. საგრძნობლად იმატებს მოტივაცია, კმაყოფილების გრძნობა და იზრდება პროდუქტიულობაც. აუცილებელ წინაპირობად გვევლინება დიალოგის მზადყოფნა და მზადყოფნა, დაუახლოვდე თანამშრომელს.

დასკვნა

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, როცა ვხედავთ, თუ რამდენად დიდი როლი ენიჭება ადამიანურ ფაქტორს, ადამიანურ ურთიერთობებს და დამოკიდებულებებს ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, შეიძლება გაჩნდეს ძალიან ბანალური კითხვა: უნდა უყვარდეს თუ არა მენეჯერს თავისი თანამშრომლები? რა თქმა უნდა, ეს პროვოკაციული კითხვაა და პირველივე რეაქცია, რაც თავში მოგვივა, იქნება რომ ასეთი კითხვა აცდენილია რეალობის განცდას, რომ ის არ შეეფერება საქმიანი გარემოს ატმოსფეროს და ვერ ასახავს სიტუაციას, სადაც სიყვარულის და გრძნობების ადგილი არ არის. თუმცა, ეს არაა კითხვა იმისათვის, რომ ორგანიზაცია ვარდისფერ სათვალეებში წარმოვადგინოთ, ან ქარის წისქვილთან მებრძოლი თანამშრომლები შევქმნათ. არა, საუბარი საერთოდ სხვა რამეს ეხება. ფაქტს,

რომ პრობლემის განხილვა კვლავ მნიშვნელოვანია, პროგრესის მამოძრავებელი ძალა კი კონკურენციაა. გიყვარდეს თანამშრომელი ნიშნავს გყავდეს/შეხვდე თანამშრომელი(ს), რომლის მსოფლმხედველობაც შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს შენგან. მიიღო ის თავისი სისუსტეებით, როგორც პიროვნება. აღიქვამდე მას არა როგორც ბრძანებების მიმღებს, საწარმოო მასალას ან თუნდაც შემოსავლის მომტანს ფორმისთვის, არამედ როგორც სრულუფლებიან ადამიანს, რომელიც მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმის წინსვლისათვის. არის თუ არა ეს თანამედროვე კომპანიის უტოპიური დამოკიდებულება, გლობალური კრიზისის, საერთაშორისო რისკებისა და ყოველდღიურად ცვლადი გარემოპირობების გათვალისწინებით? არა, რადგან თანამშრომლები და ის ღირებულება, რასაც ისინი ქმნიან, ფასდაუდებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. William C Ocasio, 1995, *Journal Research in organizational behavior*, 287-331;
2. Michael E. Porter, 1979, <https://hbr.org/1979/03/how-competitive-forces-shape-strategy>;
3. Carl Shapiro, 1989, https://www.researchgate.net/publication/13001281_The_Theory_of_Business_Strategy;
4. Andrew Mayo, 2001, *The Human Value Of The Enterprise*;
5. Daniel F. Pinnow, 2002, <http://www.daniel-pinnow.de/?lang=en>.

Changes as challenge and manager as leader

*Anzor Abzalava, professor
Georgian Technical University
Vasil Batiashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

While change must be well managed, it also requires effective leadership to be successfully introduced and sustained. An integrative model of leadership for change is proposed, reflecting its cognitive, spiritual, emotional and behavioral dimensions and requirements. Furthermore, true leader must maintain effective vision, right values, strategy, should empower his employees and be the one, for their motivation and inspiration! “... there is no more delicate matter to take in hand, nor more dangerous to conduct, nor more doubtful in its success, than to set up as a leader in the introduction of changes. For he who innovates will have for his enemies all those who are well off under the existing order of things, and only lukewarm supporters in those who might be better off under the new” (Machiavelli, 1469-1527).

*ანზორ აბრალავა, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ვასილ ბატიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ცვლილებების ოპტიმიზაცია

რეზიუმე

ცვლილებები- ყოველთვის დაკავშირებულია ვნებათაღელვასთან და შიშთან, რომელიც ხვალინდელი დღის ბუნდოვანებისგან არის გამოწვეული. გარდასახვების ოპტიმიზაცია შეუძლებელია შორსმჭვრეტელი სტრატეგიის არსებობის გარეშე. რა თქმა უნდა, მთლიანი პროცესის წარმართვა წარმოუდგენელია ლიდერისა და გამოცდილი გუნდის არსებობის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ცვლილებები მიმართული უნდა იყოს რელობის გაუმჯობესებისაკენ გრძელვადიან პერსპექტივაში. თუ ეს ასე არ ხდება, ტრანსფორმაციას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

საკვანძო სიტყვები: ცვლილება, გარდასახვა, განახლება, მენეჯმენტი, ტრანსფორმაცია.

შესავალი

საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცვლილებები ხშირად არასწორად არის აღქმული და გააზრებული. ეს თითქმის რაღაც გაფუჭებულის სწრაფად გამოსწორებას გავს, როდესაც, მაგალითად იწვება ნათურა და ჩვენ მას უბრალოდ ვცვლით. ეს ფუნდამენტურად არასწორი აღქმაა. პარალელი რომ გავავლოთ, ძირეული გარდასახვები უფრო ისტორიული შენობა-ნაგებობის გენერალურ რესტავრაციას გავს, სადაც დაზიანებული ფასადი მხოლოდ ზედაპირულ, ადვილად აღქმად პრობლემას გვაჩვენებს, ძირითადი სირთულე კი ფუნდამენტში, ძველ გაყვანილობაში ან სულაც ამორტიზებულ საყრდენ კედლებშია. ეს მაგალითი ბრწყინვალედ ესადაგება ასევე კითხვას, რომელიც ხშირად ისმება მსგავსი ღონისძიების ჩატარების დროს- ღირს კი საერთოდ დაშლის და დანგრევის პირას მდგარი შენობის გადარჩენა, ეს ხომ იმდენ დახარჯულ რესურსთან არის გაიგივებული, ხომ არ იქნებოდა უკეთესი დაგვენგრია და ახალი, თანამედროვე შენობა აგვეშენებინა, რომელიც დღევანდელ ტექნიკურ, ვიზუალურ და უსაფრთხოების ნორმებს სრულებით დააკმაყოფილებდა? ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი ნიშნავს იმას, რომ მოვავალი თაობა და ვინჩის, მიქელანჯელოს ან გაუდის შედეგებს ნახავდა სურათებში, მოისმენდა მათზე ლეგენდებს ან უკეთეს შემთხვევაში მრავალგანზომილებიანი აღდგენილი გამოსახულებით დატკბებოდა. ჩვენ ვხვდებით, რომ ეს გამოსავალი არ არის, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ვირჩევთ

ბევრად რთულ, გარდასახვის გზას, რადგან გვჯერა, რომ ის, რისი გაუმჯობესებაც ჩვენ გვსურს, დანებებაზე და ხელის ჩაქნევაზე ბევრად ძვირფასია.

ძირითადი ნაწილი

გარდასახვების წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი, ადამიანური ფაქტორია. ხშირია შემთხვევები, როდესაც მენეჯმენტის ახირების გამო ირღვევა აკინძული ჯაჭვი, რაც თითქმის სრულებით გამორიცხავს დასახული მიზნის განხორციელებას. კომუნიკაციის ნაკლებობა, დასახული გეგმის არაჯეროვანი შესრულება ანდ თუნდაც მუდმივად ცვლადი დავალებები- იდეალურ წინაპირობას ქმნიან ჭორების და გაუგებრობების გავრცელებისათვის. ასეთი სიტუაცია კი თანამშრომლების დემორალიზებას უწყობს ხელს და რადიკალურად ამცირებს მათ მზაობას, საკუთარი წვლილი შეიტანონ კომპანიისათვის საჭირო პროცესებში. ამ პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი გარემოება: თანამშრომლები აღარ არიან კომპანიაში მიმდინარე ცვლილებების მიზნობრიობასა და მის ეფექტურ უპირატესობაში დარწმუნებულნი. ეს უფრო შეთქმულების თეორიას ემსგავსება, როცა ყველა ხვდება, რომ რაღაც ხდება, არავინ არავის აღარ ენდობა და ე.წ ფარული დღის წესრიგიდან გამომდინარე, არავინ არ იცის, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, მოუწევთ თუ არა ხვალ სამუშაოზე გამოცხადება. ასეთი ვითარების წარმოშობისთანავე, ტოპ მენეჯმენტი მყისიერად უნდა ჩაერთოს პრობლემის აღმოფხვრაში. მათ აუცილებლად უნდა აჩვენონ შემდეგი უმთავრესი თვისებები: სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის აღება მიმდინარე მოვლენებზე(ეს გულისხმობს არსებული სიტუაციის მიმოხილვას, თუ რა ეტაპზეა გეგმის განხორციელება, ჩამორჩენის შემთხვევაში “დამნაშავის” გამოვლენა და პრობლემის აღმოფხვრა), რესურსების სწორი და ზედმიწევნითი გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში კი მკაცრი და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება. ასეთ სიტუაციაში, “მენეჯერული” შეცდომები/გადაცდომები ძირითადად შემდეგი პრობლემებისგან იღებს სათავეს: არასაკმარისი ძალისხმევა/ მიზანდასახულობა, ფუნქციონალური გაუმართაობა და წინააღმდეგობა ცვლილებებთან მიმართებაში. ბოლო მიზეზი, ალბათ ყველაზე გავრცელებული და ყველაზე ცბიერია. კუბრი (Kubr 1996) განმარტავს, თუ რა არის ამის წინაპირობა. მიზეზი ფსიქოლოგიურია, უფრო ზუსტად კი, კოგნიტური და ქცევითი ხასიათის, გამოწვეული ნოუ- ჰაუს ნაკლებობით. ოდნავ კიდევ რომ ჩავუღრმავდეთ საკითხის ფსიქოლოგიურ ასპექტს, ცვლილებების აუცილებლობაში დაურწმუნებლობას შიშთან მივყავართ. გაუცნობიერებელ შიშთან, მნიშვნელობების და ღირებულებების ცვალებადობისა. ყოველივე ამას მივყავართ პერსონალის მოტივაციის ვარდნისკენ და გაუაზრებელი წინააღმდეგობისკენ გარდასახვების საპირისპიროდ. გამომდინარე ყველაფერი ზემოთ თქმულიდან, ალბათ მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს მიზეზები ემოციონალურია: ცვლილებების ზოგადი ანტიპათია, თვითრწმენის ნაკლებობა, ან რწმენის დაკარგვა სხვების მიმართ(შეუცნობლის შიში, შეცდომის შიში), მენეჯმენტის თავმეკავება(ხშირ შემთხვევებში უკან დახევაც კი) შეეჭიდონ

რთულ დავალებას, უცვლელი სტატუსი და სიტუაცია “ჩვენ ამას ყოველთვის ასე ვაკეთებდით”(აქვე შეიძლება დავასახელოთ თანამშრომელთა “კომფორტის ზონის” რღვევა, რაც ფამილიარულის- არაფამილიარული დამოკიდებულებით შეცვლას გულისხმობს), საკუთარ გამორჩენაზე ფიქრი(ძირითადად, თანამდებობის ცვლილებაზე ორიენტირებული, როდესაც თანამშრომელი არაა დარწმუნებული საკუთარი სამუშაო ადგილის შენარჩუნებაში და ცდილობს ყველაფრის ფასად მის შენარჩუნებას), სკეპტიკური დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცდილობენ განახორციელონ აღნიშნული პროექტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი ძალთა დაპირისპირებაა და ბალანსიც. ერთი მხრივ, სოციალურ-ემოციონალური მოსაზრება, ანუ ლიდერობა და მეორე მხრივ, ტექნიკური ასპექტი, ანუ მენეჯმენტი. ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც უნდა წარმატების მიღწევა და წინსვლა, აუცილებლად უნდა შეუხამოს ისინი ერთმანეთს. კოტერი (Kotter 1995a): მენეჯმენტის მანდატი რისკების შემცირებასა და არსებული სისტემის გამართულ ფუნქციონირებას გულისხმობს, ლიდერობა- ახალი სისტემის შექმნას.

ამერიკელიმეცნიერებიდამკვლევარებიმიდიანდასკვნამდე, რომცვლილებების განხორციელება გრძელ, მომქანცველ მოგზაურობას გავს, სადაც ლიდერმა მისდამი მინდობილი მგზავრები, წინასწარ შერჩეული მარშუტით, უვნებლად უნდა მიიყვანოს დანიშნულების ადგილამდე. ეს ნდობისა და გამძლეობის ესტაფეტაა, რომელიც ურთიერთნდობის გარეშე შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე (WEF 2000) გაჟღერდა შემდეგი მოსაზრება: თანასწორუფლებიანობა აერთიანებს ხალხს საერთო მიზნის მიღწევის პროცესში. თანამშრომლები ხვდებიან, რა უნდა გაკეთდეს და იციან, როგორ გააკეთონ ეს. ადაპტაცია და საერთო ღირებულებების ქონა, ხელს უწყობს კომპანიებს დაძლიონ პრობლემები და გაუმკლავდნენ სხვადასხვა სახის გამოწვევებს. თანასწორუფლებიანობა ნიშნავს ურთიერთგაგებას, განსაზღვრულ ორიენტაციას, საერთო ღირებულებებსა და პრიორიტეტებს. თანასწორობას ადაპტაციის გარეშე მიყვავართ ბიუროკრატიულ, ერთ გათელილ გზაზე მოძრავ კომპანიასთან. ადაპტაციას თანასწორობის გარეშე-ქაოსამდე, რესურსების გადახარჯვამდე და კონფლიქტურ გარემომდე.

ლიდერობის ცნების გადაჭარბებით გამოყენება და მისი კულტად ქცევა, არსებული რეალობიდან გამომდინარეა. გლობალიზაციის პირობებში, რთულია იმის თქმა, რომ არსებობენ შეუცვლელი ადამიანები, თუმცა ამის საპირისპიროდ, ისტორია ბევრ ასეთ მაგალითს გვაძლევს. ადამიანები ცდილობენ შექმნან სისტემა, რომელმაც უნდა დაიქვემდებაროს უმრავლესობა, თუმცა თვითონ ეს სისტემა უნდა მიესადაგოს ლიდერს, ან ლიდერთა ჯგუფს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემის გამართულ მუშაობას დიდი ალბათობით პრობლემა შეექმნება. საბოლოოდ ყველაფერი ადამიანურ ურთიერთობამდე და პირად სიმპატიამდე დადის, არ აქვს მნიშვნელობა, გლობალურ ეკონომიკურ გარდაქმნაზე ვისაუბრებთ, თუ პატარა ფირმის განახლებაზე, რომელსაც ცუდი მაჩვენებლების

გამო, დირექტორთა საბჭო შეეცვალა. მივდივართ დასკვნამდე, რომ წარმატებული იქნება ცვლილება, რომელსაც განახორციელებს ლიდერი მასთან ერთად მდგომი საზოგადოებით(თანამშრომლებით). საზოგადოებით, რომელსაც სამუშაო ეთიკის გარდა, ადამიანური თვისებები ამოძრავებს, უბრალოდ სჯერა დასახული იდეის და მისი ერთგული არის.

რა ძირითადი თვისებები გამოარჩევს ლიდერს, რომელმაც სასიკეთოდ უნდა შეცვალოს კომპანიის მომავალი? ყველაფერი ხედვით იწყება. ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს უბრალო აკვიატება და ქარის წისკვილთან შებრძოლებაა, თუმცა ეს ერთგვარი მზაობაა, შეებრძოლო და დაამარცხო სტატუს ქვო და დაიწყო შეუქცევადი პროცესი განახლებისა. მაგრამ, აქ ერთი ასპექტია მნიშვნელოვანი- არის თუ არა ხედვა გაზიარებული, პასუხობს თუ არა ის არსებულ გამოწვევებს, ყავს თუ არა მას თანამოაზრეები. თუ რომელიმე ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, ცვლილებებზე დახარჯული დრო აბსოლუტურად ფუჭია. ეს უფრო კრილოვის იგავ- არაკს გავს, სადაც გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპია საერთო ტვირთს სამი განსხვავებული მიმართულებით ეწევა- ასეთ სიტუაციაში წარმატების მიღწევის შანსი- ნოლია. ხედვა- უნდა იყოს ნათელი, მან უნდა ნათლად დაანახოს ნებისმიერს გზა და ვექტორი, თუ საით არის ის მიმართული; მოტივაცია უნდა გაუჩინოს ადამიანებს და პირველ რიგში თანამოაზრეებს; ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლებს კოორდინაციაში და ეფექტურ გუნდურ მუშაობაში.

ღირებულებები და კულტურა

ძალიან ხშირად, ცვლილებების დროს, საფრთხის წინაშე წლების შედეგად დაგროვილი ღირებულებები დგება. მსოფლიო ისტორიას თვალი რომ გადავახედოთ, ამის უამრავი მაგალითი მოგვეპოვება. ახლად მოსული/მომსვლელი ძალა, თავის იდეოლოგიას ხშირად წინამორბედის კრიტიკასა და მისი მიღწევების დაკნინებით ცდილობს. ერთი მხრივ ეს გასაგებიცაა: ძირითად შემთხვევებში, ძირეული ცვლილებები კატასტროფის პირას მყოფი საზოგადოების დაკვეთაა(და არა იმის ანალიზის შედეგი, რომ ცვლილებები/გარდასახვები შეუქცევადი, მუდმივი პროცესია) და ამ შემთხვევაში ლეგიტიმურადაც ჟღერს, რომ მთლიანი წარუმატებლობა “წინა”, “ძველ” მენეჯმენტს/მმართველობას დაეკისროს. შეცდომების სწორად განალიზება, სწორი ცვლილების მთავარი ქვაკუთხედეა, თუმცა როგორც ამ დროს ხშირად ხდება ხოლმე, სავსებით მოსალოდნელია, ერთი ხელის მოსმით განადგურდეს არა მხოლოდ “შეცდომების ტოტემი”, არამედ ის დადებითიც, რაც წინა პერიოდს თან სდევდა. ის ფაქტი, რომ რომელიმე რეჟიმი ცუდი იყო, აპრიორი არ უნდა ნიშნავდეს, რომ მათ მიერ დატოვებულ მაგალითად თუნდაც მატერიალურ ფასეულობებს გავუსწორდეთ და გავანადგუროთ. ეს ჩვენ უფრო ვანდალებად და უმეცრებად წარმოგვაჩენს, ვიდრე ცვლილებების მომხრე საზოგადოებად. რაოდენ საშინელი და კაცობრიობის განვითარების წინააღმდეგ მიმართულიც არ უნდა ყოფილიყო მაგალითად საკონცენტრაციო ბანაკები ან თუნდაც ბერლინის კედელი,

ის დატოვებს თუნდაც სულ მცირე იმ იმედით, რომ რაც შეიძლება ბევრმა მნახველმა იხილოს, თუ რა დონემდე არ უნდა დაეცეს ადამიანთა მოდგმა.

მენეჯმენტშიც ასეა- ცვლილებების განხორციელების დროს, ბევრ ცუდთან ერთად ის კარგიც ნადგურდება/იკარგება, რაც ცვლილებამდე იყო. მუდმივი ღირებულებები, რომელიც ყველა ფირმას უნდა გააჩნდეს, მაგალითად კორპორატიული, ეთიკური, ადამიანური- ეს უცვლელი და უქვევლი არამატერიალური აქტივია, რომელიც ცვლილებების დროს არ უნდა გაითელოს, დაიკარგოს და უარეს შემთხვევაში განადგურდეს! ესეთი არამატერიალური ღირებულებები, რომლების კრავენ საზოგადოებას/თანამშრომლებს ერთ მუშტად, უდიდეს მნიშვნელობას ატარებენ თითოეული ფირმის წარმატების მიღწევაში. ის კი რაც ამ თვისებებს და ღირებულებებს ერთმანეთთან აკავშირებს, ადამიანური ნდობაა. ო'თული (O`Toole 1995): ნდობა გამომდინარეობს ლიდერობიდან, რომელიც დაფუძნებულია საერთო დანიშნულებებზე, საერთო ხედვაზე და განსაკუთრებით საერთო ღირებულებებზე.

ბენისი და გოლდსმიტი (Bennis & Goldsmith 1997) წარმატებულ ლიდერებს შემდეგნაირად ახასიათებენ: ისინი აკეთებენ იმას, რაზეც საუბრობენ. მათ შემთხვევაში თეორიასა და პრაქტიკას შორის განსხვავება არ არსებობს- საქმე სიტყვის კვალად ჩანს. მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ იმის აღნიშვნა, რომ საბოლოო ჯამში, ყველაფერი უბრალო ადამიანურ ურთიერთობამდე დადის. ლიდერს, რომელიც ფირმის ღირებულებებს არანაირ ფინანსურ ან მოკლევადიან სარგებელზე არ გაცვლის, შესწევს ძალა გააერთიანოს და ერთგუნდად შეკრას ადამიანები, რომლებიც საბოლოო ჯამში განახორციელებენ შედეგის მომტან ცვლილებებს. ბრწყინვალე მაგალითად გვევლინება იაპონია, რომელიც კორპორატივიზმის ეტალონადაც შეიძლება მივიჩნიოთ. იაპონია, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან განადგურებული გამოვიდა, დღეს მსოფლიო გიგანტია თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოებაში, მისი ეკონომიკა კი მსოფლიო ეკონომიკების სამეულში შედის! წარმატების იაპონური მეთოდის კვლევისას, უამრავი თვისება შეიძლება გამოვყოთ და მათზე საათობით ვისაუბროთ: იაპონელების შრომისმოყვარეობა (ყოველ წელს იაპონიაში უამრავი ადამიანი ილუპება გადაჭარბებული შრომის გამო; საქმე იქამდეც მიდის ხოლმე, რომ კომპანიები სამუშაო საათების დასრულების შემდეგ თიშავენ ელექტრო ენერჯიას, რათა თანამშრომლებს აიძულონ სახლში წასვლა და დასვენება), შრომის კულტურა და ეთიკა, სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკა, ადგილობრივი წარმოების გაძლიერებაზე ზრუნვა და ნაწილობრივ იმპორტის/ინვესტიციების შეზღუდვა, განვითარების ნათელი გეგმა და ა.შ. თუმცა, ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესო იაპონური კომპანიები, მათი გარდასახვა და მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვების საიდუმლოებაა. ცნობილია, რომ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, იაპონიამ რადიკალურ მილიტარიზმზე უარი ტექნოლოგიური პროგრესის სასარგებლოდ თქვა. ამ მიმართულებაში სახელმწიფომ, ბანკებმა და

ინდივიდუალურმა მეწარმეებმა პარტნიორობის გზა აირჩიეს. უკვე 1950 იანი წლებიდან, იაპონიამ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპებით განვითარება დაიწყო. ქვეყანა გასცემდა იაფ ფულს ბანკებიდან ადგილობრივი მეწარმეებისათვის. დაბალპროცენტიანი სესხების პარალელურად, გართულდა ბიუროკრატიული მექანიზმები სახელმწიფოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შესაკავებლად, რადგან ყველას ესმოდა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის განვითარებისთვის ამას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოეტანა. შეზღუდვები ეხებოდა ასევე იმპორტირებულ საქონელს, ხოლო პროდუქცია, რომელიც პირდაპირი კონკურენტი იყო ადგილობრივად წარმოებულის, ბევრად ძვირი ღირდა, გაზრდილი საბაჟო მოსაკრებლების ხარჯზე. ეს ერთგვარი დახმარება იყო მთავრობისგან მეწარმეებისთვის და მათი წარმოებისათვის, რომელიც ნელ-ნელა ფეხზე დგებოდა. მათმა არც თუ ისე ლიბერალურმა მიდგომამ, თამამად შეიძლება ითქვას რომ გაამართლა და ნაწილობრივ ამის დამსახურებაცაა, რომ დამწყები კომპანიები იმ დროის საერთაშორისო “ვეშაპებმა” არ შთანთქეს. იაპონელები ამაზეც არ გაჩერდნენ- მათ შექმნეს ახალი ბიზნეს მოდელი, ბიზნეს კონგლომერატი, რომელსაც კეირეცუ ჰქვია. კეირეცუს გამართული მუშაობის პრინციპი ალბათ მის გენიალურ სიმარტივეში მდგომარეობს. ის შედგება დამაარსებელი, ანუ მშობელი კომპანიისგან, ბანკისგან(რომელმაც გასცა დაბალპროცენტიანი კრედიტი, ასევე ის ფლობს პროცენტს და წილს მომავალი გაერთიანებისგან, ხშირ შემთხვევაში კი, მმართველობით სათავეებთანაც დგას) და მცირე, ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიებისაგან. საინტერესო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაერთიანებები ერთ გუნდად ყალიბდებიან, ისინი არ ცდილობენ ერთმანეთის ჩაყლაპვას, პირიქით, უზიარებენ ცოდნას, გამოცდილებას და ხელს უწყობენ ერთმანეთს იაფი კრედიტის გაცემით. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი- იაპონური კორპორატივიზმი. მისი საფუძვლები- ნდობა, ერთგულება და ურთიერთპატივისცემაა. ხშირია ფირმები, სადაც იაპონელები მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობენ. არსებობენ ისეთი ფირმებიც, სადაც ერთი ოჯახის რამდენიმე თაობაც კი ირჯება. ამ შემთხვევაში, კომპანიისა და თანამშრომლის ურთიერთობა ხშირად ცდება უბრალოდ დამსაქმებლისა და დასაქმებულის დამოკიდებულებას. კომპანიები თავის თავზე იღებენ ძალიან ბევრ სოციალურ ვალდებულებას(ჯანდაცვა, დაზღვევა, თანამშრომლების შვილების განათლება, თანამშრომლების შვებულება, მათ განვითარებაზე ზრუნვა, სპეციალური პენსია). ასეთ მაგალითად უდავოდ შეგვიძლია დავასახელოთ მანქანათმშენებლობის გიგანტი- ტოიოტა.

ფირმაში, სადაც ღირებულებების და ხედვების გაზიარება ხდება, თანამშრომლებისთვის აღარ არსებობს გაგება “მათი ფირმა”. ყველა ხვდება, რომ ფირმა “ჩვენია”, ყველა გრძნობს რომ რაღაც დიდის ნაწილია და ყოველდღიურად, დაუზარელად შეაქვს თავისი წილი შრომა საერთო იდეის განვითარებისათვის. ლაო მის ნათქვამი აქვს სიტყვები, რომლებიც მსგავს სიტუაციას ძალიან უხდება:

საუკეთესო ლიდერებს, ხალხი საერთოდ ვერ ამჩნევს; მათზე რანგით დაბლა მდგომ ლიდერებს, ხალხი აღმერთებს და აქებს; მათზე რანგით დაბლა მდგომი ლიდერების ხალხს ეშინია; რანგით შემდეგი ლიდერები- ხალხს ეზიზღება; თუმცა, მაშინაც როცა საუკეთესო ლიდერები თავის საქმეს დაასრულებენ, ხალხი იტყვის- “ეს ჩვენ გავაკეთეთ”. პრაქტიკულად, ეს არის ძალის მინიჭება, ეს ნიშნავს მისცე თანამშრომლებს(ხალხს) ცოდნა, გამოცდილება, საშუალება, თავისუფლება, თვითრწმენა და რესურსები, რათა საკუთარ თავს/ნახელავს გაუწიონ ანგარიში, მიმართონ თავისი შესაძლებლობები საჭირო კალაპოტში. ეს არის პროცესი, როდესაც ინტელექტი და წარმოსახვა ერთმანეთს ავსებს და ორივე საერთო საქმის გაკეთებისთვის იღწვის.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს ერთ- ერთ გამოწვევად, შეიძლება სწორედ გლობალურ ფონზე, პოლიტიკისა და თანამედროვე ისთებლიზმენტის მიერ შეზღუდული საასპარეზო ველები დავასახელოთ. ასეთ გამოწვევებს, სავარაუდოდ მხოლოდ გაბედული და ინოვაციური პროექტები და მათი განმახორციელებლები თუ პასუხობენ. ხალხი კი, როგორც ცნობილია, უფრო ხშირად მზადაა დახმარება გაუწიოს იმ საქმეს, რომლის გაკეთებაშიც თავად აქვს მონაწილეობა მიღებული. ამ დროს, უბრალო სამუშაო პროცესის პარალელურად იზრდება სიამოვნების ეფექტიც, რადგან ადამიანი თავის თავს (ნაწილობრივ მაინც) მართვის სადავეებთან აღიქვამს, ეს კი ხშირ შემთხვევაში მის პროდუქტიულობას ზრდის. გარდასახვები ხშირად ხდება ისეთ კომპანიებში, რომლებიც შერწყმის ან შეერთების დროს ერთ ფირმად გარდაიქმნებიან ხოლმე. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პერიოდში, დამოკიდებულებებიც განსხვავებულია: ვიღაცისთვის, ვისთვისაც ეს ცვლილებები კეთდება, ეს ყველაფერი შემამოფოთებელია, ხოლო ვინც ამას აკეთებს, მისთვის უფრო ამაღლებელია. აღნიშნული პროცესის დროს სინქრონიზაციაა საჭირო. ტრანსფორმაციას თან ხშირად ახლავს თანმდევი ზარალი(არ არის აუცილებელი, ეს ზარალი პირდაპირი მნიშვნელობით მატერიალური იყოს, თუმცა საბოლოო ჯამში სავარაუდოდ მაინც მატერიალიზდება). რათა კომპანიამ შეამციროს გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი დანახარჯები, ძლიერ ლიდერებთან ერთად აუცილებელია იქონიონ მკაცრად გაწერილი სტრატეგია. სტრატეგია- ეს არის რუქა, რომელიც გაჩვენებს გზას ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://ksg.vse.cz/wp-content/uploads/2012/04/MC.pdf>;
2. <https://hbr.org/2007/01/leading-change-why-transformation-efforts-fail>;
3. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/bs.3830410206>;

4. <https://www.basicbooks.com/titles/warren-bennis/learning-to-lead/9780465004324/>;
5. Excellence in Change- Wilfried Krüger;
6. Covey, S. (1992) Principle-centered Leadership, Simon & Schuster, London;
7. Eden, C. (1993) 'Strategy Development and Implementation: Cognitive Mapping for Group Support' in Hendry, J. Johnson, G. and Newton, J. (eds) Strategic Thinking: Leadership and the Management of Change, John Wiley, Chichester.

Optimization of Changes

*Anzor Abzalava, professor
Georgian Technical University
Vasil Batiashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Without strategies for change, vision is a dream. Strategies are ways of pushing the vision and mission; they are informed by vision, mission and values. Strategic plans are „road maps“ of a changing terrain in which a compass(vision) is needed. (Covey, 1992). Effective leadership entails developing, getting commitment to and implementing rational business strategies based on possible future scenarios for the organisation. A key issue with the effectiveness of strategies is where their ownership lies and commitment to them: effective strategy development taps the wisdom of people in the organisation. (Eden, 1993).

*თამარ ბერიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი ჟორჯოლიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*რუსუდან ნუცუბიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

დროის მენეჯმენტი კომპანიის მართვის სისტემაში

„დრო არის კომპანიის უმწირესი რესურსი
და თუ მისი მართვა არ ხდება სწორედ,
სხვა ვერაფერი იქნება ორგანიზებული სწორად“.
/პ.დრუკერი/

რეზიუმე

ცხოვრების რიტმი ზედმეტად სწრაფია. საზოგადოება მუდმივად განვიცდის დროის უკმარისობას, ვერ ახერხებს დაგეგმილი საქმეების რეალიზებას და შესაბამისად, პროდუქტიულობა დაბალია. სწორედ ამიტომ, ყველა წარმატებული ადამიანი დროის მართვის სწავლას ცდილობს, რადგან წარმატებული ადამიანები ძალზედ პროდუქტიულები არიან, ბევრს შრომობენ და მიღწევებიც შესაბამისი აქვთ. დროის სწორად დაგეგმვა, დროის სწორად მართვა არის სწორედ წინაპირობა პროდუქტიულობისა და წარმატებისა, როგორც თითოეული კომპანიის წევრისათვის, ასევე მთლიანად კომპანიისათვის.

საკვანძო სიტყვები: დროის მართვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელი

ძირითადი ტექსტი

დროის მართვა - ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემის ელემენტია. მისი გამოყენების მეთოდის შემუშავება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს - გამომდინარე კომპანიის მმართველობითი ვითარებიდან - თუ კომპანიაში მართვის დონე დაბალია და იმავდროულად არასტაბილური, ბუნებრივია, დგება - კომპანიაში დროის მენეჯმენტის დანერგვის აუცილებლობა საკითხი.

კომპანიის რენტაბელობა, წარმატება დამოკიდებულია დასაქმებულთა უნარზე შექმნან კონკურენტუნარიანი პროდუქტი. კონკურენტუნარიანი პროდუქტის შესაქმნელად საჭიროა ორგანიზაციაში ფუნქციონირებდეს გამართული ბიზნეს პროცესები და რაციონალურად ნაწილდებოდეს თანამშრომელთა დრო.

დრო, ეს არამატერიალური რესურსი, ხელშეუხებელი აქტივი არის დიდი პოტენციალის მატარებელი და როგორც ფული, უნდა დაიხარჯოს, მხოლოდ სასურველია მიზანმიმართულად. დროის სწორი მართვა წარმოადგენს XXI საუკუნის

უმნიშვნელოვანეს პრობლემას დიდი და მცირე ზომის კომპანიებისთვის.

საერთაშორისო კომპანიების მხრიდან კონკურენციის სწრაფი ზრდა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა უმძაფრებს კომპანიის ხელმძღვანელობას იმის შეგრძნებას, რომ დასახული მიზნების, ამოცანების შესასრულებლად მათ არ ყოფნით დღის განმავლობაში დაკავებული სამუშაო სათეხის რაოდენობა.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ არასაკმარისია მხოლოდ ტოპ-მენეჯმენტის წევრებისთვის ინდივიდუალური დროის დაგეგმვა, საჭიროა საკითხთან ინსტიტუციური მიდგომა, რადგან დროის მენეჯმენტი, მისი მონიტორინგი მნიშვნელოვნად მამტაბური გახდა და კომპანიისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ორგანიზაციაში დროის მიმართ დამოკიდებულება განსაზღვრავს კომპანიის დროითი ხარჯვის ნაწილს. სამსახურში, ხშირად უსარგებლო, არასაქმიან საუბრებზე დიდი დრო იკარგება, რადგან საუბარს დიდი დროის ნაწილი მიაქვს. ამავე დროს, მსგავს სიტუაციებში, საქმეზე კონცენტრირების უნარი ძალიან მცირდება. ასევე, ხმაურიან გარემოში, არასამუშაო პირობებში შეუძლებელია მუშაობა და შესაბამისად, იქმნება არასასურველი გარემოს სამუშაო განწყობისთვის. თუ კომპანიაში არ არის სერიოზული მიდგომა დროსთან, იფლანგება ბევრი დრო უაზროდ. შესაბამისად, საჭიროა ხელმძღვანელებმა იზრუნონ სიტუაციის გამოსწორებაზე, რისთვისაც საჭიროა სპეციალისტების მიერ ტრენინგების განხორციელება დროის მენეჯმენტში, ან კომპანიის შიგნით, ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პერსონალისთვის შესაბამისი კურსების მომზადება და მათთვის იმ მეთოდების, წესებისა თუ ინსტრუმენტების სწავლება, რომელიც დახმარებათ კომპანიის წევრებს დროის სწორად გადანაწილებაში.

ორგანიზაციაში დასაქმებულები უნდა იცნობდნენ საკუთარი თავის მართვის ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სასარგებლო რჩევებს.

თანამედროვე დასაქმებული ადამიანი იმდენად დაკავებულია, იმდენად მრავალ საქმესა „მოდებული“, რომ ფსიქოლოგების რეკომენდაციით, აუცილებელია დავალებების ჩამონათვალის ქონა თვალთახედვის არეში.


პერსონალმა მნიშვნელოვანი პროექტების დაწყებისას უნდა გამოყოს ისეთი დროის შუალედები, როდესაც მშვიდად შეძლებს მუშაობას და მიუხედავად სხვადასხვა მოცდენის მცდელობისა, მაინც იყოს თავდაჯარებული და შეუპოვარი და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. დაუმთავრებელი საქმე ფიტავს ადამიანს, იწვევს უკმარისობის შეგრძნებას, ართმევს გონებრივ და ცხოვრებისეულ ძალებს.

თანამედროვე ტექნოლოგიები საქმის წინ წაწევას, სწრაფად შესრულებას უწყობს ხელს. ინფორმაციის მოძიება ძალიან გამარტივებულია ყველა მიმართულებით, თუმცა რთულია ამხელა ინფორმაციის წვდომის შემდგომ დაგრჩეთ კონცენტრაცია მხოლოდ ერთ საქმეზე. არაერთმა მოკვლევამ გვიჩვენა, რომ ძალიან ხშირად ადამიანები ვერ უმკლავდებიან მიღებული ინფორმაციის სიმრავლეს.

რესპოდენტებმა აღიარეს, რომ ასეთ შემთხვევაში ძირითადი ფუნქციები მათ შეუსრულებელი რჩებოდათ. ცდის პირების აზრით, სამუშაოთა ან ინფორმაციის სიმრავლის გამო, გადატვირთულები ხშირად იყვნენ გაღიზიანებულები და შესაბამისად, შედეგად იღებდნენ არასწორ დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს.

თანამედროვე ტექნოლოგიების ძალა ჭკვიანმა ადამიანმა თავის სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს. უნდა მიეჩვიოს მიღებული დიდი ინფორმაციის ფილტრაციას და ინტერნეტში მუშაობის კულტურა დახვეწოს.

კომპანიაში მიმდინარე პროცესების და დროის მართვის საკითხების გამოსაკვლევად მეორე კვლევაც განვახორციელეთ: ე.წ. GOOGLE-DRIVE-სა და მონაცემების დამუშავების და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით.



ნახ. 1

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ საჯარო სექტორში დაუგეგმავი ხშირი შეხვედრები ძირითადად არ იყო, სხვისი ფუნქციების შეთავსება რესპოდენტთა დაახლოებით 1/2-ს უწევდა, დამატებითი სამუშაო დღეები კი რესპოდენტთა უმეტეს ნაწილს გააჩნდა (71%). დავალებების სიმრავლით რესპოდენტების 64% იყო დატვირთული.

ხშირია თუ არა დაუგეგმავი შეხვედრები თქვენს ორგანიზაციაში?

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
alid	დიახ	10	14.3	14.3	14.3
	არა	50	71.4	71.4	85.7
	არვიცი	10	14.3	14.3	100.0
Total		70	100.0	100.0	

ხართ თუ არა გადატვირთული დავალებების სიმრავლით?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid დიახ	45	64.3	64.3	64.3
არა	25	35.7	35.7	100.0
Total	70	100.0	100.0	

ცხრილი 1

ჩვენი რესპოდენტები, ძირითადად იყვნენ - ლექტორები და სპეციალისტები იყვნენ (50%/50%), სჭარბობდა მდებდრობითი სქესის ხელმძღვანელი პირი. ხელქვეითები, ძირითადად, კმაყოფილნი იყვნენ ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული სამუშაო გარიგით (86%) და განაწილებული დროის რესურსით (79%). რაც მათი აზრით, ხელმძღვანელის ორგანიზაციულ უნარებზე მიუთითებდა (86%).

თქვენი დაკავებული პოზიცია

	Fre- quency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid ლექტორი (პედაგოგი)	35	50.0	50.0	50.0
სპეციალისტი (მ. შ. მთ. სპეციალისტი, უფ. სპეციალისტი)	35	50.0	50.0	100.0
Total	70	100.0	100.0	

ცხრილი 2

როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა თქვენს ხელმძღვანელს ორგანიზაციული უნარები?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid დიახ	60	85.7	85.7	85.7
არა	10	14.3	14.3	100.0
Total	70	100.0	100.0	

ცხრილი 3

როგორ ფიქრობთ, დამოკიდებულია თუ არა კომპანიის წარმატება დროის სწორად მართვაზე?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid დიახ	65	92.9	92.9	92.9
არა	5	7.1	7.1	100.0
Total	70	100.0	100.0	

ცხრილი 4

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ხელმძღვანელი პირების სწორად გადანაწილებულ დროზე არის დამოკიდებული ხელქვეითთა შრომის ნაყოფიერება (43%) და ზოგადად, გუნება-განწყობა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა (43%). შრომის ანაზღაურების მოთხოვნიდან და საჭიროებიდან

გამომდინარე, საზოგადოების უმეტეს ნაწილს უწევს დამატებითი სამუშაოების მოძიება. ირკვევა, რომ დაახლოებით 29% მინიმუმ 2 ორგანიზაციაშია დასაქმებული. ასევე, რესპოდენტთა უმეტესობას აქვს მრავალფუნქციური დატვირთვა (35%).

რესპოდენტების უმეტესი ნაწილი, ასევე მათი ხელმძღვანელი პირებიც, ძირითადად, დაოჯახებულნი არიან.

რესპოდენტები ასაკობრივი ჯრილის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 20% -35 წლამდე, 20%-36-45 წ. და 45 წელს ზემოთ - 30% .


კროსტაბულაციის მეთოდის გამოყენებით დადგინდა, რომ გამოკითხული სპეციალისტები მთლიანად მდედრობითი სქესის იყვნენ, გამოკითხული ლექტორებიდან 20 ქალი იყო და 15 კაცი. ლექტორებიც და სპეციალისტებიც აღიარებდნენ, რომ დატვირთულნი იყვნენ სამსახურეობრივი საქმეებით. ძირითადად, რესპოდენტები ერთ ორგანიზაციაში იყვნენ დაკავებულნი. მდედრობითი სქესის და ძირითადად, 35 წელს ზემოთ ასაკის თანამშრომლები ითავსებდნენ კოლეგების ფუნქციებს. გამოკითხულთა როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამუშაოს შედეგი ხელმძღვანელ პირზე, უფრო ზუსტად კი, მის მიერ სწორად გადანაწილებულ მნიშვნელოვან ფაქტორზე - დროზე იყო დამოკიდებული.

თქვენი ასაკი * იძულებული ხართ თუ არა, რომ შეითავსოთ სხვისი ფუნქციები? Cross-tabulation


Count	დიახ	იძულებული ხართ თუ არა, რომ შეითავსოთ სხვისი ფუნქციები?		Total
		არა		
თქვენი ასაკი	26-35 წლამდე	0	20	20
	36-45 წლამდე	10	10	20
	სხვა	10	20	30
Total		20	50	70

ცხრილი 5

როგორც ზემოთ აღნიშნა, გამოკითხვა განვახორციელეთ ე.წ. GOOGLE-DRIVE-ს მეშვეობითაც online რეჟიმშიც. გამოყენებულ იქნა იგივე კითხვარი, მხოლოდ ამ ეტაპზე რესპოდენტები იყვნენ ძირითადად კერძო სექტორში დასაქმებულები. გამოკითხვის შედეგად მივიღეთ დიაგრამები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს კვლევის შედეგებს:



თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშ ფუნქციების რაოდენობა არის:



საქართველოს კერძო და საჯარო ორგანიზაციებში დასაქმებულთა, მ. შ. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მიერ პირადი დროის, აქტივობის, შრომისუნარიანობისა და განათლების მართვის საკითხებზე კვლევამ გვიჩვენა ამ მიმართულებით დიდი ჩამორჩენა. აღნიშნული ვითარების, მდგომარეობის გამოსასწორებლად, სხვადასხვა წყაროების დახმარებით, განხორციელებული კვლევებისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შევიმუშავეთ რეკომენდაციები: თითოეული თანამშრომლისათვის აუცილებელია სამუშაო დროის მართვა; დასახვეწია კომპანიის თანამშრომელთა აქტივობა და შრომისუნარიანობა; პერსონალისათვის დასაგეგმია დროის ყოველი მონაკვეთი; დასაქმებულ ადამიანს აუცილებელია გამოკვეთილი ჰქონდეს პრიორიტეტები; სამუშაო დღის განმავლობაში კონცენტრაცია აუცილებელია მნიშვნელოვან საკითხებზე. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, მიუხედავად მოღვაწეობის სფეროსი, ხელმძღვანელი პირებისათვის გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახის რეკომენდაციები: ხელმძღვანელ პირს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი მიზანი; ხელმძღვანელ პირს უნდა ჰქონდეს დასახული ამოცანები და მათი გადაჭრის გზები; ორგანიზაციის ხელმძღვანელს გამოკვეთილი უნდა ჰქონდეს პრიორიტეტული საკითხები; თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მათი დროის სწორ მენეჯმენტზე; ხელმძღვანელ პირს უნდა შეეძლოს შრომის სწორი გადანაწილება ხელქვეითებს შორის.

როგორც კომპანიის თანამშრომლებს, ისევე ხელმძღვანელ პირებს სჭირდებათ თვითდისციპლინა, ზედმეტი კომუნიკაბელურობისაგან თავის შეკავება, დროში

მოქცეული თათბირები. არასასურველი ჩვევებისგან თავშეკავების გამომუშავება: ყველა ფაქტის ცოდნის წყურვილი, მოუთმენლობა და სხვ.

და ბოლოს, დროის მენეჯმენტის სწორი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არამარტო მისი ცალკეული, არამედ ყველა კომპონენტის კომპლექსურად გამოყენება როგორც კერძო, ისე იურიდიული პირისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე თ., ჭელიძე მ., ბიბიჩაძე დ. წარმატებისა და დროის მენეჯმენტის საკითხის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ესუ, 2017
2. ხარხელი მ., დროის მენეჯმენტი, თბ., 2016.
3. გეჭბაია ბ. დროის მენეჯმენტი, ბათუმი, 2013
4. როგორვმართოთორგანიზაცია(მეთოდურ-პრაქტიკულისახელმძღვანელო), ვ. გურგენიძის რედაქტორობით, თბილისი, 2008.
5. როგორვმართოთთანამშრომლები,თ.დემეტრაშვილისრედაქტორობით,თბ., 2008.
6. დროის მართვა, გაეროს განვითარების პროგრამა (რედაქტორივ.გურგენიძე), თბ., 2005.
7. Саймон Г., Смитбург Д., Томпсон В., Менеджмент в организациях. М., 1996.

Time management in the company management system

*Tamar Beridze, Professor
Gergian Technical University*

*Giorgi Jorjoliani, PhD student
Gergian Technical University*

*Rusudan Nutsybidze
Gergian Technical University*

Summury

Life rhythm is too quick. The society constantly experiences the lack of time, fails to realize the planned cases and therefore productivity is low. That's why every successful man is trying to learn time management because successful people are very productive, many work and achievements are appropriate. Proper planning of time, correct management of time is a prerequisite for productivity and success, as for each company member, as well as for the whole company.

მარკეტინგული კვლევის ახალი მიმართულება სარეკლამო ინდუსტრიაში

რეზიუმე

აღნიშნულისაკითხი ეხება სარეკლამო ინდუსტრიის ციფრულ ტრანსფორმაციას. ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია გუშინ არ დაწყებულა და უკვე დიდი ხანია წარმოებაშია, რის გამოც დღეს, ციფრულ ეპოქაში მოხდა ფუნდამენტალური ცვლილება სარეკლამო ინდუსტრიაში.

ციფრულ ეპოქაში “digital” - მარკეტინგის მიზანია ინტერნეტში რეკლამის მემუვობით მომხმარებლის მოზიდვა და მათი მყიდველი გადაქცევა, რისთვისაც იყენებს ტელეკომუნიკაციის სისტემებს და არხებს კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად, რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას და ტრანსფორმაციას.

განხილულია სარეკლამო ინდუსტრიაში მარკეტინგული კვლევის “ოქროს რგოლის კონცეფცია“, რომელიც საშუალებას იძლევა წარმატებული კომპანიის ბიზნეს-მოდელის შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, რეკლამა, ბრენდი, კომუნიკაციები, ინოვაციური ტექნოლოგიები, “ოქროს რგოლის კონცეფცია“.

შესავალი

დღეისათვის პრაქტიკაში ინტენსიურად ვითარდება და ინერგება შემდეგი ტელეკომუნიკაციის ძირითადი ქსელები და სისტემები [1]: SDH სინქრონული ციფრული იერარქია (Synchronous Digital Heirarchy); SONET – სინქრონული ოპტიკური ქსელი (Synchronois Optical NET work); ATM – გადაცემის (გადატანის) ასინქრონული მეთოდი (Asynchronous Transfer Mode); GSM – მობილური კავშირის გლობალური სისტემა (Global Systems for Mobile Communications); D-AMPS – ციფრული გაუმჯობესებული პერსპექტიული მობილური სისტემა (Digilat Advanced Mobile Phone Service); NGN/ Sowntwith ტექნოლოგიები – შემდგომი თაობის (გენერაციის) ქსელი/მოქნილი პროგრამული კომპუტატორი (Next Generation Networks Softwith); IP – ტელეფონია – ინტერნეტ – პროტოკოლი (IP – Internet Protocol) და სხვა.

ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია, რეკლამა ეს არის უნარი გადმოსცე ლამაზი ისტორია, ზღაპრები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ცხოვრების ნაწილს უფრო მეტიც, ამერიკელი მეცნიერის **ჯოზეფ კემბელის** თეორიის თანახმად, მსოფლიოს ნებისმიერ ხალხებს უმეტეს თქმულებებში აქვთ საერთო სიუჟეტური სტრუქტურა, რომელსაც

მეცნიერმა მას უწოდა „გმირი ათასი სახით“, რომლის ძირითადი არსი აღებულია საერთო ადამიანურ ცხოვრებისეულ პრინციპებზე აგებული. გმირი ყოველთვის იღებს “შეძახილს“, პოულობს თავის მრჩეველს და არჩევანს აკეთებს ჩვეულებრივ ცხოვრებასა და გმირის ცხოვრებას შორის, გადის გამოცდას, პოულობს მეგობრებს და თანდათან უახლოვდება ანტაგონიზმს, მაგრამ საინტერესოა, რა კავშირი აქვს ამას ყველაფერს რეკლამასთან და როგორც ცვლის ციფრული რევოლუცია მრავალსაუკუნოვანი რეკლამის აგების ისტორიის მოდელს?

უპირველესად საჭიროა განხილული იყოს რას წარმოადგენს ციფრული ეპოქა – “digital” – მარკეტინგი და რა მნიშვნელობა ენიჭება მას სარეკლამო ინდუსტრიაში.

“Digital” – დიჯიტალი – ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს “ციფრულს” ანუ ციფრული მარკეტინგი – საქმიანობა, რომლის მიზანია ინტერნეტში რეკლამის საშუალებით, რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი მოიზიდოს სატელეკომუნიკაციო არხების და სისტემების საშუალებით.

ციფრული არხები მნიშვნელოვანი და გლობალურია. ციფრული მედია-არხები მუდმივად ვითარდება და მისი საშუალებით ხდება კლიენტის მართვა, აუდიტორიასთან კომპლექსური მუშაობა, კომუნიკაციები, PR (პიარი).

გუშინდელი “digital” – მარკეტინგი ეს არის ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, მობილური, კავშირი, რეკლამა, ხოლო დღევანდელი კი არის საიტის, ბრენდის პროდუქცია ყველა ციფრული არხებით, სოციალური მედია, მობილური აპლიკაციები, საბანერო რეკლამები, თიზერული და ბანერული რეკლამები, “ემაილ მარკეტინგი” PR – კამპანია და პარტიზანული მარკეტინგის ინსტრუმენტები.

“digital” მარკეტინგის წარმატება დამოკიდებულია: 1. კლიენტთან კომპლექსური კომუნიკაციის მართვით, როგორც ტრადიციული, ასევე ციფრული არხებით; 2. მომხმარებელთან დინამიური ურთიერთობის უნარით; 3. დიდი რაოდენობა მონაცემთა ანალიზის უნარის საშუალებით პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაჭრა. კომპანია ცდილობს მომხმარებელთა მოზიდვას სხვადასხვა კეთილად განწყობილი გრძნობებით და შეხედულებებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მეცნიერებას და სტრატეგიას. უმეტესობისთვის ძნელი წარმოსადგენია ემოციური კავშირის დამყარება მომხმარებელთან „digital“-ის საშუალებით, რაც ადამიანს აიძულებს იყიდოს ან არ იყიდოს ესა თუ ის ბრენდი, რომლის **მართვა და გაზომვა** შეიძლება და მას ეწოდოს “ემოციური მოტივაციის ფაქტორები”. სწორედ ეს ფაქტორები შეიძლება იყოს ციფრული ტექნოლოგიის საშუალებით ახალი ძლიერი წყარო ბიზნესის ზრდის და წარმატების, დამოკიდებული მომხმარებელთა ქცევაზე და ფინანსურ შედეგებზე.

აღნიშნულის საფუძველზე “digital“-ი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, აუდიტორიის მოზიდვისათვის, რომელიც გახდა მომხმარებლისთვის ცხოვრების ნაწილი და რაც დღეს ესოდენ მნიშვნელოვანია, სარეკლამო ინდუსტრიის განვითარებისათვის.

ამ მოსაზრების საფუძველს უმყარებს, ამერიკელი მეცნიერის **საიმონ სინეკას**

მიერ შემოთავაზებული მარკეტინგის “ოქროს რგოლის კონცეფცია“, რომლის თანახმად რეკლამა შეიძლება ჩამოყალიბდეს და პასუხობდეს სამ კითხვას: რა – როგორ – რატომ? თუ პირველ შეკითხვაზე ყველა პრაქტიკულად პასუხობს, მესამეზე უმეტესობას უჭირს პასუხის გაცემა. მეცნიერ სინეკას თანახმად, უმეტესი კომპანიების მუშაობის მოდელი სწორედ ამ სამ შეკითხვაზე პასუხის გაცემით და საქმიანობით წარმართება. “ოქროს რგოლის კონცეფცია“ წარმოადგენს სამ რგოლს ერთმანეთში ჩასმულს. საქმის დაწყება ხდება კითხვის დასმით რა? შემდეგ რგოლში კითხვაა როგორ? და ბოლოს მესამე რგოლში რატომ? ანუ რის საფუძველზე გამოვიდა ან არ გამოვიდა წარმატებული ბიზნესის სარეკლამო ინდუსტრიის საშუალებით.

საიდან არის აღებული ეს სამი მარკეტინგის ოქროს რგოლის მოდელი? როგორც სინეკა აღნიშნავს, მან ეს აიღო ბიოლოგიიდან, ანუ ანატომიიდან. თავის ქალას ჩახედა ზემოდან ქვევით ჰორიზონტალური სიბრტყის გადაჭრის შემთხვევაში, რომელიც ზუსტად შეესატყვისა ოქროს რგოლს და წარმოადგენს ადამიანის ტვინის ახალ ჭრილს. პირველი შეკითხვა ყველაზე პატარა რგოლშია რა? შეესაბამება ადამიანის აზროვნების, რაციონალურ ანალიზურ მეტყველებას. ყველაზე უფრო წარმატებულია ის კომპანია, რომელმაც ზუსტად იცის რატომ აკეთებს. შემდეგი რგოლი მოიცავს შეკითხვას როგორ? ცდილობთ გააკეთო ბრენდის რეკლამა რომ ფასეული იყოს, ხშირად საჭიროა ინვესტიციის მოზიდვა, ფულის ჩადება კონტენტში (შიგთავსში), ანუ აქ იგულისხმება ის, რომ ძირითადად სარეკლამო რგოლების ნახვა შეიძლება წარმატებულ მინი სერიალების შუალედებში, და რომ რეკლამა უფრო მეტმა მნახველმა ნახოს, საჭიროა მინი-სერიალი იყოს საინტერესო. და ბოლოს, კითხვა რატომ? მოიცავს მესამე რგოლს, რომელსაც სჭირდება მეტი კვლევა – ძიების ჩატარება. რეკლამის გამოყენებას ბიზნესის წარმოებისათვის ადამიანების უმცირესი ნაწილი, საქმიანობას იწყებს უკუ მოდელით ე.ი. თავიდანვე კვლევის გაფართოებით იწყებს და აღწევს წარმატებას, რაც საბოლოოდ წარმატებულს ხდის კომპანიის მუშაობას. ხშირია შემთხვევა როცა კომპანიის მუშაობა შეზღუდულია, რადგან ყურადღება არ ექცევა ინოვაციურ ტექნოლოგიებს სარეკლამო საქმიანობაში.

და ბოლოს, ციფრული ტრანსფორმაცია, ზეგავლენას ახდენს აუდიტორიის საქციელზე, უცვლის მათ აზროვნებას. აქვთ თავისუფალი არჩევანი. მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს აუდიტორიასთან ერთად ევოლუცია მოახდინოს თამაშის ახალი წესების ადაპტირებაში, რადგან მომხმარებლის ძველი ფორმატები მიღევადა.

დასკვნა

მარკეტინგული კვლევის ახალი მიმართულება სარეკლამო ინდუსტრიაში ბიზნესის წარმატებისათვის ციფრული ტრანსფორმაციით, ეს არის კომპანიის საქმიანობის ავტომატიზაციის, ოპტიმიზაციის შედეგად წარმოებული მასშტაბური პროგრამა მარკეტინგული კვლევის “ოქროს რგოლის კონცეფციასთან“ ერთად.

ლიტერატურა

1. მერჯიკნელი გ., რობიტაშვილი ა., ვეკუა თ., ხუნწარია ჯ., ბოჩიკაშვილი პ., აბულაძე ვ. ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები. თბ. ი/მ „მომავლიდან“, 2006. უაკ. 621.396/621.395
2. ხახუტაშვილი ე. ყურაშვილი ი. ტელეკომუნიკაციის მარკეტინგი. სტუ., თბ. 2017. უაკ 65.5. ISBN 99940-773-2-5.
3. Саймон Синек. Начни с вопроса почему? Эксмо, М., 2015

New Direction of Marketing Research In Advertising Industry

*Elisabed Khakhutashvili, Associate Professor
Georgian Technical University*

Summary

The new direction of marketing research in advertising industry, concept of “Golden Ring” of digital transformation and marketing give us basis for development of successful business model.

In digital era the aim of “digital” marketing is to attract more customers and turn them into buyer through develop advertising on the internet via telecommunication systems and channels with computer technology. It is possible client management, complex work with audience, communications. The customer shows ability of dynamic communication for fast and effective solution of different problems. As a result this provision may be strengthened with the Concept of Golden Ring” of an American scientist Simon Sinek, in accordance of which the advertisement may be formed and answer three main questions: what? How? Why?

These three questions are placed in each other in three rings. The first smallest ring is question What?, which answers practically answers every question. Also the most people knows How? Makes an advertisement which is placed in the second ring, but many doesn't know why? couldn't get desirable result in business through advertisement. Exactly this question Why? is placed in the third ring with a greater diameter and needs study and research. Only minority uses reverse model, which finally makes successful company works. The customer selects brand, values and advertisement works successfully.

Thus I think that digital transformation of the advertisement and “Concept of Golden Ring” both are one of the successful and important instrument in advertising industry.

Key words: *digital transformation, advertising, brand, communications, “Concept of Golden Ring”*

საწარმოს ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

რეზიუმე

საწარმოს საბიუჯეტო კონტროლი – ეს არის ფაქტობრივ და საბიუჯეტო შედეგების შეპირისპირების პროცესი, გადახრათა ანალიზი და აუცილებელი კორექტივების შეტანა მომდევნო პერიოდების ბიუჯეტებში.

სტატიაში განხილულია ანალიზის შემდეგი მეთოდები: ჰორიზონტალური; ვერტიკალური; შედარებითი; ფაქტორული; მარჟინალური; ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი.

ბიუჯეტირება უკუკავშირის გარეშე – ფუჭად დახარჯული დროა. ნებისმიერი სისტემა სიცოცხლისუნარიანია, თუ გააჩნია უკუკავშირის ელემენტები, რომლებიც ითვალისწინებენ გაკეთებულის ანალიზს და სისტემის მიმდინარე კორექტირებას. ბიუჯეტირებაში უკუკავშირის როლს ასრულებს ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, რომელიც ანალიზის განხილული მეთოდების საფუძველზე გვეხმარება ბიზნესის მდგომარეობის სურათის წარმოსადგენად ბიუჯეტის შესრულების შედეგების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საწარმოს ბიუჯეტი, კონტროლი, ანალიზი

შესავალი

საწარმოს ბიუჯეტის შესრულების გაანალიზებისათვის აუცილებელია არა მარტო გეგმიური მონაცემები, არამედ ფაქტობრივი ფინანსური მონაცემებიც. ბიუჯეტი შეიძლება მოწმდებოდეს, კონტროლდებოდეს ყოველკვირულად, ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად, ანუ ისე, როგორც უფრო მიზანშეწონილია კონკრეტულ სიტუაციაში.

საწარმოს საბიუჯეტო კონტროლი – ეს არის ფაქტობრივ და საბიუჯეტო შედეგების შეპირისპირების პროცესი, გადახრათა ანალიზი და აუცილებელი კორექტივების შეტანა მომდევნო პერიოდების ბიუჯეტებში.

თეორიულად ბიუჯეტის საბოლოო შეთანხმების შემდეგ უნდა იქნეს მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, ხოლო საბიუჯეტო ხარჯები არ უნდა იყოს გადამეტებული. ეს მიზანი უფრო იდეალურია, ვიდრე რეალური, იმის გამო, რომ შიდა და გარე გარემოებები შეიძლება შეიცვალოს, რაც საწარმოს ბიუჯეტზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ეს გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. ამიტომ პრაქტიკულად ბიუჯეტები მუდმივად უნდა გადაისინჯებოდეს და

მასში უნდა შეიტანებოდეს შესწორებები საბიუჯეტო კომიტეტის სხდომებზე. მიუხედავად ყველაფრისა, დასახული მიზნის მისაღებად უნდა მივისწრაფოდეთ, სხვაგვარად ბიუჯეტის შედგენის დაწყებას აზრი არა აქვს.

ძირითადი ნაწილი

ბიუჯეტის ეფექტიანი კონტროლი ჩვეულებრივ გულისხმობს, რომ პროცედურები იწყება კომპანიის მართვის ყველაზე დაბალ დონეზე – ანუ უშუალოდ იქ, სადაც მიიღება შემოსავლები და დანახარჯების გამოვლინება ხდება.

ბიუჯეტის შესრულების ანალიზის ძირითადი მიზანია პრიორიტეტულ მონაცემთა მიღება, რომლებიც იძლევიან საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ სურათს.

ამისათვის დამუშავებულია ანალიზის შემდეგი მეთოდები: ჰორიზონტალური; ვერტიკალური; შედარებითი; ფაქტორული; მარჟინალური; ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი.

ჰორიზონტალური (ანუ ვადების) ანალიზი გულისხმობს ანგარიშგებათა მაჩვენებლების შედარებას წინა პერიოდების ანალოგიურ პარამეტრებთან. იხმარება ანგარიშგების სტატიათა უბრალო შედარება პრინციპით „გეგმა-ფაქტი“ და მათი მკვეთრი ცვლილებების მიზეზთა შესწავლა, აგრეთვე ანგარიშგების ცალკეულ სტატიათა ცვლილების ანალიზი სხვა სტატიათა მერყეობასთან მიმართებაში.

ვერტიკალური (ანუ სტრუქტურული) ანალიზი, ხორციელდება ანგარიშგების მაგალითად, ბალანსის, ცალკეულ სტატიათა ხვედრითი წონის განსაზღვრის მიზნით, საერთო ჯამურ მაჩვენებელში და შემდგომში ხდება მიღებული შედეგის შედარება წინა პერიოდის მონაცემებთან. ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზები ავსებენ ერთმანეთს და ანალიტიკურ ტაბულათა შედგენისას შეიძლება მათი ერთდროულად გამოყენება.

შედარებითი (ანუ სივრცობრივი) ანალიზის ჩატარება ხდება მსგავსი კომპანიების მონაცემთა შედარების საფუძველზე (მხედველობაშია კონკურენტები ან უბრალოდ ის კომპანიები, რომელთაც აქვთ ბიზნესის გაძღოლის ანალოგიური სქემები).

ფაქტორული ანალიზი გულისხმობს ცალკეული ფაქტორების (მიზეზების) გავლენათა შესწავლას შედეგობრივ მაჩვენებელზე.

ფინანსურ კოეფიციენტთა მეთოდი – ესაა ანგარიშგების მონაცემთა თანაფარდობათა გაანგარიშება, მონაცემთა ურთიერთკავშირის დადგენა და მათი ინტერპრეტაცია.

ანალიზის ჩატარების პრინციპები

ჰორიზონტალური – დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემების შედარებითი ანალიზი, ანუ „გეგმა-ფაქტი“ ანალიზი ტარდება ყველა ძირითადი ბიუჯეტებისათვის, ხოლო გადახრების მიზეზების უფრო საფუძვლიანი შესწავლის აუცილებლობისას

– ცალკეული ოპერაციული და ფუნქციონალური ბიუჯეტებისთვისაც. ის შეიძლება ჩატარდეს მთლიანად კომპანიისათვის, აგრეთვე საქმიანობის ცალკეული მიმართულებისთვის (იმის დასადგენად, რომლის გამო წარმოიქმნება უარყოფითი თუ დადებითი გადახრები). ამდაგვარ ანალიზისთვის ობიექტის შერჩევა – ესაა საწარმოს შიდა საქმე, რომელიც ემყარება მისი ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ მიზნებს და ბიუჯეტირების ამოცანებს.

დაცული უნდა იყოს ბიუჯეტირების სისტემის ერთი ძირითადი მოთხოვნა – საბიუჯეტო და ფაქტობრივი მონაცემები ერთიან ფორმატში უნდა იქნენ წარმოდგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შედარება არაკორექტული აღმოჩნდება.

გადახრები, რომელიც გამოვლინდა ამ მონაცემებს შორის გარკვეულ პერიოდში, წარმოადგენს ბაზას თითოეული ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრის ან ფუნქციონალური სფეროს (მომარაგება, წარმოება, გასაღება, ლოგისტიკა, ფინანსები, კადრები და ა.შ.) შეფასებისათვის, აგრეთვე მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ხელმძღვანელობს რა გადახრების მართვის პრინციპებით, მენეჯერი ახდენს ყურადღების კონცენტრირებას გეგმიდან გადახვევის მნიშვნელოვან გადახრებზე და არ ითვალისწინებს მონაცემებს, შესრულებულს დამაკმაყოფილებლად.

იძულებული ვართ შევეგუოთ მნიშვნელოვან გადახრებს, რომლებიც შეიძლება აიხსნას ობიექტური გარემოებებით – მაგალითად, მოთხოვნის შემცირება, კლიენტების საწარმოთა დახურვა. მსგავს სიტუაციაში საჭიროა სასწრაფოდ გადაიხედოს გაყიდვების ბიუჯეტი, მასთან დაკავშირებული ბიუჯეტები, მათ შორის ძირითადიც, იმიტომ რომ არაზუსტი ბიუჯეტის შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები. ამასთან, შესაძლებელია, საწარმოო გრაფიკების შესრულება გახდეს გაუმართლებელი და კაპიტალური მოწყობილობების შესყიდვა დარჩეს საჭირო შემოსავლების გარეშე.

გადახრების გამოვლენა – ეს არის პირველი ნაბიჯი საწარმოს საქმიანობის შეფასებისას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მთელი საქმიანობის ან ცალკეული სფეროების და საწარმოს ფუნქციების ეფექტიანობა (არაეფექტიანობა).

ფაქტორული ანალიზი

გადახრების ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია შემდგომ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, გულისხმობს უფრო დეტალურ ფაქტორულ ანალიზს ბიზნესის პარამეტრების სხვადასხვა გადახრების გავლენისა ბიუჯეტის საბოლოო მაჩვენებელზე მაგალითად – წმინდა ფულად ნაკადზე. არსებითად ხდება ყველა გადახრების გავლენის დეკომპოზიცია წმინდა ფულადი ნაკადის სიდიდეზე. კონტროლი ხორციელდება ეტაპობრივად:

1) ყველა ფაქტორის დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენენ წმინდა ფულად ნაკადზე;

2) წმინდა ფულადი ნაკადის საბიუჯეტო მნიშვნელობიდან ჯამური გადახრის განსაზღვრა;

3) წმინდა ფულადი ნაკადის გადახრის განსაზღვრა თითოეული, ცალკეული ფაქტორის გადახრის შედეგად;

4) გავლენის პრიორიტეტების ცხრილის შედგენა, სადაც ყველა ფაქტორი განლაგებულია თანმიმდევრობით, დაწყებული ყველაზე მნიშვნელოვანიდან;

5) საბოლოო დასკვნების და რეკომენდაციების შედგენა მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება ბიუჯეტის შესრულებისაკენ.

ფაქტორების გავლენის პრიორიტეტების შესახებ დასკვნები განსაზღვრავენ მმართველობით გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება რეკომენდებული იქნენ შესაბამისი ფუნქციონალური ქვეგანყოფილებისათვის საწარმოში. მაგალითად, თუ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ძირითად ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს ფულადი ნაკადის მნიშვნელოვანი შემცირება, წარმოადგენენ მყიდველების მიერ გადახდის პროცენტი გადატვირთული პროდუქციისათვის მიმდინარე პერიოდში, გაყიდვების მოცულობა, რეალიზაციის ფასი. ამიტომ ბიუჯეტის შესრულებლობაზე პასუხისმგებელია მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილება. ნათელია, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ განყოფილების არაეფექტიან მუშაობას. უნდა გაძლიერდეს მიმდინარე შეკვეთების შესრულების პროგნოზირების სისტემა, უნდა გატარდეს უფრო მკაცრი პოლიტიკა მყიდველებისათვის სასაქონლო კრედიტის, ფასდაკლებების გაწევისას და ა.შ.

ჰორიზონტალური “გეგმა-ფაქტი” ანალიზი და ფაქტორული ანალიზი, როგორც წესი, ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად, ანუ მაგ., თუ ბიუჯეტი დგება ყოველთვიურად, მაშინ მისი შესრულების ანალიზიც ტარდება ყოველთვიურად. ბიუჯეტის შესრულების ანალიზისათვის შედარებით მსხვილი დროითი მონაკვეთებისათვის (მაგ. კვარტალი, ნახევარი წელი, წელი) შეიძლება გამოვიყენოთ ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი.

ფინანსები _ ბიზნესის ენაა. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი კოეფიციენტები ისინია, რომლებიც დაფუძნებულია ფინანსებზე. თუმცა ყველა მენეჯერს უნდა ესმოდეს, რომ ფინანსური მაჩვენებლები _ მხოლოდ ბიზნესის რეალობის ასახვაა და საჭიროა არა ციფრების თანაფარდობების, არამედ რეალური პროცესების მართვა.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების მეშვეობით, რომლებიც იანგარიშება ბიზნესის ძირითად ფინანსურ პარამეტრებს შორის თანაფარდობებით. ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი დაფუძნებულია შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებაზე, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს და მის ფინანსურ მდგომარეობას. თუმცა ასეთი ანალიზის ჩატარებისას მთავარია არა მაჩვენებლების გაანგარიშება, არამედ მიღებული შედეგების გაანალიზება-გამოყენების უნარი. ანალიზის ჩატარებისათვის საინფორმაციო ბაზას

წარმოადგენს სამი საშედეგო ბიუჯეტი: შემოსავლების და ხარჯების ბიუჯეტი, ფულადი სახსრების მოძრაობის ბიუჯეტი და მმართველობითი ბალანსი. ბალანსის ლიკვიდურობა გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია საწარმოს გადაიხადოს მოკლევადიანი ვალდებულებები მიმდინარე აქტივების ხარჯზე.

ფინანსური მდგრადობა ასახავს საწარმოს საქმიანობის რისკის დონეს ნასესხები კაპიტალიდან გამომდინარე. რაც უფრო მეტია ნასესხები კაპიტალი, მით ნაკლებია საწარმოს ფინანსური მდგრადობა.

ფინანსური მდგრადობის ანალიზი მოიცავს შემდეგი კოეფიციენტების გაანგარიშებას:

- ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი. იანგარიშება საკუთარი კაპიტალის გაყოფით მიმდინარე ვალდებულებებზე.
- ფინანსური ავტონომიურობის კოეფიციენტი. იანგარიშება საკუთარი კაპიტალის გაყოფით მთლიან აქტივებზე.

საკუთარი სახსრების მანევრულობის კოეფიციენტი. იანგარიშება შემდეგნაირად: საკუთარი საბრუნავი სახსრების გასაანგარიშებლად საბრუნავ აქტივებს აკლდება მიმდინარე ვალდებულებები და მიღებული თანხა იყოფა საკუთარ კაპიტალზე.

დასკვნა

ზოგადად, ფინანსური მდგრადობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ ისეთ საწარმოებს, რომლებიც ატარებენ სტრატეგიას _ გამოიყენონ საკუთარი რესურსები განვითარების მიზნებისათვის. თუმცა საკუთარი სახსრების სიმცირის გამო კომპანიების უმეტესობა იყენებს კრედიტებს, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების კონტროლი, რათა საწარმო არ აღმოჩნდეს რთულ ფინანსურ სიტუაციაში.

ჩვენი აზრით ბიუჯეტირება უკუკავშირის გარეშე _ ფუჭად დახარჯული დროა. ნებისმიერი სისტემა სიცოცხლისუნარიანია, თუ გააჩნია უკუკავშირის ელემენტები, რომლებიც ითვალისწინებენ გაკეთებულის ანალიზს და სისტემის მიმდინარე კორექტირებას. ბიუჯეტირებაში უკუკავშირის როლს ასრულებს ბიუჯეტის შესრულების კონტროლი, რომელიც ანალიზის განხილული მეთოდების საფუძველზე გვეხმარება ბიზნესის მდგომარეობის სურათის წარმოსადგენად ბიუჯეტის შესრულების შედეგების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭელიძე ი. ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) სახელმძღვანელო, თბ., 2011;
2. ბებიაშვილი ნ. ფინანსური აღრიცხვა და ანალიზი, ლექციების კურსი, თბ., 2010.

Enterprise Budget Performance Control

Nato Bebiashvili
GTU, Associate Professor

Archil Grigalashvili
GTU, Associate Professor

Summary

Budgetary control of an enterprise is a process of measuring actual financial performance against budget targets, analysis of deviations and making corrections. The present paper reviews the following methods of analysis: horizontal, vertical, comparative, factorial, marginal, financial variables.

Budgeting without feedback is a waste of time. Any budgeting system is viable if it relies on feedback elements that include performance analysis and continued adjustment. Budgetary control is based on feedback and it allows us, based on the above methods, get full evaluation of business performance.

Key words: *Enterprise company budget, control, analysis*

*ლიკა ბერიძე, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი ჟორჯოლიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*რუსუდან ნუცუბიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

დროის მენეჯმენტი, როგორც წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი

რეზიუმე

დრო არის ის ერთადერთი რესურსი, რომელსაც ყველა ადამიანი თანაბრად ფლობს. პროფესიული მოღვაწეობის, საქმიანობის თუ დაკავებული პოზიციის მიუხედავად, დრო ყველასთვის ერთნაირია - ბანკირი იქნება თუ დიასახლისი, მენეჯერი თუ პროფესორი, მუსიკოსი თუ არქიტექტორი, განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ დროს. ადამიანს არ აქვს დროის გაზრდის უნარი, იგი უცვლელი რესურსია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ დროის "შემჭიდროება", ანუ ერთსა და იმავე დროში უფრო მეტი საქმის გაკეთება, საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზება. დრო თანამედროვე ყოფის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული რესურსია, მისი სწორი გამოყენება უფრო მეტად მნიშვნელოვანია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ისწრაფვის პროფესიული კარიერული სრულყოფისაკენ.

საკვანძო სიტყვები: საქმიანი ადამიანი, დროის ფაქტორი, კარიერული მიზნები.

ძირითადი ნაწილი

დროის მართვის შესწავლა XX საუკუნის დამლევს დაიწყო მეცნიერებმა, რაც გამოიწვია თანამედროვე ცხოვრების მრავალფეროვანმა მოთხოვნებმა. აჩქარდა ცხოვრების ტემპი, ყოველდღიურ ცხოვრებაში სისწრაფე, მოსწრება ნორმად გადაგვექცა.

ცვლილებათა ასეთი სიუხვე თითოეული ადამიანისგან მოითხოვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, საქმიანობის სწორად ორგანიზებას, პრიორიტეტების დახარისხებას და მათ დროულად გადაჭრას.

ბუნებრივია, ადამიანები თავიანთი ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური ტიპაჟით, თავიანთი ცხოვრების წესით, დატვირთული სამუშაო დღით და ა. შ. განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თითოეულ მათგანს თავისი ცხოვრების სტილისა თუ ინტერესთა სფეროს მიხედვით დროის სხვადასხვანაირი გადანაწილება ესაჭიროება. მათ თავად უნდა შეარჩიონ დროის მართვის ესა თუ ის მეთოდი და მოირგონ საკუთარ თავსა თუ ცხოვრებაზე.

დროის ეფექტურად გამოყენება თავისებური ნიჭია, რაც ყველას არ ძალუძს.

ჩვენს გარშემო არიან ადამიანები, მ. შ. ხელმძღვანელი პირები თუ დაქირავებული მუშაკები, რომლებიც დროის არასწორი მენეჯმენტის გამო ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას თავს, საქმეთა სიმრავლის გამო ღელავენ, ხდებიან არაადეკვატურნი და ა. შ. მათ ექმნებათ სირთულეები დროის არასწორად გამოყენებისა თუ გადანაწილების, დასახული მიზნების რეალიზებისა თუ გადასაჭრელი ამოცანების არადროული შესრულების გამო, რადგან დროის მართვა მოითხოვს სპეციალური უნარის ქონას, რაც უთუოდ დიდი ნიჭია და ყველას არ გააჩნია. ან პირიქით, ჩვენს გარშემო შევხვდრით ისეთი კატეგორიის წარმომადგენლებს, რომლებიც მიუხედავად, ოჯახური თუ სამსახურეობრივი მდგომარეობისა, “ასწრებენ“ ყველაფერს, დროს სწორად ანაწილებენ და საზოგადოების სრულყოფილ წევრად წარმოგვიდგებიან.

დროის მენეჯმენტი არა მარტო პირად საქმიანობაში, არამედ შრომით საქმიანობასა და ბიზნესშიც ძალიან მნიშვნელოვანია. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მენეჯერთა უმრავლესობა არ ანაწილებს დროს სწორად და არ ხარჯავს კომპანიისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ოპერაციებზე.

დროის ფაქტორის მნიშვნელობის, მასთან დაკავშირებული სირთულეების გამოსავლენად სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა პროფესიულ საქმიანობაში დროის გადანაწილების უფრო დეტალური შესწავლის მიზნით განვახორციელეთ მოკვლევა. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი. შედგენილ იქნა შესაბამისი კითხვარები და რესპოდენტები შერჩეულ იყვნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. მიღებული მონაცემები დამუშავდა და გაკეთდა მათი სტატისტიკური ანალიზი ე.წ. კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით:


New	Type	Males	Females	Age	Marital Status	Education	Occupation	Income	Frequency	Response	Date
1	მამაკაცი	1	0	18-25	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
2	ქალი	0	1	26-35	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
3	მამაკაცი	1	0	36-45	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
4	ქალი	0	1	46-55	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
5	მამაკაცი	1	0	56-65	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
6	ქალი	0	1	66-75	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
7	მამაკაცი	1	0	76-85	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
8	ქალი	0	1	86-95	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
9	მამაკაცი	1	0	96-105	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
10	ქალი	0	1	106-115	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
11	მამაკაცი	1	0	116-125	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
12	ქალი	0	1	126-135	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
13	მამაკაცი	1	0	136-145	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
14	ქალი	0	1	146-155	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
15	მამაკაცი	1	0	156-165	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
16	ქალი	0	1	166-175	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
17	მამაკაცი	1	0	176-185	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
18	ქალი	0	1	186-195	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
19	მამაკაცი	1	0	196-205	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010
20	ქალი	0	1	206-215	ქორწილი	საშუალო	მწიფე	1000	1	პასუხი	10/10/2010

ნახ. 1


რესპოდენტების უმეტესობა 64% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი,

ხოლო 36% მამრობითი სქესის. გამოკითხულთა 66% ჯერ კიდევ დასაოჯახებელ კონტიგენტს მოიცავდა, დასაქმებულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროში (52%), სპეციალობის შესაბამისი განათლებით (82%).

ყველა რესპოდენტი წესრიგის მოყვარული აღმოჩნდა (100%), მათგან ნახევარზე მეტს დაგეგმილი აქვს ყოველი დღე (54%), გამოკვეთილი პრიორიტეტები (82%), დღის განმავლობაში არიან კონცენტრირებულნი ყველაზე მნიშვნელოვანზე (92%), გამომუშავებული აქვთ ორგანიზაციული უნარები (94%), მხოლოდ 36 %-ს გააჩნია სწრაფად რეაგირების უნარი, თუმცა 30% აკეთებს დახარჯული დროის ანალიზს და 40% - მეტნაკლებად ცდილობს გააკეთოს ეს.



ნახ. 2



ნახ. 3

დაკავებული პოზიცია

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
პედაგოგი	18	18.0	18.0	18.0
მენეჯერი	6	6.0	6.0	24.0
სპეციალისტი	12	12.0	12.0	36.0
მთ. სპეციალისტი	6	6.0	6.0	42.0
უფ. სპეციალისტი	6	6.0	6.0	48.0
სხვა	52	52.0	52.0	100.0
Total	100	100.0	100.0	

ცხრილი 1

გაქვთ თუ არა დაგეგმილი ყოველი დღე?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
დიახ	54	54.0	54.0	54.0
არა	38	38.0	38.0	92.0
არ ვიცი	8	8.0	8.0	100.0
Total	100	100.0	100.0	

ცხრილი 2

როგორც აღმოჩნდა, საზოგადოების უმეტეს ნაწილს, ჩვენს შემთხვევაში რესპოდენტების 78%-ს განსაზღვრული აქვს მიზანი და დასახული აქვს შორეული პერსპექტივები (72%), თვლიან, რომ დაგეგმილი დრო დროის დიდ ეკონომიას გვიწევს. მათი აზრით, დრო უფრო მეტია, ვიდრე ფული.

განსაზღვრული გაქვთ თუ არა მიზანი?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
დიახ	78	78.0	78.0	80.0
არა	2	2.0	2.0	82.0
მეტნაკლებად	18	18.0	18.0	100.0
Total	100	100.0	100.0	

ცხრილი 3


გაქვთ თუ არა შორეული პერსპექტივები?

	Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
დიახ	72	72.0	72.0	72.0
არა	2	2.0	2.0	74.0
მეტნაკლებად	24	24.0	24.0	98.0
არ ვიცი	2	2.0	2.0	100.0
Total	100	100.0	100.0	


ცხრილი 4

თითქოს რესპოდენტთა უმეტესობამ იცის პირადი დროის მართვა და ამ მხრივ, არ უნდა განიცდიდნენ დისკომფორტს, თუმცა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ დროის უკმარისობას განიცდის მთელი 56%.

კველვის შედეგმა ასევე აჩვენა, რომ ჩვენი რესპოდენტების უმეტესობა „დილის ადამიანი“, ე.წ. ტოროლას ტიპს განეკუთვნებოდა. ჩვენი რესპოდენტების უმეტესი ნაწილი დროის მართვაზე ფიქრს არ უარყოფს.



ნახ. 4



ნახ. 5

გარდა სიხშირული ანალიზისა, საჭიროდ ჩავთვალეთ კროსტაბულაციის მეთოდის გამოყენებით დაგვედგინა ორ ცვლადს შორის კავშირი: საინტერესოდ მიგვაჩნია ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, რას ფიქრობს საზოგადოება - ყოფნით თუ არა დრო?

ჯამური აბსოლუტური მნიშვნელობა შედაგენს 56-ს, ვისაც დრო არ ყოფნის. მათგან, 36 დასაოჯახებელია და 14 დაოჯახებული. სქესობრივი ჭრილის მიხედვით, ასეთი სურათი გვაქვს: მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტად განიცდიან დროის უკმარისობას, ვიდრე მამაკაცები.

თქვენი სქესი * როგორ ფიქრობთ, გყოფნით დრო? Crosstabulation

Count		როგორ ფიქრობთ, გყოფნით დრო?				Total
		დიახ	არა	არ ვიცი		
თქვენი სქესი	მდედრობითი	2	12	44	6	64
	მამრობითი	0	18	12	6	36
Total		2	30	56	12	100

ცხრილი 5

კროსტაბულაციამ გვიჩვენა, რომ არსებითად, დღიური დროის გეგმის არ ქონის შემთხვევაში, თითქმის 1,6-ჯერ მეტია ის ნაწილი, ვისაც დრო არ ყოფნის. თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი გვაქვს იმ შემთხვევაშიც (1,8-ჯერ მეტია), როდესაც ადამიანებს ყოველდღიურად მართავენ დროის შუალედებს.

გაქვთ თუ არა დაგეგმილი ყოველი დღე? * როგორ ფიქრობთ, გყოფნით დრო? Crosstabulation						
Count		როგორ ფიქრობთ, გყოფნით დრო?				Total
		დიახ	არა	არ ვიცი		
გაქვთ თუ არა დაგეგმილი ყოველი დღე?	დიახ	0	18	30	6	54
	არა	0	12	22	4	38
	არ ვიცი	2	0	4	2	8
Total		2	30	56	12	100

ცხრილი 6

ნებისმიერ ადამიანს, ხელმძღვანელი პირი იქნება იგი თუ დაქირავებული ხელქვეითი, ვისაც თანამედროვე პირობებში უწევს ცხოვრება და მუშაობა, წარმატების მისაღწევად, პრიორიტეტული საქმეების ზუსტად განსაზღვრა და ასევე - დროის ზედმიწევნით სწორად განაწილება ესაჭიროება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკვეთილი პრიორიტეტების მიუხედავად, დროის უკმარისობის განცდა რესპოდენტებს არ უქრებათ. დახარჯული დროის ანალიზის შემთხვევაშიც არ გვაქვს უკეთესი მაჩვენებელი.

მიღებული შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალსახად, ერთი რომელიმე კომპონენტის გათვალისწინებას არ მივყავართ სასურველ შედეგამდე. აუცილებელია, ეფექტური დროის მართვისათვის მასზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე თ., ჭელიძე მ., ბიბიჩაძე დ. წარმატებისა და დროის მენეჯმენტის საკითხის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ესუ, 2017
2. ხარხელი მ., დროის მენეჯმენტი, თბ., 2016.
3. გეჩბაია ბ. დროის მენეჯმენტი, ბათუმი, 2013
4. Само-менеджмент, под ред. В. Парахиной, М., 2012.
5. Архангельский Г., Лукашенко М. и др., Тайм-менеджмент, полный курс. М., 2014.
6. Резник С., Персональный менеджмент, М., 2004.

Time - such as an important resource

*Lika Beridze, associate professor
Georgian Technical University*

*Jorjoliani Giorgi, PhD student
Georgian Technical University*

*Rusudan Nutsubidze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Time is the only resource that all people have in common. Whether professional activity, activity or engagement, time is the same for everybody - the banker will be a housewife, manager or professor, musician or architect, the only difference is who will use this time. People do not have the ability to increase the time, it is an unchanged resource. A person can only “tighten” the time, or do more and more at the same time, to maximize his own. Time is one of the most expensive resource of modern living, its proper use is more important for all those who are pursuing professional career prospects.

სოციოლოგის თვალით დანახული ირანის კულტურა, ტრადიციები, ყოფა-ცხოვრება და ეკონომიკა

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია ირანის სოციოლოგის თვალით დანახული კულტურა, ტრადიციები და ყოფა ცხოვრება. მოკლედაა გადმოცემული მისი ისტორიული მიმოხილვა. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ირანის ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებაზე. საუბარია ოჯახის ინსტიტუტზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე, დედისა და მამის როლზე ბავშვის აღზრდაში. ასევე აღწერილია ქორწინებისა და განქორწინების ტრადიციები და მათი გამომწვევი მიზეზები, დაბადებასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციები და ახალშობილის სახელის შერჩევის რიტუალი.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობაზე. სტატიაში გადმოცემულია დამნაშავეს დასჯის ხერხები და მეთოდები, რასაც ირანს მსოფლიოს ბევრი ქვეყნისაგან გამოარჩევს.

სტატიაში აღწერილია ირანის რელიგია და ის რელიგიური რიტუალები და ტრადიციული დღესასწაულები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის. სტატია სრულდება იმ საინტერესო ფაქტებით, რომელიც ირანისთვისაა დამახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, ოჯახი, ქორწინება, დასჯა, ტრადიცია.

შესავალი

ირანის ისლამური რესპუბლიკა (სპარს. جمهوری اسلامی ایران - **ჯომჰური-იე ესლომი-ე ირან**, ასევე გამოიყენება სახელწოდება **ირანი** (სპარს. ایران [i'ɾɒn]) ან **სპარსეთი**) — სახელმწიფო აზიის სამხრეთ-დასავლეთით. დედაქალაქი — ქალაქი თეირანი.

ჩრდილოეთ-დასავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს, დასავლეთით ესაზღვრება ერაყს, აღმოსავლეთით ავღანეთსა და პაკისტანს.

ირანი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა მსოფლიოში. პირველი პროტოირანული სახელმწიფო ელამი წარმოიშვა ჩ.წ.-მდე III ათასწლეულში. დარიუს I-ის დროს (550-486 წლებში) ირანის სახელმწიფო გადაჭიმული იყო საბერძნეთიდან მდინარე ინდამდე. ირანი არის ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) შექმნის ადგილი. XVI საუკუნესთვის ირანის რელიგია ხდება მაჰმადიანობა.

1979 წელს ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია აიათოლა ჰომეინის ხელ-

მძღვანელობით, რომლის შედეგადაც ირანში გაუქმდა მონარქია და შეიქმნა ისლამური რესპუბლიკა.

ქვეყანა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. მოსაზღვრე ქვეყნებია: თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, ავღანეთი, პაკისტანი, ქუვეითი, ერაყი.

ქვეყნის უდიდესი ნაწილი მთიანი რელიეფით ხასიათდება, ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე გაშლილია ზაგროსის და კუხუდის მთათა სისტემები. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს გაუყვება ელბურსის მთები. ტერიტორიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებს იკავებს ირანის მთიანეთი. დაბლობებს უკავია ქვეყნის 7 %. ირანი განსაკუთრებით მდიდარია ნავთობით და გაზით. მოიპოვებენ ასევე ნახშირს, სპილენძს, რკინას და ა.შ. ირანის შიგა რაიონებში ბატონობს მშრალი სუბტროპიკული და ტროპიკული კონტინენტური კლიმატი, კასპიის ზღვისპირეთში - ტენიანი სუბტროპიკული. ნალექების სიუხვით გამოირჩევა ელბურსის მთების ჩრდილოეთი კალთები. ირანი ჰიდროგრაფიული ქსელით ღარიბი ქვეყანაა. ნიადაგურ და მცენარეულ საფარში ჭარბობს სტეპის და უდაბნოსთვის დამახასიათებელი სახეობები. ტყეებს უკავია ტერიტორიის 17 %.

ნავთობის და გაზის მარაგით ირანი მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულშია. მოპოვების უდიდესი რაიონია სპარსეთის ყურე, კერძოდ ხუზესტანი.

ძირითადი ნაწილი

ირანი - ეს არის ქვეყანა, რომლის კულტურის, ტრადიციებისა და ყოფა ცხოვრების შესახებ ბევრი გვსმენია ყველა ჩვენგანს ტელევიზიიდან, საგაზეთო სტატიებიდან და ინტერნეტიდან. სწორედ ამიტომ ჩამოგვიყალიბდა გარკვეული სტერეოტიპები ამ ქვეყნის შესახებ. როდესაც დავიწყეთ ირანის კულტურის შესწავლა, მოძიებულმა ინფორმაციამ ინტერესთან და გაკვირვებასთან ერთად, ჩვენში-„თვითმარქვია სოციოლოგებში“ სადღაც გულის სიღრმეში მიძინებული ეთნოცენტრიზმიც კი გააღვიძა და ღიმილთან ერთად გაბრაზებაც გამოიწვია. ამიტომ შევეცადეთ თეორიული ცოდნა გადაგვემოწმებინა და დაგვეკავშირებინა ირანელების რეალურ ცხოვრებასთან.

ოჯახი. ოჯახი უმთავრეს სოციალურ ინსტიტუტად განიხილება. ცოლ-ქმარი ცდილობს კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს სიცოცხლის ბოლომდე, რაშიც ეხმარება საჩუქრები და შეხვედრები, რომლებიც მათი თანაცხოვრების მიუხედავად მთელი ცხოვრების მანძილზე ხდება. ქმრები დიდ პატივს ცემენ მეუღლეებს. სახლიდან ისე არ გადაიან, რომ მეუღლე არ გააფრთხილონ და არ აცნობონ მომავალი გეგმების შესახებ. ბავშვის აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ამ როლს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მამა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს უფლება-მოვალეობები გადადის ოჯახის უფროს მამაკაცზე. თუ შვილი მამას გავს, ეს საამაყოდ ითვლება ოჯახისათვის და განსაკუთრებით მამისათვის.

დავა-კამათის დროს უმცროსი ოჯახის წევრი ვალდებულია ყურადღებით უსმინოს უფროსს, არ ჩაებას ლაპარაკში, არ უყუროს თვალებში მოსაუბრეს (მიუხედავად მისი ამ საკითხისადმი დამოკიდებულებისა და რეალური ქცევისა). ოჯახში უფროსები იქცევიან როგორც დიქტატორები, არ ითვალისწინებენ უმცროსების აზრს. მეტწილად უმცროსი თავისი ოჯახის გადაწყვეტილების წინ არ მიდის, მაგრამ დღეისათვის ეს წესი ნელ-ნელა იცვლება. ოჯახში ყველაზე დიდ პატივს ცემენ ქალს, დედას.

რაც შეეხება განქორწინებას, ზოგადად, ისლამი თავის მორწმუნეებს აძლევს უფლებას მათი ნებით იქნეს გამოხატული განქორწინების სურვილი, მაგრამ ეს პროცესი არის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი. ირანის მთავრობის თქმით, მათთვის საამაყოა ის ფაქტი რომ, ხალხს უფლებას აძლევენ მეორედ დაქორწინდნენ და ამით ამცირებენ მრუშობის რიცხვს. განქორწინების 30%-ზე მეტი გამოწვეულია ნარკომანიით, შემდეგ მოდის უშვილობა, ღალატი, პატარძალი როდესაც არაა ქალიშვილი, მეუღლის მძიმე დაავადება და ა.შ.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნემდე ირანში ინცესტი არ ითვლებოდა დანაშაულად, დაშვებული იყო ქორწინება და-ძმას შორის, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს, მსგავსი ქცევა აიკრძალა, მაგრამ კიდევ შემორჩა ქორწინების ტრადიცია ნათესავებს შორის. მაგალითად, ქორწინება ბიძაშვილებზე, დედინაცვალებზე, ძმის ქვრივზე და სხვა.

ყველასთვის ცნობილია ისიც, რომ ირანში მიღებულია მრავალცოლიანობა, ანუ პოლიგამია. მაგრამ ამისთვის გარკვეული წინაპირობები არსებობს. მაგალითად, ცოლის უშვილობა ან მძიმე დაავადება. ასევე, მეორე ცოლის მოყვანა შეუძლიათ მხოლოდ პირველი ცოლის ნებართვით.

ქორწინება. პირველ რიგში, გვინდა განვიხილოთ საქორწილო ტრადიციები მე-7 საუკუნეში შექმნილ წიგნ „მაჰნამედან“. ხშირად, ქორწინება ხდებოდა გარიგებით, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ე.წ. „მაჰანკლები“. ასევე ხდებოდა ბავშვების დანიშვნა მუცლად ყოფნის დროსაც კი, თუ ბავშვები აღმოჩნდებოდნენ ერთი სქესის, მაშინ ნიშნობას შლიდნენ. ეს ხდებოდა ოჯახების შეთანხმებით. არსებობდა პოლიტიკური, ქონებრივი და ყველაზე ნაკლებად – სიყვარულის მოტივი ქორწინებაში. მმართველებიც დიდ როლს ასრულებდნენ წყვილების დაოჯახებაში.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ ქორწინების რიტუალებზე. სიძის ოჯახი საჯაროდ თხოულობდა ქალის ხელს, ნიშნობის შემდეგ იწყებოდა ხანგრძლივი ზეიმი, ირთვებოდა დარბაზები, მეფე-პატარძალს სვამდნენ საგანგებოდ მოკაზმულ ტახტზე, ადგამდნენ ძვირფასი თვლებით მორთულ გვირგვინებს და შემდეგ სიმღერის თანხლებით შემოატარებდნენ მთელ დარბაზს ტახტზე დამსხდართ. იწყებოდა პურობა, ამ დროს იკითხებოდა პატარძლის ქონება ანუ „მზითვები“. ცერემონიის ბოლოს, სტუმრები ყველას დასანახად ახალდაქორწინებულებს გადასცემდნენ საჩუქრებს, რაც მათი პრესტიჟის საზომი იყო.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი შაჰნამეს წიგნიდან, რადგან დღეს, თანამედროვესთან ერთად ბევრ ძველ ტრადიციასაც ვხვდებით ირანულ ქორწილში. ახალი ტრადიციების მაგალითია „შირბაჰა“ . ესაა სიმბოლური თანხა, რომელსაც სიძე უხდის სიდედრს იმ რძის სანაცვლოდ, რითაც მან გაზარდა შვილი. ასევე მზითვები იწვევს კონკურენციის შეგრძნებასა და სიამაყეს როგორც პატარძლებს ასევე მათ ოჯახებს შორის.

დაბადებასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციები. ოჯახში ბავშვის დაბადება არის დიდი ბედნიერება. ამას, პირველ რიგში, მამას ახარებენ, ისვრიან თოფს, მამა მეუღლეს უგზავნის მისალოც წერილს და შემდეგ ისინი ერთად არჩევენ ბავშვის სახელს, რაც, მეტწილად, წმინდანების საპატიო სახელებს უკავშირდება. ალის 11 ვაჟის საპატივცემულოდ. 10 დღის განმავლობაში აწყობენ მასობრივ დღესასწაულს. მშობლებს უძღვნიან საჩუქრებს. ოჯახის წევრები და ნათესავები გაჭირვებულებს ურიგებენ გარკვეულ თანხასა და ძღვენს, რაც მათი რწმენით ახალშობილს მადლოს სახით დაუბრუნდება ცხოვრებაში. მე-10 დღეს ბავშვი მიჰყავთ აბანოთში, აბანავებენ და ჩურჩულით უკითხავენ ლოცვებს. მათ მიაჩნიათ, რომ ბავშვი დაბადებიდანვე არის მაჰმადიანი.

ახლა რაც შეეხება გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ტრადიციებს, მიცვალებულებს ასაფლავებენ რაც შეიძლება მალე. მაგალითად, თუ ვინმე გარდაიცვალა დილის 4 საათზე, უხდიან მოკლე პანაშვიდს და 7 საათზე უკვე ასაფლავებენ. მე-3, მე-7, მე-40 დღეს და გარდაცვალებიდან ერთ წლის თავზე იხდიან პარაკლისებს მიცვალებულების მოსახსენიებლად.

გენდერი. მე-7 საუკუნემდე სანამ ირანელები იყვნენ ცეცხლთაყვანისმცემლები, ქალები ითვლებოდნენ არარაობად. მათ ჰყიდდნენ, აქირავებდნენ ან თუნდაც აჩუქებდნენ. ქალის დაბადება ითვლებოდა სირცხვილად ოჯახისათვის. ამ სირცხვილისაგან თავის ასარიდებლად მამები ზოგჯერ გუდავდნენ ახალშობილებს ცხვრის ტყავში გახვეულებს ან ცოცხლად მარხავდნენ. როგორც ირანელები ამბობენ, გამაჰმადიანების შემდეგ ქალმა მიიღო უფლებები. წმინდა წიგნიში – „ყურანში“ წერია, რომ ქალსა და კაცს არანაირი სულიერი უპირატესობა არ გამოარჩევს. მიუხედავად ამისა ცხოვრებაში მაინც ვხვდებით დისკრიმინაციის ფორმებს. მაგალითად, სკოლაში გოგონები და ბიჭები სწავლობენ ცალკე.

უნივერსიტეტებში ჯერ ასე არ არის, მაგრამ მომავლისათვის მთავრობა აპირებს გოგონებისა და ბიჭების განცალკევებას. დასაქმების შანსებიც განსხვავებულია. მიუხედავად ერთნაირი განათლებისა, ქალები უფრო დაბალ ანაზღაურებად სამსახურებში მუშაობენ და ერთი და იმავე ადგილას მუშაობისას იღებენ კაცების ხელფასის 2/3-ს.

ქალები არ ერიდებიან მიწაზე მუშაობასაც, მაგრამ მათ ისლამი უკრძალავს ისეთ სამუშაოზე დასაქმებას, რაც მათ ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის.

ყურანში ქალის ჩაცმულობაზე ლაპარაკი არაა, მაგრამ არის მინიშნებები.

მაგალითად, „გამოიკრას თავსაფრის ბოლოები მკერდთან“- რაც ნიშნავს, რომ ქალს მკერდი და თმა დაფარული უნდა ჰქონდეს. ძველად ქალები ატარებდნენ ჰიჯაბს, რომელიც წარმოიშვა მუჰამედის ცოლ აიშადან. ჰიჯაბი არის ისეთი ტანისამოსი, რომელიც ქალებს თვალების გარდა უფარავს მთელს სხეულს. ისლამურ რევოლუციამდე ქალებს ეკრძალებოდათ საჯაროდ თავშალის ტარებაც კი. ხოლო ახლა, 8 წლიდან ყოველი გოგონა ატარებს თავშალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ელით გამათრახება.

არსებობს ქალის საზოგადოებაში მოქცევის დაუწერელი კანონები. ერთ-ერთია რომ ქალს არ შეუძლია საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში გაცინება და გრძნობების თამამად გამოხატვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ოჯახის შემრცხვენელებად და პოტენციურ „შინაბერებად“ ითვლებიან.

დასჯა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ირანს გამოარჩევს მსოფლიოს ბევრი ქვეყნისგან, ესაა დამნაშავეს დასჯის უმაღლესი ფორმა – სიკვდილით დასჯა. რასაც ახორციელებს როგორც სასამართლო, ასევე საზოგადოება, ე. წ. „შარიათის წესით“. სიკვდილით დასჯის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი: სარწმუნოების შეცვლა, სხვა სარწმუნოების წარმომადგენელზე ქორწინება, იშვიათად, მაგრამ მაინც ცოლ-ქმრული ღალატი, ნეკროფილია, ჰომოსექსუალიზმი, ინცესტი, ჯადოქრობა და ა.შ.

შარიათის წესის დროს მსხვერპლს აცვია სპეციალური ტანსაცმელი, რაც მის სახეს ფარავს, რათა ხალხმა მისი ვინაობა არ გაიგოს. ყველაზე მძიმე დანაშაულის დროს, მაგალითად, რწმენის შეცლისას, საჯაროდ აცხადებენ მსხვერპლის სახელს. ჩაქოლვა ხდება ქვების მეშვეობით. ქვა უნდა იყოს არც ძალიან დიდი რომ მალე მოკლას, და არც ძალიან პატარა, რომ ვერ შეძლოს ძლიერი ტკივილის მიყენება. ბოლო მომკვდინებელი ქვა ან ტყვია უნდა ესროლოს ოჯახის წევრმა, მიუხედავად მისი სურვილისა. დასჯის ერთ-ერთი ფორმაა გამათრახება, რომელსაც იყენებენ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებლებზე, პირზე, რომელმაც ქორწინების გარეშე დაამყარა სექსუალური ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა ეს წყვილი დაქორწინებას. ამ მოტივით ასევე შეიძლება დააპატიმრონ ისინი.

ცნობილია რომ, ქურდობის ან ყაჩაღობის მრავალჯერადად დაფიქსირების შემთხვევაში, დამნაშავეს კვეთენ მარჯვენა ხელს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

რელიგია. ირანი არის ისლამური ქვეყანა, რომელიცაა წინასწარმეტყველი მუჰამედის სწავლებაზე დაფუძნებული. ის ჩვენი წელთაღრიცხვით მე-7 საუკუნეში მოღვაწეობდა. ისლამის მიმდევართა რწმენით, ადამიანსა და ბუნებას ერთადერთი ღმერთი „ალაჰი“ განაგებს. მაჰმადიანებს 5 ძირითადი ვალდებულება აკისრიათ, რომლის დარღვევის შემთხვევაში მკაცრად ისჯებიან. 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ დიდად გაზარდა რელიგიის როლი ირანის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ აქამდე მეჩეთში სალოცავად დადიოდა მოსახლეობის 10%-მდე, ახლა ეს რიცხვი 70%-მდე აღწევს, მაგრამ გაურკვეველია მათი მეჩეთში სიარულის მოტივი. ეს არის რწმენასთან დაკავშირებული თუ პოლიტიკასთან.

ირანელები შიიტები არიან.

ირანში მორწმუნე სადაც არ უნდა იყოს, ევალემა რომ დღეში 5-ჯერ ილოცოს. თან ყოველთვის უნდა იქონიოს ქვა (სიპი ქვა), რომელსაც ლოცვის დრო ეხება თავით. ამ დროს მლოცველი მიმართულია მექის მხარეს. ყოველ დღე ლოცვის დროს მოლა ქადაგებს პოლიტიკაზე, მაგრამ განსაკუთრებით პარასკევის ლოცვაზე (ამ დროს ილანძვება დასავლური ლიბერალიზმი და ამერიკა).

მუჰამედის დაბადების დღეს - 20 აპრილს, ყველამორწმუნეს ევალემა მოილოცოს მექა ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ან თუ ფინანსები უწყობს ხელს ყოველწლიურად. როგორც წესი, ამ დროს ცხვარს სწირავენ ალაჰს. სახლში დაბრუნებულებს კი მოიხსენიებენ ჰაჯის სახელით. დღეისათვის ირანის კონსტიტუციას ისლამურ კონსტიტუციასაც უწოდებენ, რადგან ყველა კანონი ამ სარწმუნოებიდან გამომდინარეობს. შიიტები ყველაზე მეტად აღნიშნავენ 3 დღესასწაულს: 1) დღე, როდესაც მუჰამედმა ალი წარუდგინა ხალხს როგორც წმინდანი ანუ „იდე-კადირე-ხომ“, ეს არის იმ სოფლის წყაროს სახელი, სადაც ეს ამბავი მოხდა. 2) ალის დაბადების დღე, 3) 12 წმინდანის დღე – „ნამირე-შა-ბინ“, ანუ თხუთმეტი შაბანი (თვე). ასევე ერთთვის მარხვის ბოლოს აღნიშნავენ „ეიდე-ფე-თრი“ – ეს არის დიდი დღესასწაული, ოჯახები და ნათესავები ერთმანეთს ესტუმრებიან და იმართება მცირე ნადიმი.

ტრადიციული დღესასწაულები. ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულები. ახლა კი გაგაცნობთ იმ დღესასწაულებს, რომლებიც საუკუნების მანძილზე შემოჩა ირანში. 1) „შაბეი-ალდა“- ეს აღნიშნება 26 დეკემბერს, ყველაზე გრძელ ღამეს წელიწადში და ნიშნავს დღეგრძელობას. ამ დროს ათენებენ ღამეს და სუფრაა გაშლილი, რისი აუცილებელი ატრიბუტებიც არის: ბროწეული და საზამთრო, ასევე სხვადასხვა ნამცხვარი, ხილი, თხილი, მზესუმზირა. 2) „ნოვრუზობა“ (ბუნიაობა) ანუ ახალი წელი. ნოვრუზობა უკავშირდება გაზაფხულის დასაწყისს, დღისა და ღამის გათანაბრებას, ეს დღეა 21 მარტი. ამ დღესასწაულის დაარსება უკავშირდება მეფე „ჯომშუნდას“, რომლის დროსაც, ლეგენდის მიხედვით, ხალხი ცხოვრობდა ბედნიერად, ყოველგვარი მანკიერების გარეშე. „ნოვრუზი“ ვეფხისტყაოსანშიც არის აღწერილი, სადაც ფატმან-ხათუნი ავთანდილს უამბობს ნოვრუზობის დღესასწაულის შესახებ, ამ დროს იმართებოდა დიდი პურობა, მოლხენა, სიმღერა, ცხენთა რბოლა და ა. შ.

ძველად 13 დღის განმავლობაში აღნიშნავდნენ ნოვრუზობას, ბოლო დღეებში იმართებოდა რიტუალები. ერთ-ერთია: „საგანგებოდ აბიბინებული“ ჯეჯილის გარშემო გასათხოვარი ქალები ცეკვავდნენ და უმღეროდნენ ჯეჯილს, რომელიც ითვლებოდა სიცოცხლის განახლების სიმბოლოდ. ასევე ხდებოდა გამოსვლები ქუჩაში ნიღბებით და დაკონკილი სამოსით. ახალგაზრდა ქალები კარდაკარ დადიოდნენ და სურსათ-სანოვავს აგროვებდნენ მოსახლეობისაგან, რომლებიც დიდი სიხარულით გასცემდნენ ძღვენს, რადგან ეს დიდ სიკეთედ ითვლებოდა.

ასევე 7-ჯერ ცეცხლზე გადახტებოდნენ (ჩვენ ეს დღესასწაული შეიძლება ქართულ ტრადიციულ დღესასწაულებსაც შევადაროთ, როგორებიცაა ალილო, ბერიკაობა და ჭიაკოკონობა) ნათესავები ერთმანეთს სტუმრობდნენ და პატივს სცემდნენ. დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ეს დღესასწაული. ეწყობა სუფრა, სადაც აუცილებლად უნდა იყოს საკვებთან და ხილთან ერთად 7 სიწმინდე. ასევე უნდა იყოს ფერადი კვერცხი – მარადიულობის სიმბოლო, თევზი აკვარიუმში – სიცოცხლის სიმბოლო (თევზები თითქმის ყველა ოჯახში ყავთ). ასევე ერთმანეთს უცვლიან მონეტებს, ეს რიტუალი ბარაქის ნიშანია. ბოლო დღეებში იმართება სპორტული შეჯიბრებები და მე-13 დღეს გადიან ქალაქგარეთ, გასართობად.

რაც შეეხება ეკონომიკას, მისი მდგომარეობა ომის დამთავრების შემდეგ უფრო მეტად მწვავე და აქტუალური გახდა ეკონომიური უსაფრთხოების საკითხები. საერთაშორისო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინად იგულისხმება ეკონომიკის მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ქვეყნის საკმაოდ მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური მოთხოვნილების ეფექტიანი დაკმაყოფილება; სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობა და გამოყენება; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

„ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნება ი.ი.რ-ს პრაქტიკაში ახალია, მსოფლიო პრაქტიკაში ის საკმაოდ გავრცელებული და გამოკვლეულია. ეს ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ისეთი ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაა, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების დაცვა, საზოგადოების სოციალური განვითარება, სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვით უნარებისა და პოტენციალის განვითარება, მიუხედავად გარე და შიდა პროცესებისა. გარდა ამისა, ეკონომიკური უსაფრთხოება ხასიათდება სახელმწიფო ინსტიტუტების უნარით შეიმუშაოს და განახორციელოს რიგი ზომები ეროვნული ინტერესების თუ ეკონომიკური განვითარებისა, ასევე სახავს სახელმწიფო პოლიტიკას, რათა შეუწყოს ხელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ მდგრად განვითარებას.

თანამედროვე რეფორმის ეტაპის მთავარი მიზანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა. ირანის ეკონომიკაში კრიზისის დამლევას ხელს უწყობს არა მარტო ცალკეული დარგების დროებითი სტაბილურობა, არამედ მათი შემდგომი განვითარებაც.

საინტერესო ფაქტები

- დღეს მთავრობა ცდილობს შექმნას ინტერნეტის ახალი პროგრამა, რაც ბლოკავს სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა პორნო საიტებს.
- ირანში ახალი კანონის მიხედვით, პოლიტიკოსებს არ უნდა ეკეთოთ ჰალსტუხი. ასევე უნდა ატარებდნენ პატარა, მაგრამ მოვლილ წვერს.
- ჰიჯაბზე ქალების უმეტესობა იმახის რომ, ისაა „მათი ციხესიმაგრე და არა ციხე“. ასევე, თვლიან რომ თავშალი არის მათი ქალურობისა და სიწმინდის

სიმბოლო.

- დედას ძალიან დიდ პატივს ცემენ, რადგან მიაჩნიათ რომ, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიმკვიდრებენ სამოთხეს.
- ირანში ავღანეთიდან შედის დიდი რაოდენობით ნარკოტიკები. როგორც საქართველოში მოსახლეობა იყენებს ალკოჰოლს, ასევე ირანში, მიუხედავად ამკრძალავი კანონებისა, იგივე მოსახლეობის რაოდენობა იღებს ნარკოტიკს. ყველაზე ხშირია ოპიუმი და ჰაშიში, ე.წ. პლანი. გახშირდა ახალი ნარკოტიკი შიშე, ის წააგავს შუშის ნამტვრევებს.
- შარიათი არის რჯულის კანონი, მუსლიმანურ სამყაროში, რის მიხედვითაც უნდა იცხოვროს ყველა მორწმუნემ.

Iranian culture, traditions and life-saving seeing by the sociologist eyes

*Giga Simonishvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article presents Iranian culture, traditions and life-saving seeing by the sociologist eyes. Its historical review is briefly presented. The main focus is on Iranian traditions and life. It is about the family institution, the role of the wife and the father relationship and in the child's upbringing. There are also traditions of marriage and divorce, and their causes, birth and death-related traditions and ritual selection of a newborn name.

The article focuses on gender equality, the status of women in the family and society. The article describes the methods of punishing offenders, which are distinguished by Iran from many countries.

The article describes the religion of Iran and the religious rituals and traditional holidays that are the most important for the country's population. The article ends with interesting facts that are characteristic for Iran.

Keywords: religion, family, marriage, punishment, tradition.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ალექსი ბარბაქაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნატოსთან რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიული და პოლიტიკური ასპექტები

რეზიუმე

ნატოსთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიულ და პოლიტიკურ ასპექტებს ორი განუსაზღვრელი განზომილება აქვს. პირველი, ეს არის XX საუკუნის უსაფრთხოების სფეროში დღის წესრიგი - ევროპაში ომის შესაძლებლობა, რომელიც ჯერ კიდევ ღიაა. მეორე, 21-ე საუკუნის უფრო ამორფული დღის წესრიგია, რომელიც დაკავშირებულია ტრანსსასაზღვრო გამოწვევებთან და ევროპის გარეთ გამოწვეული უსაფრთხოების საფრთხესთან.

იგი ასევე განიხილავს კრიზისის დარეგულირების ამოცანებს. ორივე განზომილება საფრთხეს უქმნის რუსეთს აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის როლი მოითხოვს უფრო მეტ მონაწილეობას კრიზისის საერთაშორისო მოგვარებაში. რუსეთში არსებული ეკონომიკური სანქციების გამო რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა საკმაოდ დამაბუღია. მიუხედავად ამისა, მომავალი თანამშრომლობა დამოკიდებულია მსოფლიო კრიზისულ საკითხებზე. ეს საკითხი დასავლეთსა და რუსეთს კარგად ესმის.

საკვანძო სიტყვები: ნატო, სტრატეგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები.

შესავალი

ნატოსთან რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების სტრატეგიულ და პოლიტიკურ ასპექტებს ორი განუყოფელი განზომილება აქვთ. პირველი, ესაა მე-

20 საუკუნის უსაფრთხოების სფეროში არსებული დღის წესრიგის – ევროპაში ომის ყოველგვარი შესაძლებლობის გამორიცხვის – საკითხების გადაჭრა, რომლებიც დღემდე ღია რჩება. მეორე, ესაა 21-ე საუკუნის უფრო ამორფული დღის წესრიგი, რომელიც ევროპის ფარგლებს გარეთ გენერირებულ ტრანსსასაზღვრო გამოწვევებთან და უსაფრთხოებისთვის არსებულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული. იგი ამასთან ერთად კრიზისების დარეგულირების ამოცანათა გადაჭრასაც მოიცავს.

ძირითადი ნაწილი

საფრთხეების ორივე განზომილება რუსეთს აშშ-სთან, ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობის წინაშე აყენებს. კრიზისების საერთაშორისო დარეგულირების საკითხთა გადაჭრაში მეტ მონაწილეობას გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსიც მოითხოვს.

ა. ნიკიტინის აზრით, რუსეთისა და დასავლეთის ამოცანაა – გადადგან ნაბიჯი ერთმანეთთან შესახვედრად „სამშვიდობო მოქმედებათა ურთიერთ-არაღიარების პრინციპით“ ან მოძებნონ „კონფლიქტებში სამხედრო ძალის გამოყენების ერთობლივი და ურთიერთმისაღები ფორმები“. [1:68] ამასთან დაკავშირებით მეცნიერი რუსეთის მშვიდობისმყოფელობის განვითარების შემდეგ პერსპექტიულ მომართულებებს აყალიბებს. პირველი, ესაა რუსეთის, აშშ-ს, ნატოს, ევროკავშირისა და გაეროს ფორმატში კონსულტაციების მექანიზმის ფორმირება ევრაზიულ რეგიონში კრიზისული სიტუაციების წარმოშობისა და მათი დარეგულირების აუცილებლობის შემთხვევისთვის. მეორე, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების ევრაზიული საკოორდინაციო საბჭოს შექმნა ნატოს, ევროკავშირის, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და ეუთო (ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია) შემადგენლობით და გაეროს მონაწილეობით კრიზისების დარეგულირების პრობლემების გადაჭრაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის შეთანხმებისა და გადანაწილების მიზნით. მესამე, რუსეთის, როგორც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს წევრის, მიერ გაეროს გადაწყვეტილების ინიცირება ავღანეთ-ტაჯიკეთისა და ავღანეთ-უზბეკეთის საზღვარზე მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისათვის მანდატის მინიჭების თაობაზე. მეოთხე, კრიზისთა ერთობლივ დარეგულირებასთან დაკავშირებულ ისეთ შეთანხმებათა კომპლექსის შემუშავება და მიღება, რომლებიც, განავითარებდნენ რა ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთქმედების გამოცდილებას „ბერლინ-პლიუსის“ შეთანხმების ფარგლებში, განამტკიცებდნენ ნატოსთან რუსეთის ურთიერთქმედების პრინციპებსა და მექანიზმებს კრიზისულ სიტუაციებში და მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების ოპერაციებისას შესაძლო ერთობლივი ქმედებების მსვლელობისას. მეხუთე, რუსეთისა და ნატოს სპეციალური კონტინგენტების ფარგლებში სამხედრო სამშვიდობოების სწავლებისა და ერთობლივი მომზადების პროგრამების კოორდინაცია.

მითითებული რეკომენდაციების შესრულება ნატოსთან და ევროკავშირთან რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის დღის წესრიგის „შევსებასა“ და, შესაძლოა, კრიზისების დარეგულირების ერთობლივი ოპერაციების განხორციელებასაც შეუწყობდა ხელს. ამასთან ერთად, წარმოდგენილი რეკომენდაციების მასშტაბი შესაბამის პოლიტიკურ ნებას მოითხოვს, რომელიც ამჟამად არ არსებობს. და ეს ბუნებრივიცაა, დღეისათვის რუსეთს უაღრესად დაძაბული ურთიერთობა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან. უკრაინის მოვლენების შემდეგ რუსეთს დასავლეთის მხრიდან დაწესებული აქვს ეკონომიკური სანქციები. მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს კარგად ესმის ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ კაცობრიობის წინაშე აკისრიათ და გარკვეულ საკითხებში თანამშრომლობა აუცილებელი ხდება. [1:95]

სამხედრო თანამშრომლობა ვერ გაუსწრებს პოლიტიკურ ნაბიჯებს. ამასთანავე უკიდურესად რთულია იმ საზღვრის დადგენა, რომელიც რუსეთმა და ნატომ არ უნდა გადაკვეთონ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის პროცესში. მაგალითად, დემონსტრაციულ-საჩვენებელი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შეთანხმების შესრულების ძალების შემადგენლობიდან რუსეთის ძალების გაყვანასთან (2003წ. ივნისი) და ნატოს ხელმძღვანელობის მოქმედი, კოსოვოსთვის განკუთვნილი ძალების გაყვანასთან (2003წ. ივლისი) იყო დაკავშირებული.

რუსეთში კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორის დ. ტრენინის აზრით, მოცემულ სიტუაციაში „რუსეთის ეროვნული ინტერესი მოდერნიზებისთვის გარე რესურსების მაქსიმალურად ფართო მოზიდვას მოითხოვს“, ვინაიდან პრაგმატიზმი, რომლითაც დღესდღეობით რუსული საგარეო პოლიტიკა იკვებინს, კვლავად „შიშველი“ რჩება, ხოლო ეროვნული ინტერესი მასში ცალკეული მონოპოლისტების კონკრეტული ინტერესებითაა შეცვლილი“. რუსეთმა, მისდევს რა „ნარჩენი კონფრონტაციის“ ინერციას, ხელიდან გაუშვა მორიგი შანსი მტკიცე ფუნდამენტი ჩაუყარა ნატოსთან თანამშრომლობას მიმდინარე სამხედრო რეფორმის მსვლელობისას, კერძოდ, არ გაითვალისწინა თავისი შეიარაღებული ძალების ხელახალი გადაიარაღების პროგრამებში პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის მონაწილე ქვეყნების ოპერატიული თავსებადობის სტანდარტები. [2]

თავისი ერთგულება საკვანძო სფეროებში სამხედრო შესაძლებლობების დახვეწისადმი ნატომ პირველად 1999 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში დაადასტურა. ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციაში და 1999წ. ვაშინგტონის სამიტზე მიღებულ სხვა დოკუმენტებში ნატოს საბჭომ განსაზღვრა პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამის სრულყოფისა და მოდერნიზების გზები, მათ შორის პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარების სხვადასხვა ასპექტები, ოპერატიული შემადგენელი და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი.

ამ გადაწყვეტილებებს საფუძვლად ედო ალიანსის მისწრაფება უფრო დეტალურად დაემუშავებინა კრიზისების ერთობლივი დარეგულირების

მექანიზმი და ერთობლივი ოპერაციების ფარგლებში ოპერატიული თავსებადობის გაზრდის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციები შეემუშავებინა პარტნიორ სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრთა და საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრების მსვლელობაში ხდებოდა ამ გადაწყვეტილებების სხვადასხვა ასპექტების არაერთგზის კორექტირება.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ - ესაა პარტნიორ ქვეყნებთან ალიანსის თანამშრომლობის მექანიზმი, რომლის ფარგლებში კონკრეტული პროგრამების საფუძველზე, რომლებიც პარტნიორთა ინდივიდუალურ პოტენციალებსა და დაინტერესებას ითვალისწინებს, თანხმდება კონკრეტული ნაბიჯები გამჭვირვალობის გაზრდასთან, დაგეგმვის სრულყოფასთან, ბიუჯეტის ფორმირებასთან, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებასთან და მე-5 მუხლის მოქმედებას დაუქვემდებარებელი ერთობლივი ქმედებების განხორციელების განვითარებასთან დაკავშირებით. [3]

პროგრამას საფუძვლად ბოსნიასა და კოსოვოში ძალთა გამოყენების გამოცდილება უდევს. თავდაცვითი პოტენციალის შესახებ ინიციატივამ მუშაობის საკვანძო მიმართულებები განსაზღვრა: ძალების ოპერატიული გაშლის უნარი და მობილობა; კრიზისის ზონაში სწრაფი გადასროლა; შეიარაღებული ძალების ეფექტიანი ჩარევა და მათი დარტყმითი შესაძლებლობების სრულყოფა; კონსულტაციები, კონტროლი და მეთაურობა ძალების მიერ ინფორმაციის მაქსიმალური ფლობის უზრუნველყოფის მიზნით; მათი მდგრადობა და დაცულობის ამაღლება; საბრძოლო მობილობა და მომარაგება; სამხედრო მოქმედებებთან თეატრზე ძალთა მხარდაჭერა.

ნატოს ხელმძღვანელობით ჩასატარებელი ოპერაციებისთვის სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვის საფუძვლები და დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი შემდეგ სხვადასხვა სტადიებზე ოპერაციების მომზადებისა და დაგეგმვის პროცესში ნატოს პარტნიორი ქვეყნების მაქსიმალურად მჭიდრო ჩართვის პრინციპებს მოიცავს:

1) კრიზისამდელი სტადია. ყველა ქვეყანას აქვს მომავალ მისიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები თავისი მონაწილეობის მასშტაბის განსაზღვრის გარეშე. სამხედრო უფლებამოსილი წარმომადგენლები, მათი მთავრობების მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოს დებულებებთან, პარტნიორობის განვითარების ამოცანებსა და შეფასებებთან შესაბამისობაში განიხილავენ მომავალ ოპერაციაში მონაწილეობის პრეტენზიის მქონე ქვეყნების პოტენციალს იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება ის ამოქმედდეს. კრიზისამდელ სტადიაზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ არაწევრი ქვეყნებისთვის ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა, ხოლო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე ქვეყნებისთვის პარტნიორობის სამუშაო გეგმა მიიღება, რომლებიც ერთობლივი წვრთნების, საბრძოლო მზადების ღონისძიებების და ოპერატიული თავსებადობის ამაღლებისა და საბრძოლო ეფექტიანობის

ამაღლების სხვა ზომების გატარების საფუძველი ხდება. ყველა ეს ზომა მკაცრად ხორციელდება საერთო-საჯარისო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთების კონცეფციის (Combined Joint Task Forces Concept) ფარგლებში. [4]

საერთო-საჯარისო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთები – ესაა მრავალეროვნული და მრავალფუნქციური ოპერატიული შენაერთები, რომლებიც ნატოს ოპერაციების მანდატის შესრულების მიზნით ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალთა სხვადასხვა სახეობებს აერთიანებენ. ეს მექანიზმი ნატოს მიერ ტრადიციული პასუხისმგებლობის ზონის ფარგლებს გარეთ ოპერაციების გაშლას და მათ ევოლუციას გულისხმობს სულ უფრო მოქნილი გრძელვადიანი მისიების განხორციელების, ალიანსის სამხედრო პოტენციალში სამოქალაქო შემდგენელის გაძლიერების და ასევე პარტნიორი ქვეყნების ჩართვის ასევე ევროკავშირის, ეუთოს და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების პასუხისმგებლობის ამაღლების მიმართულებით.

საერთო-საჯარისო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთების უნდა ახერხებდნენ ალიანსის ყველა სახის ოპერაციების შესრულებას. ის შეიძლება ხორციელდებოდეს ორ წელზე მეტი ვადით, მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად და ოპერატიულად თავსებადი უნდა იყვნენ პარტნიორებთან. ასევე ისინი მზად უნდა იყვნენ როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის ხელმძღვანელობით რეაგირებისათვის. ნიშანდობლივია, რომ საერთო-საჯარისო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთების შტაბი მუდმივ საფუძველზე არ ფუნქციონირებს. იგი საჭიროების შემთხვევაში საერთო-საჯარისო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთების ახალი ოპერაციისთვის მოსამზადებლად იკრიბება.

მთლიანობაში ოთხი დოკუმენტისგან (სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვის საფუძვლები, დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი, საერთოსაგანმანათლებლო და საჯარისო მომზადების პროგრამა და ოპერატიული შესაძლებლობების განვითარების კონცეფცია) შემდგარი პაკეტი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რამდენად არიან მზად პარტნიორი ქვეყნები ძალთა სტატუსის შესახებ 1951 წლის შეთანხმების დებულებათა შესასრულებლად.

2) კონსულტაციების სტადია. ის ქვეყნები, რომლებსაც სურთ წვლილის შეტანა დასაგეგმი მისიის რეალიზებაში, აცხადებენ თავის ზრახვას. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა და სიტუაციის ანალიზი, რომელიც მისიის სამხედრო დაგეგმვის დაწყების შესახებ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებით სრულდება.

3) დაგეგმვის სტადია. გრძელდება კონსულტაციები სხვადასხვა დონეებზე და ანალიტიკური ინფორმაციის გაცვლა მრავალმხრივ ფორმატში ოპერაციის კონკრეტული პარტნიორების და მისი მანდატის განსაზღვრამდე. პარტნიორი ქვეყნები სრულიად ეცნობიან გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბის მუშაობას.

4) შესრულების სტადია. ოპერაციის შესრულების მსვლელობისას ყველა მონაწილე ჩაბმულია პოლიტიკური კონსულტაციების და ქმედებების შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესში, მათ შორის ოპერაციაში ძალის გამოყენების წესების გაცნობაში, ოპერატიულ გეგმაში და სამხედრო ქმედებების თეატრიდან გასვლის სტრატეგიაში. მათი ჩართულობის ხარისხი კონკრეტული ოპერაციის მანდატის სპეციფიკაზე და მოცემული ქვეყნის ოპერატიულ პოტენციალზეა დამოკიდებული.

პერსპექტივაში პარტნიორობის ამოცანების სახით ორ წელიწადში ერთხელ დამტკიცებულმა პოლიტიკურმა დირექტივებმა უნდა შეცვალონ ოპერატიული თავსებადობის უზრუნველყოფის ამოცანები. დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი პირველად 1994 წ. იყო ინიცირებული და თოთხმეტ პარტნიორ ქვეყანას მოიცავდა. ყოველ მომდევნო ორ წელს ის ღრმავდებოდა ყველაზე წარმატებული მიმართულებით და 1998 წ.-თვის მასში ოცზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა, რამაც არსებითად გაზარდა სამხედრო პოტენციალთა გამჭვირვალობა და ნათელი გახადა სურათი, თუ რა სამხედრო შესაძლებლობები შეიძლება იყოს ჩართული ნატოს ოპერაციებში. [5]

ნატოს ძალთა ანალიზის, დაგეგმვისა და წვრთნის მექანიზმებში პარტნიორთა ინტეგრირების პროცესი აგებულია ურთიერთქმედების თანდათანობით გართულების ალგორითმის თანახმად, რაც ერთობლივი მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავების, ასევე ჩატარებული წვრთნებისა და რეალიზებული პროგრამების შეფასების გზით ხდება.

ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის ამოცანა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ოპერატიული პოტენციალის ახალი საშუალებების და ამალების მექანიზმების შემუშავება გახდა, რაც უფრო მჭიდრო სამხედრო პარტნიორობის განვითარების ხარჯზე მიიღწევა. კონცეფცია ორ პრინციპულ პრობლემას ჭრის: ნატოს ხელმძღვანელობით ოპერაციების ჩატარებაში ჩაბმული ეროვნული ძალების კონსტრუქციული ხელშეწყობის უნარის დახვეწა და მაქსიმალური მოქნილობისა და სამხედრო პოტენციალისა ასევე ნატოს პარტნიორთა და წევრ-სახელმწიფოთა გაერთიანებულ პოტენციალში სავარაუდო წვლილის წინასწარ გამოცნობის მიღწევა.

დასკვნა

კონცეფცია არ წარმოადგენს კომპრომისს სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებაში ალიანსის უნარიანობის თვალსაზრისით მისი მთლიანობის და სრულყოფის საკითხებში. ნატო ცდილობს შეინარჩუნოს ავტონომიურობა და სხვა ქვეყნების პოტენციალი მხოლოდ ორმხრივი თანხმობის საფუძველზე და ცალკეული ქვეყნის სამხედრო-ტექნიკური განვითარების დონის მიუხედავად გამოიყენოს, ვინაიდან სამხედრო შესაძლებლობათა მომზადება და ნატოს პოტენციალთან ოპერატიულ შესაბამისობაში მოყვანა ცალ-ცალკე თითოეული პარტნიორის საქმეა. აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციაში განსაზღვრულია სხვადასხვა მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Никитин А.И. Участие России в международном миротворчестве и перспективы его реформирования // Индекс безопасности. 2010. №2(97).
2. Тренин Д. Эпоха просвещенного эгоизма. К вопросу о настоящем и будущем внешней политики Москвы // Военно-промышленный курьер. 2012. №24.
3. The Alliance's Strategic Concept approved by the Heads of State and Government participating in the Meeting of the North Atlantic Council in Washington. 1999. 24 April.
4. Combined Joint Task Force. Deployable Joint Task Force Headquarters Concept and Implementation. The Mile-stones of the NRF Development. IOC. Washington. 2004.
5. К стратегической концепции Россия-НАТО: Отказаться от наследия холодной войны и вместе отвечать за новые угрозы / Антоненко О., Юргенс И. М.: Институт современного развития. Международный институт стратегических исследований. 2010.
6. Шаклеина Т.А. Россия и США в новом мировом порядке. Дис-кусии в политико-академических сообществах России и США (1991-2002) / Шаклеина Т.А. - М.: Институт США и Канады РАН, 2002.

Strategic and political aspects of Russian military-political relations with NATO

*Alexi Barbakadze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Strategic and political aspects of Russia's military-political relations with NATO have two indefinite dimensions. First, it is the agenda of the 20th century security field - the solution of the possibility of war in Europe, which are still open. The second one is the more amorphous agenda of the 21st century, which is associated with the transboundary challenges and security threats generated outside of Europe.

It also considers the solving tasks of crisis adjustment. Both dimensions of dangers make Russia to need closer cooperation with the US, NATO and EU countries. The role of a permanent member of the UN Security Council require more participation in resolving the international settlement of the crisis. Because of existing economic sanctions imposed on Russia, the relationship between Russia and the West are quite tense. Nevertheless, the future cooperation deeply depends on the world crisis issues. Both West and Russia understand the meaning of the mentioned issue.

კასპის რეგიონში აშშ-ს ევროკავშირისა და ჩინეთის სამხედრო - პოლიტიკური თანამშრომლობა

რეზიუმე

24 ნოემბერს, 2015 წელს, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, თურქეთის საჰაერო პატრულირებისას, რუსული SU-24 თვითმფრინავი, რომელიც დაარღვია თურქული საჰაერო სივრცე 17 წამში ჩამოაგდო თურქეთის F-16 გამანადგურებელი. რუსებმა უარყვეს, რომ ისინი თურქულ საჰაერო სივრცეში იყვნენ, ხოლო ნატო თურქეთის ვერსიაზე დადასტურდა. თურქული წყაროების მიხედვით, იყო გაფრთხილება ხუთი წუთის, რომელსაც რუსეთი აცხადებდა, რომ ისინი არასოდეს მიუღია და თურქეთის წესების ჩართულობის კარგად იყო ცნობილი რუსები. ერთი პილოტი გადარჩა რუსეთის სპეცსამსახურებმა, მაგრამ თურქმენელმა ამბოხებულებმა - იმავე დღეს თურქეთის მიერ მომზადებული და მიწოდებული.

თურქეთის ხელისუფლებამ მაშინვე მიუახლოვდა ნატოს მხარდაჭერა, ნაბიჯი, რომელიც განრისხდა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც ჩამოგდების თვითმფრინავი “a stab უკან.” რუსეთის სამხედრო განაცხადა, რომ თურქული აქცია მანამ დაიგემა ბრალდება თურქეთის გენერალური შტაბის უარყო . თავდაპირველად კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მისი წესების ჩართულობის ნათელი იყო, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი გამოთქვა მწუხარებას ჩამოგდების თვითმფრინავი და იმედი გამოთქვა, რომ კრიზისი შეიძლება იყოს resolved.From ზომები, რუსები მაშინვე აიღო, როგორც ჩანს, მოსკოვი მზად არის ასეთი ინციდენტი. თურქეთი, თურქეთი, იმიგრაცია, ტურიზმი, ტურიზმი, თურქეთი. სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთმა განაცხადა, რომ განათავსებს მისი მოწინავე S-400 ზედაპირულად-ჰაერის ტიპის რაკეტების სირიასა და განაგრძო ფუნქტი პოზიციების Turkmen ბრიგადა, რომ თურქეთი ორგანიზებული, მომზადებული, ამარაგებს იარაღითა და ფული, და მხარს უჭერს სრულად ბრძოლაში ასადთან მიმართებაში. ეფექტურად, რუსეთის საჰაერო ძალების წაშლა ამ ბრიგადა როგორც ნაწილი მოსკოვის კამპანიის დასუსტება ე.წ. ზომიერი ამბოხებულების სირიაში და ასევე მოხვდა უკან თურქეთში ჩამოაგდებენ.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ურთიერთობები, ევროკავშირი, საერთაშორისო თანამშრომლობა

შესავალი

აშშ, ევროკავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კასპის რეგიონში, სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, აქტიურად თანამშრომლობენ. დღეისათვის აშშ დიდ ძალისხმევას მიმართავს კასპის რეგიონში თავისი სამხედრო-პოლიტიკური

ინტერესების რეალიზაციისათვის, იგი ასევე დაინტერესებულია მოსაზღვრე რეგიონების, კერძოდ ახლო აღმოსავლეთის პრობლემებით და დიდ როლს თამაშობს აქ უსაფრთხოების თვალსაზრისით. სულ ცოტა ხნის წინ ერაყში უდიდესი მარცხი განიცადა „ისლამურმა სახელმწიფომ“ და ამაში ლომის წილი აშშ-ზე მოდის. აქედან გამომდინარე ამერიკა აქტიურ გავლენას ახდენს კასპიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე.

ძირითადი ტექსტი

გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში აშშ-ს პრეზიდენტის ბილ კლინტონის ადმინისტრაციის მიერ ძალაში შევიდა „პროგრამული ლიდერობის“ სტრატეგია, რაც გულისხმობდა პარტნიორებთან ერთად კოორდინირებული მოქმედების გეგმას საერთო ინტერესების რეალიზაციისათვის, მაგრამ მთავარი მოქმედი აქტორი აქ აშშ იქნებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან აშშ-ს ამგვარი სტრატეგია განმტკიცდა კასპიის რეგიონშიც. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ნებისმიერი დიდი სახელმწიფო ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას. აშშ-ს რესურსებიდან გამომდინარე კი, როცა მას უკვე მსოფლიოში ისეთი მასშტაბის მეტოქე აღარ ჰყავდა, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, მოვლენები ლოგიკურად განვითარდა. ამერიკის მსოფლიო ლიდერობის განმტკიცებაზე მეტყველებს 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და სულ ახლახან 2017 წლის ბოლოს დამტკიცებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ხაზგასმულია აშშ-ს გლობალური მნიშვნელობა.

არც 2010 წლის აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, არც 2012 წლის სამხედრო დოქტრინაში კასპიის რეგიონი არ არის მოხსენიებული, როგორც აშშ-ს ეროვნული ინტერესების სფერო, მაგრამ ირანს, რომელიც წარმოადგენს როგორც კასპიის რეგიონის სახელმწიფოს ისე ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშეს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აშშ-ს უსაფრთხოების სფეროში. აშშ ირანს განიხილავს, როგორც საფრთხეს. იგი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას და იმ ფაქტს, რომ ბირთვული იარაღი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხვდეს ექსტრემისტების ხელში.

ამერიკის მისწრაფება, ითამაშოს განსაკუთრებული როლი ირანის ბირთვული პროგრამის გადაჭრაში, კერძოდ არ დაუშვას ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა, გავლენას ახდენს კასპიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ხასიათზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ კასპიის რეგიონის დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განმტკიცებით, აშშ ცდილობს შეასუსტოს რუსეთის ფედერაციისა და ირანის სამხედრო პოლიტიკური პოტენციალი რეგიონში.

ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი აშშ-ს მხრიდან აქტიურ მხადაჭერას იღებენ კასპიისპირეთში სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირებასა და გაწვრთნაში. აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობა კასპიისპირეთის სახელმწიფოებთან, ამერიკას

საშუალებას აძლევს შეასუსტოს როგორც რუსეთის, ისე ირანის სამხედრო სიძლიერე კასპიის რეგიონში, გააკონტროლოს კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების მარშრუტები მსოფლიო ბაზარზე და მოახდინოს სამხედრო ზეწოლა ირანზე, რომელიც ბირთვული პროგრამის რეალიზაციას ცდილობს.

აშშ-ს მხარდაჭერა ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთისადმი კასპიის რეგიონში სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირებაში მიმართულია ამ უკანასკნელთა ნავთობისა და ბუნებრივი აირის ადგილმდებარეობის დაცვაზე, რომლის გადამუშავებაშიც დიდ ინვესტიციებს დებენ დასავლური კომპანიები. აშშ-ს მხარდაჭერა ამ ქვეყნებისადმი ასევე ითვალისწინებს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაუშვებლობას კასპიის ზღვის გავლით ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. [1] თავის მხრივ ახალგაზრდა კასპიისპირა სახელმწიფოები ესწრაფვიან განამტკიცონ თავიანთი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა რუსეთის ფედერაციისაგან და იღებენ გარე მოთამაშეების, პირველ რიგში კი აშშ-ს მხარდაჭერას ამ მიზნის მისაღწევად.

კასპიის რეგიონში აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გაძლიერება ხელს უწყობს აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციას „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ (Greater Middle East) რეგიონში, ასევე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და ენერგორესურსებზე კონტროლს. [2:109]

2012 წელს აშშ-ს სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ წერია, რომ ჩინეთის როგორც ძალის რეგიონალური ცენტრის დამკვიდრება, პოტენციურად ახდენს აშშ-ს უსაფრთხოებაზე გავლენას. დოქტრინაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში მეტისინათლე უნდა იყოს შეტანილი და იგი ეხამებოდეს ჩინეთის სტრატეგიულ მიზნებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში დამაბულობის თავიდან ასაცილებლად. აშშ ცდილობს არ დაუშვას ჩინეთის სამხედრო ექსპანსია, როგორც აზია-წყნარი ოკეანის აუზში, ისე ცენტრალურ-აზიასა და კასპიის რეგიონში, სადაც აშშ წინ წამოსწევს თავის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩინეთი სამხედრო ძალაზე ნაკლებად აკეთებს დღეს აქცენტს, მისი პოლიტიკა უფრო „რბილი ძალის“ დოქტრინაზე აგებული.

ევროკავშირი აქტიურად არ ეხმარება კასპიისპირეთის სახელმწიფოებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობაში, რამდენადაც მისთვის პრიორიტეტული არ არის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა, რუსეთის შესუსტების ხარჯზე, რამდენადაც იგი ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორია, მიუხედავად დღეისათვის დაწესებული სანქციებისა. ევროკავშირს არ გააჩნია საკმარისი რესურსი, რათა კასპიისპირა სახელმწიფოებს სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს, ამიტომაც იგი ეყრდნობა უკვე არსებულ აშშ-ს რესურსებს და იყენებს რბილ ძალას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისათვის რეგიონში. რბილი ძალის მეშვეობით ევროკავშირი ცდილობს

კასპისპირეთის სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიზაციას, რათა ამით უფრო მიღწევადი გახადოს ნავთობსა და ბუნებრივი აირზე საკუთარი კომპანიების მიღწევადობა. [2:94]

ევროპას, რომელსაც ორი მსოფლიო ომის გამოცდილება აქვს, თავის საგარეო პოლიტიკაში „ძალის გამოყენებაზე, როგორც საერთაშორისო დავების გადაჭრის ხერხზე, უარის ამბობს“, რაც ჰელსინკის დასკვნითი აქტის და ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტიის საფუძველი გახდა. მე-20 ს. 70-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ ევროკავშირის გეოპოლიტიკურ კონცეფციას საფუძვლად სამოქალაქო ძალის კონცეფცია უდევს. მოცემული კონცეფცია საგარეო-პოლიტიკური ინტერესების რეალიზებას თანამშრომლობის ინსტიტუტებისა და უპირატესად ზეგავლენის ეკონომიკური საშუალებების მეშვეობით გულისხმობს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნად არ ისახავს თავისი გავლენის გაძლიერებას კასპის ზღვაში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში და არ ავითარებს სამხედრო თანამშრომლობას კასპისპირა სახელმწიფოებთან, მაგრამ თვალს ადევნებს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის განვითარებას. ვინაიდან ჩინეთის ნავთობაირის კომპანიები არ არიან დაკავებული კასპის საზღვრების დამუშავებით კასპის ზღვის აკვატორიაში, უშუალოდ კასპის ზღვის აკვატორიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ წარმოადგენს ჩინეთისთვის პრიორიტეტს. [3:267]

რუსეთი და ირანი ცდილობენ შეინარჩუნონ თავისი ტრადიციულად დომინირებული სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები კასპის ზღვაზე დანარჩენ სანაპირო სახელმწიფოებთან მიმართებაში და არ დაუშვან რეგიონგარეშე მოთამაშეთა სამხედრო მონაწილეობა კასპის ზღვაზე, რაც შეარყევს მათ სტატუსს კასპისპირეთში. რუსეთის ფედერაცია ცდილობს თავიდან აიცილოს გარე მოთამაშეთა აქტიური ჩაბმა კასპისპირა სახელმწიფოთა სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირებასა და წვრთნაში. ნ. აშენკამპფი და ს. პოგორელსკაია სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში კასპის რეგიონში რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური ინტერესის სახით გამოყოფენ „სტაბილურობის ზონების შექმნას რეგიონში“.

გარე აქტორთა შეღწევა კასპის ზღვის რეგიონში მათ მიერ წამოყენებული სხვადასხვა ინიციატივების და კასპისპირა რესპუბლიკებთან სამხედრო თანამშრომლობის პროგრამების რეალიზაციის გზით კასპისპირეთში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერესებისათვის საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან შეუძლია რეგიონგარეშე მოთამაშეთა სრული კონტროლის ქვეშ აიყვანოს კასპის ზღვის აკვატორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1997 წლის რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში არ არის გაანალიზებული კასპის რეგიონის ადგილი რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესების სისტემაში და არ არის იდენტიფიცირებული არსებული საფრთხეები, რომლებიც კასპის რეგიონიდან მომდინარეობს. 2020წ. რფ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია კასპის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთის ფედერაციის სახელ-

მწიფო საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში „ენერგორე-სურსების წყაროების, მათ შორის კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალურ აზიაში გავლენის შენარჩუნებისადმი გრძელვადიან პერსპექტივაში საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების“ ასპექტში. მოცემული სტრატეგია გამოხატავს რუსეთის ფედერაციისათვის კასპიის ზღვის ზონის, როგორც სასაზღვრო რეგიონის, მნიშვნელობის გაზრდას რეგიონში გარე აქტორთა აქტიური შეღწევის პირობებში. [3:156]

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის პრიორიტეტების სახით გამოიყოფა, მათ შორის, „კოლექტიური უსაფრთხოების და ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფის ინტერესებში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებთან თანამშრომლობა ძალისხმევის კონსოლიდაციისა და კოლექტიური ძალების შექმნის მიმართულებით; ასევე სხვა სახელმწიფოებთან – დსთ-ს მონაწილეებთან რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“. მოცემული დოკუმენტის თანახმად, კასპიის სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა განიხილება როგორც თანამშრომლობა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, რომლის ერთ-ერთი წევრია ყაზახეთი, და დსთ-ს სახელმწიფოებთან, რომლებსაც წარმოადგენენ კასპიის სახელმწიფოები ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი. [4:345]

დასკვნა

ამრიგად, კასპიის რეგიონი წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე რეგიონებში, დსთ-ს სივრცეში გარე მოთამაშეთა – აშშ-ს, ევროკავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საკვანძო რეგიონული მოთამაშის – რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის სტრატეგიათა შემადგენელ ნაწილს. კასპიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის ფორმირებაში როგორც გარე მოთამაშეთა შორის, ისე არარეგიონულ მოთამაშეებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთქმედების კონკურენტული ხასიათი ახდენს კასპიის რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზებას და არ უწყობს ხელს საკვანძო რეგიონული საფრთხეების დარეგულირებას. ამჟამად რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მოქმედებს ეკონომიკური სანქციები, როომელიც ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული კონფლიქტის შემდეგ მიიღეს აშშ-სა და მთლიანად დასავლეთში. აშშ თანდათან აძლიერებს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ამით დასავლეთი ფიქრობს, რომ დაასრულებს რუსეთს და უარს ათქმევინებს აქტიურ საგარეო ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე. თუმცა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, პირიქით, ეს ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და შესაბამისად არც გეოპოლიტიკურ ინტერესზე იქნება უარი ნათქვამი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The White House. Washington. National Security Strategy. May 2010.
2. Колосов Ю.М., Кривчикова Э.С. Международное право. М.: Международные отношения, 2007.
3. Ашенкамф Н.Н., Погорельская С.В. Геополитика. М.: Академический Проект, 2010.
4. Колосов Ю.М., Кривчикова Э.С. Международное право. М.: Международные отношения, 2007.
5. Абишев А. Каспий. Нефть и политика. 2-ое изд. Астана: 2004.
6. Andrews-Speed Philip and Roland Dannreuther. China, oil and global politics. Routledge, Abington, Oxon, 2011.
7. Bahdat Gawdat. Energy Security. An Interdisciplinary Approach. John Wiley&Sons, Ltd, Chichester, 2011.
8. Campbell Kurt and O’Hanlon Michael. Hard Power: The New Politics of National Security. New York: Basic Books. 2006.
9. China’s “New” diplomacy. Tactical or Fundamental Change? Edited by Pauline Kerr, Stuart Harris, Qin Yaqing. New York, Palgrave Macmillan, 2008.

Military and Political Cooperation of USA, EU and China in Caspian region

*Davit Ebralidze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The United States, the European Union and the People’s Republic of China are actively cooperating in the Caspian Region in the military-political sphere. Today, the US has made great efforts to realize its military-political interests in the Caspian region and is also interested in the border regions, particularly in the Middle East, and plays a role in security. Recently, Iraq has suffered a major failure of the “Islamic State” and USA had a great participation in this. Therefore, the United States has been actively influencing on the military-political situation in the Caspian region. China operates in the Caspian region with a “soft force” tactic. It is watching the development of a military-political situation in the region. Since China’s oil companies are not engaged in the processing of Caspian deposits in the Caspian Sea area, it is not considered as a security priority for China in the Caspian Sea.

As for the EU, it does not actively assist the Caspian States in the construction of a naval fleet. The fact is that it is not a priority for EU to change the military-political situation in the region, at the expense of Russia. Today, despite the imposed sanctions Russia is still one of the most important economic partner for EU.

რბილი ძალიდან ჭკვიან ძალამდე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების მიერ შემუსავებული ახალი პოლიტიკური სტრატეგია - ხისტი ძალისა და რბილი ძალის გაერთიანება ერთ კომბინაციურ განზომილებაში - ჭკვიან ძალაში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, რბილი ძალა, ხისტი ძალა, ჭკვიანი ძალა.

შესავალი

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში ამერიკის ხელისუფლება ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს, უშიშროების საფუძვლად სამართლიანობას, თავმდაბლობასა და თავშეკავებულობას მიიჩნევდა. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა წინ წამოწია ხისტი და რბილი ძალის საუკეთესო კომბინაციის ჭკვიანი ძალის პრიორიტეტულობა და განაცხადა „ამერიკა ვერ გადაჭრის ყველაზე რთულ პრობლემებს თავისით და მსოფლიო ვერ გადაჭრის მათ ამერიკის გარეშე. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის, რასაც ეძახიან „ჭკვიან ძალას“, ამისათვის ჩვენს განკარგულებაშია მთელი რიგი შესაძლებლობები“. მანამდე, 2007 წელს თავდაცვის მდივანი რობერტ გეიტსი დაბეჯითებით მოითხოვდა ამერიკის მთავრობისაგან ჩაედოთ უფრო მეტი ფული და ძალისხმევა რბილი ძალის პოლიტიკის გატარებაში დიპლომატიასა, ეკონომიკურ დახმარებებსა და კომუნიკაციებში, რადგან მარტო სამხედრო ძალა ვერ დაიცავდა ამერიკის ინტერესებს მთელ მსოფლიოში.

ძირითადი ტექსტი

ცხადია, რბილი ძალის საკითხი ახალი პრობლემა არ არის სახელმწიფოთა-შორის ურთიერთობებში. XXI საუკუნის დასაწყისში, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის შეჭრა საქართველოში ხასიათდებოდა შეუსაბამო რბილი ძალით და დომინანტური მძიმე სამხედრო ძალით, რომელმაც ერთხელ კიდევ აჩვენა, რომ რუსეთი არ ცდილობს ეკონომიკურად და პოლიტიკურად იყოს მიმზიდველი მისი მეზობლებისათვის.

რბილი, უფრო ზუსტად ჭკვიანი ძალის გამოყენების საუკეთესო მაგალითია ჩინეთი, რომელიც ოლიმპიური თამაშების კარგი ორგანიზებით, რამდენიმე ასეული კონფუცის ინსტიტუტის ქსელის გაზრდით, მიზნად ისახავს მისი კულტურა

გააცნოს მთელ მსოფლიოს, ზრდის ჩინურ საერთაშორისო მათწყებლობას, იზიდავს უცხოელ სტუდენტებს მის უნივერსიტეტებში და ჭკვიანი ძალის პოლიტიკას ატარებს მის სამეზობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრთა გამოკითხვა აჩვენებს ჩინეთის საერთაშორისო რეპუტაციის ზრდას, თუმცა იმავდროულად იზრდება ხისტი და რბილი ძალის პარამეტრები, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს ჩინეთის მშვიდობიან აღზევებას მსოფლიო სივრცეში.

ჩინელი პოლიტიკოსები და მკვლევარები მიუთითებენ ამერიკის პოლიტიკის და ეკონომიკური ძლიერების ეპოქის დასასრულზე. 2009 წლიდან ამგვარ განცხადებებს ხშირად აკეთებენ მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები. მაგალითად, 2009 წლის პიუს კვლევითი ცენტრის გამოკითხვით, 30 ქვეყნის დიდი უმრავლესობა და რწმუნებულია, რომ ჩინეთი ჩაანაცვლებს შეერთებულ შტატებს, როგორც მსოფლიოს წამყვან სუპერძალას. ამერიკელი ცნობილი პოლიტიკოსებისა და მკვლევარების განმარტებით, თვით აშშ-ის მთავრობის ეროვნული ინტელიგენციის საბჭო ვარაუდობს, რომ ამერიკული გავლენა მკვეთრად შეილახება 2025 წლისათვის. ამერიკის მიმართ კეთილგანწყობილი მიმომხილველის, კანადის ოპოზიციის ლიდერის მაიკლ იგნატოვის განცხადებით, კანადა ჩრდილოეთ ამერიკის იქითაც უნდა იყურებოდეს, რომ „აშშ-ის ზენიტის დრო და მისი გლობალური დომინანტობა დამთავრებულია“ [1].

ცხადია, ასეთი სიზუსტით, შესაძლებელია მოვლენები არ განვითარდეს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების, ანუ XXI საუკუნის გლობალიზაციური პროცესების ყველანიუნანის განჭვრეტაწინასწარ შეუძლებელია. მკვლევარების აზრით, სახელმწიფოების ერთი ჯგუფის აღზევება ავტომატურად არ გამოიწვევს განვითარებული ქვეყნების დაცემას, მაგრამ შესაძლებელია საფრთხე წამოვიდეს თანამედროვე „ბარბაროსებისაგან“ და არასახელმწიფოებრივი აქტორებისგან, მითუმეტეს დაუძლეველ ბარიერად რჩება კიბერუსაფრთხოება, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ძალად, რომელთანაც ახლოსაც ვერ მივა ხისტი და რბილი ძალების ერთობლიობა.

ცხადია, მუდმივი იმპერიები თუ სხვა განზომილებები არ არსებობენ და XXI საუკუნე წერტილს დაუსვამს ბევრ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სიდიადეს, ანუ გამოჩნდებიან ახალი მოთამაშეები. როგორც ვარაუდობენ, აზია უნდა დაუბრუნდეს თავის ისტორიულ ნიშნულს, ამ შემთხვევაში ჩინეთისა და ინდოეთის ძალის აღზევება შექმნის მსოფლიო გართულებებს, სადაც პოლიტიკურ სცენაზე გამოვლენ არასახელმწიფო სექტორის აქტორები, რომელთა წინაშე უძლური იქნებიან უძლიერესი სახელმწიფოების სახელისუფლებო მექანიზმები.

როგორც ჩანს, დღევანდელ მსოფლიოში სამხედრო სიძლიერე და საბრძოლო მზადყოფნა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. მითუმეტეს სახეზეა მსოფლიო

ფინანსური ოლიგარქიის გაბატონება, რომელიც ხისტ, რბილ და, მითუმეტეს, მათ კომბინაციას, ჭკვიან ძალას ფლობს. სხვა მხრივ, ვერცერთი უზარმაზარი სამხედრო ძლიერება ვერ შეძლებს მოაწესრიგოს მსოფლიო სიმშვიდე, იმ გლობალური კლიმატური ცვილებების ფონზე, რომელიც ახალი წარღვნითა და ნგრევით ემუქრება კაცობრიობას.

ცხადია, ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოახდინა 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ ნიუ-იორკზე, რომელშიც გამორიცხული არ არის რუსეთის სპეცსამსახურებიც იყვნენ ჩარეულნი და რომელმაც რადიკალურად შეცვალა ამერიკის საგარეო პოლიტიკა და პრიორიტეტული გახადა ძალისმიერი გზა, რაც გამოიხატა კიდევაც ერაყისა და ავღანეთის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აქციებით.

ნიშანდობლივია, ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ ხშირად ის პოლიტიკური ძალები ილაშქრებდნენ, რომლებსაც თვითონ ვაშინგტონი უწევდა ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას და ამის დამადასტურებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. თუმცა იმავდროულად შეერთებული შტატები რბილი ძალის ანუ ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ საშუალებით ახერხებდა თავის პოლიტიკურ ველში შემოყვანა საქართველო, უკრაინა, ყირგიზეთი და სხვა ქვეყნები.

აღნიშნული წარმატებების პარალელურად შეერთებულ შტატებს ბევრი ნეგატიური მუხტი შესძინა ბალკანეთში, კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ. 2008 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელმაც გამოაშკარავა, საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის ამერიკის უკანდახევა კრემლის სამხედრო პოლიტიკის წინაშე. თუმცა ცხადი იყო, რომ ამერიკის უხეში ძალისა და რბილი ძალის სტრატეგია ყოველთვის წარმოადგენდა აშშ-ის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მთავარ ღერძს. შესაბამისად, მოვლენების განვითარების კვალობაზე ხან ერთი განზომილება ხდებოდა უფრო პრიორიტეტული, ხან კი მეორე.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი მთლიანად ამერიკის რბილ ძალასთან იყო დაკავშირებული, რომელსაც წინ უსწრებდა ამერიკული „მარშალის პროექტი“ და ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა.

ერთ თუ მეორე შემთხვევაში, ევროპამ საკმაო სარგებელი მიიღო, თავის მხრივ კი ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ზესახელმწიფოდ გადაიქცა. ხოლო რუსეთმა და ჩინეთმა „აქტიური ლოდინის“ პოლიტიკა აირჩიეს და, შესაბამისად, ამის გათვალისწინებით ჩამოაყალიბეს საგარეო სტრატეგია და ტაქტიკა.

ცხადია, ამერიკის ნეგატიური წრიდან გამოსვლა დაკავშირებულია ბ. ობამას მმართველობასთან, რომელმაც 2009 წლის დასაწყისში დაიწყო ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის „ჭკვიანი“ ძალის თეორიული კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელება, რაც გულისხმობდა დიპლომატიური მექანიზმებისა და

დარწმუნების მეთოდის გამოყენებას, ცნობილი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების რჩევების გაზიარებას და ამ გზით ამერიკის მიმზიდველობის გაძლიერებას.

ფაქტობრივად, „ჰკვიანი ძალა“ ხდებოდა ჯ. ბუშის ნეოკონსერვატიული პოლიტიკის ლიბერალური ალტერნატივა. როგორც ირკვეოდა, „ჰკვიანი ძალის“ სტრატეგიას საფუძვლად დაედო მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევები და დაკვირვებები, რომელიც შემდეგ სუარათს იძლეოდა:

მსოფლიო საზოგადოების სოციოლოგიური გამოკვლევებით, 200 7 წლისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებს, 15 ქვეყნიდან 10 არ ენდობოდა, როგორც საერთაშორისო მშვიდობაზე პასუხისმგებელ მოთამაშეს;

25 სხვადასხვა ქვეყანაში, 26 ათასი გამოკითხული ადამიანიდან ნახევარი მიიჩნევდა, რომ ამერიკა ასრულებდა ნეგატიურ როლს მსოფლიოში;

დიდი ბრიტანეთის, კანადისა და მექსიკის გამოცემების კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა ჯორჯ ბუშს საფრთხედ მიიჩნევდა მსოფლიო მშვიდობისათვის.

„საგარეო პოლიტიკის ამ მიდგომის ნაკლი ძნელად თუ მოიძებნება. იგი არის პრაგმატული, ოპტიმისტური და საკმაოდ გულწრფელი. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი ნაციონალური ნდობა და ოპტიმიზმი, ღირებულებები, რომელიც ასახულია ჩვენს კონსტიტუციაში, ეკონომიკური სისტემა და სანდო ლიდერის როლი გლობალური მასშტაბით, მაგრამ „ჰკვიანი ძალად“ ქვეყნის შემთხვევაში ჩვენ მათ დავიბრუნებთ“ - აღნიშნავდა „რბილი ძალის“, ხოლო შემდგომში „ჰკვიანი ძალის“ კონცეფციის ავტორი ჯ. ნაი [1. 10].

დასკვნა

უდავოა, არსებობდა მათრახისა და საჩუქრის არჩევის ამერიკული კონცეფტი და ცალკეული ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწეები იზიარებდნენ მაკიაველის თეზას „სჯობს ეშინოდეთ შენი, ვიდრე უყვარდეთ“, მაგრამ სხვები მიიჩნევდნენ, რომ გლობალური ინფორმაციის ერაში ორივე მათგანის დამსახურება იყო საჭირო.

ომის საშუალებით სახელმწიფოს დამარცხება შედარებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე რბილი ძალის იდეებით ბრძოლა, მითუმეტეს მშვიდობის განსავითარებლად და დემოკრატიის მისაღწევად რბილი თუ ჰკვიანი ძალის რესურსებით შესაძლებელი იყო ადამიანების მოხიზვლა ამერიკული ოცნებებით, ღირებულებებით, პოლიტიკური და სასამართლო სისტემით და ა.შ.

ჯ. ნაის ჰკვიანი ძალის პოლიტიკა უნივერსალურ სტრატეგიად მიაჩნია და სამხედრო ძალასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს ძლიერ ალიანსებს, პარტნიორობას, მაღალი დონის სამშვიდობო ინსტიტუტებს და ა.შ., რომელთაც შეეძლებოდათ ლეგიტიმურობის მინიჭება ამერიკის ქმედებებისათვის. ეს სტრატეგია წარმოშვა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურმა და სამხედრო

კონფლიქტმა, რათა ჯ. ბუშის „სიძულვილის“ ტაქტიკა, იმედისა და ოპტიმიზმის ტაქტიკით შეეცვალათ, მითუმეტეს იგრძნობოდა, რომ აშშ ვერ შეძლებდა მართო გამკლავებოდა მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ბუნებრივ და არაბუნებრივ საფრთხეებს.

From soft force to clever force

Giorgi Liluashvili
PhD student of Georgian Technival University

Summary

The work deals with a new political strategy developed by the United States, China and other states – including the combination of hard power and soft force in a combined dimension - a clever force.

Keywords: politics, soft force, hard power, clever force.

პოლიტიკური კონსალტინგის ეროვნული თავისებურებები

რეზიუმე

ნებისმიერ საზოგადოებაში, როგორი პოლიტიკური წყობაც არ უნდა იყოს, არსებობს მრჩეველთა ინსტიტუტი, რომელსაც აკისრია სახელმწიფოს მეთაურისთვის გარკვეული რჩევების მიცემა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ეს ინსტიტუტი პირველივე ქალაქ-სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად ჩამოყალიბდა და დღესაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობით. ნებისმიერ სახელმწიფოში ყველა სახელმწიფოს მეთაურს, პოლიტიკურ ლიდერს ჰყავს მრჩეველთა საბჭო და მათი დახმარებით მართავს ქვეყანას. პოლიტიკური კონსულტირება, როგორც თანამედროვეობის ტერმინი, შეიძლება „მრჩეველთა“ შთამომავლადაც ჩავთვალოთ.

პოლიტიკური კონსულტირების არეალმა გაფართოება XX საუკუნიდან დაიწყო და იგი მკვიდრდებოდა პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი მუდმივ პოლიტიკურ მექანიზმად ჩამოყალიბება. ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა პოლიტიკის წარმოება. ამ პროცესს კი ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები წარმართავენ, რომლებიც ადრეული პოლიტიკიდან მოყოლებული ყოველთვის თავს იზღვევდნენ შეცდომების დაშვებისაგან და აქედან გამომდინარე რჩევას სხვა პირებს ეკითხებოდნენ. კარგ კონსულტირებაზეა დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტურად და გამართულად იმუშავებს სახელმწიფო სტრუქტურები, რამდენად სწორად გადაჭრის აქტუალურ საკითხს თუ პრობლემას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, საზოგადოება, პოლიტიკური კონსულტირება ეროვნული თავისებურებები.

შესავალი

ნებისმიერ საზოგადოებაში, როგორი პოლიტიკური წყობაც არ უნდა იყოს, არსებობს მრჩეველთა ინსტიტუტი, რომელსაც აკისრია სახელმწიფოს მეთაურისთვის გარკვეული რჩევების მიცემა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ეს ინსტიტუტი პირველივე ქალაქ-სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად ჩამოყალიბდა და დღესაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობით. ნებისმიერ სახელმწიფოში ყველა სახელმწიფოს მეთაურს, პოლიტიკურ ლიდერს ჰყავს მრჩეველთა საბჭო და მათი დახმარებით მართავს ქვეყანას. პოლიტიკური კონსულტირება, როგორც თანამედროვეობის ტერმინი, შეიძლება „მრჩეველთა“ შთამომავლადაც ჩავთვალოთ.

ძირითადი ტექსტი

პოლიტიკური კონსულტირების არეალმა გაფართოება XX საუკუნიდან დაიწყო და იგი მკვიდრდებოდა პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია მისი მუდმივ პოლიტიკურ მექანიზმად ჩამოყალიბება. ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა პოლიტიკის წარმოება. ამ პროცესს კი ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები წარმართავენ, რომლებიც ადრეული პოლიტიკიდან მოყოლებული ყოველთვის თავს იზღვევდნენ შეცდომების დაშვებისაგან და აქედან გამომდინარე რჩევას სხვა პირებს ეკითხებოდნენ. კარგ კონსულტირებაზე დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტურად და გამართულად იმუშავებს სახელმწიფო სტრუქტურები, რამდენად სწორად გადაჭრის აქტუალურ საკითხს თუ პრობლემას. „...უწინარეს ყოვლისა, თქვენ უნდა შეისწავლოთ იმპერატორის ხასიათი, თვითონ მართავს სახელმწიფოს თუ სხვებს ანდობს მის მართვას, რა უფრო ძლიერია მასში: პატივმოყვარეობა თუ რაიმე სხვა ვნება... რანაირი მრჩევლები ახვევია გარს, რა სურთ ამ მრჩევლებს, ახალ-ახალი ომებისთვის აქეზებენ თუ ურჩევენ ისარგებლოს თავისი ახლანდელი მდგომარეობით, რაც ესოდენ ხელსაყრელია მისთვის? თქვენ უნდა დაუკვირდეთ აგრეთვე იმპერატორისგან განკერძოებით მცხოვრები ბარონებისა და დიდებულების განწყობილებას, გაიგოთ დიდია თუ არა მათი გავლენა და ძლიერება, კმაყოფილნი არიან თუ არა იმპერატორით, ანდა, თუ უკმაყოფილონი არიან, რა გზით შეუძლიათ ავნონ მას, და შეუძლია თუ არა საფრანგეთს მათი მოსყიდვა და თავის მხარეს გადაბირება“ [1. 17]. ასეთ ინსტრუქციას აძლევს ნიკოლო მაკიაველი ესპანეთის იმპერატორის კარლოს V-ის კარზე ფლორენციის ელჩს რაფაელო ჯიროლდიმოს.

შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლებო ურთიერთობების გაჩენის და პოლიტიკური მმართველობის განსაკუთრებული ფორმის დამკვიდრების მომენტიდან გაჩნდნენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ისინიც, ვინც ასრულებდა მათი კონსულტანტობის ფუნქციებს. ამის მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც ანტიკურ, ისე თანამედროვე ისტორიაში. „პიარის“ გარეშე _ ადამიანებზე საინფორმაციო ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების ეფექტურად მართვის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს პოლიტიკა. არ იქნება ის არც პოლიტიკური რეკლამისა და იმიჯმეიკინგის გარეშე _ ან ყველაფერ იმის გარეშე, რასაც ჩვენ მივაკუთვნებთ პიარის სფეროს. წარსულს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მსოფლიო ისტორიაში ნებისმიერ წარმატებულ პოლიტიკოსს ჰყავდა ისეთი გარემოცვა, რომლებიც აძლევდნენ მათ რჩევებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი ვიზუალი. რას ფიქრობთ ვინ ურჩია ცეზარს მოესხა მეწამული ფერის მოსასხამი? ვინ უთხრა, რომ საჭირო იყო ექვსი და არა ოთხი ცხენის შებმა ეტლში? რატომ უარყოფდა ის, რომ უნდოდა იმპერატორად ყოფნა, როდესაც რომის ქუჩებში დადიოდა? ვის შეეძლო მისთვის ყოველივე ამის რჩევა?“

გასაგებია, რომ ის თავად ამას ვერ მოიფიქრებდა. ე.ი. უკვე მაშინ იყვნენ განსაკუთრებული ფუნქციის ადამიანები _ ახლა მათ პიარმენებს და იმიჯმეიკერებს ვეძახით. მათ გარეშე ცეზარი ვერ იქნებოდა ცეზარი. ლეგენდად არის ქცეული ისტორიები მეიგავე ეზოპეს შესახებ, რომელმაც სახელი გაუთქვა მის პატრონს ქსენოფეს, როგორც მნიშვნელოვან პერსონას.

მოიაზრება, რომ მაკიაველის წიგნი „მთავარი“ (1513 წ.) შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლიტიკური კონსალტინგის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაშრომად. მაკიაველის „მთავარი“, ვფიქრობ, ყველა დროის პოლიტიკოსის სამაგიდო წიგნია. მისმა მემკვიდრეობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპის პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებაში. მისი რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული სახელმწიფო, დღესაც აქტუალურია. „მთავარი“ დაწერილია პოლიტიკური ლიდერის სახელმძღვანელოდ და იძლევა კონსულტაციებს. მასში მეთოდურადაა განხილული ძალაუფლების აღების, შენარჩუნებისა და მმართველობის ხერხები.

მართალია, ამ რჩევების ხასიათის გათვალისწინება, სადაც ძალაუფლების სათავეში ყოფნის მიზნის მისაღწევად აღიარებული იყო ნებისმიერი საშუალება, მათ შორის ამორალურიც კი, შეიძლება მიეკუთვნოს „პოლიტიკურ ექსპერიმენტალურ“ უნარს. შემთხვევითი არაა, რომ პოლიტიკაში ტერმინი „მაკიაველიზმი“ გარკვეული სიმუხთლის სინონიმად ითვლება.

რუსეთის ისტორიიდან შეიძლება მოვიყვანოთ პოლიტიკური კონსალტინგის ორიგინალური მაგალითი. როგორც წესი მოსკოვის კრემლის საიარაღო პალატის დამთვალეირებლები განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებიან რუს მეფეთა XVII-ს-ში დამზადებულ ერთ-ერთი ტახტის ექსპონანტს. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ტახტზე აღმოჩნდა ორი სრულიად ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრე იოანე და პეტრე. სუსტი ჯანმრთელობის მქონე ეს ორი მონარქი, რასაკვირველია, სრულყოფილად ვერ აღასრულებდა თავიანთ უფლებამოსილებას, მაგრამ სამეფო კარის ეტიკეტი მოითხოვდა ოფიციალურ ცერემონიალში მათ უცილობელ მონაწილეობას. შემუშავებულ იქნა საინტერესო სვლა. ტახტი დამზადდა იმ ფორმით, რომ მასზე ერთდროულად შეიძლებოდა დაბრძანებულიყო ტახტის ორივე მემკვიდრე. ტახტის საზურგეზე აუცილებელ მონარქისტულ ატრიბუტზე მოწყობილი იყო სარკმლის მსგავსი რამ, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში იღებოდა და მის უკან მყოფი უფროსი ადამიანი (უფრო ხშირად მათი უფროსი და სოფია) კარნახობდა პეტრეს და იოანეს თუ რა უნდა ეთქვათ და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენს ქვეყანაში მრავლად არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც აქტიურ კონსულტაციებს უწევდნენ საქართველოს მეფეებს. გავიხსენოთ ერთი ფაქტი. იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოს გაერთიანება. გაიმართა დარბაზობა, სადაც მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ჭაბუა ორბელიანი. საინტერესოა მისი

მიმართვა ერეკლე მეფისადმი, რომელშიც აშკარა რჩევა იგრძნობა მეფისადმი: „ნუ ჰყოფნი, მეფეო! _ იტყოდა ჭაბუა, _ მეფე ერისთვის და ერი მეფისთვის. ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ იტყვის მეფე უარსა? ასეთი აზრი უეჭველად არის... უსარგებლო ქვეყნისთვის. ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება“ როგორც ისტორიიდან ვიცით, ეს დიდებული წამოწყება ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის წყალობით წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ერეკლეს რომ ეს კონსულტაცია მიეღო, შესაძლოა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება სხვა გზით წასულიყო და ჩვენი ქვეყანა ისეთ განსაცდელში არ აღმოჩენილიყო. კონსულტირების ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები მრავლადაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სამწუხაროდ ზოგჯერ საქართველოს მეფეები არ უსმენდნენ მრჩეველებს და არასწორ ან საკამათო გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

საქართველოში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურა იყო გიორგი ჭყონდიდელი. იგი დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და თანამოაზრე იყო და ერთად წყვეტდნენ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საქმეებს. მინდა გამოვყო ის ფაქტი, როცა გიორგი ჭყონდიდელი 1118 წელს მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად გაემგზავრა ყივჩაღი მეომრების ჩამოსაყვანად. „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“-ში ვკითხულობთ: „მეუფე გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა“. გიორგი „ვითარცა მამა მეფისა, ეგრეთვე ყველა საურავი უმისოდ არ იქმნების“. აღნიშნულიდან გამომდინარე რთული მისახვედრი არაა, რომ „მეუფე გიორგი“ აქტიურ კონსულტირებას უწევდა მეფე დავით აღმაშენებელს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. შესაძლოა მისი კონსულტაციებით და რჩევით ჩამოსახლა ყივჩაღები საქართველოში მეფემ და ამით მნიშვნელოვანი სვლა გააკეთა შემდგომი წარმატებისთვის.

საიდუმლო არ არის, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური სფერო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღიქმებოდა, როგორც რაღაც საიდუმლო, ბუნდოვანი და გაუგებარი. ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მექანიზმი საგულდაგულოდ იფარებოდა, მოსახლეობას იგი სამოქმედოდ ეძლეოდა მზა სახით და განხილვას არ ექვემდებარებოდა. მონოპარტიულობა და მონოიდეოლოგია არ მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების ჭეშმარიტ პოლიტანამშრომლობას.

საჭიროა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური ძალის დომინირება, „არჩევნები არჩევნების გარეშე ჩატარება“, მმართველების საკადრო პოლიტიკის ფორმირებისას ნომენკლატურული მიდგომების აპელირებას თავად მმართველობითი პრაქტიკის ავტორიტარულ-ადმინისტრაციული სტილი ქმნიდნენ ურთიერთობების სრულიად განსაზღვრულ ატმოსფეროს სისტემაში „ძალაუფლება-ხალხი“.

რაღაც ხარისხში პოლიტიკური სფეროს ასეთი ჩაკეტილობა მოსახერხებელი იყო საზოგადოების როგორც „ზედა“ (უმაღლეს), ასევე „ქვედა“ ეშელონებში.

მრავალი წლის განმავლობაში ძალაუფლების იდუმალემა თავისთავად უზრუნველყოფდა პოლიტიკური რეჟიმის მდგრადობას, პოლიტიკური ოლიმპოს მობინადრეთა რაღაც „მონუმენტალობას“.

საბჭოთა საზოგადოებაში განვითარებული პლურალისტული პოლიტიკური ტრადიციების არსებობა, ოფიციალური პოლიტიკური კულტურის ხასიათის „ჰომოგენურობა“ არ გვთხოვდა ძალაუფლების ავტორიტეტის მხარდასაჭერად დემოკრატიული მექანიზმებისა და ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის აუცილებლობას, „მმართველებსა“ და „მართულებს“ შორის უკუკავშირის დამყარებას. ე.ი. პოლიტიკური კონსალტინგის ხერხების ფართოდ გამოყენებასაც. თუმცა სწორი არ იქნებოდა, მაგალითად საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელების უმაღლეს ემელონებში „დახურული“ პოლიტიკური კონსალტინგის არსებობა.

თავის ცნობილ წიგნში ფ. მ. ბურლაკიმ „ბელადები და მათი მრჩეველები“ თანმიმდევრულად და დაწვრილებით აღწერა კრემლისმიერი პოლიტიკური კონსულტირების მეთოდები და ხერხები XX ს-ის მეორე ნახევრის პოლიტიკური ლიდერების დროს.

და მაინც, სწორედ ძალაუფლების მქონე კლანებისა და დაჯგუფებების, ზოგჯერ კი პოლიტიკური ოპონენტების ძალისმიერი ჩამოშორება უმეტესწილად განაპირობებდნენ უახლოესი წარსულის პოლიტიკურ სფეროში კონკურენციის ხასიათსა და სტილს. დემოკრატიული პრინციპების აღიარების კვალდაკვალ პოლიტიკურმა ცხოვრებამ შეიძინა სულ სხვა ფორმები. შემთხვევითი არაა ის, რომ თვალშისაცემად იზრდება მოთხოვნილება პოლიტიკურ კონსულტირებასა და ტექნოლოგიებზე.

თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს XX ს-ის 90-იან წლებში გამოცხადებულმა დემოკრატიულმა ლოზუნგებმა ხელადებით მოხსნა ქვეყნის პოლიტიკური ხასიათის ყველა პრობლემა. პოლიტიკური ლანდშაფტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ ის, რომ მოსახლეობის ნდობა ძალაუფლებისადმი, წამყვანი პოლიტიკური ღირებულებების დამკვიდრება კვლავ გადაუჭრელ ამოცანად რჩება. სახელმწიფოს მართვაში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობაში, მოქალაქეთა ჩართულობა განაპირობებს სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი ნდობას.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც კიდევ უფრო მოთხოვნადს ხდის პოლიტიკური კონსულტირების ინსტიტუტს. არავინ უარყოფს, რომ ქვეყანაში მრავალპარტიულობის განვითარება რეალური გახდა. ამ პროცესის ყოველგვარი შეუსაბამობისა და პარადოქსულობის მიუხედავად, უფრო ნათლად გამოიხატება პოლიტიკური პარტიების სპეციფიკური ფუნქციები: სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების აგრეგაცია და არტიკულაცია, პოლიტიკური იდეების მომხრეთა ურთიერთქმედების ორგანიზება. ცენტრალურ და რეგიონალურ დონეზე პოლიტიკურ-სახელისუფლებო ურთიერთობებში, ელექტორალურ პროცესში კანონით ნებადართული პარტიების ფართო და აქტიური მონაწილეობა გახდა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

პოლიტიკური სოციალიზაცია, ანუ პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში მოქალაქის ჩართვა, პოლიტიკური ფასეულობების გააზრება, პოლიტიკური ქცევების მოდელების აღიარება – საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, და აღსანიშნავია ის რომ, ინდივიდიუმისთვის ყოველთვის არასასურველია. შეიძლება დავეთანხმოთ ა. ი. სოლჟინიცინის მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც იგი აღნიშნავს პოლიტიკის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში: „პოლიტიკური ცხოვრება – სულაც არაა მთავარი შეხედულება ადამიანის ცხოვრებაში, პოლიტიკა – სულაც არაა უმრავლესობისთვის სასურველი საქმიანობა. რაც უფრო ფართოა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება – მით უფრო მეტად მცირდება სულიერი ცხოვრება. პოლიტიკამ არ უნდა შთანთქოს ხალხის ყოფა და მათი სულიერი ძალები“ [5. 14].

მაგრამ დღეს პოლიტიკა ზემოქმედებს არა მხოლოდ ხელისუფლებაზე, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ სფეროებზეც. ამით პოლიტიკა, პოლიტიკურ-სახელისუფლებო ურთიერთობები იქცევენ რიგითი მოქალაქის ყურადღებას. ჩვეულებრივი ადამიანის ინტერესები აუცილებლად „გადაკვეთავენ“ პოლიტიკას, პოლიტიკის სფეროს. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1831 წელს უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის მიერ დაწერილი სიტყვები: „ზუსტად პოლიტიკა გახდა ის, რაც აერთიანებს ყველა დანარჩენ ინტერესებს“.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკაზე დამოკიდებულება, მის მიმართ ინტერესი და პოლიტიკაში მონაწილეობა არ უნდა განვაზოგადოთ. და მაინც, კერძო ცხოვრებაში ყოველდღიური ჩარევისას იგი ადამიანს აყენებს პოლიტიკური არჩევანის პროცესში მონაწილეობის აუცილებლობის წინაშე. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, არამედ პოლიტიკური კულტურის ფლობის დონესაც.

ქვეყანაში ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მოითხოვა ახალი პოლიტიკური „ინსტრუმენტის“ გამომუშავება, ახალი პოლიტიკური ფიგურების მოსვლა, ახალი მიდგომა პოლიტიკურ სფეროში მოღვაწის იმიჯის ფორმირების მიმართ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დღეს სახალხო ხელისუფლება ბევრ რამეში „კეთდება“ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. ზოგადად ცნობილია ფაქტი: ნებისმიერ ღონისძიებაზე აშშ-ს პრეზიდენტის დასწრების შესახებ განაცხადში, მისი ადმინისტრაციის შესაბამისმა სამსახურებმა, სხვა დანარჩენთან ერთად, უნდა მიუთითონ აღნიშნული მოვლენის შესახებ შეტყობინებების შესაძლებელი სათაურები, შესაძლებელი ფოტოსურათების ტიპები, რომლების შეიძლება იყოს გაკეთებული, და ასევე პროგნოზირება გაუკეთოს პრეზიდენტის რეიტინგზე აქციების გავლენას.

ცნობილია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ბ. კლინტონი კიევში ვიზიტის დროს ერთ-ერთ დღეს თავის ყოველდღიურ დილის ვარჯიშზე სარბენად გამოვიდა ჩვეულებრივ დროზე ერთი საათით გვიან. მას არ დაეძინა – უბრალოდ კიევში იყო ნისლი, და პრეზიდენტმა გადაწყვიტა სირბილი მაშინ, როცა იქნებოდა ხელსაყრელი პირობები

კამერების გადასაღებად. იგი ხვდებოდა: ტელევიზიის გარეშე არ არსებობს პრეზიდენტი. ჩვენთან კი საკითხი ჯერჯერობით სხვანაირად დგას: პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის გარეშე არ არსებობს ტელევიზია, განსაკუთრებით კი სახელმწიფო. მაგრამ სიტუაცია თანდათანობით იცვლება, და ამჟამინდელი ლიდერები იწყებენ იმის გაგებას, თუ რამდენადაა ისინი დამოკიდებული პრესაზე.

პოლიტიკური კონსალტინგი, როგორც საინფორმაციო ზემოქმედების მართვა, დაფუძნებულია ფსიქოლოგიაზე. ფსიქოლოგების როლის მუდმივი ზრდა დაკავშირებულია პოლიტიკის ვირტუალიზაციასთან. ლიდერების ღირსება სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მათი რეალური მიღწევებით (ცხოვრების შეცვლით, ახალი კანონების მიღებით, თავისი პროგრამების რეალიზაციით და ა.შ.), არამედ იმ შთაბეჭდილებებით, რომლებსაც ისინი ახდენენ თავის ამომრჩევლებზე. პოლიტიკოსის ბიოგრაფიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი იმიჯი.

დასკვნა

ვღიარებთ, რომ პოლიტიკურ სფეროში საზოგადოებასთან ურთიერთობა არ არის ახალი პრობლემა. ამასთანავე, თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შთაგვაგონებს ახლებურად შევხედოთ მოძველებულ პრაქტიკას. ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ხელისუფლების გახსნილობისადმი მოთხოვნილებას მივყავართ, პირველი, პარტიულ-პოლიტიკურ სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში პიარ სამსახურების შექმნასთან, მეორე, მათი შტატების კომპლექტაციასთან იმ სპეციალისტების ხარჯზე, რომლებმაც აქვთ პოლიტიკური კონსალტინგის გამოცდილება და თეორიული ცოდნა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისთვის კადრების მომზადება – სახელმწიფო მასშტაბის ამოცანაა, რომლის გადაწყვეტამ შეიძლება ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის რეფორმირებას. და ბოლოს, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ პოლიტიკური კონსალტინგი, როგორც საკომუნიკაციური საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა, დღეს გამოდის ჩრდილიდან და ხდება პოლიტიკური ცხოვრების ლეგალური და ლეგიტიმური კომპონენტი.

დემოკრატიული პროცესების დამკვიდრება, ძალაუფლების მისაღები მოდელის შემუშავება და დამკვიდრება შეუძლებელია ქვეყნის ისტორიის თვითმყოფადობისა და თავისებურებების გათვალისწინებლად. დაუშვებელია რეფორმების პირდაპირი კოპირება, მექანიკური გადმოტანა, უცხოური გამოცდილების დანერგვა პოლიტიკის და პოლიტიკური ტექნოლოგიების სფეროში. გასათვალისწინებელია ქვეყნის ისტორიული ტრადიციები, თანამედროვე პროცესების თანმდევი საზოგადოების პოლიტიკური ხასიათი, მენტალიტეტისა და კულტურის თავისებურებანი, და ბოლოს სახელმწიფოს ხასიათი, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაკიაველი ნ., „მთავარი“; თბ., 1984.
2. Блажнов Е. А. Паблик рилейшнз: Учеб пособие для деловых людей. – ИМА-Прессб 1994.
3. Санистебан Л.С. Основы политической науки: Пер. С исп- МП Впадан, 1992.
4. Вебер М. Избранные произведения. М- Прогресс, 1991 г.
5. Д.В. Ольшанский. В.Ф. Пеньков: Политический Консалтинг. Питер, 2005.
6. Greens P.S. Winning PR Tactics – L. Academic Press, 1994.

National Peculiarities of Political Consulting

Jilda Lomidze, PhD student

Georgian Technical University

Summary

In the presented work, the national characteristics of the political consultation are briefly discussed in the essence of political counseling from the time that the term originates and the history of its development. Doing politics in our time is impossible without political consultation. It is important for the proper functioning of the state. In general, the extent of political consultation began in the XX century, and it was inhabited in a variety of political life, which ultimately led to its constant political mechanism. Good counseling depends on how efficiently and efficiently the state structures work properly, how correctly solving the topical issue or problem.

We can not make this term in the frame and represent one of its own definition, because every country has its own national peculiarities and is therefore fit for all state or private structures. National peculiarities define the essence of political consultation itself. The above-mentioned work is presented as well as the national characteristics of political consultation to give us a clear idea of this issue. From the examples discussed, it is clear what factors led to the behavior of some political leader.

Special attention will be paid to the political consultation of Georgian kings and their surroundings. In a different way, I would like to consider the Georgian political activists who have played a significant role in political consultation and found their traces to the development of the Georgian national state.

ისლამი გლობალიზებულ მსოფლიოში

რეზიუმე

გლობალიზაციური პროცესები შეუქცევადია, საზოგადოება უკვე გაუაზრებლად, მისი ყოველდღიური ცხოვრებით, აქტიური მონაწილე ხდება ამ ყველაფრის, ისლამი კი ის ფუნდამენტალური რელიგიაა, რომელიც წლებია არსებობს და რომლის გავლენაც დღითიდღე იზრდება და მყარდება მის მიმდევრებში, საინტერესოა ამ ორი დიდი მოვლენის თანაარსებობა იმ პირობებში, როდესაც პოზიციების დათმობას არცერთი მათგანი არ აპირებს, უდიდესი მოაზროვნე ი. ჰაბერმასის მოსაზრებით გამოსავალი „კომუნიკაციური ეთიკის“ დამკვიდრებაში უნდა ვეძიოთ, ხოლო სოციოლოგების პ. ბერგერისა და თ. ლუკმანის აზრით, „თანამედროვე გლობალური სამყაროს კონსტრუირება გარდაუვალი რეალობაა, ამიტომ ამგვარი პროცესებიდან არ უნდა ამოვარდეს ისლამური სამყარო“. ეს ყველაფერი კი ერთადერთი გზით არის შესაძლებელი დასავლეთმა უარი უნდა თქვას ისლამური სამყაროს, როგორც ბატონი კახა ქეცბაია აღნიშნავდა „მომხმარებლურ დამოკიდებულებაზე“, სწორედ ამ ყველაფერზეა დამოკიდებული სოციალური უსამართლობის ის ფაქტი, რომელიც გლობალიზაციას ახასიათებს და რომელიც ქვეყნების რანჟირებას „გამორჩევას ახდენს, რაც თავისმხრივ შეუთავსებელია დემოკრატიულ პროცესებთან. გლობალიზაცია ჩვენგან დამოუკიდებელი პროცესია და ისლამურმა სამყარომ მშვენივრად იცის, რომ მტკივნეული ცვლილებები და ახალ-ახალ პრობლემები მოაქვს ამ შეუქცევად პროცესს სხვა დანარჩენ სიკეთესთან ერთად. ფრთხილ და გააზრებულ მოქმედებასთან ერთად ისლამი ხშირად საკუთარ რადიკალურ პოზიციასაც აფიქსირებს ამ პროცესის მიმართ, რითიც კიდევ ერთხელ ამცნობს საზოგადოებას, რომ მათ უჭირთ თვალი გაუსწორონ შექმნილ რეალობას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, რელიგია, ისლამი

შესავალი

თანამედროვე საზოგადოება ხშირად განიხილავს რამდენად შეთავსებადია გლობალიზაცია და ისლამი, რა აქვთ მათ საერთო და რა ასპექტით ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ჩემს სტატიაში შევეცდები წარმოვაჩინო თანამედროვე, გლობალიზებულ მსოფლიოში, რა წინააღმდეგობებს აწყდება ისლამი და რატომ განიხილება ის ამ შეუქცევადი პროცესის მთავარ მოწინააღმდეგედ.

„მე არ ვარ ათენელი, არც კართაგენელი, არამედ კოსმოპოლიტი“. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში გააჟღერა სოკრატემ. თუმცა მაშინდელი გაგება კოსმოპოლიტიზმისა განსხვავდება თანამედროვე განსაზღვრებისაგან ამ პერიოდისათვის

კოსმოპოლიტური და საერთო - ეროვნული ტერმინების განმარტება ერთსა და იმავეს ნიშნავდა. ფეოდალიზმის დროს მსოფლიო მოქალაქეობა ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევისათვის მთავარ პირობად მოიაზრებოდა და არ იყო ნაკარნახევი ქვეყნების კავშირურთიერთობებით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს ყველაფერი სხვას არფერს ნიშნავს თუ არა ყველა მოქალაქეს თანაბრად ჰქონდეს მინიჭებული საყოველთაოდ აღიარებული უფლებები. რეალობაა რომ ღირებულებების უნივერსალიზაცია ერთმანეთთან აახლოებს სხვადასხვა ქვეყნების ადამიანებს, მათი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენა კვლავაც ხორციელდება საერთო მიმართულებით, თუმცა დასკვა, რომ ეს ყველაფერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ადამიანების სრულ ერთტიპურობასა და გაერთფეროვნებას გამოიწვევს მცდარია. პირიქით თანამედროვე ცივილიზაცია დამკვიდრდება, რომელიც ყოველ ადამიანს თანაბრად შეუქმნის საკუთარი არსობრივი ძალებისა და უნარ-მიდრეკილებების მაქსიმალური გამოვლენისა და რეალიზების პირობებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანთა გაერთიანება შეუძლებელი იქნება, თუნდაც მათი ისტორიულად გარემომცველი ბუნებრივი პირობების გამო. ბუნებრივი პირობების განსხვავებულობა ყოველთვის დაღს ასვავდა ადამიანთა ბიოლოგიურ ნიშან-თვისებებს, მათი ცხოვრების წესს, საქმიანობას, ფსიქიკას. სწორედ ეს არის ამომავალი წერტილი ჩვენი იდენტობის, ის გარემო სადაც ვიზრდებით და ვყალიბდებით. საზღვრების არარსებობა ჩვენს კულტურასა და რელიგიას მეტად საინტერესოს გახდის და დროთა განმავლობაში უუნარო, აზრდაკარგულ ტრადიციებს ჩაანაცვლებს თანამედროვეობას მორგებული და ადამიანის განვითარებაზე ორიენტირებული შეხედულებები. თუმცა ის რაც ხელოვნურად არ არის ჩანერგილი და შესაბამისად ჩვენი გარემო ფაქტორების და ცხოვრების წესით არის ნაკარნახევი, ანუ ჯანსაღი ტრადიციას, ისე დარჩება როგორც არის და იქნება ჩვენი განმასხვავებელი ნიშა სხვა ხალხებისგან, ანუ ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ძირითადი ნაწილი

ისლამი ყოველგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ქვეტექსტების გარეშე ცალსახად აფიქსირებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ პროცესისადმი და საკუთარი კულტურული და რელიგიური იდენტობის შესანარჩუნებლად არანაირ ძალებს არ იშურებს. სხვადასხვა ხერხებით ცდილობს პროცესს ყურადღება ადევნოს და საკუთარი მოსაზრება მუდმივად გააჟღეროს. ზოგიერთი მკვლევარი ამას პოლიტიკურ ახსნას უძებნის, კონკრეტულად უკავშირებენ გამწვავებულ პოლიტიკურ წინააღმდეგობას დასავლეთსა და ისლამურ სახელმწიფოს შორის, მეორე ასხნა ამ ყველაფრისა დასავლეთის მხრიდან რელიგიური ექსპანსიის მოტივაციაა, ისლამი გლობალიზაციას აღიქვამს, როგორც დასავლეთის ქრისტიანობის მცდელობას მოახდინოს მუსულმანური სამყაროს ტრანსფორაცია

და აქციოს იგი საკუთარ ანალოგად, საინტერესოა რომ ისლამის მწვავე რეაქცია გლობალიზაციის პროცესის მიმართ სწორედ იმას ადასტურებს, რომ ამ პროცესის გარდაუვალობას ისინი რეალურად აღიქვავენ, თუმცა რამდენად ადაპტირდებიან ეს სხვა საქმეა.

ისლამის მთვარი წინააღმდეგობა ალბათ მის თეორიულ საფუძვლებში უნდა ვეძიოთ. ისლამის მოძღვრების თანახმად მთელი კაცობრიობა ოდესღაც ერთ ხალხს წარმოადგენდა, მთელი ხალხი წარმოდგენილი ერთი კაცისა და ქალისაგან ამ ხალხის გამრავლება გვარებად და ტომებად, სხვადასხვა ხალხად დაყოფა თითქოსდა ალაჰის ნებით ხდებოდა. ყურანში პირდაპირ არის ნათქვამი რომ, „ღმერთს რომ ენებებინა თქვენგან მხოლოდ ერთ ხალხს შექმნიდა“ [1. 53]. ამ მოძღვრების თანახმად საზოგადოების განვითარება არ ექვემდებარება რაიმე ობიექტურ კანონზომიერებას, ალაჰს შეუძლია ხალხთა შექმნა, მათი განვითარება ან მოსპობა. ყურანის თანახმად ყოველ ერს თავისი დასასრული აქვს, თითოეული ერისათვის წინასწარაა საზღვარი დადებული. ამ დროის მოსვლისთანავე ალაჰი მათ სასტიკად უსწორდება, სპობს და სამაგიეროდ ახალ ხალხს ქმნის. ალაჰის მიერ დაწესებული საზღვრების გადალახვა, ისტორიის დაჩქარება ან შენელება ადამიანს არ ძალუძს, მას ალაჰის ნება განსაზღვრავს, „თითოეულ ერს თავისი დასასრული აქვს, როცა დასასრული იგი მოწვენილია, ერთ საათსაც ვერ დააყოვნებს ვერც დააჩქარებს. ყოველივე ეს ნთლად გვამცნობს, რომ აქ უარყოფილია საზოგადოების განვითარების ობიექტური, კანონზომიერი პროცესი, ის ალაჰის ნებითაა შეცვლილი, მეორეს მხრივ, უარყოფილია ადამიანის ყოველგვარი როლი ისტორიაში, ის პასიურ არსებადაა ჩათვლილი და ადამიანი კი არ მოქმედებს, არამედ მისის საშუალებით ალაჰი, ადამიანი ალაჰის ხელში მხოლოდ ხორციელი ინსტრუმენტია.

ცხადია XII საუკუნის არაბებმა არ იცოდნენ უძველესი ქალაქების ნანგრევებად ქცევის მიზეზები, სწორედ ამიტომ ყველაფერს ალაჰს მიაწერდნენ რითაც საზოგადოებაზე მანიპულირებდნენ და აშინებდნენ მათ [2. 32-33]. ისლამის მიმდევრების შეხედულებები ერთან და ადამიანთან დაკავშირებით კიდევ უფრო საინტერესოს ხდის იმ ფაქტს რამდენად მიუღებელია მათთვის სხვა ერებთან კონსოლიდაციის ცნება, გლობალიზაციის მთვარი მამოძრავებელი ძალა ადამიანის ნების თავისუფლებაა და მისი შესაძლებლობა გახადოს სამყარო უფრო საინტერესო და გაიმარტივოს ცხოვრება, მაშინ, როდესაც ყურანი საეთოდ უარყოფს ადამიანის მსგავს შესაძლებლობებს და ყველაფერს ალაჰს მიაწერს, თავისუფალი ნება ადამიანისა მინიმუმამდეა დაყვანილი.

გლობალიზაციის პროცესის სარგებელი არაერთგზით იგემა მუსლიმმა საზოგადოებამ, ყველა ასპექტს არ უარყოფენ ისინი, ასე მაგალითად ისინი უარს არ ამბობენ განათლების მიღებაზე სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში, რაც მათი ცხოვრების წესზეც აისახება, თანამედროვე ტანისამოსი, წვდომა სხვადასვა სატელევიზიო არხებთან, ინფორმაციის შედინება, ასევე თანამედროვე ცხოვრების

წესი მათდა უნებურად შეიჭრა მათ ცხოვრებაში, საკვები რაციონის შემადგენლობაში ისეთი კერძების შეტანა რაც რასაც მათ რელიგია უკრძალავთ, დუბაი მუსლიმური საზოგადოების და გლობალიზაციის თანაარსებობის ნათელი მაგალითია, ულტრათანამედროვე ნაგებობებით განაშენიანებული ქვეყანა, სადაც უამრავი ტურისტი მოძრაობს კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ შეთავსებადობას გლობალურ საზოგადოებასთან, ქალების როლის გაზრდა მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის რომ მათ პრეტენზია უჩნდებათ იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები და მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ აქტივობებში მათი საზოგადოების პოგრესირებაზე მიუთითებს, რაც ნამდვილად საინტერესო და ნიშანდობლივია, აპელირება იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ჩაცმის ტრადიციული სტილით ქალთა უფლებები ირღვევა ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი, თუმცა რატომღაც მათი საზოგადოების შეზღუდვებთან ყველაზე მეტად აკავშირებენ ხოლმე, დიახ მუსლიმი ქალების უმეტესობა უკვე საუბრობს მათ უფლებებზე და ხშირ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ მათი უფლებები, როგორც ქალების სათანადოდ არ არის დაცული. ეს ყველაფერი დაკავშირებული საზოგადოების ცნობიერების გაღრმავებასთან და იმასთან რომ დროთა განმავლობაში მათი ცხოვრების წესიდან ამოძირკვეული იქნება ის ძველი ტრადიციები, რაც ყურანით და მათ რელიგიით არის განსაზღვრული ეს ყველაფერი კი გლობალიზაციის შედეგია. გლობალიზაციის შეჭრა ისლამურ კულტურაში გარკვეულწილად ასიმილაციის დამსახურებაცაა. მასობრივი მიგრაცია ევროპასა და ამერიკაში მათ გაცილებით უფრო ტოლერანტულებს ხდის.

ისლამისტურ ქვეყნებში დიდია გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა. თანამედროვე ტენდენციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ ძირითადად ასაკოვანი მუსლიმები და საეკლესიო პირები. მათ არ სურთ არც მეტი თავისუფლება, არც ასიმილაცია და არც ტოლერანტობა. ისინი გლობალიზაციას აღიქვამენ, როგორც დასავლეთის ქრისტიანობის მცდელობას მოახდინოს მუსლიმანური სამყაროს ტრანსფორმაცია და აქციოს იგი საკუთარ მარგინალურ ანალოგად .

დასავლურმა თავისუფლებამ ვერ მოხიბლა ისლამი და პირიქითაც ამ ყველაფერთან შეხებამ ისლამში უკუპროცესები გამოიწვია, კიდევ უფრო გააძლიერა ანტიდასავლური და ანტიამერიკული ტენდენციები.

სხვადასხვა მიმართულების მუსლიმურ თემებში არსებობს კატეგორია, ე.წ „სარწმუნოების რელიგიის ხალხისა“ (რიჯალ ად-დინ) იმ პირებისა, რომლებიც თავის მოვალეობად და უფლებად თვლიან უზენაესი ხელისუფლების მოღვაწეობის კონტროლს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია შიიტური სასულიერი წოდების წარმომადგენეთთვის. „რელიგიის ხალხი“, როგორც წესი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის ფართო მასებთან, განსაკუთრებით კი – ქალაქის მოსახლეობასთან, დაახლოებით X-XI სს-დან სასულიერო წოდების ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა ვაკეები. ვაკფი კი იყო მიწა სხვადასხვა ქონება

მუსლიმურ სახელწიფოში, რომელსაც მფლობელი წირავდა მუსლიმურ და საქველ-მოქმედო დაწესებულებებს. ვაკფის შემოსავალი, როგორც წესი არ იბეგრებოდა და წარმოადგენდა მუსლიმური სამღვდლოების შემოსავლის ძირითად წყაროს, საინტერესო ფაქტია რომ ვაკფის შემწირველთ შთამომავლებს შეეძლოთ მიეღოთ პენსია გადაცემული ქონებიდან. XIX საუკუნისათვის ოსმალეთის იმპერიის მიწების თითქმის მესამედი ეკუთვნოდა ვაკფის კატეგორიას . საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიუანსია რომელიც ერთ ერთი რეალური საფუძველი იყო სასულიერო წრის სიმდიერისა.

გვიანი შუა საუკუნეების ისლამი ჩაიკეტა თავის დოგმატებსა და ტრადიციებში. ღვთისმეტყველურ შრომებში თეორიულად საბუთდებოდა რაიმე ცვლილებების უსარგებლობა, დეტალიზდებოდა და ზუსტდებოდა X-XII სს-ში შექმნილი სისტემა და XIX ს-ის დასაწყისამდე ისლამურ ღვთისმეტყველებას რაიმე ახალი პრობლემა არ გადაუწყვეტია, ცვლილებები დაიწყო ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში, როცა მუსლიმური ქვეყნები ჩაებნენ მსოფლიო კაპიტალისტურ განვითარებაში და გაეცნენ დასავლეთის ცივილიზაციის მიღწევებს. XIX ს. მიწურულსა და XX ს-ის პირველ მესამედში ეგვიპტეში, სირიასა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებში გაიშალა მოძრაობა, რომელსაც ეწოდებოდა მოდერნიზაცია ან ისლამის რეფორმა. ამ მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი, მუჰამად აბდუ, რაშდ რიდა და სხვ. ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ გვიანი დამახინჯებებისგან ისლამის გაწმენდაზე. ტრადიციულ წარმომადგენლებს განმარტავდნენ იმგვარად, რომ ისლამური დოგმატები და მითითებები არ მოდიოდნენ წინააღმდეგობაში ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპებით სახელმწიფოს მოწყობის იდეასთან და კაპიტალისტურ საწყისებზე ეკონომიკის ორგანიზაციასთან. იმავდროულად ყალიბდებოდა ისლამური სოლიდარობის კოცეფცია. 1926 წელს შეიქმნიდა პირველი საერთაშორისო მუსლიმური ორგანიზაცია: „მსოფლიო ისლამური კონგრესი“.

ისლამის ისტორიაში თვისობრივად ახალი ეტაპი დადმა XX ს-ის II ნახევარში, როდესაც მუსლიმი ხალხები განთავისუფდნენ კოლონიური ბატონობისგან და დაისვა მწვავე პრობლემა განვითარების გზის არჩევისა. გაჩნდა მრავალი კონცეფცია ე.წ. “მესამე გზისა, „რომელსაც განასხვავებდნენ როგორც კაპიტალისტურისგან, ისე სოციალისტურისგან, მუსლიმი საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც მიმართდნენ ტრადიციულ ისლამურ ფასეულობებს ,აყენებდნენ თეზისს განვითარების ისლამური გზის შესახებ, როგორც ერთადერთ მისაღებზე იმ ქვეყნებისათვის, სადაც გავრცელებული იყო ისლამი. მის საფუძველზე შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს“ „ისლამური ეკონომიკის“ „ისლამური სოციალიზმის“ და ა.შ კონცეფციები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენდა კლასიკური ისლამის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური დოქტრინების მოდერნიზაციას კონკრეტული ქვეყნების განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.

60-იანი წლებიდან გაძლიერდა პოლიტიკის „ისლამიზაციის“ ტენდენ-

ცია. რიგ ქვეყნებში მმართველმა რეჟიმებმა სულ უფრო ფართო მასშტაბით დაიწყეს ისლამის ჩართვა თავიანთ ოფიციალურ იდეოლოგიასა და პოლიტიკურ სტრუქტურებში. 80-90-იან წლებში ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი გახდა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება, რაც გულისხმობს მუსლიმური რწმენის ნორმებისა და ფასეულობების აღდგენას, საზოგადოების მოწყობის ისლამის მითითებათა საფუძველზე. ასევე აშკარაა რადიკალური მიმდინარეობების გამუდმებული ზრდა. ისინი არა მარტო თავიანთი მთავრობების მიმართ არიან შურიგებელნი, არამედ როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ, უკავიათ უკიდურესად ანტიდასავლური პოზიციებიც. ის რომ ისლამი თავისეულ შეხედულებებს გვთავაზობს სხვადასხვა სფეროსა და ასპექტში საქმეს უფრო მეტად ართულებს, ის რელიგიის საზღვრებს ცდება და სისტემურ წარმონაქმნად გვევლინება, მესამე სამყაროს არსებობას გვამცნობს და აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ მათ გლობალიზაციის თავისებური ხედვა გააჩნიათ, ასე მაგალითად ისლამური ეკონომიკა აღნიშნავს ისლამის საზოგადოებრივი და ზნეობრივი ნორმებით განპირობებული ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებული გზის კონცეფციას, რასაც საფუძვლად უდევს ისლამის, როგორც ადამიანთა მთელი მოღვაწეობის, მათ შორის სამეურნეო საქმიანობის, მორალურ-ფასეული ორიენტირის განდიდების იდეა, საკუთრების და მემკვიდრეობის შარიათის ნორმები, ყურანის მითითებები სასესხო პროცენტის - რიბას და ზაქათის გადახდის თაობაზე 70-იანი წლების მიწურულიდან ისლამური ეკონომიკის კონცეფციები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო გარდაქმნების პროგრამებს, არა მარტო ცალკეულ განვითარებად ქვეყნებში, არამედ მსოფლიო მასშტაბით და ხდება „ახალი ისლამური ეკონომიკური წესრიგის დამყარების სხვადასხვა პროექტის ნაწილი. თავად ეს გეგმები და პროექტები მათ შემქმნელთა მიერ წარმოდგენილია, როგორც კაპიტალიზმისა და სოციალიზმისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული განვითარების გზა. სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად შარიათის ნორმების ინტერპრეტაციას ვაჭრობის, გირაოს, კრედიტების, ხელშეკრულებების და სხვ. შესახებ შიიტურ გარემოში ცალკეული დოგმატების გამოყენებით იქმნება საფუძველი, რათა სასულიერო ელიტას სრული უფლებამოსილება გააჩნდეს სამეურნეო ცხოვრების კონტროლისა და რეგულირების სფეროში.

მესამე ისლამური გზის კონცეფცია, რომელიც უპირისპირდება კაპიტალიზმს და სოციალიზმს „ისლამურ სახელმწიფოდ“ გვევლინება. ამ მესამე გზის კონცეფციიდან გამომდინარე, მოდერნისტული შეხედულებით, დაშვებულია სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების შერწყმა ისლამურთან. დამოუკიდებელი განსჯის - იჯდიჰადის საფუძველზე ხდება ისლამური სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ახლებურად აღქმა. თანამედროვე პირობებში, საზოგადოების ფუნქციონირებისა და მისი მართვის ისლამური პრინციპების განხორციელება გულისხმობს, ერთი მხრივ სამართლიანი

საზოგადოების და ტრადიციული ისლამური მოდელის ელემენტებს (ალაჰი, როგორც ხელისუფლების წყარო, საერო და სასულიერო საწყისების შერწყმა, საღვთო კანონების შესრულება, როგორც ხელისუფლების მთავარი ფუნქცია და სხვ.) მეორე მხრის კი, ასევე ისლამის პრინციპებით გაკეთილშობილურ იდეებს, როგორცაა „პირდაპირი დემოკრატია“, სახელმწიფოს მიერ და რელიგიური მორალით რეგულირებადი ეკონომიკა, შემოსავლების თანაბარი გადანაწილება და ა.შ.

არსებობს „ისლამური სახელმწიფოს“ სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული მოდელები (ირანი, პაკისტანი, ლიბია, საუდის არაბეთი) თითოეული მათგანი აცხადებს პრეტენზიას სრულად გამოხატოს ის საზოგადოებრივი იდეალები, რომლებიც ალაჰმა მუჰამადის საშუალებით გადასცა ადამიანებს.

შიიტური „ისლამური სახელმწიფოს“ (რომელსაც ირანში „ისლამური რესუბლიკა ეწოდება,) საფუძველს წარმოადგენს იმამათის დოქტრინის განახლება, მისი მისადაგება ახალი დროის მოთხოვნებისადმი, ხელისუფლების საკლარური ხასიათის ხაზგასმა და ველაიათ-ე ფაყიჰის ინსტიტუტის საშუალებით საერო და სასულიერო სფეროების ერთიანობის აღორძინება, ველაიათ-ე ფაყიჰისადმი მორჩილება თემის ყველა წევრისათვის სავალდებულოა. სახელმწიფოში რელიგიური ინსტიტუტების უპირატესობაა აღიარებული. სასულიერო წოდებას ქვეყნის მართვა-გამგეობაში პრიორიტეტული როლი ენიჭება.

საინტერესო ფენომენია ისლამური სოციალიზმი, ტერმინი რომელიც ფართოდ გამოიყენება იმ წარმოდგენების აღსანიშნავად, რომელთა თანახმად, მუსლიმური რელიგია შეიცავს სოციალური სამართლიანობის საფუძველებს და აქედან გამომდინარე, სოციალური გამვითარების პრინციპებსაც. ამგვარი იდეები XIX ს-ის დასასრულს წარმოადგენდა ჯამალ ალ-აფღა-ნიმ. იგი ცდილობდა ადრეული ისლამის პრინციპები შეესაბამებინა დასავლურ იდეალებთან.

რუსეთის რევოლუციამ ძლიერი ბიძგი მისცა ისლამურ სამყაროში სოციალისტური იდეების გავრცელებას, კოლონიური ეპოქის დასასრულს, მთავარი აქცენტი კეთდებოდა რიგი ისლამური მითითებების ანტიიმპერიალისტურ ინტერპრეტაციაზე. ბრძოლას უცნაური კაპიტალის მოძღვრების წინააღმდეგ „სოციალური: ელფერი ენიჭებოდა.

ისლამური სოციალიზმის იდეამ ახალი იმპულსი მიიღო დეკოლონიზაციის პერიოდში. როდესაც განთავისუფლებული ქვეყნები ირჩევდნენ განვითარების გზას. განვითარების განსაკუთრებული ისლამური გზის არგუმენტირება ხდება პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში რელიგიური ფაქტორის უპირველესობის ხაზგასმით. ეგვიპტეში ნასერის მმართველოს ხანაში ალ-აზჰარის უნოვერსიტეტის ალიმები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოციალისტური იდეების დამუშავებას. ისლამური სოციალიზმის ნიმუში „ლიბიური“ ანუ „ბუნებრივი სოციალიზმი“ მ. კადაფის სიტყვებით „ჩვენ მართლაც სოციალისტები ვართ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა კი

მუსლიმები. “სოციალისტურადა გამოცხადებული ლიბიის სახელმწიფო (ლიბიის სოციალისური სახალხო ჯამაჰირია).

მუსლიმი იდეოლოგიები ისლამურ სოციალიზმს საზღვრავენ, როგორც „მუჰამადისეულ თნასწორობას“ ან „ისლამურ თნასწორობას „ამ თანასწორობის უზრუნველსაყოფად ეყრდნობიან ისლამურ ინსტიტუტებსა და შარიათს ნორმებს. ზაქათს, რიბას, მემკვიდრეობის წესებს, საკუთრების ფორმებს და სხვ. ყურანის ათეების დამოწმებით. დიახ ისინი საკუთარ ალტერნატივას გვთავაზობენ თითქმის ყველა სფეროში, ყურანი მათ კარნახობს რომ ყველაფერს.

გლობალიზაციის ამომავალი თეზისი „ბედნიერება ყველასთვის“ მიუღებელია ისლამის მიმდევრებისთვის და მათ ამ ყველაფერზე ყურანში აქვთ პასუხი. ისლამის პირველი და უმთავრესი დოგმაა ერთი ღმერთის ალაჰის რწმენა, რომელიც გამოითქმის ფორმულით „ლა-ილ-ალაჰ, ილ - ალაჰ“ (არ არის სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა) ისლამის პირველი ბურჯი არის აშ-შაჰადა - მუსლიმური ღმერთის სიტყვიერი აღიარება, დამოწმება, რაც გამოიხატება ფორმულით: „ლა ილაჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამადდუნ რასულუ ლაჰჰი“ (არ არის ღვთაება გარდა ალაჰისა და მუჰამადი მოციქულია ალაჰისა) ეს ფორმულა ზუსტად ამ რედაქციით არ არის ყურანში, მაგრამ მთელ რიგ აიებში არის მითითებული აღიარონ ღმერთის ერთადერთობა და მუჰამადის მოციქულობა.

ფუნდამენტალისტთა დაპირისპირება დასავლურ სამყაროსთან სამ პრინციპს ემყარება: 1. მტკიცება იმისა, რომ სწორედ ისლამმა შეიტანა დასავლეთში ცივილიზაცია; 2. დასავლური ფასეულობების, კოლონიზატორული პოლიტიკის მხილება; 3. ისლამის აპოლოგია რევოლუციური ისლამიზმისგან განსხვავებით, ფუნდამენტალისტური მოძრაობები პოლიტიკურად უმთავრესად პასიურია. ფუნდამენტალისტურ ორგანიზაციათა სათავეში რელიგიური პირები დგანან, მათი მიზანია ხელისუფლებამ გაატაროს რელიგიური რეფორმები, მათ არ სურთ ძალაუფლების ხელში აღება. მათთვის მთავარია ძლიერი ისლამური საზოგადოების შექმნა და არა ძლიერი სახემწიფოსი.

ისლამისტთა მიერ შემუშავებული პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასწორად იწოდება „ისლამურ ფუნდამენტალიზმად“ მეტად იდეალიზებული ძველი წესრიგის აღდგენას გულისხმობს. თუმცა ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ ისინი თავის ვარიაციებს გვთავაზობენ ნებისმიერ სფეროში, მუსლიმი რადიკალები ისტორიული დეტერმინიზმის იდეით შეგულიანდნენ, რომელიც ისლამის გარდაუვალ ტრიუმფს, ღვთის მიერ წინასწარ განსაზღვრულად მიიჩვენს. მათ სწამთ რომ მხოლოდ ისლამის საფუძვლებზე დაყრდნობით შექმნილი მსოფლიო წესრიგი იქნება იდეალური. მიმაჩნია რომ, შექმნილი რთული ვითარების ერთ-ერთი მიზეზი არსებული მსოფლიო სისტემიდან მუსლიმური სამყაროს განიყულობაა, ისინი რაღაც ეტაპით გამოერიყვნენ და ჩაიკეტნენ თავიანთ ჩარჩოებში, რამაც გამოიწვია, ის რომ დანარჩენი სამყარო განვითარდა და ნაწილობრივ

ასიმილრდა, ხოლო მაშინ როდესაც ისლამისტებმა დაიწყეს ფიქრი თავიანთი ტრადიციული სარწმუნეობის მოდერნიზაციის შესახებ უკვე მეტ-ნაკლებად გვიანი იყო, რაც დანარჩენი სამყაროს მიმართ აგრესიის საფუძველი გახდა. მუსლიმთა აზრით, ისლამური სამყაროში, წარსულ სიდიადესთან შედარებით უსამართლოდ შეზღუდული იზოლაცია უკავია. მუსლიმები შექმნილ ვითარებაში მუსლიმურ სამყაროთა მმართველ ნაციონალისტურ ძალებს ადანაშაულებენ, ნაციონალიზმი, რომელიც დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ მმართველობას უნდა დევნიდეს, პრაქტიკულად, დასავლური სახელმწიფოს მოდელს წინააღმდეგობასაც კი ვერ უწევს, რომ არაფერი ვთქვათ ისლამური ტრადიციების აღდგენაზე, ახლო აღმოსავლეთში ისლამის რადიკალიზაცია კულტურული და ინტელექტუალური სტაგნაციის, დასავლური მმართველობის სეკულარული მარცხის შედეგია. ისლამისტებს სურთ ჭეშმარიტ ანტიიმპერიალისტურ ძალად მოიაზრებოდნენ, რომელიც არა მხოლოდ დასავლეთის პოლიტიკურ ჰეგემონიას, არამედ ისეთ დასავლურ იდეოლოგიებსაც ებრძვის, როგორც არის ლიბერალიზმი, სოციალიზმი და სეკულარიზმი. ისლამის ანტიგლობალისტურ ტენდენციებს ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მის რელიგიურ ბუნებაში ეძებს, მაგალითად ფრენსის ფუკუიამას მიაჩნია, რომ ისლამის მოწოდება „პრინციპულად უნივერსალურია და ყველას ეხება“, როგორც უკვე ავღნიშნეთ ყურანში არ არის რჩეულობის უფლება. მათ აქვს ერთი ღმერთის წმენა, რომელმაც დაუწერა ცხოვრების წესის შესახებ და განუსაზღვრა ყველა ის დოგმა, რაც შეიძლება საჭირო იყოს ადამიანის განვითარებისათვის. ისლამის ტრანსოციალურობა იმაში ვლინდება, რომ იგი დასავლეთისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს ჭეშმარიტებას ანუ იმას, რაც ყურანშია გამოცხადებული.

დასკვნა

გამოსავლის მოძებნა ნამდვილად შესაძლებელია, თუ დასავლეთს ნამდვილად სურს „რკინის ფარდის,“ გარღვევა და იმ გაუგებრობების დაძლევა, რაც დასავლურ და ისლამურ სახელმწიფოს შორის განხეთქილების მიზეზი ხდება, ამისათვის აუცილებელია კარგად გაიზაროს მსოფლიომ ისლამური პოლიტიკის ურთულესი ელემენტები, მიმაჩნია რომ უსაფრთხოების პრობლემაზე აქცენტირება დასავლეთის მმართველ ელიტას ხელს უშლის სწორად შეაფასოს ისლამისტთა მოთხოვნები. ისლამი რთული ფენომენია და შესწავლას საჭიროებს, ის რომ მათ განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში მათი ჯერ კიდევ გარიყულობას შეიძლება მივაწეროთ, ვფიქრობ, რომ გლობალიზაციის და ისლამის ურთიერთიმართება წინააღმდეგობრივი ნამდვილად არის თუკი ისლამი არ დათმობს ყურანის შეხედულებებს საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების შესახებ, თუმცა საგანგაშო სიტუაცია არ არის, თუკი თანამედროვე ტენდენციებს დავაკვირდებით, ისლამისტები იღებენ დასავლურ განათლებას და მშვენივრად ესმით,

რომ მათი რელიგია თუკი ფეხს არ აუწყობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს შესაბამისად ვერ მოხდება მათი განვითარება, ისლამი მისი ბუნებით არ არის აგრესორი რელიგია, თუმცა ხშირად ისე ხდება ხოლმე რომ, მაშინ როდესაც ისინი თავიანთ ქვეყნებსა და სარწმუნოებას იცავენ სხვა ქვეყნებისაგან საზოგადოებაში მუსირებს მოსაზრება მათი აგრესიის შესახებ, ისლამი პოლიტიზირებულია და ამას ვერსად გავექვევით, დიდი ქვეყნების ინტერესი მათი, ბუნებრივი რესურსებით, მდიდარი ქვეყნების მიმართ ძალიან დიდია. სხვა გზა არ გააჩნიათ გარდა იმისა, რომ მსოფლიოს მოწყობის საკუთარი ალტერნატივა შემოგვთავაზონ, იმ პირობებში, როდესაც მათ განვითარებას უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორი გააჩნია. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ისლამის რელიგია წარმოშობის პროცესშივე დაკავშირებული იყო პოლიტიკასთან. არაბ ტომთა პოლიტიკური გაერთიანება ერთი ღმერთის - ალაჰის რწმენის მიღებასთან იქნა დაკავშირებული. არაბთა პირველი გაერთიანებული სახელმწიფო თეოკრატიული ხასიათისა იყო. სახელმწიფო და რელიგიური მეთაურობა ერთ ხელში იყო მოქცეული. ასე იყო არა მხოლოდ არაბული იმპერიის არსებობის მანძილზე, არამედ არაბეთის თვით თურქეთის სასულთნოს შემადგენლობაში ყოფნს დროსაც. თურქეთის სულთნები ითვლებოდნენ რელიგიურ მეთაურებადაც, შესაბამისად ისლამის პოლიტიკასთან კავშირს ისტორიული საფუძველი გააჩნია და იგი ვერასოდეს იქნება მხოლოდ რელიგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰოლკინსი დ., რელიგიური საზოგადოება. თბ., 2002.
2. ჟორდანიას აპ., დრო და შემოქმედი, თბ., 1985.
3. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. შემდ. კ. კუცია, მ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, მ. სვანიძე, გ. ჯაფარიძე. გამომც. „ნეკერი“, თბ., 1999.
4. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2017.
5. დიურკჰემი, რელიგიის ელემენტარული ფორმები, თბ., 2003.

Islam in Globalized World

*Ana Pureliani, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Globalization is an irreversible process, the process of international integration, where society habitually and instinctively participates by exchanging national and cultural resources and values. Islam is a fundamental religion which has been in existence for years and the influence of which increases on a daily basis among its followers. It is interesting to evaluate the co-existence of these two phenomena whilst neither globalization nor Islam is willing to find the middle ground. According to the prominent analyst Jurgen Habermas main focus should be on creating and implementing „ethical communication“, whereas sociologists Peter Berger and Thomas Luckmann who introduced the term social construction believe that through „globalization processes society becomes more and more accustomed to different perspectives and Islamic world should not be left out“. The only way to achieve the consensus is the West to refuse the “Consumer dependence” attitude towards the Islamic world, as stated by Mr. Kakha Ketsbaia. This is all about the social injustice one of the characteristics of globalization “ranking the countries”, the trait which is incompatible with the democratic values. Globalization is an independent, self-governing process, the fact very-well known to Islamic world, yet, it somehow opposes to the process of globalization often with radical actions and widely demonstrates their unwelcoming attitude towards the ongoing process.

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური ევოლუცია

რეზიუმე

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება მრავალფეროვანი და რთულია. მასში ჩართული არიან დიდი რაოდენობით მონაწილეები, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკური პარტიებისთვისაა განპირობებული.

თანამედროვე პოლიტიკური პარტიები საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არსებით ელემენტებს და პოლიტიკის მნიშვნელოვან სტრუქტურებს წარმოადგენენ, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული კლასებისა და სოციალური ჯგუფების საჭიროებებს, ინტერესებსა და მიზნებს, აძლევენ მათ შესაძლებლობას აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ძალის მექანიზმის ფუნქციონირებაში ან იმოქმედონ მასზე არაპირდაპირი გავლენით. ასევე პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებაში პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაში და მათი საქმიანობის ძირითად ასპექტს იდეოლოგიური გავლენა წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტს, მათ შორის პოლიტიკურ პარტიების განვითარებას. საჭიროა შემუშავდეს პრინციპები ურთიერთქმედების სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ხელი უნდა შეუწყოს ჩამოყალიბდეს პარტიების ისეთი პროგრამა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მორალისა და კანონის დადგენილ პრინციპებზე იქნება აგებული.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, სახელმწიფო, პოლიტიკური პარტია,

შესავალი

მსოფლიოში ფუნდამენტური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოებრიობის კატეგორიების გაჩენამ და განვითარებამ ბოლო წლებში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური, ისევე როგორც სამართლებრივი, გარდაქმნები გამოიწვია. მეცნიერების ძირითად პრობლემებს შორის თანამედროვე საქართველოში ძალაუფლებისა და პარლამენტარობის პრინციპის კორელაციის პრობლემა გამორჩევა თავის თეორიულ რეპუტაციასთან ერთად.

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება მრავალფეროვანი და რთულია. მასში ჩართული არიან დიდი რაოდენობით მონაწილეები, რომელთა შორის

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკური პარტიებისთვისაა განპირობებული. დღეს ძნელი წარმოსადგენია სახელმწიფო, რომელშიც იქნება მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია. თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, არსებობს ორი ან მრავალპარტიული სისტემა.

პარტიები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში არსებობდა, რომლებიც „დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულ დაპირისპირებულ ჯგუფებს“ წარმოადგენდნენ [1. 40-51]. დღევანდელი სახით კი, პარტიები მხოლოდ ახლო წარსულში, დაახლოებით XVIII საუკუნიდან, საკონსტიტუციო მთავრობისა და ჭეშმარიტი არჩევნების შემოღების შემდეგ გაჩნდა [2].

პოლიტიკური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც მმართველებს აკავშირებს მართულებთან და ცდილობს უზრუნველყოს წარმომადგენლობა და დაეუფლოს ხელისუფლებას არჩევნებზე კანდიდატთა წარდგენის გზით. აქედან გამომდინარე, პარტიების განვითარება არჩევნებთან, კერძოდ კი, მოსახლეობის ფართო ფენების მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვებასთან არის დაკავშირებული.

ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, ედმუნდ ბერკი პარტიის არსს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ადამიანთა ერთობა შექმნილი საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული რაიმე პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად.“ [1. 40]. აქ ჩვენ ვხვდებით თანამედროვე პარტიების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანს - პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ გაზიარებულ რწმენას ან იდეოლოგიას.

XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების მიჯნაზე გაჩნდა ახალი ტიპის - პროტო-ჰეგემონური პარტიები - გაჩნდა. თუკი მანამდე არსებული პარტიები მზადყოფნას გამოხატავდნენ სხვა პარტიებთან და იდეოლოგიებთან თანაარსებობისათვის, ამ ახალი ტიპის პარტიების მიზანს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სრული ძალაუფლების მოპოვება და საზოგადოების გარკვეული იდეოლოგიური თარგის მიხედვით გარდაქმნა წარმოადგენდა. ასეთი ტიპის პარტიები იყო კომუნისტური ან ფაშისტური/ნაცისტური პარტიები.

თანამედროვე პოლიტიკური პარტიების შექმნას განაპირობებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების დაცვის საჭიროება და ამ თვალსაზრისით, პარტიები ინტერესთა ჯგუფებთან და სოციალური მოძრაობებთან მსგავსებას ავლენენ. ისინი ცდილობენ წარმოადგინონ საკუთარი ამომრჩეველების ინტერესები და ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხში შესაბამისი პოზიცია დაიკავონ. ამ პარტიებს ერთმანეთისგან ძირითადად ამ ინტერესთა განხორციელების ხერხები განასხვავებს.

ამრიგად, თანამედროვე პოლიტიკური პარტიები საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არსებით ელემენტებს და პოლიტიკის მნიშვნელოვან სტრუქტურებს წარმოადგენენ, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული კლასებისა და სოციალური ჯგუფების საჭიროებებს, ინტერესებსა და მიზნებს, აძლევენ მათ შესაძლებლობას

აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ძალის მექანიზმის ფუნქციონირებაში ან იმოქმედონ მასზე არაპირდაპირი გავლენით. ასევე პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებაში პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაში და მათი საქმიანობის ძირითად ასპექტს იდეოლოგიური გავლენა წარმოადგენს.

პარტია არის მინიატურული პოლიტიკური სისტემა ხელისუფლების სტრუქტურით, წარმომადგენლობითი პროცესით, ელექტორალური სისტემით და ა.შ. პარტიების, როგორც სისტემის, შესწავლისას ორი ძირითადი მიდგომა გამოიყოფა: 1) შიდაპარტიული დემოკრატიის შესწავლა და 2) ორგანიზაციული მიდგომა.

პირველი მიდგომა სათავეს იღებს რობერტ მიხელსის ნაშრომიდან „ოლიგარქიის რკინის კანონი“ [3]. გერმანელმა სოციოლოგმა რ. მიხელსმა თავის წიგნში „პოლიტიკური პარტიები“ ჩამოაყალიბა პრინციპი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის ორგანიზაცია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ექცევა რამდენიმე ადამიანის კონტროლქვეშ [4].

ავტორი მიიჩნევს, რომ დემოკრატია ვერ აჩერებს მყარი ბიუროკრატიისკენ სწრაფვას და შედეგად შესაბამისია. ამ მიდგომაში ძირითადი პრობლემა „დემოკრატიის“ შეფასების მეთოდებშია [5].

მეორე მიდგომა სათავეს იღებს მორის დიუვერჟეს თეორიებიდან. ორგანიზაციული სტრუქტურების შესწავლა გარკვეულწილად შეეხება შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხსაც, რამდენადაც დემოკრატიული პროცესი მოითხოვს გარკვეულ კონკრეტულ სტრუქტურებს, თუმცა ორგანიზაციული მიდგომა მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რამდენად დემოკრატიული ან არადემოკრატიულია ესა თუ ის სტრუქტურები [6].

სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობები ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის საფუძველზე იქმნება. თუმცა, სახელმწიფო იტოვებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისა და გარკვეული პოლიტიკური პარტიების აკრძალვის უფლებას, რომლებიც საზოგადოებაში სიტუაციის დესტაბილიზაციას და მოქალაქეებზე ნეგატიური გავლენის მოხდენას ცდილობენ. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია „დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობის დამხობა ან ძალადობით შეცვლა, საქართველოს დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, რომელიც ეწევა სხვადასხვა სოციალურ ან ეთნიკური ჯგუფს შორის შუღლის პროპაგანდას; დაუშვებელია რეგიონალურ პრინციპზე დამყარებული პარტიების შექმნა; ამასთან, მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლება აკრძალოს პარტიის საქმიანობა“ [7].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი გაერთიანება შეიქმნა საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით, საზოგადოების მემკვიდრეობით პოლიტი-

კური ნების ფორმირების და გამოხატვის მიზნით, ასევე მისი მიზანია საზოგადოების მონაწილეობა სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობაში, არჩევნებსა და რეფერენდუმში, აგრეთვე იმისათვის, რომ წარმოადგინონ მოქალაქეთა ინტერესები საჯარო ხელისუფლებასა და ადგილობრივ მთავრობებში.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია გამოჩნდა. ისინი მუდმივად ვითარდებიან და იბრძვიან. იდეოლოგიურ ჭიდილსა და განვითარებაში ერთობლივ პოზიციებს აერთიანებენ და ახდენენ სახელმწიფო სტრუქტურებზე პოლიტიკურ გავლენას, ასევე ცდილობენ მათი წარმომადგენლების უფლებამოსილების გაძლიერებას. ქვეყნის მშენებლობა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს თანამედროვე პირობებში შეუძლებელია თუ სათანადო ყურადღება არ დაეთმობა პოლიტიკურ პარტიებს, რადგან ცხადია, რომ პოლიტიკური პარტიების უახლოეს მომავალში ექნება ექსკლუზიური უფლება არჩევნებში მონაწილეობის საპარლამენტო დონეზე (კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების თანახმად საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება). ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ ზომები უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკური პარტიების უფლებებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში თანამედროვე პარტიები ჩამოყალიბდა მოსახლეობის მასებში. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური პარტიები იქმნება როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც წარმოიშვა ევროპის კულტურის სფეროში და მას შემდეგ ვრცელდება თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა კულტურულ რეგიონებში.

რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფების სისტემა, მით უფრო სუსტია მობილიზაციის მექანიზმები და, შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის ინსტიტუტი (აქედან გამომდინარე, მთლიანობაში პარტიული სისტემა), მით უფრო სავარაუდოა აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირება და პოლიტიკური პროცესების არაფორმალური რეგულირება [8. 5-17].

პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლება აღიარებული და დაცულია, როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციითა [7] და შიდა კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს აქვთ უფლება შექმნან პოლიტიკური გაერთიანება, მიიღონ მონაწილეობა მის მართვასა და საქმიანობაში, განსაზღვრონ პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა და მსოფლხედველობრივი მიზნები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიის არსებობა „არსებითად დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის“ [9].

პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება ჩაერთოს საარჩევნო პროცესში. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარტიები ხშირად უნდა გაუმკლავდნენ საზოგადოებისა და სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნებს,

რომლებსაც აქვთ გარკვეული შეხედულებები სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე და მიდგომები მათი სახელმწიფო აპარატში ჩართულობის შესახებ. ცხადია, რომ საარჩევნო პროცესი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია დემოკრატიულ ქვეყანაში. პარტიების ფუნქციები და საქმიანობის ასპექტები უფრო ფართოა, ვიდრე არჩევნებში გამარჯვების ამოცანები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიშნების პოლიტიკური პარტიები ხასიათდებიან ფუნქციონირების ხანგრძლივობით და უწყვეტობით. მათი არსებული სტრუქტურის მუდმივი კომუნიკაცია ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს შორის, პარტიის პროგრამის პოპულარიზაცია, ზრუნვა მათი მხარდამჭერებისა და მიმდევრების მიმართ მათ პოპულარობის გარანტიას აძლევთ.

საპარლამენტო უმრავლესობა მხარს უჭერს რიგ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის პრობლემების მოგვარებას, ასევე ოპოზიცია რეკომენდაციებისა და კრიტიკის ფორმით ეხმიანება ამ კანონპროექტებს, რათა უფრო ეფექტური იყოს მისი მოქმედება. ამრიგად, ძალიან მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანოში მრავალპარტიული, სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური თანაარსებობა.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს რეგიონალურ დონეზე დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, კერძოდ:

საკრებულოებში წარმოდგენილი ყველა პარტიას ექნება შესაძლებლობა შექმნას ფრაქციები. პარტიას, რომელსაც ხმა მისცა ადგილობრივ არჩევნებში 3%-ზე მეტმა ამომრჩეველმა, მიიღებენ სრულფასოვან მონაწილეობას ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში;

არაკვალიფიციურმა პარტიებმა ხელმოწერების შეგროვებით შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა დაბრკოლების გარეშე;

არასაპარლამენტო პარტიებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების/დამკვირვებლების მონაწილეობის გაზრდის შესაძლებლობა;

საქართველოს კანონმდებლობით ყველა პოლიტიკური სუბიექტი გარანტირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის გაშუქებით (არჩევნების დროს პარტიების გაშუქებისთვის კვოტები არის დაწესებული და მიმდინარეობს მკაცრი მედია მონიტორინგი ამ კვოტებზე).

ჩემი აზრით, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს. შიდაპარტიული არჩევნები ფართოდ უნდა დაინერგოს პარტიული თანამდებობების ყველა დონეზე. თავმჯდომარეს უნდა განესაზღვროს 2 ან 3 ვადით არჩევის უფლება, რასაც წესდება დაარეგულირებს და რეგისტრირებული იქნება იუსტიციის სამინისტროში. პარტიები არ უნდა იყვნენ დიქტატორული მმართველობის მინი მოდელები. მსგავსი პარტიები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ინერციით აგრძელებენ მმართველობის მსგავს ფორმას და პარტიული დიქტატურა ხდება სახელმწიფო დიქტატურის პოლიტიკური და სამართლებრივი

მემკვიდრე. სამწუხაროდ, საქართველოს უახლეს ისტორიაში გვქონდა მაგალითები, სადაც უცვლელი პარტიის თავმჯდომარეები ვერ თმობდნენ პრეზიდენტის პოსტს, რაც ქვეყნისა და საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემად იჩენს ხოლმე თავს.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტს, მათ შორის პოლიტიკურ პარტიების განვითარებას. საჭიროა შემუშავდეს პრინციპები ურთიერთქმედების სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ხელი უნდა შეუწყოს ჩამოყალიბდეს პარტიების ისეთი პროგრამა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მორალისა და კანონის დადგენილ პრინციპებზე იქნება აგებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hans Daalder, "The Rise of Parties in Western Democracies", in *Political Parties and Democracy*, ed. by Richard Gunther, Larry Diamond, the Johns Hopkins University Press: Baltimore, 2001.
2. Giovanni Sartori, *Parties and Party Systems: A Framework for Analysis*, Cambridge Univ. Press: New York, 1976.
3. მაცაბერიძე მ., რობერტ მიხელსის „ოლიგარქიის რკინის კანონი“. თბ., 2013.
4. მიხელსი რ., *პოლიტიკური პარტიები*, 1911.
5. მაზმიშვილი დ., „ოლიგარქიის რკინის კანონი“, დროებითი მოვლენა თუ პოლიტიკის ჩაკეტილი წრე. <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisufali-sivrtse-davit-mazmishvili-oligariis-rkinis-kanoni/277990> 53.html
6. გიორგაძე გ., საქართველოს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაცია და დემოკრატიული მშენებლობის პრობლემები (დისერტაცია), თბ., 2011.
7. საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკური პარტიების შესახებ, მუხლი 26.
8. Dalton, Russel J. and Martin Wattenderg, Ed, *Parties without Partisans*. New York, Oxford University, 2003.
9. მაგმტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2010.

Institutional Evolution of Political Parties

*Kakha Dzagania, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The political life of the society is quite different and complex. A large number of participants are involved in it including the most important participants - political parties. The modern political parties are essential elements of the societal system of the society and they also are important structural policies. The modern political parties express the needs, interests and goals of certain classes and social groups, give them the opportunity to take active part in the functioning of the mechanisms of the policy force or have unreliable influence on them.

The parties also play an important role in shaping political consciousness in the development of the party and the main aspect of their activity is ideological influence.

Therefore, the state should pay a great attention to the institution of political system, including the development of political parties. There should be developed principles of interaction between political parties and political parties.

So the state interested in the development of stable civil society, should promote the development of a party program, which would be based on the moral and law principles of civil society.

2015 წელს რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობის კრიზისის გამომწვევი მიზეზები, შედეგები და პოლიტიკური ღონისძიებები

რეზიუმე

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს სირიისკენ მიმავალი რუსული ბომბდამშენი **სუ-24**. ამ ტრაგიკულმა ინციდენტმა რუსეთ-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები თავდაყირა დააყენა. იმას რასაც მხარეები გუშინ სტრატეგიულ ურთიერთობებს ეძახდნენ წარსულს ჩაბარდა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ჩიხში შევიდა.

დღევანდელი მდგომარეობით ისევე როგორც ანკარა, ასევე მოსკოვი რთული არჩევანის წინაშე დგანან: – გააგრძელონ კონფრონტაციული პოლიტიკა ან იპოვონ რაიმე ვარიანტები ურთიერთობების დასაბალანსებლად.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე მკვლევართათვის ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემა სწორედ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება გახდა. პოლიტიკური მიმომხილველები ზემოხსენებული თემით დაინტერესებულ მკითხველებს სხვადასხვა ვარიანტებს სთავაზობენ.

ამერიკული კვლევითი ცენტრები ეჭვის თვალით უყურებენ იმ ფაქტს, რომ **ნატომ** არ გამოხატა ღია მხარდაჭერა სამხედრო ალიანსის წევრი ქვეყნის მიმართ. რუსი და თურქი მიმომხილველები კი თავის მხვრივ „მშობლიური კრემლის“ ინტერესებს ატარებენ.

მე შევეცდები შესაძლებლობის ფარგლებში ობიექტურად წარმოვაჩინო რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გამომწვევი თანამედროვე მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, დიპლომატია, საერთაშორისო ურთიერთობები

შესავალი

პირველი უთანხმოება რუსეთ-თურქეთს შორის წარმოჩინდა ახლო აღმოსავლეთში, ე.წ. „**არაბული გაზაფხულის**“ დასაწყისში. ორივე სახელმწიფოს ლიდერები ცდილობდნენ არ დაეშვათ, რომ ეს წინააღმდეგობა ასახულიყო ორმხრივ თანამშრომლობაზე და გარკვეული წლების შემდეგ ეს მათ მიაღწიეს კიდეც.

2013 წლის ბოლოს როცა რუსების გამოისობით უკრაინაში კრიზისი განვითარდა, რის შედეგადაც რუსეთმა ყირიმი „შეიერთა“ (რუსული ანალიტიკური წყაროები ოკუპაციის ნაცვლად იყენებენ შეერთებას), თურქეთის რეაქცია იყო ადეკვატური, მაგრამ მაშინ თურქეთის ხელისუფლებამ აქცენტი გააკეთა ყირიმელ თათრებზე. ამის გარდა თურქეთი არ შეუერთდა დასავლეთის მიერ შემუშავებულ ანტირუსულ სანქციებს. ამით ანკარამ ხაზი გაუსვა რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ძირითადი ტექსტი

2014 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ვიზიტით ეწვია თურქეთს, ამ ვიზიტის დროს შემუშავებულ იქნა პროექტი „თურქული სტრატეგია“, რაც სიმბოლო გახდა ორ ქვეყანაში შორის სტრატეგიული თანამშრომლობისა. მაგრამ 2015 წლის ზაფხულიდან უკვე გამოჩნდა დაძაბულობის ნიშნები რუსეთ-თურქეთს შორის, რაც დაკავშირებული იყო ანკარის უკმაყოფილებით სირიის კრიზისში რუსეთის ჩართულობის გამო.

წინააღმდეგობები გამოჩნდა ასევე ენერგეტიკულ სფეროშიც: თურქულმა მხარემ დაადანაშაულა რუსეთი გაზის დაპირებული 10,25 %-იანი შეღავათით მიწოდების არ შესრულებაზე. თავის მხვრივ კი რუსეთის მხარემ ეს ბრალდება დაასაბუთა თურქეთთან წინა წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. ოფიციალური ანკარა კი მიიჩნევდა რომ სტრატეგიული ხელშეკრულება და გაზის იმპორტი საერთოდ არ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ამის შედეგად თურქულმა ენერგოკომპანია – „ბოტაშმა“, რომელიც დაკავებული იყო ამ პროექტის რეალიზაციით, რუსული ნავთობ-მაგნატის „გაზპრომის“ საწინააღმდეგოდ შეიტანა საჩივარი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში [1].

სირიაში რუსეთის სამხედრო საჰაერო ოპერაციების დაწყების შემდეგ, ანკარის და მოსკოვის ურთიერთობები უფრო დაიძაბა. ჟენევაში და ვენაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციები სირიის პრობლემის გადასაწყვეტად უკვე აღარ პასუხობდა თურქეთის ინტერესებს. სავარაუდოა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. ამის პარალელურად, რუსეთის ავიაციამ საჰაერო დარტყმები მიაყენა სირიაში ასადის რეჟიმის ოპოზიციური დაჯგუფებებს, რომლებიც სამხედრო მხარდაჭერას იღებდნენ თურქეთიდან, საუდის არაბეთიდან და ყატარიდან. თავისი პროტექციების დაღუპვის შედეგად ოფიციალურმა ანკარამ დანაკარგი განიცადა. თურქეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა რუსეთის ფედერაციისა და სირიელი ქურთების თანამშრომლობის ფაქტი.

ამის მიუხედავად, ანკარას სურდა მოსკოვთან დიალოგის გაგრძელება, რათა დაერწმუნებინა კრემლი, რომ ბაშარ ასადი უნდა წასულიყო, მაგრამ „დიდი ოცეულის“ ანტალიის სამიტის მიმდინარეობისას ზემოხსენებულთან დაკავშირებით ერდოღანსა და პუტინს შორის საუბარი არ შედგა.

ანტალიაში გამართული „დიდი ოცეულის“ სამიტის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო: ამ შეხვედრას უნდა დაეახლოებინა რუსეთ-თურქეთის პოზიციები სირიის კრიზისთან დაკავშირებით. ამასთანავე, ამ სამიტის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაიწყეს იმ რაიონების დაბომბვა, სადაც დასახლებულნი იყვნენ თურქმენები, რომლებიც თურქეთში მცხოვრები ხალხის მონათესავეებად ითვლებოდნენ. ამ ნაბიჯმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც თურქეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ასევე თურ-

ქულ საზოგადოებაში. რუსეთს არ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ სირიელი თურქმენები ისეთივე მნიშვნელოვანი იყვნენ თურქული მხარისათვის, როგორც რუსი მოსახლეობა ყირიმში და უკრაინაში [1].

თურქი პოლიტიკური მიმომხილველების წრეში რუსული სამხედრო ავიაციის ეს მოქმედება დახასიათებული იყო როგორც წინააღმდეგობა, რომ ანკარა არ გამხდარიყო ლიდერი თურქულ სამყაროში.

2015 წლის 24 ნოემბერს, როდესაც თურქეთის საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი სუ-24, „ანკარამ“ განაცხადა, რომ ეს არ იყო მიჩნეული, როგორც რუსული სამხედრო თვითმფრინავი, ვინაიდან სირიაშიც ჰყავთ რუსული თვითმფრინავები, პილოტი კი კავშირზე არ გამოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს სირიის არმიამ ჩამოაგდო თურქული სამხედრო გამანადგურებელი, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული თურქეთი ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს სირიაზე საპასუხოდ.

ამის გარდა, „ანკარამ“ 2012 წელს განაცხადა, რომ ნებისმიერი ობიექტი, რომელიც 30 მილის მანძილზე მიუახლოვდებოდა თურქეთის საჰაერო საზღვარს, აღიქმება პოტენციურ საფრთხედ. ანალოგიური რეაქცია იყო ოფიციალური ანკარის მხრიდან რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების დროსაც, რაზეც პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა: „ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ ეს იყო რუსული თვითმფრინავი, ჩვენ სხვა რეაქცია გვექნებოდა“.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა მწუხარება გამოთქვა რუსი პილოტის დაღუპვის თაობაზე, მაგრამ ხაზი გაუსვა რომ თურქეთი ოფიციალურ ბოდიშს არ მოიხდიდა. თავის მხვრივ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ აღნიშნა, რომ: „იმის მცდელობა, რომ თურქეთს დაბრალდეს კრიზისი რუსეთის ფედერაციასა და თურქეთს შორის, არ იქნება სწორი როგორც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ასევე კეთილმეზობლური ურთიერთობების ფონზე. ეხლა თუ დავიწყებთ უკვე მომხდარ ფაქტზე დამნაშავეს ძებნას, იმ ქვეყნიდან უნდა დავიწყოთ, რომელმაც რამდენჯერმე დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე. უკანასკნელი განცხადებები რუსეთის მხრიდან არ შეიძლება მიღებულ იქნეს კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილის მქონე ქვეყნის განცხადებად.“

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ოფიციალური თურქეთის მხრიდან რუსეთის ფედერაცია 2015 წლის 24 ნოემბრამდე ოფიციალურად ოთხჯერ იქნა გაფრთხილებული თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტების შესახებ. აგრეთვე ანკარა შემფოთებული იყო თურქმენების პრობლემით. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოიძახა რუსეთის ელჩი, რომელსაც გადასცა ანკარის შემფოთება რუსეთის სამხედრო ავიაციის მხრიდან თურქმენეთის სოფლების დაბომბვის ფაქტთან დაკავშირებით.

ცხადია, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები სირიის კრიზისთან დაკავშირებით დღემდე იმდენად სერიოზულია, რომ

კომპრომისის მიღწევა ვერ ხერხდება. ოფიციალური ანკარა ამართლებს რა თავის მოქმედებებს საზღვრების დაცვის აუცილებლობით, თურქეთი დღემდე უარს ამბობს ბოდიშის მოხდაზე და კომპენსაციის გადახდაზე რუსეთისათვის, თუნდაც იქამდე სანამ არ იქნება დადებული 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტთან დაკავშირებით სპეციალური კომისიის მიერ გამოტანილი დასკვნა.

იმ შემთხვევაში თუ კომისია დამნაშავედ მიიჩნევს თურქეთის მხარეს, ანკარა ბოდიშსაც მოიხდის და ღონისძიებებსაც გაატარებს ზარალის ასანაზღაურებლად, მაგრამ ამ დასკვნის გარეშე თურქეთი დარწმუნებული იქნება თავის სიმართლეში.

რუსეთის კრიტერიუმები:

- ოფიციალური ბოდიშის მოხდა ანკარის მხრიდან;
- დამნაშავეების დასჯა;
- კომპენსაციის გადახდა;

ეს კრიტერიუმები წაუყენა რუსეთის ფედერაციამ თურქულ მხარეს და რამოდენიმე დღე დაელოდა ოფიციალური ანკარის განცხადებებს. სანამ რუსეთის ფედერაცია თურქული მხარის წინააღმდეგ სანქციებს ამზადებდა, თურქეთმა აშშ-ის თავდაცვის მდივანს _ ეშტონ კარტერს უმასპინძლა, რომელმაც თურქეთის მთავრობის წევრებთან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განიხილეს. ეს ფაქტი სირიის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ „კრემლისთვის“ “ჭრილობაზე მარილის დამატების“ ტოლფასი იყო.

როგორც უკვე ავლნიშნეთ, მიღებული ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობის შეზღუდვის სანქციები დაწესდა 2015 წლის 10 დეკემბრის შემდეგ გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. აქედან გამომდინარე, 2015 წლის 15 დეკემბერს, თურქეთის პორტებში 27 რუსული დროშის ქვეშ მცურავი ხომალდი იქნა დაკავებული, რომელმაც რუსულ მხარეს დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი მიაყენა. „ანკარის“ საპასუხოდ ოფიციალურმა მოსკოვმა, თურქული დროშით მცურავი 8 გემი დააკავა. საერთაშორისო ურთიერთობების მიმომხილველი თანამედროვე პოლიტიკოსები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას 21-ე საუკუნის „ახალ ცივ ომად“ მოიხსენიებენ, რაც შესაძლებელია სავსებით არ იყოს აზრს მოკლებული, ამას დრო გვიჩვენებს, რომელიც ყველა პოლიტიკურ პროცესს ადრე თუ გვიან საკუთარ სახელს არქმევს.

მოსკოვის პოზიცია. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადება 2015 წლის 24 ნოემბერს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გაისმა შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, როცა რუსეთის პრეზიდენტი მივიდა **იორდანის მეფე _ აბდალა მეორე ბენალ ჰუსეინთან** ერთად სოჭის რეზიდენციაში.

რუსეთის პრეზიდენტმა მყისიერად გადაიტანა სახელმწიფო საბჭოს თათბირი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო პერმში 24 ნოემბერს.

ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობდნენ, რომ რუსეთი ანკარის წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ პუტინმა არ გააკეთა მიზანმიმართული

განცხადებები და რეაგირებისთვის საკითხის შესწავლა შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს დაავალა, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს (რომელშიც შედის რუსული სპეც.სამსახურების ელიტარული ნაწილი – რუსეთის სამხედრო საგარეო დაზვერვა, ე.წ. გრუ).

არ შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინის გამოსვლამ პასუხი გასცა ყველა შეკითხვას (თავდაცვის სამინისტროს სათანადო დასკვნის არარსებობის დროს ეს არც იყო მოსალოდნელი), მაგრამ კრემლის პოზიციაში გამოჩნდა, რომ ეს მოქმედება კვალიფიცირდება – როგორც „თურქეთის რესპუბლიკის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ განხორციელებული აგრესიის აქტი“.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „ჩვენი თვითმფრინავი ჩამოგდებული იქნა სირიის ტერიტორიაზე, რომელიც თურქეთის საჰაერო საზღვრიდან 4 კმ-ით იყო დაშორებული. პრეზიდენტმა გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის თვითმფრინავი და პილოტი არანაირად არ უქმნიდა საფრთხეს თურქეთის რესპუბლიკას.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფაქტობრივად თურქული მხარე დაადანაშაულა ტერორისტებთან თანამშრომლობაში, და ყველაზე მთავარი (ეს ძალიან ცოტამ თუ შენიშნა), იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ ეს მოვლენები ცდებოდა ტერორიზმთან ბრძოლის საზღვრებს.

ასევე რუსეთის პრეზიდენტისა და იორდანის მეფეს შორის შეხვედრისას აღნიშნულ იქნა, რომ „თურქეთის ტერიტორიაზე გადის დიდი რაოდენობით ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომელიც მიედინება ტერორისტულ ორგანიზაცია – „**ისლამური სახელმწიფოს**“ ტერიტორიიდან, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ ვლადიმერ პუტინმა ზემოაღნიშნული განცხადებით თურქეთის რესპუბლიკა დაადანაშაულა ტერორიზმთან თანამშრომლობაში და „**ისლამური სახელმწიფოს**“ დაფინანსებაში.

ყველა ზემოთმოყვანილი თეზისი, შეიძლება განვიხილოთ როგორც კრემლის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებად თურქეთის რესპუბლიკის მიმართ. გართულებული დიპლომატიის ე.წ. „**პირველი მერცხალი**“ უკვე გამოჩნდა: – რუსეთის ფედერაციის საგარეო სქმეთა სამინისტრომ მოუწოდა თავის მოქალაქეებს თავი შეიკავონ თურქეთში მოგზაურობისგან. 2016 წლის იანვარში თურქეთში მომხდარი ორი ტერორისტული აქტის შემდეგ (რა დროსაც სამიზნედ ტერორისტების მიერ შერჩეულ იქნენ ტურისტული ჯგუფები და თურქეთში დასასვენებლად ჩასული მოქალაქეები) რუსეთი ქვეყანაში აქტიურ პროპაგანდას ეწევა თურქეთის არასაიმედო და ნაკლებად უსაფრთხო ტურისტული რეგიონის ხატის შესაქმნელად.

ანკარის პოზიცია. ოფიციალური ანკარის პოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო უფრო სუსტი აღმოჩნდა. თურქეთმა დაიკავა თავდაცვითი პოზიცია და თავისი ოფიციალური ქცევებით გარკვევით მიაჩნდა „თავდაცვითი ხაზის“ არჩევისკენ ზემოაღნიშნულ კონფლიქტში.

ინციდენტის მოხდენისთანავე (და ამას ყურადღება მიაქციეს კრემლშიც) თურქმა ჩინოვნიკებმა პირველ რიგში კონსულტაციები გამართეს ნატო-ს წარმომადგენლებთან და სრული იგნორირება გაუკეთეს კონფლიქტის რუსეთთან ერთად ორმხრივ ფორმატში განხილვას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო უწყების ოფიციალური განცხადების თანახმად, კონფლიქტთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა [2].

მოგვიანებით თურქეთმა მიმართა საერთაშორისო სასამართლოს თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევასთან დაკავშირებით. ოფიციალურმა ანკარამ გამოაქვეყნა ასევე რუსული ბომბდამშენის ფრენის და გადაადგილების საჰაერო სქემაც. რუსი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ რუსულმა ბომბდამშენმა გადაიფრინა თურქეთის პატარა ტერიტორიის თავზე (ირონიულად იხსენიებენ როგორც „აპენდიციტი“), რომელიც შეჭრილია სირიის ტერიტორიასთან [2].

თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსი პილოტი გაფრთხილებულ იქნა 5 წუთის განმავლობაში 10-ჯერ, რაზეც თურქეთის სამხედრო უწყების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად პასუხი ვერ მიიღეს, რის შემდეგაც რუსული ბომბდამშენის მიმართულებით მოხდა რაკეტის გაშვება, რამაც ის ჩამოაგდო.

რუსი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ თურქული ანტისარაკეტო პილოტის – „ფ-16“-ის სიჩქარის გათვალისწინებით, რაკეტა მიზანს მიაღწევდა სირიის ტერიტორიაზეც და რუსულ რაკეტას იქაც განადგურება ეწერა.

რუსებს ასევე გაუგებრად მიაჩნიათ, თუ რომელ 5 წუთზეა საუბარი მაშინ, როცა წამებში შეიძლებოდა თურქეთის იმ პატარა მონაკვეთის გადალახვა და სირიაში გადასვლა.

რუსულმა მხარემ გაიხსენა ის ფაქტი, რომ 2012 წელს, როცა სირიაში ჩამოგდებულ იქნენ თურქული ბომბდამშენები, ერდოღანმა განაცხადა, რომ „მოკლევადიანი საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტი არ შეიძლება იყოს სამხედრო შეტევის განხორციელების მიზეზი“. რუსული მხარე თურქეთის პრეზიდენტს პოზიციების სათავისოდ და საეჭვოდ შეცვლაში ადანაშაულებს.

ინციდენტის გამომწვევი მიზეზები რუსეთის თვალთ:

რადგან თურქეთის ოფიციალური პირების მხრიდან არ იყო მიღებული დამაჯერებელი პასუხები, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ რა ამომრავებდა ანკარას ამ გადაწყვეტილების მიღებისას:

- ერთი დღით ადრე თურქულ ღია წყაროებში უკვე დაიწყო წინმსწრები ანტირუსული ისტერია;
- სირიის ტერიტორიიდან თურქეთისკენ მიმავალი ნავთობის ტრანზიტი განადგურებულ იქნა რუსული სამხედრო შენაერთების მიერ, რომლებიც ანტიტერორისტულ ღონისძიებებში არიან ჩართულნი;

- თურქეთში დაგეგმილი ანტალიის სამიტის წინ თურქეთს სურდა რუსეთის როლის საერთაშორისო ასპარეზზე დაკნინება;
- თურქეთი გალიზიანებულსირიაში რუსეთის მიერ სამხედრო მოქმედებების ჩატარებით და ასადის რეჟიმზე სოლიდარობის გამოცხადებაზე უკმაყოფილებას გამოთქვამს ოფიციალური ანკარა [3].

ბაშარალ-ასადის რეჟიმის დასახმარებლად მოსკოვმა დღის წესრიგში შემოიტანა სირიის ფედერალიზაცია. ამის განხორციელებისა და მხარეების შეთანხმების შემთხვევაში „რუსული პროექტის“ თანახმად, თურქეთი მიიღებს სირიის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს, სადაც ქურთები არიან დასახლებული. ამ ემპაკური ნაბიჯით რუსეთი ცდილობს თურქეთში გააძლიეროს ქურთული მოძრაობა, რაც თურქეთის წისკვილზე წყალს არ ასხამს. „რუსული პროექტის“ განხილვის შედეგად თურქეთი მიხვდა, რომ საზღვარზე ის მიიღებდა გაძლიერებულ „სირიულ ქურთისტანს“, რაც მისი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჰეგომონობაზე პრეტენზიის დასასრულის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ.

რუსული მხარე მიიჩნევს, რომ ეს ინციდენტი შეიძლება იყოს დაკავშირებული თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან.

რუსულ საინფორმაციო სააგენტოებში ვრცელდება სტატიები, რომ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების ბრძანება შესაძლოა ისე გასცა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა – აჰმეთ დავუთოღლუმ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი შესაძლოა სულაც არ ყოფილიყო საქმის კურსში.

რუსეთში მოღვაწე თურქოლოგის – ვლადიმერ ავატკოვის აზრით, აჰმეთ დავუთოღლუ პროდასავლური, ამერიკული ორიენტაციის პოლიტიკოსია, რაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატება მოქმედ პრეზიდენტს, რომელიც კონსერვატიული იდეებით არის გამსჭვალული.

ინციდენტის შედეგები

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ამ ინციდენტს არასახუმარო შედეგები მოყვებოდა. თუმცა არ დაუკონკრეტებია თუ რაში გამოიხატებოდა ეს „არასახუმარო შედეგები“.

ვლადიმერ პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა მოგვიანებით განაცხადა, რომ „არასახუმარო შედეგებში“ რუსეთის ფედერაცია არ გულისხმობდა აუცილებლად სამხედრო ღონისძიებებს, ვინაიდან რუსეთს დიმიტრი პესკოვის აზრით, საკმარისად გააჩნია თურქეთზე ზემოქმედების სხვა ბერკეტები.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის საწინააღმდეგო სპეციალური ზომების შემუშავება დაავალა, რაც გამოიხატა შემდეგში:

- რუსეთში შეწყდა და მკაცრად კონტროლდება თურქული სამშენებლო ფირმების საქმიანობა, ასევე ინვესტიციები სამშენებლო სფეროში;
- შეიზღუდა თურქული ფირმების მიერ რუსეთში სასატუმროების მშენებლობა,

ასევე ტურისტულ კომპანიებს აკრძალათ თურქეთის საზღვაო კურორტების აბონემენტების გაყიდვა;

- გაუქმდა თანამშრომლობა ხის გადამუშავების სფეროში;
- გაუქმდა ორმხრივი შეთანხმება ავიაციის სფეროში თანამშრომლობისა და მფრინავების გადამზადების პროგრამა;
- რუსეთში შეჩერდა სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც თურქულ პროდუქციაზე იყო ორიენტირებული;
- გაუქმდა უვიზო რეჟიმი;
- აკრძალა ავია მიმოსვლა;

დასკვნა

მე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დამწყებ მკვლევარს და დოქტორანტს მიმაჩნია, რომ უახლოეს მომავალში, რუსეთ-თურქეთს შორის სამხედრო დაპირისპირება გამორიცხულია, ვინაიდან როგორც ერთ ქვეყანას, ასევე მეორე ქვეყანას საკმარისი პოლიტიკური ბერკეტები გააჩნიათ, რომლებსაც ნებისმიერ დროს გამოიყენებენ სამხედრო დაპირისპირების ალტერნატივად.

რუსეთის ფედერაციას შეუძლია განახორციელოს შემდეგი პოლიტიკური ღონისძიებები სამხედრო დაპირისპირების ალტერნატივად:

- გაანადგუროს სირიისკენ მიმავალი ყველა თურქული თვითმფრინავი;
- გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმად ნებისმიერი თურქული სამხედრო ტექნიკა, რომელიც გამოჩნდება სირიის ტერიტორიაზე იქნეს განადგურებული, ვინაიდან ისინი აღიქმებიან რუსული სამხედრო შენაერთების პოტენციურ საფრთხედ;
- რუსეთის ფედერაციას შეუძლია ტერორისტულ ორგანიზაცია – „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუქმნას ისეთი პირობები, რომ ტერორისტები ადვილად მოხვდნენ რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების ტერიტორიაზე, მათ შორის თურქეთშიც;

არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში კრემლში გაახსენდეთ ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და რუსეთმა დაეხმაროს ქურთ ხალხს ყველანაირი საშუალებით, რაც მცისიერად გააძლიერებს თურქეთში პროქურთული დაჯგუფებებს, სავარაუდოა, რომ ზემოხსენებული პოლიტიკური პროცესების განვითარების შემთხვევაში რუსეთი ქურთ მემბოხეებს ყველანაირ დახმარებას გაუწევს, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე სამხედრო კუთხითაც [4].

რუსეთის მიერ ზემოხსენებული სანქციების გატარებით შესაძლებელია დავითოღლუს დეკლარირებული პოლიტიკური დოქტრინა: „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ სავსებით შესაძლებელია გადაიქცეს ახალ რეალობად – „ნული მეზობელი რომელთანაც არ არის პრობლემა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რადიო თავისუფლება - „საქართველოს საფრთხეები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში“, 2015 წლის 25 ნოემბერი, www.radiotavisufleba.ge.
2. Tutuncu M., Turkey's Foreign Policy in the Caucasus, 1997;
3. www.tabula.ge - „რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება - „აბრეშუმის გზის“ რენაიმაცია“. 2015 წლის 1 დეკემბერი.
4. კომახია მ., „თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: თბ., 2016.

Causes, consequences and political events in 2015 by the crisis of Russian-Turkish diplomatic relations

*Lasha Khozrevanidze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

On November 24, 2015, despite multiple warnings from Turkish air patrols, a Russian SU-24 aircraft that violated Turkish airspace for 17 seconds was shot down by a Turkish F-16 fighter jet. The Russians denied that they were ever in Turkish airspace, while NATO corroborated the Turkish version. According to Turkish sources, there were repeated warnings for five minutes which the Russians claimed they never received and Turkey's rules of engagement were well known to the Russians. One pilot was rescued by Russian special forces, but Turkmen rebels—trained and supplied by Turkey on the ground across the border in Syria shot and killed the other as he was parachuting from the plane.

Turkish authorities immediately approached NATO for support, a move that reportedly infuriated Russian President Vladimir Putin, who called the downing of the plane “a stab in the back.” The Russian military claimed that the Turkish action was preplanned an accusation the Turkish General Staff denied. After initially reiterating that its rules of engagement were clear, Turkish President Recep Tayyip Erdoğan expressed sadness at the downing of the plane and his hope that the crisis could be resolved. From the measures the Russians immediately took, it seems that Moscow was ready for such an incident. The Russian government imposed economic sanctions that hit the Turkish trade, construction, and tourism sectors, exchanges that had benefited Turkey immensely. Militarily, Russia announced that it would deploy its more advanced S-400 surface-to-air missiles in Syria and continued to pound the positions of the Turkmen brigades that Turkey organized, trained, supplied with arms and money, and supports fully in their fight against the Assad regime. Effectively, the Russian air force obliterated these brigades both as part of Moscow's campaign to weaken the so-called moderate rebels in Syria and also to hit back at Turkey for the shoot down.

განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების მახასიათებლები

რეზიუმე

სახელმწიფოში განხორციელებული უცხოური კაპიტალდაბანდება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად განვიხილოთ პოზიტიური ან ნეგატიური შედეგის მატარებელ მოვლენად. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტი გამომდინარეობს იქიდან, თუ რამდენად თავსებადია ის კონკრეტულ გარემოსთან და რამდენად დაბალანსებულია ამ პროცესში კერძო და საჯარო/სახელმწიფოებრივი ინტერესი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს საინვესტიციო საქმიანობის ეფექტური რეგულირების შესაძლებლობა.

განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირებისათვის საჭიროა, კვალიფიციური პასუხები გაეცეს მათ შორის ნაშრომში მოცემული კონკრეტული შეკითხვების არასრულ ჩამონათვალს და რეგულირების განმახორციელებელი მთავარი სუბიექტის – სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება გამახვილდეს ინსტიტუციური ვითარების გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: განვითარებაზე ორიენტირებული, სასურველი ეფექტი, მეტი სარგებელი, მთავრი შეკითხვები, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების ღონისძიებები.

ძირითადი ტექსტი

არაერთი სამეცნიერო ნაშრომია მიძღვნილი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსის, მისი ხასიათის, სარგებლიანობისა და რეგულირების თავისებურებების კვლევაზე. სხვადასხვა ნაშრომში ეს საკითხი განხილულია სამართლებრივ, პოლიტიკურ, ფინანსურ, საერთაშორისო ან ეროვნული უსაფრთხოების და რა თქმა უნდა ეკონომიკურ ჭრილში.


მისაღებია თითოეული ნაშრომი და დასაფასებელია მკვლევარის მიერ დახარჯული ყველა წუთი, თუ კვლევის მიზანი ეფუძნება გარკვეული „სიკეთისაკენ“ სწრაფვას, მიუხედავად იმისა, კონკრეტული განსახილველი ფაქტი, ანალიზი და კვლევის შედეგი არის პოზიტიური თუ ნეგატიური.

ვსაუბრობთ რა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ირგვლივ, ვითვალისწინებთ, რომ საქმე გვაქვს რთული სტრუქტურის მქონე ეკონომიკურ კატეგორიასთან. ამიტომ, საჭიროა უპი-ების რეგულირების საკითხებიდან იმგვარი მახასიათებლების გამოკვეთა, რომელთა ანალიზი, ფართო გაგებით, ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ტერმინში - „განვითარებაზე ორიენტირებული“ - იგულისხმება „მეტი სარგებელი“ კონკრეტულ ჭრილში, დარგში, მიმართულებაში და ა.შ., ვიდრე ეს სარგებელი ინვესტიციების განხორციელებამდე იქნებოდა შესაძლებელი. „მეტ სარგებელში“ შეიძლება მოვიაზროთ როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სიკეთის მოტანა. მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება მატერიალურ სიკეთეს. მაგრამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, მაკრო და მიკრო ეკონომიკური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური სიკეთე, რომელიც შემდგომში განაპირობებს მატერიალური სიკეთის სტაბილურ დაგროვებას.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სწორი რეგულირებით შესაძლებელია, როგორც ზოგადად ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, ისე კონკრეტული მიმართულებების, ტექნოლოგიების, მეცნიერების დარგის განვითარება; კონკრეტული დარგების, მშენებლობის, ჯანდაცვის, ტურიზმის, მომსახურების სფეროს გაუმჯობესება, კადრის კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

საინტერესოდ გამოიყურება ის მიმართულებები, რომლითაც დაინტერესებულნი არიან ინვესტორები საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებით.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2017 წლის მე-3 კვარტალში, საქართველოში განხორციელებულმა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 594,5 მილიონი აშშ დოლარი. აქედან, ინვესტორთა დაინტერესების კუთხით პირველ სამეულში ლიდერობს „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის“, „მშენებლობისა“ და „ენერგეტიკის“ სექტორები.

აქვეყნდა აღინიშნოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განმახორციელებელ

სუბიექტთა დაინტერესება საქართველოს რეგიონების მიხედვით. ეს მონაცემი მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირ იძლევა ინფორმაციას და ანალიზის საშუალებას, თუ რომელი რეგიონია მეტად მიმზიდველი ინვესტორისთვის, რა ფაქტორები განაპირობებს აღნიშნულს და სახელმწიფოს მხრიდან, სად არის მეტად საჭირო გააქტიურება ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით							
რეგიონი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	813,837.5	1,048,233.2	911,285.7	949,917.0	1,763,041.4	1,575,966.7	1,583,783.6
მათ შორის							
თბილისი	559,244.7	736,217.2	693,155.3	696,382.0	1,331,555.1	1,246,124.0	1,365,465.8
აჭარა	56,573.1	93,868.0	39,105.4	61,544.3	159,275.1	204,531.0	92,038.7
კახეთი	-4,810.3	352.4	15,088.0	9,892.7	10,530.4	16,118.6	1,957.3
სამცხე-ჯავახეთი	21,405.3	4,547.0	21,251.3	51,732.6	74,040.7	28,099.3	30,941.1
ქვემო ქართლი	66,685.4	146,882.6	41,648.3	14,430.2	55,083.4	21,159.8	29,318.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	25,013.4	66,326.5	55,278.2	57,229.8	93,648.2	49,822.3	34,159.2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	80,126.5	-14,714.5	37,773.2	58,882.0	26,363.7	25,701.8	27,371.9
შიდა ქართლი და მცხეთა- მთიანეთი	9,599.4	14,754.0	7,986.0	-176.5	12,544.8	-15,590.1	2,531.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

აღნიშნული ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების აკუმულირების ძირითადი ადგილი არის თბილისი. დედაქალაქში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული უპი-ების 86.2%. სიდიდით შემდეგი რეგიონი, უცხოურ ინვესტიციათა მიღების თვალსაზრისით არის აჭარა 5.8 %-ით, ხოლო, 8 პროცენტი ნაწილდება დარჩენილ საქართველოს 6 რეგიონზე.

ზემოაღნიშნული მონაცემი არ შეიძლება შეფასდეს დადებითად, მითუფრო, როდესაც უცხოურ ინვესტიციათა ჯამური მოცულობა არ არის მასშტაბური. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების მახასიათებლებზე, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კონკრეტულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საჭიროებებზე, რეგიონებზე, დარგებზე, მიმართულებებზე, ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებზე და ა.შ.. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შექმნას სისტემა, რომელიც დამოკიდებული იქნება კონკრეტული გარემოებების

დაკმაყოფილებაზე, რაც თავის მხრივ, მისცემს უცხოელ ინვესტორს გამართლებული კაპიტალდაბანდების განხორციელების შესაძლებლობას.

როდესაც ვსაუბრობთ განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირებაზე, პირველ რიგში აუცილებელია ინვესტიციის მასპინძელი სახელმწიფოს მხრიდან გაეცეს პასუხი მთავარ შეკითხვებს:

- რა არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზანი?
- არსებობს თუ არა კონკრეტულ დარგში უპი-ების მოზიდვის აუცილებლობა?
- საჭიროა თუ არა ქვეყნის კონკრეტულ რეგიონში უპი-ების მოზიდვის ხელშეწყობა?
- რა ხელშემწყობი ფაქტორები/მექანიზმებია ამოქმედებული საჭიროების მქონე რეგიონებში და/ან დარგებში უპიების მოსაზიდად?
- რამდენად უქმნის საბრთხეს მოზიდული უპი-ები ეროვნულ ბიზნეს სექტორს?
- რამდენად განავითარებს უცხოური კაპიტალდაბანდება კონკრეტულ და მასთან ასოცირებულ მიმართულებებს? და ა.შ.

ზემოაღნიშნული შეკითხვები, მხოლოდ ნაწილია იმ აქტუალური საკითხებისა, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მხოლოდ გაანალიზებული პასუხების შემდეგ არის შესაძლებელი მეტნაკლებად დაზუსტებული დასკვნის გამოტანა იმაზე, თუ როგორი შედეგის მომტანი შესაძლოა იყოს კონკრეტული უცხოური კაპიტალდაბანდება. S

წორედ აღნიშნულ საკითხებზეა საჭირო ყურადღების გამახვილება უცხოური ინვესტიციების რეგულირებისას, ამ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე დამოკიდებული უცხოური კაპიტალდაბანდების პოზიტიური ან ნეგატიური შედეგი.

ზემოთ დაფიქსირებულ საკითხებზე მსჯელობისას, ერთმნიშვნელოვნად იკვეთება უპი-ების რეგულირების განმახორციელებელი მთავარი სუბიექტის – სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილება იმ ვითარების გაუმჯობესებაზე, რომელიც დღეს არსებობს ქვეყანაში. კერძოდ, საჭიროა:

- ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პასუხისმგებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები მიმართული იყოს არამხოლოდ ფორმალური ვალდებულებების შესრულებაზე, არამედ მეტი ადამიანური რესურსი გამოიყოს შინაარსობრივ საკითხებზე მუშაობისთვის;
- მეტი ყურადღება დაეთმოს ადმინისტრაციულ ორგანოებში პროფესიათა შორის ჯანსაღ თანამშრომლობას;
- მეტად იქნას გამოყენებული ქვეყნის ინტელექტუალური რესურსი პროფილების და დარგების მიხედვით, ქვეყნის ოფიციალური და სტრატეგიული დოკუმენტების შექმნისას.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა, კონკრეტულ კითხვებზე კვალი-

ფიციური პასუხების გაცემა, უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე საზოგადოების ჩართულობის გაზრდა პროფილების მიხედვით საკითხების განხილვაში და სათანადო ანალიზის შედეგების გათვალისწინება მისცემს სახელმწიფოს შესაძლებლობას მეტი მოქნილობითა და სასურველი ეფექტის გაზრდილი ალბათობით განახორციელოს განვითარებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების ღონისძიებები.

გამოყენებული წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი www.geostat.ge

Features of regulation of foreign direct investment focused on development

*Davit Makhviladze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Foreign capital invested in the state can not be unequivocally recognized as a positive or negative result. The economic effect of foreign direct investment comes from the extent to how it is compatible with a particular environment and how well is the private and public interests balanced to this process. Therefore, it is important to have an effective regulatory mechanism in the country for investment activities.

For the regulation of foreign direct investment focused on development, is needed to have qualified answers for the specific questions and also, from the state should pay more attention to the improving of institutional situation.

Key words: Focused on development, the desired effect, more benefits, key questions, measures to regulate foreign direct investment.

ზოგიერთი სასპორტო ფრაზეოლოგიზმისა და ჟარგონული ტერმინის ჩამოყალიბება-დამკვიდრების თავისებურებები თანამედროვე ქართულ პრესაში

რეზიუმე

სპორტი, როგორც 21-ე საუკუნის სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იქცა. დღევანდელი სპორტი ეს არის გლობალური ბიზნესი, ანუ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის მოდელი. ამიტომაც სპორტს ხალხთაშორისი დიალოგის, გამაერთიანებელი და მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია.

სასპორტო ღონისძიებების ექსპრესიულად და ემოციურად გადმოსაცემად ჟურნალისტები ენის სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, მათ შორის ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ჟარგონულ ლექსიკას. მასმედიაში გამოქვეყნებული სასპორტო მასალების კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ეს ორი მიმართულება საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს. ნაშრომში განხილულია ზოგიერთი სასპორტო ფრაზეოლოგიზმისა და ჟარგონული ტერმინის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე ქართულ პრესაში.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, სპორტის ფრაზეოლოგია, ჟარგონული ლექსიკა, სპორტის ენა, სიტყვათა სესხება, გლობალიზაცია.

შესავალი

სპორტი მუდმივად ვითარდება, ჩნდება ახალი სახეობები, იქმნება ახალი სიტყვები - ტერმინები, სიტყვათმეხამებები, ფრაზეოლოგიზმები, ჟარგონები... ენობრივი ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთვის, სასპორტო კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს. ამიტომაც კარგა ხანია ფიქრობენ სპორტის ენის ენობრივი სისტემის ცალკე ნაწილად გამოყოფაზე. პოლონელმა ენათმეცნიერმა იან ოჟჯინსკიმ დასვა კითხვა - შეიძლება ვილაპარაკოთ თუ არა „სპორტის ენაზე“ და იქვე დასძინა - სამისოდ აუცილებელია განისაზღვროს მისი სოციოლოგიური მხარე. მართლაც, რა არის სპორტის ენა? ეს არის ენა, რომელსაც სასპორტო საზოგადოებაში იყენებენ როგორც სპორტსმენები, მწვრთნელები, პედაგოგები, არბიტრები, სპორტის კომენტატორები და მიმომხილველები, ანუ სპორტის ჟურნალისტები, ასევე, სასპორტო ღონისძიებების მაცურებლები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ენა სოციალური მოვლენის ენაა და ცალკე სფეროდ უნდა გამოიყოს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გლობალური პროცესები თანდათან შლის

საზღვრებს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ადამიანთა ურთიერთობის ვერბალურ ნიშნებს შეიძლება მივაკუთნოთ სპეციალიზებული ლექსიკა, ტერმინები, ფრაზიოლოგიზმები, ჟარგონები. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სპორტის სფეროს ფრაზეოლოგიზმებსა და ჟარგონულ ლექსიკაზე, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სპორტსმენები, გულშემატკივრები, კომენტატორები, სპორტის ჟურნალისტები, ფანატები.

II. ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის პირობებში, როგორც აღვნიშნეთ, სპორტი სულ უფრო მეტად აახლოებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ეს ურთიერთობები, ცხადია, ამა თუ იმ ენის ლექსიკაზეც აისახება. სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

თანამედროვე მედიაში აქტიურად გამოიყენება „ფრაზეოლოგია (ბერძნული სიტყვაა: phrasis - გამოთქმა, logos - მოძღვრება) - ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული ნათქვამები, სიტყვათა თავისებური შეერთებანი; მაღალფარდოვანი უშინაარსო გამოთქმები“ (2). ბოლო დროს საერთო ფრაზეოლოგიას ცალკე გამოეყო **სპორტის ფრაზეოლოგია** (და არა სპორტული ფრაზეოლოგია, რადგან კითხვა დაესმის - რისი ფრაზეოლოგია?), რომელიც, პირობითად, შეიძლება, სამ ჯგუფად დაიყოს:

1.ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც პირდაპირ ემჩნევა სასპორტო წარმომადგენლობა: პრესტიჟის გოლი, ჯარიმის ზღვარზე თამაში; ოქროს გოლი, ოქროს მატჩი, ბოლო იმედის ჯარიმა,

2.ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც პირდაპირი არა, მაგრამ ირიბი შეხება აქვს სასპორტო ეტიმოლოგიასთან: ანგარიშის გაქვითვა, მშრალი ანგარიში, მსოფლიოს პირველი ჩოგანი;

3.“ნახევრადსასპორტო“ ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც არც პირდაპირი და არც ირიბი ურთიერთობა არ აქვს სპორტთან: მოედნის მასპინძელი, ბრძოლა მეორე სართულზე. ხმელი ფოთოლი, კარი გაიჯახუნა, ცივი შხაპი გადაავლო, ბრძოლა არსებობისთვის. მშრალი სერია, ცოცხალი კედელი, სატრანსფერო ფანჯარა და მისთანანი.

ფრაზეოლოგიური ერთეულების დიდი ნაწილი სხვა ენიდან არის ნასესხები, თუმცა ლექსიკური ერთეულის გამდიდრება ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში გადასვლამაც გამოიწვია, რაც ჟურნალისტების ფრაზეოლოგიური ერთეულებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების შედეგია.

ხშირად შეინიშნება შემთხვევები, როცა ჟურნალისტები ცნობილ გამოთქმებში კომპონენტებს ცვლიან. მაგალითად, მეტოქის **ფანდზე (ფინტზე) წამოეგო** შექმნილია **ანკესზე წამოეგოს** ანალოგიით. მსგავსი ფრაზეოლოგიზმები ინდივიდუალური ხასიათისაა და შეგნებულად სიტყვის თამაშის შედეგია. ასეთებია, მაგალითად:

ყვითელ ბარათზე ჰკიდია (ბეწვზე ჰკიდია), მშრალი სერია (მეკარე ან გუნდი უგოლოდ), ცოცხალი კედელი, კარის არება, კალათის დაბომბვა, კუთხეში მიმწყვდევა, პირსახოცის გადაგდება, საფინალო სპურტი, ცივი შხაპი, კარის გაჯახუნება, ბრძოლა არსებობისთვის და სხვ.

გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის ტერმინოლოგიზაციაზე ლაპარაკიც. მაგალითად, უწინდელი სასაუბრო გამოთქმა - **ოქროს გოლი** (ვინც გაიტანა, იმან გაიმარჯვა) დღეს ტერმინად იქცა (ოქროს გოლის წესი); **ხმელი ფოთოლი** (ეს დარტყმა ბრაზილიელებმა გამოიგონეს), **ოქროს მატჩი**, **სატრანსფერო ფანჯარა** და მისთ.

დღევანდელი სასპორტო პრესის ექსპრესიულ ენობრივ საშუალებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჟარგონულ ლექსიკას, რადგან მისი მეშვეობით მეტყველება იძენს სიცხადეს, ხატოვნებას, ემოციურობასა და ექსპრესიულობას ირონიის, ხუმრობის, დაცივნის, საყვედურის, სიძულვილისა თუ სიყვარულის ელფერით.

„ჟარგონი (ფრანგული) თავისებური სიტყვები ან გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ პროფესიული ჯგუფის, წრის წარმომადგენლები“ (1); „პირობითი ენა, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის. არგო“ (2). ამდენად, ჟარგონი - ეს არის ლიტერატურული ენისაგან განსხვავებული გარკვეული სოციალური წრისთვის გასაგები ერთგვარი ენა, რომელიც კანონებს არ ექვემდებარება, რადგან მასში ძალიან ბევრია ხელოვნური, ხანდახან პირობითი სიტყვები და გამოთქმები. ჟარგონული ლექსიკა საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა „დაბალი ფენიდან“ „გაბატონებულ საზოგადოებაში“ მოსახვედრად. მან ეს მოახერხა და დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში. მართალია, ჟარგონულ ენაში ყველაფერი როდია მისაღები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავისი არსით მეტყველებას ალამაზებს.

გასული საუკუნის მიწურულამდე ჟარგონულ ლექსიკას ლიტერატურული ენა ავიწროებდა. ახლა მათს ურთიერთობაში სრული ჰარმონიაა. რაც უწინ ენის სტანდარტებთან შეუსაბამო იყო და ნებადაურთველი, დღეს მას სხვადასხვა სფეროს ადამიანები აქტიურად იყენებენ და სულ უფრო ფართო ადგილს იჭერს საზოგადოებაში. ენათმეცნიერებიც მეტ ყურადღებას აქცევენ ჟარგონების ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემებსა თუ თავისებურებებს. განსაკუთრებით ეს ეხება უცხოური ენიდან ნასესხებ ჟარგონულ ლექსიკას. გვინდა რამდენიმე სიტყვაზე გავამახვილოთ ყურადღება.

ერთობ საინტერესოა ჟარგონ **ჰეთთრიკის** წარმოშობა და დამკვიდრება. ეს ინგლისური სიტყვაა (a hat- ცილინდრი, atrick - ოინბაზობა, ტრიუკი) და ქართულად ცილინდრით ოინბაზობას ნიშნავს. ერთი ვერსიით, 1858 წელს კრიკეტის მოთამაშე ჰიტფილდ ჰარმან სტივენსონს ზედიზედ სამჯერ გაუვლია ჰისკარი (калитка). ეს ოინბაზობა ძალიან მოსწონებიათ ფანებს, შეუგროვებიათ ფული

და ამ წარმატებისთვის სტივენსონისთვის ცილინდრი უყვიათ. ამ შემთხვევის შემდეგ ვინც ზედიზედ სამ ურთულეს დარტყმას შეასრულებდა, აღიარების ნიშნად, ცილინდრს მიაართმევდნენ. სხვა ვერსიით, ეს სიტყვა წარმოიშვა ინგლისში ოდესღაც პოპულარული ხალხური თამაშის გავლენით: ხის ფიგურებისთვის თავზე წამოცმული ცილინდრები მოთამაშეებს ბურთით უნდა მოეძროთ. ვინც ამას ზედიზედ სამჯერ შეძლებდა, გამარჯვებულად გამოცხადდებოდა. ამ მიღწევას კი ჰეთორიკს უწოდებდნენ. დღეს უკვე ტერმინად დამკვიდრებული ეს ჟარგონი სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოიყენება, უფრო - ფეხბურთში, როცა ერთ მატჩში ერთი მოთამაშე სამ ბურთს გაიტანს. ამ სიტყვასთან დაკავშირებით ორი უჩვეულო ამბავიც გვინდა გავიხსენოთ: 1996 წლის ბელგიის ჩემპიონატში „ანდერლეხტთან“ შეხვედრისას კლუბ „ეკერენის“ ფეხბურთელმა სტან ვან დენ ბიუსმა საკუთარ კარში სამი ბურთი გაიტანა და თანაგუნდელებს 2:3 წააგებინა. პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ფელიქს ჩილავერტ გონსალესი ერთადერთი მეკარეა მსოფლიოში, რომელმაც 1999 წლის ნოემბერში ჰეთორიკი შეასრულა - თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან მეტოქეს სამი ბურთი გაუტანა.

აქვე ჰეთორიკის მართლწერაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ინგლისურ ენაში ამ ტერმინში შემავალი სიტყვები ცალ-ცალკეც იწერება და დეფისითაც, რუსულში - მხოლოდ დეფისით. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ქართულში ერთად უნდა დაიწეროს, რადგან ერთ ცნებას აღნიშნავს.

ჟარგონული წარმოშობისაა ინგლისური სასპორტო ტერმინები: **ჰავეკვი** (half -ნახევარი, back-უკან) - ნახევარმცველი, **ლაინსმენი** (line-ხაზი, man-კაცი) - გვერდითი მსაჯი, **სტოპერი** (stopper-საცობი) - ცენტრალური მცველი, **კორნერი** (corner-კუთხე) - წლების წინათ ეს ტერმინი კუთხურის პარალელურად გამოიყენებოდა. **დრიბლინგი** (ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, ზმნა dribble წარმოშობილია ზმნისგან drib(p), რაც თხრას ნიშნავს) - მეტოქის მოთამაშეთა მოტყუებით ბურთის ოსტატური ტარება. გამოიყენება ფეხბურთსა და კალთბურთში.

III. დასკვნა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჟარგონული წარმოშობის ეს სიტყვები დღეს პროფესიულ ტერმინებად გამოიყენება მეტყველების ექსპრესიულობის გასამდიერებლად, თუმცა მათი უმრავლესობისთვის ქართული შესატყვისები გვაქვს და, ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, უცხოურ ტერმინთა გამოყენება თუ დამკვიდრება მიზანშეუწონელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986, გვ. 375;
2. მიხეილ ჭაბაშვილი, უხო სიტყვათა ლექსიკონი, 1964, გვ. 322, 399;
3. ლევან ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, 1999;

4. ალექსანდრე ონიანი, ქართული იდიომები, 1966;
5. გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია, ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 1974.
6. Фразеологический словарь русского языка. Под ред. А.И. Молоткова. М., 1967.

Peculiarities of the formation and establishment of some sports phraseology and slang term in contemporary Georgian press

*Vaja Danelia, PhD student
Georgian Technikal University*

Summary

Sport as a social event in the 21st century has become one of the essential elements of public life. Today's sport is a global business, ie the modern economy, politics, culture model. That's why sports have a more interactive dialogue, unifying and regulating function.

Journalists use different means of language, including phraseology and slang lexical language, to express sport activities expressly and emotionally. The study of the mass media published in the media led to the conclusion that these two directions are becoming more and more popular in society. The work deals with the characteristics of the formation and functioning of some of the phrase phraseology and slang term in contemporary Georgian press.

Keywords: sport, phraseology, slang vocabulary, sports language, word borrowing, globalization.

The Use of Artificial Intelligence in Language Teaching

Abstract

With the development of scientific and technological progress and the improvement of technologies, the issues related to artificial intelligence are in the centre of scholars' attention. Artificial intelligence is used in many fields of science, for example, in medicine and engineering. Recently, artificial intelligence finds its application in teaching languages, the English language in particular. Various studies have shown that computer technologies and the Internet are the effective tools in teaching and learning the language. This article views the history of the origin of artificial intelligence and demonstrates the instructive use of an artificial intelligence program for developing oral and writing skills of English language learners.

***Keywords:** Artificial Intelligence, Teaching English, Speaking Skills, Writing Skills, Oral speech*

Introduction

In recent years, incredible progress has been made in computer science and Artificial Intelligence (AI). Artificial Intelligence systems are undoubtedly very useful. As the world becomes more complex we need to leverage our human recourse and high quality computer system help. Most people believe that intelligence is something unique, which is what distinguishes Homo Sapience.

The idea of making inanimate objects into intelligent being by giving life a long time is fascinating the mind of mankind.

Ancient Greeks had myths about robotics, and Chinese and Egyptian engineers made automatons. We can see the traces of the beginning of modern artificial intelligence as an attempt to define the classical philosophers' system of human though as a symbolic system.

In 1956 a conference "Artificial Intelligence" was held for the first time in Hanover, at Darmouth College. Cognitive scientists participating in the conference were quite optimistic about the future of artificial intelligence.

Main Body

Artificial Intelligence is finding its way into ever more areas of life, such as engineering and medical field. Artificial intelligence has been employed in language teaching as well.

Recent development in artificial intelligence has revealed the importance of language.

People have begun to hold the language in front of the artificial intelligence studies in recent years, because people think with language.

A large number of studies have shown that computers and Internet are effective media for language teaching and learning (Van handle & Corl, 1998; Sebastian, 2003). It can be a tutor who offers language drills or skill practice; a stimulus for discussion and interaction; or a tool for writing and research.

As we mentioned above, Artificial Intelligence has also been employed in language teaching and learning. The obvious example is electronic dictionary. Visual aids and audio might be good resources to enhance learning as well.

Oral language development is clearly a key skill for second language learners, but it does not stand alone. The relationship among the four skills of listening, speaking, reading and writing are complex and intertwined (Peregoy & Boyle, 2005).

Audio – based second language learning activities can also integrate written components and serve as a jump start for interactive conversation and writing practice as well. Embedding the audio in a context with pedagogically pre – and per- writing activities could also help motivate the learners to practice the target language and make it more comprehensible. Teachers can also create some other activities by using AI in class such as role play or a writing workshop.

Our language proficiency is vital for language learners because it is eventually the skill they mostly use (Warshauer, 1997). The development of oral language skill in second or foreign language learners is of major importance. English writing course has been found to be one of the most difficult subjects for most English teachers. For many learners even writing short sentences is a difficult task for them. Up till now, researchers and educators are still searching for the best cure for this problem. With the help of highly developing technology, there have been many tools such as online chat room and referential websites that give teachers other opportunities to promote the use of writing and oral language.

Language learning involves two major concepts: language and communication. For language learners, for both first language and second language, oral skills do not develop separately. It is interconnected with the other language skills such as reading, writing and listening (Brown, 1994; Lightbown & Spada, 1993) In most writing classes, writing can be viewed as a tool for expressing ideas or feelings. However, in some second language writing classrooms, writing is used to show that students have mastered certain grammatical rules rather than having a good sense of expressing ideas (Sokolik, 2003).

As an international language, English is a key instrument in the development and cultivation of cross- cultural communication among students. One of the best ways to learn a foreign language is through frequent communication with a native speaker.

Brenna (2006) defined a chatbot as “an artificial construct that is designed to converse with human beings using natural language as input and output”. A chatbot architecture inte-

grates a language model and computational algorithms to emulate communication between a human user and a computer using natural language (Abushawar & Atweel, 2007).

According to Jiyou Jia (2009), the original goal of his study was to provide a virtual chatting partner for English learners. Hence, chatting is the fundamental function. The statistical analysis about users' behavior indicates that they have a preference for chatting without spelling and grammar checking.

The chatting quality can be somewhat shown by its duration. Thus an increasing percentage of longer and longer chatting shows that the free chatting quality is getting better. The underlying design principles – fully syntactical and semantic analysis of the user input, communicative response mechanism, as well as the effort of chatting personalization and adaptation – all contribute to the improvement of the chatting quality.

Conclusion

Generally speaking, it is hard for many students to enhance oral ability due to the lack of opportunities to practice speaking. Therefore, Artificial Intelligence provides more opportunities and time for users to learn languages. However, there are still spaces for developing more intelligence on AI in order to make it more “real”. For example, speech recognition for users would be an excellent function for learners to practice speaking.

With a wide variety of meaningful and interesting artificial intelligence, giving learners easier access to the tools can help them to develop their language skills. This Artificial Intelligence technology can provide learners with more opportunities for interaction beyond the restriction from time and locations. It is hoped that language learning can be more fun and more effective.

References

- Abu Shawar, B and Atwell, E. 2007. Foster Language Learner Autonoming Via Adaptive Conversation. Paper presented at the Corpus Linguistics Conference, Birmingham, UK, July, 27 -30.
- Brennan, K. 2006. The Managed teacher: Emotional Labour, Education & Technology. *Educational Research* 18(1): 32 -42.
- Brown, H.D... 1994. *Principles of Language Learning & Teaching* (M) 3rd. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.
- Dreyfus, L...1992. *What Computer Skill can't do*. (M) London: The MIT Press.
- Ellis, R ... 1994. *The Study of Second Language Acquisition* (M). Oxford: Oxford University Press.
- Jiyou Jia, 2009. An AI Framework to Teach English as a Foreign Language. *CSIEC*. 70-71.,
- Mijwel, M.M. 2011. *History of Artificial Intelligence*.
- Perego, S.F. & Boyle O'F. 2005. *Reading, Writing & Learning in ESL* (M) Boston: Pearson Education.

- Shin – Hsien Jang ...2007. Artificial Intelligence for Integrating English Oral Practice & writing Skills, China.
- Van Handle ,D.C & Corl, K,A.. 1998. Extending the dialogue : Using Electronic mail and the Internet to Intermediate Level German. Language course (J). CALICO Journals, (5). 129 – 143.
- Warschauer, M.. 1997. Comparing Face –to face and Electronic Discussion in the Second Language Classroom (J) CALICO Journal, 13 (2&3) : 7-25

*მანანა ასლანიშვილი, სოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში რეზიუმე

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებამ, ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულმა საკითხებმა მეცნიერების დიდი ყურადღება მიიპყრო.

სტატია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სხვადასხვა მიმართულებით, ისეთები როგორცაა საინჟინრო და სამედიცინო სფეროები. ხელოვნური ინტელექტი ასევე გამოიყენება ენის სწავლების პროცესშიც. კვლევების დიდმა ნაწილმა აჩვენა, რომ კომპიუტერი და ინტერნეტი ითვლება ეფექტურ მედია საშუალებად ინგლისური ენის სწავლება - შესწავლაში. სტატიაში მოკლედაა აღწერილი ხელოვნური ინტელექტის ისტორია და ზოგიერთი სასწავლო აქტივობა, ხელოვნური ინტელექტის პროგრამის გამოყენებით, განსაკუთრებით ზეპირი პრაქტიკისა და წერითი აქტივობების ინტეგრირების დროს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ინგლისური ენის სწავლება, ლაპარაკის უნარი, წერის უნარი, ზეპირი მეტყველება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი, თვითდაფინანსებაზე არსებული სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალთ, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, მარჯვენა – 20 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ; აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე, ხოლო სათაური, ავტორის/ავტორთა მონაცემები აუცილებლად მოგვაწოდეთ ინგლისურ ენაზე. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 150 სიტყვა).

ნაშრომის სტრუქტურა:

1. რეზიუმე ქართულ ენაზე;
2. საკვანძო სიტყვები;
3. შესავალი;
4. ძირითადი ნაწილი;
5. დასკვნა;
6. ლიტერატურა;
7. რეზიუმე უცხოურ ენაზე.

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს JPG ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შესრულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის მეცნიერულ სიახლესა და ორიგინალურობაზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს გამოსაქვეყნებლად შემოსული სტატიების, წერილების შემოწმების უფლებას პლაგიატის პროგრამაზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების“ დეპარტამენტში (ოთახი 805^ბ, კორპ. 6).
ტელ.: 68-13 (შიდა); 599-557-993; 599-553-980; 595-507-158; E-mail: ganatleba2018@gmail.com.